ენათმეცნიერება

114
2003

2003

11/12

გამოდის 1924 წლიდან

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 79-ე №11-12 2003 წელი

მწერლობა, პუბლიცისტიკა, ხელოვნება, მეცნიერება,

დამფუძნებლები:

საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია

შინაარსი

პოეზია, პროზა

თამაზ ჭილაძე – ფრთაშეჭრილი ანგელოზი. ლექსი 3
გიორგი გიგაური – ლექსები 4
ანზორ გვარამია – ორთავიანი კაცი. რომანი 7
დალილა გედიანიძე – ლექსები 66
ნუნუ ქადაგიძე – ნატვრისთვალი. მოთხრობა 69
ნოდარ ხუნდაძე – ლექსები 79
დარეჯან სუმბაძე – ლექსები 81

XX საუკუნის რუსული პოეზიიდან

ვლადისლავ ხოდასევიჩი – ლექსები.თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ** 83

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გურამ ბენაშვილი – არაგესკები 85
მერი ჭელიძე – მეოცე საუკუნის სამოციანი წლების გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები 111
მადლენა მირიანაშვილი – დავით სარაჯიშვილი – ერის ძომაგი და ქველმოქმედი 123
თამაზ ჭილაძე – ძველი რვეულებიდან 130

პუბლიკაცია

აკაკი გაქრაძე – „არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“ 142

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

(გაგრძელება)

მეცნიერება

თეიმურაზ მიბჩუანი – აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის ... 158

თარგმანი

ზოია ცხადაია – ვიქტორ გაბესკირია – 100. პოეტის პორტრეტი. 164

ხელოვნება

მანანა ახმეტელი – მარინე იაშვილი 169

სარკმელი

იოსიფ ბროდსკი – ვირგილიუსი. თარგმნა **ზურაბ კალანდაძემ** 173

ბიბლიოგრაფია

გელა ოდიკაძე – მწერლის სახსოვარი 177

მოსაგონარი

გურამ ბენაშვილი, რევაზ ბარამიძე, იუზა ევმეგბიძე, მერი ჭელიძე – ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ტრადიცია და ნოვაციები. ფარნაოზ კოტეტიშვილის ხსოვნისათვის 178
წლიური სარჩევი 182

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი

გამომცემლობა „სანი“
თბილისი 0105, შავთელის ქ. №26
ტელ: (995 32) 98 65 92 e-mail: zazaberishvili@yahoo.com

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

ფრთაშეჭრილი ანგელოზი

მესიზმრება ბიჭვინთა და გაგრა,
მტკივა, როგორც მოკვეთილი ხელი,
ათი წელი გაილია, გაქრა,
ათი, ავდრის ღრუბელივით წელი.

თითქოს მისი კვნესა მესმის შორით,
თითქოს მისი სუნთქვა მოაქვს ნიავს
და ზღვის პირას, ჩემი სულის სწორი
ფრთაშეჭრილი ანგელოზი გდია.

2003

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

სანთლების ალით ელავს სახატე

კლდეთა ქარაფებს შემოვეფარე,
ხევში გაყუჩდნენ ქარები მქისე,
ხანდახან ზვავი გაიმყეფარებს
და გამეფდება დუმილი ისევ.

სამების ნიშთან ავანთებ სანთელს,
ოცნებასავით იწვის სანთელი,
მხარზე დამაჯდა არწივის მართვე,
თვალანთებული სხივთა ფანტელით.

მთიელ მხედრებზე მიყვება ამბავს,
სათქმელს ალაგებს ლამაზ ფერებად,
ედელვაისებს, ცვარ-ნამში ნაბანს,
ნიბლიასავით მოეფერება...

ფიქრით წარსულთან სიმად გავები,
გავხდი მლოცველი რჩეულთა გზების,
ხელი ჩამოვკარ ჩანგს უკვდავების
და წინაპართა აჟღერდნენ ხმები.

ფრთები შევასხი სიტყვას ჯიშიანს,
მამულის ამაყ მოყმეს ვუმღერე,
ლომს მოშურნეთა განა შიში აქვს,
უფრო ლაღდება,
როცა უღრენენ.

...სანთლების ალით ელავს სახატე,
მეფობს ზარების ხმა და მოტივი,
დგანან კოშკები — უფლის ნახატი
და გაზაფხულის აქვთ მოლოდინი.

2003

ჰამლეტ გონაშვილის მონატრება

შურთხი უსტვენს თუ შენი ხმა მესმის,
თუ ვემონები გულით მისნობას ?..
აქ უკვდავების გაიდგი ფესვი,
მანდ დაიმკვიდრე მარადისობა.

ანგელოზების გარტყია გუნდი,
არის ზეიმი სულთა ერთობის,
დარდი მაქვს შენი მშობლიურ ბუდის,
რაკი სამოთხეს აღარ ეთმობი.

სულეთის მაღალ სივრცეებს კეცავ,
კვალზე მოგყვება ჩრდილი ღრუბელთა...
გულის რჩეული შესტირის ზეცას
ეულად მდგარი გამტყდარ უღელთან.

2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიბრუნეთ

დამიბრუნეთ ჩემი მიწა, დასაფიცი
მარადისად,
მუზარადის ნამსხვრევები,
ნაფლეთები ხალათისა.

მკლავი მხრიდან მოსხეპილი
ართვინთან თუ არტანუჯთან,
თეთრი დროშა დაუხრელი,
განწირული გასარუჯად.

დამიბრუნეთ სააფხაზო, კუთხე
წმინდა სატაძრეთის,
ლამაზმანის ცრემლის ცვარი,
შუბოსანის სისხლის წვეთი.

დამიბრუნეთ იავნანა, გადაწნული
აკვნის ჭრიალს,
დამაჭიდეთ ბაყბაყდევთან, საზღვარი
რომ გადმოსწია.

საზღაპრეთის ჩამყლაპავი
აბატონებს უზნეობას,
მინდა დილა დავუბნელო, დავუბედო
უმზეობა.

არაგველი არწივები დალეწავენ
ცხრათავიანს,
მათი აბჯრის გაელვება გამარჯვების
სათავეა.

დამიბრუნეთ როკის მხარე, სანახები
სანაქებო,
ქართველობა გაიხსენეთ და აიდგით
ენა, ქვებო!..

ნისლიანი ხოდაბუნი, თავთუხების
აღერება,
შუქში უნდა გაახვიოს ქართული
ხმლის ამღერებამ.

2003

მარტოობა

სარკმელს კიდია ნისლის მანდილი,
ფარდებზე კრთება ფერი სუდარის,
იწვის სანთელი გულსუწადინოდ,
სანთელი ჩემი ჭირისუფალი.

ობოლ სტრიქონში სევდას ვახვავებ,
მყოფადზე ფიქრი სევდის ხუნდია,
ბიჭები, ალბათ, აღარ მნახავენ,
ან უქონელი ვის რად ვუნდივარ.

მარტოობაა ჩემი არჩივი,
აშარი ქარი მიმსხვრევს საკრავებს,
გადამეკიდა შური ჩარჩივით
და, ვიცი, სადმე მივასაკლავებ.

2002

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტაცება

ეს ღამეც თეთრად თენდება,
მინდა სიყვარულს ვუშველო,
გინდაც დამწყევლოს დედებმა,
ფეხს არ გავადგამ უშენოდ.

რადა ხარ დაუდევარი,
ადექი, რაღას გვიანობ,
სანამ გაიგებს მდევარი,
მთა უნდა გადავიაროთ...

ბლოს სანახები გველიან,
სურვილით დაუფარავით,
გულიც, სიმღერაც შენია,
სხვას არ ეკუთვნის არავის.

დაუშურებლად გაჩუქებ
ღამის ცეცხლს,
ღიმილს დილისას,
ლოცვებით გადააშუქე,
რაც წყევლით გადაინისლა.

2003

შემართება

წამო, მთებისკენ ვიაროთ,
ჯაგნარი გადამიბელე,
დაამწყალობნებს იალნო
ჩემს დაუდაფნავ სიბერეს.

გაგვიფენს მწვანე გობელენს
ჩანჩქერი დაუძინარი,
მერე რა ცეცხლი მოგველის,
ამის გამგები ვინ არი...

2002

ხატის წინ

რწმენა მალამოდ გულზე მედება,
მუხლებმოყრილი ვათენ-ვაღამებ,
ხატის წინ მეფობს ჩუმი ვედრება,
ამდენი ლოცვით ხატიც დავღალე.
გადიან დღენი...
მე არ ვიღლები,
უფლის მსახური მუდამ ვიქნები,
არ მიძებნია ჭრელი ნიღბები
არც გმირთა გმირის
და არც მლიქვნელის!

2003

ანზორ გვარამია

ორთავიანი კაცი

მოთხრობა

ნაწილი პირველი

1

სამზარეულოდან შიშხინი მოესმა. სანდრო კაკუბერმა გემრიელად გაიზმორა. ცხვირში სასიამოვნო სუნმა შეულიტინა. მხარი იცვალა. მთქნარება აუტყდა. თვალები მუშტით ამოისრისა. გამაღიზიანებელმა სუნმა უფრო მძლავრად მოუჭირა ნესტოებზე.

– მარგო! – დაუყვირა ცოლს.

– რა გინდა! – სამზარეულოდან უხეში ხმით გამოსძახა მარგომ. – შენთვის მცალია ახლა მე. რა გინდა-მეთქი! – მარგომ ოთახში შემოყო თავი.

– მწვადს წვავ?

– მწვადს, არა... კიდევ რას ისურვებდი, ხიზილალას ხომ არა? ან კიდევ ზუთხი ხომ არ მოგინდა? აეთრიე ზევით. აეთრიე-მეთქი.

– ეგ დამძიმებული თავი თუ ამყვა, კი, შევეცდები.

მარგოს განრისხება გაუქრა ანაზდად. სახეზე ოდნავი სინაზე დაეტყო.იგი წამიერი გამოდგა. ღიმილი მოესხიპა. ეტყობოდა, მწარე ფიქრი მოეძალა და ტუჩებიც გაუშეშდა. წამიერი სიხალისე ბრაზმა დაუჩრდილა.

– რამ დაგიმძიმა თავი, შე უბედურო. „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ტომს ხომ არ წერ.

– კი, კი. ქალთა შორის მთავარ მოქმედ გმირად შენ უნდა გამოგიყვანო.

– დაიკარგე იქით! – გამწარებული კივილისმაგვარი ხმა აღმოხდა მარგოს. – ხუმრობა გახსოვს სულ! იხუმრე, იხუმრე... შენი თანაკურსელები კი აშენდნენ. აი, მაგალითად სერგი ჯანდიერი. ორი ათასი ლარი ჰქონია ხელფასი.

– ორიათასი არა, – მთქნარებით თქვა სანდრომ – ორი ათასი კი არა, ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი.

– იანგლე, იანგლე. ხალხი კი გაკეთდა. ფულებში ბანაობენ.

– არა მაინც... რას წვავ, რა გამაღიზიანებელი სუნი ასდის. – თქვა სანდრომ და ნეტარებით გაიზმორა.

– კარტოფილს. რაც გუშინ მოიტანე, იმას. ერთი თვეა, რაც ხელფასი არ მოგიტანია.

– წავალ დღეს მიტინგზე და ვიყვირებ, ხელფასი მომეცით-მეთქი.

– მოგცემენ რო...

– ან ჰო, ან არა. გულს მაინც მოვიოხებ.

– მოოხება რა... იჭმევა.

– მთავრობა იძახის, რამდენიც გენებოთ, მაგინეთ, ოღონდ ხელფასებს ნუ მომთხოვთო.

– აბა, უფულოდ როგორღა ვიარსებოთ? ესმით მაგათ ეგ ამბავი?

– დემოკრატიას გაძლევთ ფულის ნაცვლადო, ასეთ პასუხს იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მერედა იჭმევა ეგ დემოკრატია?

– კარგად თუ შეკაზმავ, კი...

მარგომ კვლავინდებურად გაღიმება სცადა. მაგრამ მალე მოერღვა ყბა. ღიმილი ტუჩებზე შეეყინა. სახეზე გაგულისება დაეტყო.

– სანდრო, მე სულაც არ მეხუმრება. იმ მთავრობას შეუთვალეთ მაინც, ბავშვებს რა ვაჭამოთ-თქო.

– განა არ შევუთვალეთ. მერედა მერამდენედ.

და რა პასუხი გაგცათ?

– თავისუფლება ხომ მოგართვითო. მაგინეთო, გვეუბნება მთავრობა. ოღონდ ფული არ მომთხოვოთო.

– აბა, ეგრე რომ შეუთვალოთ... ყური დამიგდე. რომ შევუთვალოთ, დემოკრატია და თავისუფლება შენ გქონდეს, ჩვენ კი სანაცვლოდ ხელფასები მოგვეცით-თქო. ეგრე არ აჯობებს.

– ეგრე არ იზამს. გვეტყვის, თქვენი დიდი ხათრი კი მაქვს, მაგრამ... გვეტყვის ფული ჩვენ, თავისუფლება კი თქვენო.

მარგომ ტუჩებში „ნნ-ნნ" გამოსცრა. თვალები მოწკურა. მერე ტუჩები მობუსხა. სანდროს მოეჩვენა, მარგო აგერ-აგერ თვალებში შემაფრინდებაო. გაყუჩება ამჯობინა. მარგო ისევ აქოთქოთდა.

– შენ ისა თქვი, ხელფასს როდის მოგვიტანენ. ვერა ხედავ, ბავშვები მშივრები რომაა.

– როცა მომცემენ. – უილაჯოდ უპასუხა სანდრომ.

– ბაჩო ტიტველია. ფეხსაცმელები გაუცვდა.

საკუთარი სახელის გახსენებაზე ბაჩომ შემოიხედა. სანდროს გულმა რეჩხი უყო, შეეკუმშა ანაზდად.

– ადექი, ადექი, – არ ცხრებოდა მარგო. – ისეთი რა ძილქუში შეგეყარა.

– მამი, ფული მოიტანე? – ეკითხებოდა ბაჩო.

– არ მომიტანია, შვილო.

– როდის მოიტან?

– როცა მთავრობა მომცემს.

– არა აქვს მთავრობას ფული?

– ცოტა აქვს. საკუთარი შვილი ფეხშიშველა ჰყოლია და იმისთვის უყიდია ბაჩები.

– ოო, თუ ეგრეა, არ დაუყვირო. ცოდოა.

მარგო გაწიწმატდა. მკერდზე კაბის საკინძე შეხსნოდა. სანდრომ წამიერად შეხედა ულაზათოდ. მერე თვალი აარიდა.

– იყვირე ფული მომეცით-თქო. მთავრობის წინ იყვირე. ვერა ხედავ, ციკო გაილია. გახდა გოგონა. ექიმმა თევზის ქონი გამოუწერა.

– მაგი არც მე და შენ გვაწყენდა. – შიშნარევი ტონით იმასხრა სანდრომ.

ოთახში ციკომ შემოყო თავი.

– მამა, მთავრობას თევზის ქონი არა აქვს? – იკითხა მან.

– აქვს, კი. მაგრამ მე რომ მომცეს, თვითონ რა ჭამოს. მშიერი ხომ არ მოკვდება!

ბევრი იცინა სანდრო კაკუბერმა. მარგომ ვერა და ვერ გახსნა კრიჭა. წარბებშეყრილი იდგა. ხელები წელზე დაესვენებინა.

– რა გაცინებს, შე სამიწევ, შენა!

სანდროს თავი დაუმძიმდა. ასე ემართებოდა ბოლო ხანს. ცოლი რომ იწყევლებოდა, თავში სიმძიმილი უგროვდებოდა. იგი მიმოზოზინებდა თავში, თავიდან გულში, მერე მთელს სხეულს დაივლიდა ტერფამდე. ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს გულზე ნემსებით ჩხვლეტდნენ. აი, მაშინ ანგლობდა ხოლმე, უსულგულოდ, ძალდაუტანებლად.

ბაჩო ჩაფიქრებული იჯდა. თავი წამოსწია და მარგოს ჰკითხა:

– დედა, რა არის დემოკრატია.

– მამაშენს ჰკითხე, უკეთ იცის.

– მამა, რაა ეგ დემოკრატია,სულ რომ გაიძახი.

– დემოკრატია? ძალიან ცუდი რამ არის.

– რატომ, მამა?

– იმიტომ, რომ... ბლომად მომცეს, მაგრამ...

– რა მაგრამ. – იკითხა ციკომ და მუხლებზე აუჩოჩდა სანდროს.

– ჰო, ჰო... სახლამდე არ მომყვა.

– მოგპარეს? – იკითხა ბაჩომ. რომელიც სულგანაბული უსმენდა მამას.

– ვის რად უნდა რო მოგვპარონ. პირიქით, თავსაყრელად გვჩუქნიან, მაგრამ რად გინდა რა.. გზაში გვებნევა.

– არ დაგებნეს რა... ხვალ მოიტანე სახლში რა..

– ჰმ? – ხარხარი აუტყდა სანდრო კაკუბერს.

მარგომ კარგა ხანს უსმინა მამისა და შვილების საუბარს. მერე მოთმინების ფიალა აევსო. თითებით ყურები დაიცო. გაანჩხლებით აყვირდა.

– სანდრო, სხვა სამუშაო მოძებნე. ასე გაგრძელება არ შეიძლება. შიათ ბავშვებს.

– სხვა? – გაიკვირვა სანდრომ.

– ჰო, სხვა, საცა ხელფასებს დროზე დაარიგებენ.

– იქაც თავისუფლებას არიგებენ ფულის ნაცვლად.

– ავშენებულვართ და ეგ არის. – დაიღრიჯა მარგო. უკანასკნელ ხანს მარგო ველარ იცინოდა. ცოტას გააღებდა პირს. იქვე ემუწებოდა იგი.

კუს ტბიდან ქარმა ღრუბლები წამოაზოზინა. ღია ფანჯრიდან ნათლად მოჩანდა თუ როგორ სწრაფად იქუფრებოდა ცა. ჯერ გაიელვა, მერე გრუხუნიც მოჰყვა ელვას. ბაჩოს და ციკოს თვალები უნებურად დაეხუჭათ ქუხილის ხმაზე. მარგომ მისებური წყევლა ამოუშვა ჭექა-ქუხილის მიმართულ. ასე დასჩემდა ბოლო წლებში. ყველაფერს და ყველაფერს წყევლიდა, ნერვები როცა აეშლებოდა მაშინ. წყევლიდა მაცივარს, სკამებს, მაგიდებს... ჩვევად ექცა ეს. ნებიერად გაზრდილი ქალი იყო. სიდუხჭირეში ჩავარდნამ ძლიერ მოუშალა ნერვები. ჭექა-ქუხილმა, თითქოს მარგოს წყევლამ გააგულისაო, ფანჯრებს რაჯგუნი აუტეხა. მარგომ ჯანდაბაში გაგზავნა ჭექაც და ქუხილიც, სულ საზიზღარი უძახა.

– მამა! – სიჩუმე ბაჩომ დაარღვია.

– რა იყო, შვილო?

– თავისუფლებას და იმას... რა ჰქვია?

– დემოკრატია, ანუ სიტყვის თავისუფლება.

– ჰოდა, იმ სიტყვის თავისუფლების ნაცვლად ჩემთვის ფეხსაცმელი რომ მოგცენ, არ შეიძლება?

– მაშინ თვითონ ფეხშიშველანი დარჩებიან.

– უიმე! – ბავშვური მიამიტობით აღმოხდა ბაჩოს. – არ მინდა, არა. ცოდონი არიან.

– პურსა და კანფეტებს არ მოგცემენ? – სერიოზული ტონით იკითხა ციკომ.

– აკი გითხარით, მე რომ მომცენ პური და კანფეტები, მაშინ თვითონ რაღა ჭამონ? ხომ დაიხოცებიან შიმშილით.

– არ გინდა, არა. არ მოსთხოვო პური და კანფეტები. ცოდონი არიან. ისევ ის მოგცენ... რა ჰქვია?

– სიტყვის თავისუფლება.

– ეგ რომ გავყიდოთ, მამა, – საუბარში ბაჩო ჩაერთო.

– რა, შვილო?

– სიტყვის თავისუფლება.

– და მერე ვინ უნდა იყიდოს. – ამის თქმა იყო და მოგუდული ხითხითი აღმოხდა სანდროს.

– თვითონ არ იყიდიან?

– ოო, არა, არა! ეგ ჩვენთვის აქვთ, თავიანთთვის კი პური და კანფეტები.

მარგომ ჩაიკისკისა. მერე უეცრად, ეტყობოდა მწარე ფიქრმა დაურბინა. განრისხდა. ღიმილიც ერთბაშად გაუქრა. გაგულისებით აყვირდა.

– გეყოფა სისულელეები. წადი, წადი. ეგებ ხელფასები იყოს. ვერა ხედავ, ბავშვებს ლანდი გასდით ყბებში.

•

ასე ეგონა, თავის მაგივრად რაღაც მძიმე ნივთი დაადგეს მხრებზე, კისერგამოტოვებით. უამური და საძაგელი ფიქრებით გამოეტენა იგი. ბავშვებს საწყალი მზერა მიმოავლო. თვალები მოუწყლიანდა. პიჯაკის სახელურებში სწრაფად გაუყარა მკლავები. კარში გავარდა. მარგოს წყევლა დაედევნა კიბეზე, მერე კი გაშმაგებული ყვირილი, ფული თუ არ მოგიტანია, შინ არ მობრუნდეო.

•

იმ საღამოს, შინ რომ დაბრუნდა. პირდაპირ საწოლისკენ გაეშურა. ლოგინში შეწვა. იდაყვები თავქვეშ ამოიწყო. თვალები უმალ გაუშტერა დარდმა. უაზროდ შესცქეროდა ოთახის ჭერს. რომ გამოერკვა, დაინახა მარგო, რომელიც შეუმჩნევლად შემოსულიყო.

– არ გეძინება ხომ. ასამდე დაითვალე. მე გაზეთში ამოვიკითხე. ასამდე დაითვალე და ჩაგეძინება.

– შენ რომ შემოხვედი, – თქვა სანდრომ. – ათასამდე მქონდა დათვლილი. ციფრები უფასოდაა.

მარგო მისებური ნახევარღიმილით გავიდა. ბაჩო შემოცუხცუხდა. აშკარა იყო. მარგოს დაეგეშა. მის უმეცარს ჰგავდა. ოღონდ ეგ იყო, დილის კითხვებს მოერიდა. მუდარით შეხედა მამას. სანდრომ ფიქრს თავი წაართვა. ბავშვის შეხედვამ შვება მისცა.

– ხელფასი აიღე, მამა?

– ეეხ. – ამოამთქნარა სანდრომ. – ნეტავ სულ არ დავბადებულიყავ.

– როდის დაიბადე, მამა?

– ხრუშჩოვი გუდაუთაში ცხენიდან რომ გადმოვარდა, იმ წელს. – ღიმილით თქვა სანდრომ.

– კარგი კაცი იყო?

– ძალიან. ჭკუის კოლოფი იყო პირდაპირ.

– ჭკუის კოლოფი ვის აქვს ხოლმე?

– ბავშვობაში აკვნიდან რომ გადმოვარდება, იმას.

– მერე, რო გაიზრდება, ცხენიდან ვარდება?

– ჰო. ჰო. ჭკუის კოლოფი ხდება.

– რაა ეგ ჭკუის კოლოფი?

– რაა და... ჭკუა დევს კოლოფში.

– ა? – საგონებელში ჩავარდა ბაჩო – კოლოფში იყინება? განა არ იყინება?

– კი, იყინება, მაგრამ რა ქნას...

– გაყინული რომ ამოიღოს და სხვა რომ ჩადოს, არ იქნება?

– ო, ეგ საშიშია. უარესი რომ შეხვდეს?!

ბაჩომ ვერაფერი ვერ გაიგო. ფიქრს მისცემოდა. შუბლზე პაწია ნაოჭები გამოეკვეთა.

2

კლასის მეგობარი გაიხსენა. კეთილი და მეგობრული ბიჭი ახსოვს სკოლიდან. მერე სადღაც გადაიკარგა, კარგა ხანი არ ენახა. როცა გამოჩნდა, სანდრო კაკუბერს უთხრა, როსტოვში ვსწავლობდიო. რამდენიმე წლის

წინ, როსტოვიდან რომ ჩამოვიდა, ხილეულის დამზადების დეპარტამენტის უფროსად დაენიშნათ. ეგ მაშინ გაარკვია სანდრომ. მისი, ესე იგი კლასის მეგობრის უფროსობა ვერ წარმოედგინა. იგი რბილი ხასიათისა იყო. მერე აღარ შეხვედრია. მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი შორიდან. ახლოს მისვლა მოერიდა. რომელიღაც უცხო მარკის ავტომანქანაში იჯდა, მძღოლის გვერდით. იმ მანქანის ფერიც დაამახსოვრდა, შავად მბზინავი. სანდრომ იფიქრა, იქნებ ხელფასამდე ფული მასესხოსო. იმ დილით მიადგა სამსახურში. ცოტათი მოსუქებული ეჩვენა. ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, გადაკოცნეს. ფაფუკი, რბილი ხელები შერჩენოდა ძველებურად. ოჯახებიც მოიკითხეს. სანდრომ ორიოდ სიტყვა თქვა თავის ოჯახზე. ეს არ ესიამოვნა ძმაკაცს. ნირი რომ შეეცვალა, იმაზე მიხვდა სანდრო. უტყუარი გუმანის პატრონი გამოდგა კლასელი ძმაკაცი. რიხიანად ლაპარაკობდა. სანდროს ნაკლებად უსმენდა.

– ჯოჯოხეთია პირდაპირ. – დაიწყო ძმაკაცმა. იგი დიდრონ თვალებს არ აცილებდა სანდროს – დიდი ხარჯი გვაქვს. დღე ერთია და ათასი კონტროლი. აი, გუშინ კი მანქანა დამიმტვრია ბიჭმა, – ჩემი საკუთარი მანქანა. ბიჭსაც ვუყიდე. საკუთარს უფრთხილდება. ჩემი მანქანით დასეირნობს, ბატონო. დაამსხვრია, შეხედვა შეგეზარება. იცი, რა ძვირია აღდგენა? გაგვატყავეს. წინასწარ ჩავუთვალე ფული. საიდან მოვიტანო ამდენი, ჰა. ჩემს ვაჟიშვილს ეგ ფეხებზეც არ ჰკიდია...

სანდრომ საათზე დაიხედა. ბოდიში, მეჩქარებაო, წარმოთქვა გაბზარული ხმით. წამოდგა, ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. ძმაკაცი სახტად დარჩა. გაოცება არ შეიმჩნია. სანდრომ შენიშნა, რომ კლასის მეგობარი, სრულიად ბუნჩულა ბიჭი მანერების ცვალებადობას შეჩვეულიყო.

კიდევ ერთი თანაკლასელი გაიხსენა. ეგებ იმან მასესხოსო, თავს იიმედებდა. ნაბიჯს მოუჩქარა. თანაკლასელი ბაზრობაზე მუშაობდა. კონტროლიორთა უფროსი იყო. შევიდა თუ არა კლასის მეგობართან, ვიღაც ახმახმა შემოყო თავი. თანაკლასელს მარჯვენათი სანდროს ხელი ეჭირა, თან ახმახს უყვიროდა. ტუჩები დაუდუჟიანდა, ისე გახელებით უყვიროდა ახმახს. მანამ არ გაუშვა სანდროს ხელი, სანამ ახმახი კარში არ გავიდა. „ვერაა კარგად ამის მეხსიერება“, გაიფიქრა სანდრომ და ყოველგვარი პატიჟის გარეშე დაეშვა სკამზე.

– ჯიბეში იდებენ, – დაახეთქა რისხვა კლასის მეგობარმა. – ჰო, იდებენ... რა ჰქვია იმას? ჰო, ფულს. მებაზრეებს კაი ბლომად ართმევენ ეგ კონტროლიორები... რა ჰქვია იმას... ჰო, ფულს. მაგრამ რად გინდა! ჩვენთან კაპიკები მოაქვთ. გავუგზავნი წილს ზევით და მორჩა. მე არა მრჩება რა... რა ჰქვია იმას... ჰო, ფული, ბგონია რაიმე მრჩება? არაფერი! შენ ის მითხარი, რასა იქმ, რას შვრები, თუ გაქვს სამყოფი... რა ჰქვია იმას?..

ამ დროს ვიღაცამ შემოაღო კარი. კლასის მეგობარმა იმასაც აუტეხა ყვირილი. მერე სანდროს მიუბრუნდა.

– ა, ამანაც კაპიკები მოიტანა, რა ჰქვია იმას...

– ფული, ძმაკაც! – გაბედა სანდრომ ხმის ამოღება. – ცოტას ხომ არ მასესხებდი ხელფასამდე?

– ა? ეხლა არა მაქვს... რა ჰქვია იმას.. ჰო, ჰო, ვერა ხედავ, ჩვენთან კაპიკები მოაქვთ. ბევრს თვითონ იტოვებენ. წავუღებ ზევით წილს და... მე არაფერიც არ მრჩება.

სანდრო წამოდგა. რაღაცის თქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააპირა, ალბათ იმისი, არა მიშავს რაო. მაგრამ ვეღარ ამოთქვა. ბრაზი ყელში მობჯენოდა. სიტყვა ყელში გაეჩხირა. ჰაერი არ ეყო. კარგად მეყოლეო, ძლივს ამოთქვა – თანაკლასელის კარი ფრთხილად გაიხურა.

იქნებ ინსტიტუტის ამხანაგმა ხელი გამიმართოსო. ერთი ასეთი ეგულებოდა ძალიან მაღალ თანამდებობაზე. გადადუღს და გადმოდუღსო, ამბობდნენ მასზე. სამფა დაცვა დახვდა მის კაბინეტთან. როგორც იქნა, გაატარეს. შევიდა თუ არა კაბინეტში, ინსტიტუტის ამხანაგი გულთბილად გადაეხვია. მეშველაო, გაუელვა სანდროს თავში. ა, ღვთისნიერი კაციო. ამხანაგის პირდაპირ ჩამოჯდა. როგორ ხარო, ჰკითხა.

– როგორ ვიქნები რა... – დაიწყო ინსტიტუტის მეგობარმა, – ათასი პრობლემა მაქვს, ათასი. ამას წინათ გამქურდეს. ბინა გამიტეხეს, ბინა. – ბოლო სიტყვაზე მახვილს უწევდა. ასეთი ჩვევა ჰქონდა, – პირწმინდად მოასუფთავეს იქაურობა. ყველაფერი თავიდან გამიხდა შესაძენი. რა ხდება მაინც, გასულელდები კაცო. იმდენი წაიღეს, ჩემს ორ-სამ შთამომავლობას ეყოფოდა... კაპიკი ფული არ დამიტოვეს. ხელფასი მქონდა აღებული. ისიც...

– რატომ ჰქვია ხელფასს ხელფასი? – ჰკითხა ოხუნჯობის ხასიათზე მოსულმა სანდრომ. იფიქრა იქნებ საუბრის თემა შევაცვლევინოო. – ხელფასი იმათთვის უნდა იყოს, ვინც ხელით მუშაობს. დიდი ხალხისთვის კი... თავფასი. ისინი ხომ თავით მუშაობენ.

– ხა-ხა-ხა! ეგეთებს მაინც არ იშლი. კარგი, კარგი. გამაგრძელებინე და მერე ხელფასზე ანეკდოტს მოგიყვები.

– თუ მეანეკდოტება, კი.

– იმას გიყვებოდი... ჰო. არ გასულა კვირა და აგარაკიც გამიქურდეს. ხომ ატყობ, ერთი ხელნერა რომაა. არ უნდა მაგას ლაპარაკი. ავდექი და ორი ძაღლი ვიყიდე. ისეთი ავები არიან, ისეთი...

– ხელფასი რამდენი აქვთ?

– რას ჩააცივდი, კაცო მაგ ხელფასს. გამაგრძელებინე, თუ ძმა ხარ. ჰო, ავები არიან. აბა, ახლა გაბედონ! დაგლეჯენ სუმთლად. ისეთი ჯიშისანი არიან... ბოდიში შენთან და... საკვერცხულზე ეცემიან ხელათ კაცს.

– ქურდი ქალი თუ გამოდგა? – ჰკითხა სანდრომ და აქამდე ღიად დარჩენილი პირი მოკუმა.

– შენ რო გიყვარს, იქ ეცემიან. დამაცადე კაცო, მომაყოლე. ჰო, ბანდიტებით გაივსო ქვეყანა. გაბედონ და მოვიდნენ, აბა, კიდევ ჩემი ბინის გასატეხად. ჩემი ძაღლები კაი დღეს კი დაყრიან. ჩაასვრევინებენ! ვეფხვებივით არიან. მაგრამ რა გინდა რა. სამოოთხი კაცის ულუფას სანსლავენ ერთ ჯერზე. თითოზე გეუბნები. ეს ერთი და ახლა მეორეს არ იკითხავ! მომვლელები ავიყვანე, ორნი. თითოს თვეში ორას დოლარს ვუხდი. აბა! დამაქციეს. რა მოგდის, ბიჭო, სანდრო. თვალები რო გეხუჭება. წუხელის არ გიძინია.

– არა... კი. კი... – გამოერკვა სანდრო. იმაზე ვფიქრობდი... ჰო. ნეტა ძაღლად დავბადებულიყავი-მეთქი.

– ხა-ხა-ხა. ჰო-ჰო-ოჰო-ჰო. მაინც არ იშლი ძველებურს, არა!

– იცი, მე... მოველ იმისათვის... ძალიან გამიჭირდა, ბიჭო... ხელფასამდე...

– ჰო, ჰო. გეთანხმები. ყველას გვიჭირს. ხელფასიდან ხელფასამდე ძლივს გამაქვს თავი. ახლა ყველა ასეა.

მეგობარი წამით დაფიქრდა.

– იცი, რა მოვიფიქრე? – თქვა მან, – ახლა კიდევ ერთი ძაღლის ყიდვას ვაპირებ. აგარაკიც ხომ უნდა დავიც-

ვა ქურდებისაგან. იქნებ იმ ძაღლის მომვლელობა იკისრო.

– ჰამ! ჰამ! – ძაღლივით დაუყეფა სანდრომ და ფეხზე წამოდგა.

•

ულაზათოდ მიაბიჯებდა ქუჩაში. თავში ფიქრების კორიანტელი ედგა. აღარ ახსოვს ყოფილ ძმაკაცს გამოემშვიდობა თუ არა. დაღმართზე დაეშვა. კიდევ ერთი მეგობარი ეგულებოდა. მასთან ერთად ასპირანტურა დაამთავრა. იგი ახლა მაღალ თანამდებობაზე იმყოფებოდა.

ჯერ კიდევ გზაშივე, ვიდრე ძმაკაცის კაბინეტში შეყოფდა თავს, თავისთვის დაასკვნა: აქაოდა უარი ეგრევე არ მაჯახოსო, სკამზე ჩამოჯდომისთანავე უთხრა მეგობარს:

– ცოტა ფულს ხომ არ მასესხებდი ხელფასის აღებამდე? ავიღებ თუ არა, ეგრევე მოგირბენინებ.

– ფულიო! – იკივლა ძმაკაცმა. მერე ჯიბე მოიქექა. იქიდან სამი თუ ოთხი ხურდა ფული ამოჰყვა.

– ა, სულ ესაა ჩემი ფული, – თქვა და გაქნეული მკლავი უნებურად მოხვდა ხურდა ფულებს. ისინი მიმოიბნენ, იატაკზე დაბზრიალდნენ, ზოგი აქეთ კუთხეში, ზოგი კიდევ იქეთ. ძმაკაცი დაფეთებული დაედევნა ხურდებს. სამი აკრიფა. ერთს კი ვერა და ვერ მიაგნო. ეტყობოდა, კარადის ქვეშ შევარდნილიყო.

3

ნაზამთრალი თოვლი ვიდრე არ დადნა, დათბობას არ დაადგა საშველი. ქალაქის ქუჩებში სუსხიანი ქარი დაძრწოდა გამუდმებით. მერე გამოიდარა. ერთბაშად დაცხა. მერე გაავდრდა ისევ. წვიმები წაეწყო. [illegible] ლაქს მოწყენილობა მოუტანა. [illegible] გამუდმებით ჟინჟღლავდა. სანდრო კაკუბერს გულზე აწვა თქორის უხასიათობა. სახლში გული არ უჩერდებოდა. იმ დღეს კაფეში წასვლა გადაწყვიტა, ეგებ გული გავიხალისოო. შესასვლელთან შვეიცარმა აათვალიერ-ჩაათვალიერა. ასე დაჟინებით რად მაკვირდებიო, ჰკითხა სანდრომ. ათასი მამაძაღლი შემოდის ხოლმე, უპასუხა შვეიცარმა. ჩხუბსა და აურზაურს ტეხენო. მერე, ჯიბეების გასინჯვა რომ მოათავა, შვეიცარმა სანდრო გაატარა კარებში.

– სანდრო, – მოესმა ქალის ხმა.

იქითკენ მიიხედა. მაგიდას ქალი უჯდა.

– ვერ მიცანი სანდრო, მე ვარ, მე... დოდო ვარ კაიშაური.

სანდრო სწრაფი ნაბიჯებით გაქანდა. დოდოს ხელზე ეამბორა. მერე ლოყებზეც. მაგიდას მიუჯდა.

– მოყევი, როგორ ცხოვრობ, რასა იქმ. – უთხრა დოდომ. – როგორ მიდის შენი საქმეები; 15 წელია ერთმანეთი არ გვინახავს. ო, რა დრო გასულა. კიდევ დაძვრები გოგოებში, ჰა?

– უკეთესს რას ვიზამ. – იმასხრა სანდრომ.

– ო, რამდენს დარბოდი გოგოებში. სულ მაგათთან ეგდე.

– უკეთეს ადგილას სად ვირბენდი.

– იუმორი ძველებურად შეგრჩენია. ჰო. სულ გოგოებში დარბოდი.

დოდომ უზომოდ სევდიანი თვალები ცხვირსახოცით ამოიმშრალა. ცხვირსახოცს წამწამთა შავი საღებავის ლაქა დააჩნდა. სანდრო გაოცდა, რა ატირებს ამ ქალსო.

– შეყვარებული ხომ არა ხარ, დოდო.

– არ გრცხვენია! შენ რომ მიმატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე, მას აქეთ არავინ შემყვარებია. რომ მიმატოვე, თავის მოკვლა მინდოდა.

– ო, არა... ხომ დაღუპავდი და დაგლოვებდი სამშობლოს.

– როგორი ფიქრიანი ბიჭი იყავი, სანდრო. ცინიკოსი კი გამხდარხარ. სულ რო მასხრობ, რა ამბავია, ღმერთო ჩემო.

– მახსრობის უფლება დამიტოვეს მხოლოდ. მაგით ვუმკლავდები წუთისოფლის სიავეს.

გვერდითი მაგიდიდან მაღალი, ჯოხივით წვრილი ქალიშვილი წამოდგა. ბრაზიანად ესროლა ვაჟს, რომელიც თავჩაღუნული იჯდა:

– Пока!

– რუსულ სიტყვებს კი აბრახუნებენ წარამარა, რუსეთი კი ეჯავრებათ. – გადაულაპარაკა სანდრომ დოდოს. – კარგი, შევეშვათ პოლიტიკას. ეგ რა ჩვენი საქმეა. ცოტათი მაინც თუ გამხიარულდი. დარდს ნუ მიეცემი. ა, კიდევ რუსულად ემშვიდობება...

– რაში გენაღვლება. თუ უნდათ, ჩინურად გაახურონ.

– ჰა-ჰა-ჰა! ასე იმასხრე, შე ქალო. დიდი გიჟმაჟი და ანცი მახსოვხარ.

– იმიტომაც არ შემირთე? დინჯი ქალი თუ შეირთე, სანდრო?

– დინჯიო? ჰმ. ისეთი სხარტია, წამში 50-60 სიტყვას ფქვავს. ზოგჯერ მეტსაც.

დოდოს გაეღიმა.

– ითვლი ხოლმე ცოლის სიტყვებს? ჰონორარს თუ უხდი?

– ერთხელ ბავშვობაში სოფელში ყოფილა ბაბუასთან. ჩემს ცოლზე გეუბნები.

– მერე, მერე, – გახალისდა დოდო.

– გველს უკბენია. ჩემი ცოლისთვის ბავშვობაში, ჩემი ცოლი რომ არ იყო მაშინ.

– ხა-ხა-ხა. მერე, მერე.

– გველი მომკვდარა.

– ხა-ხა-ხა. თვითონ?

– თვითონ იმ გველის ენა გადაუყლაპავს.

– ავია?

– ოო, ნუ იტყვი.

– ნაკითხი თუა?

– გენიოსია!

დოდო კისკისებდა. სანდრო გახალისდა.

გვერდით მაგიდას მაღალი კაცი მოუჯდა. ასე 40-45 წლისა იქნებოდა. ყავა მიართვეს. ორი თუ სამი წუთი არ იქნებოდა გასული, კიდევ ერთ მაგიდასთან ქერათმიანი კაცი მოთავსდა. გაზეთი დააძრო ჯიბიდან. ყავა შეუკვეთა.

დოდო ანგლობდა. სევდაც გაუქრა. თვალები გაეწმინდა. სანდრო ჩინებულ ხასიათზე დადგა. ასე ეგონა ამ დღეებში დამძიმებული თავი ახადეს და მხრებზე სხვა დაადგეს, შემსუბუქებული და ბუმბულივით მჩატე.

მაღალ კაცს ნერვიულობა დაეტყო. წრიალი აუვარდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ მის გვერდით მაგიდასთან მოკალათებული ქერათმიანი მამაკაცი არ მოეწონა. ქერათმიანს გაზეთი თვალებზე აეფარებინა. მალულად უთვალთვალებდა მაღალ კაცს, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

– თუ შეიძლება, თქვენთან გადმოვჯდები. – მიმართა მაღალმა კაცმა სანდროს და დოდოს.

– დიდი სიამოვნებით.

– კობა ვარ ნიაური. – თქვა მაღალმა კაცმა. – ვიცნობდეთ ერთმანეთს.

– მე სანდრო მქვია, ამას კი დოდო.

– სასიამოვნოა. სანდრო, თქვენ მიტინგებზე მინახიხართ.

– დავდივარ ხოლმე ხანდახან.

ქერათმიანმა რაღაც იგრძნო გუმა-

ნით, რა – ვერ გაიგებდი. ადგა. კაფედან გავიდა.

– ვინ იყო? – იკითხა სანდრომ.

– რას გაიგებ. – უპასუხა კობა ნიაურმა. – ათასი აგენტი დადის, მთავრობის კაცები.

– რა, მთავრობა არ მოგწონთ.

– თქვენ რა, მოგწონთ?

– მეცოდება. რამე რომ მოუვიდეთ, ხომ დავრჩით უპატრონოდ;

კობა ნიაურმა იყუჩა. კარგა ხანს დუმდა. სიტყვაძვირი ჩანდა. თვალები ამოატრიალა. სანდროსა და დოდოს შეხედა. მათ შენიშნეს, ნიაურს თეთრზე თეთრი თვალის ჩინი ჰქონოდა, სახე კი მწუხარი, წარბები შეყრილი. კობა დინჯად ალაპარაკდა.

– ვის მოსწონს რო... გაყიდეს ქვეყანა. აუცილებელია ამ მთავრობის დამხობა. სხვა გამოსავალი არაა. აი, თქვენ გატყობთ, სიდუხჭირე გიჭერთ ყელში.

– კი, კი, სილარიბე და ცოლი! – სცადა გახუმრება სანდრომ. იმწამსვე შეატყო კობა ნიაურს, იგი გაუცინარი კაცი რომ ჩანდა. მას ყურში არ შეუშვია სანდროს ხუმრობა. იგი თავისთვის განაგრძობდა საუბარს. სახე შეჭირვებოდა, ეტყობოდა, გულთან ახლოს მიჰქონდა და მძაფრად განიცდიდა იმას, რაზეც საუბრობდა. ლოყებზე ფოსოები აჯდებოდა, შუბლზე ნაოჭები ეკეცებოდა.

– ახალგაზრდობა უცხოეთში გარბის. ეგ საშიში რამ არის. ეს გენოფონდის ექსპორტია. უმრავლესობა სამშობლოში არ ბრუნდება.

– სიდუხჭირეა აქ და იმიტომ. – თქვა სანდრომ.

– მთლად ეგრეც არაა. – გაინაზა დოდო. – მთავრობა სიდუხჭირეს დაძლევს. უნდა ვაცალოთ.

– კი. კი. სწორია. ოცი-ოცდაათი წელი უნდა ვადროვოთ. – მკაცრი ტონით თქვა კობა ნიაურმა. – კორუფციაში ჩაძირეს ქვეყანა. ჩვენ გვაქვს შექმნილი კომიტეტი. თუ ჩვენი ნახვა მოგინდეთ... ამ კაფეში შემოვდივარ. ყოველ საღამოს ექვსის შემდეგ. აბა, კარგად მეყოლეთ. არავისთან არაფერი წამოგცდეთ.

•

სადარბაზომდე მიაცილა დოდო. შემობრუნდა და ქუჩას გაუყვა. ქუჩა დაცარიელებული იყო. კანტიკუნტად თუ გაივლიდა გვიანი მგზავრი. მაღალი შენობის სადარბაზოდან კაცი გამოვიდა. კაცს ძაღლი მოჰყვა. მარგო, მარგოო, უხმო კაცმა ძაღლს და ხელმარჯვნივ ტროტუარზე გასეირნება უბრძანა. ძაღლმა სანდროს დიდრონი თვალები მიანათა. უნდოდ შეხედა, დაყნოსა და მერე წასუნსულდა. პატრონისკენ გაუტია. სანდრო ცნობისწადილმა შეიპყრო. ძაღლის პატრონისკენ გადააბიჯა. კაცმა ისევ უხმო ძაღლს, მარგოო. სანდროს ტანში ცივად გააჟრჟოლა. ჩემს ცოლს აქ რა უნდაო, გაიფიქრა. ძაღლს შეხედა. მშვიდი ძაღლი ჩანდა, თვინიერი და პატრონის დამჯერი. სანდრო ძაღლის პატრონს ჯიქურ მიეჭრა.

– მართლა მარგოს ეძახი? – ჰკითხა მას.

– კი, მარგო ჰქვია.

– საინტერესოა, მეც მყავს სახლში მარგო.

– რა ჯიშისაა?

– მორიელის.

– ეს როგორ! მორიელის ჯიშის ძაღლი ვის გაუგია?!

– არიან ასეთებიც...არიან...

კაცი გაოცდა.

– ყეფს ეგ ძაღლი? – ჰკითხა სანდრომ.

– იშვიათად. როცა საჭიროა, მხოლოდ მაშინ.

– აბა, ჩემსას რა მოსდის, ვერ გამიგია. დღე და ღამ ყეფს.

– სულ კი ნუ დააბამ.

– არაა დაბმული. აშვებულია. მაინც ყეფს.

– ნწუ-ნწუ! – სინანულით აღმოხდა კაცს. – რაღაც ჭირს ალბათ. ძაღლების ექიმს უნდა მიმართო.

– მივმართე და პირიქით კი მითხრა. უნდა დააბაო.

კაცმა მხრები აიჩეჩა. ვერაფერი გავიგეო, თქვა. მერე სიბნელეში გაუჩინარდა.

4

მანქანა მოსხლეტით შედგა. საბურავებმა ასფალტზე გაიჩოჩიალეს. მერე ჭრიალით გაქვავდნენ. მანქანის კარიდან მამაკაცმა გამოყო თავი. სიბნელეში სანდრომ ვერ გაარჩია, ნაცნობი იყო, თუ უცნობი.

– მობრძანდით. – უთხრა უცნობმა – ვიცი, ნაძალადევში რომ ცხოვრობთ. მეც იქით ვცხოვრობ.

ბანდიტი ხომ არაა, გაიფიქრა სანდრომ. თუმცა რა, რა მაქვს და რას წამართმევს. ოდნავი ყოყმანის შემდეგ უცნობის გვერდით მოთავსდა მანქანაში. მერე შეხედა. კაფეში თვალებზე გაზეთაფარებული მამაკაცი რომ უთვალთვალებდათ დღეს საღამოს, იგი შეიცნო. ქერათმიანმა, დაძრა თუ არა მანქანა, ლაპარაკი წამოიწყო. ერთბაშად „შენობაზე“ გადავიდა.

– დღეს კაფეში დაგინახე, ქალთან და მამაკაცთან. გემრიელად კი ჭუკ-ჭუკებდით.

– ჰო, კი. გულის დარდს ვიკლავთ.

– ძალიან ღარიბული სუფრა კი გქონდათ.

– კი, კი. ყავა მხოლოდ.

– არადა იმ კაფეში ბევრი ... სანაყრებელი აქვთ... ხიზილალა, ზუთხი, ჩაქაფული.

– ოო... არ მითხრა. ზუთხს არ ვეკარები.

– რატომ?

– ამბობენ კიბოს აჩენსო.

– კარგი ერთი! – გაიცინა ქერათმანმა – ზუთხი? ზუთხი მიგერთმიათ.

– ზუთხი ალერგიას მაძლევს.

– კარგი ერთი. ხა-ხა-ხა! ჩაქაფული გეჭამა, შე კაცო!

– ოო! ეგ ცოლმა ამიკრძალა. მუცლის აშლილობა იცისო. ხუმრობა ხუმრობად, ჩემო ბატონო და... სენი მჭირს.

– რა ჰქვია მაგ სენს?

– უფულობა.

– ხა-ხა-ხა. კაი ვინმე კი ყოფილხარ. ძნელია უფულობა არა?! – ეს რომ ჰკითხა, ქერათმიანმა დაუინებით შეხედა სანდროს. მერე კარგა ხანს არ მოუცილებია მზერა. – ძნელია უფულობა?

– როგორ გითხრათ. მგონი ფულიანობა სჯობს.

– მართალია. ფული საჭიროა, მაგრამ მისი შოვნის შნო თუ არა გაქვს...

– გამეგება ეგ. მაგრამ ისიც ხომაა მართალი... ჯერ შნო უნდა იშოვო და მერე ფული უნდა აშოვნინო მაგ შნოს. ისეც ხომ ხდება... შოულობ შნოს, მაგრამ ფული მაინც არ გიკარებს.

– ეგ როგორ გავიგოთ.

– შენზე მეტი შნოს პატრონი ფლობს ყველა ფულს.

– ხა-ხა-ხა! კაი ვინმე კი ყოფილხარ. ნამეტანი ავშიშინდით ჩვენ ამ შნოზე. იცი, რა გითხრა, ძმობილო. ტვინს უნდა გარყევა და არა შერყევა.

– ხა-ხა-ხა! დიდი იუმორის პატრონი კი ყოფილხარ.

– იუმორით ვსულდგმულობ. კი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ იუმორით. მაგით ვიადვილებ ცხოვრებას. აი, მაგის შნო კი მაქვს.

– შევეშვათ ამ შნოებს, თუ ძმა ხარ. იცი, რას გეტყვი? ცოტა უფრო შნოიანად უნდა დატრიალდე.

– კი ვტრიალებ დედამიწასთან ერთად. არ მინდა გავასწრო, თორემ გავწითლდები.

ქერათმიანმა გულიანად გაიცინა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა. სანდრომ უნდოდ შეხედა. ქერათმიანი კიდევ შეეცადა რაღაცის თქმას. არ გამოსდიოდა მისთვის სასურველი საუბრის წამოწყება. როგორც კი მიზანს მიუახლოვდებოდა, სანდრო ოხუნჯობით აურ-დაურევდა. ქერათმიანს სიტყვა ეკარგებოდა. თავგზა ებნეოდა.

– ღამის რესტორანში ხომ არ შევსულიყავით და ხომ არ დაგველია რამე? – ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა ქერათმიანმა სანდრო კაკუბერს.

– არ ვსვამ. არ კი არა, ვერ. გულს მირევს სასმელი. თუმცა რა, ჩემი გული კი არა, ქვეყანა ირევა.

– გინდა ფული? – პირდაპირ მიახალა ქერათმიანმა სანდროს.

– შოვნა მეზარება. ხომ მითხარი, ფულის შოვნას შნო უნდაო. ჯერ შნო, მერე ფული. მეზარება და კიდევ... შნომ რომ ფული არ მომიტანოს. ესეც არ იყოს სადღა ვიშოვო ეგ შნო.

– შნოს მე გაშოვნინებ. – სახე გაებადრა ქერათმიანს. ეტყობოდა, მიზანს მიაგნო და გაეხარდა – ქვეყანა ირევაო, თქვი შენ. მართლაც ირევა. ეგ დამღუპველია. აი, შენ იჯექი...

– არა, არა. არასოდეს არ ვმჯდარვარ.

– კაფეზე გეუბნები. კობა ნიაურთან იჯექი, და კიდევ ვიღაც მანდილოსანთან.

– კი, ვიჯექი.

– იცი ეგ ნიაური ვინაა?

– არა, არ ვიცი.

– დისიდენტია. გადატრიალებას ამზადებს.

– ჰმ! იტრიალოს მერე. იქნებ თვითონ გადატრიადეს და კინჩხიც მოიტეხოს.

– ნუ ოხუნჯობ. საქმე სერიოზულადაა. მათხოვე ყური.

– კი ბატონო. თუ გინდა, გაჩუქებ.

– ხა-ხა-ხა! დიდებული იუმორის პატრონი კი ყოფილხარ. ქვეყანას დაღუპავენ კობა ნიაური და მისთანები.

– მე აზრზეც არა ვარ.

– შენ უნდა დაუახლოვდე კობა ნიაურს. ეს ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე იქნება.

– თვითონ დამიახლოებს რო...

– კი დაგიახლოებს. იგი სიდუხჭირეში ჩავარდნილ ხალხს ეძებს, შენისთანებს. გადატრიალებას ამზადებს. სამოქალაქო ომი დაგვლუპავს. ჰო, ჰო, შენისთანებს ეძებს, უფულოებს.

– და რას პირდება? ფულს? ფული რა... ფულის მოსაჭრელი დაზგა აქვს თუ...

– რაც შეეხება ფულს.. ფულს ჩემგან მიიღებ.

– ა? შენ რა... ფულის მოჭრა იცი?

– ძმურად გთხოვ, ოხუნჯობას თავი გაანებე. მე გაჭირვებულებს ვეხმარები ხოლმე.

– ფული უნდა მასესხო? ხელფასამდე უნდა მასესხო? კარგია.

– ჩვენ ჰონორარს ვუხდით...

– მერე, წიგნი უნდა დაგიწეროთ?

– სიტყვას სულ ბანზე მიგდებ. სრულიად მარტივი საქმეა. კობას ნასაუბრები უნდა გადმოგვცე. წვრილად უნდა დააფიქსირო. ზუსტად.

– სად შემიძლია ყველაფერი დავიმახსოვრო. მე გულმავიწყობა მჭირს.

2391

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

– მე დიქტოფონს მოგიტან.

– ოო. მაგი არა. სკლეროზი კი არ მჭირს.

– აკი თქვი, გულმავიწყი ვარო.

– ვიმასხრე.

– **რავა სულ მასხრობ, შე კაცო.**

– **ხომ გითხარი, იუმორით ვსულდგმულობ-მეთქი.** ჩემი საარსებო წყაროც ეგაა.

– კარგი ერთი. საქმეს მოკიდე ხელი.

– საქმემ... ჰო, შენ რო მავალებ, იმ საქმემ აქეთ რო მომკიდოს ხელი და... გამსკვანჩოს კიდეც...

– არაფერიც არ მოგივა. ქვეყნის გადარჩენაზეა ლაპარაკი.

– ჩემი გადასარჩენი თუა ეს ქვეყანა, დაღუპულა და ეგაა.

– სამოქალაქო ომი თუ ატყდა, არ იცი, რო დაიღუპები. ამ ათი წლის წინათ რომ სამოქალაქო ომი იყო, მას აქეთ მილიონნახევარმა კაცმა დატოვა ქვეყანა.

– და მე ვარ მაგათი მომბრუნებელი?

– კარგი, კარგი; შევეშვათ ამეებს. ა, შენ ხუთასი დოლარი. პირველ ხანებში ეგ იკმარე. ბავშვებს უყიდე რამე.

– არა, არა. მე ეგ არ შემიძლია. არა, არა! ფულს მე ხელს არ ვახლებ. კობას ხვალ საღამოს შევხვდები კაფეში. მის ნათქვამს დაწვრილებით გადმოგცემ. წავედი. აქ გამიჩერე. ნახვამდის.

ქერათმიანმა ცხვირი აიბზუა. სანდროს უარი არ მოეწონა, ფული ჯიბეში ჩაიდო და ძრავი აამუშავა.

– აბა, ხვალამდე. შენ იცი. ჩემი ტელეფონიც ჩაიწერე... აჰა, ქაღალდი და კალმისტარი.

– ხვალ საღამომდე.

5

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაშველოდ გაჭიმული ზამთარი ჩათავდა. აპრილი დაიწყო და ერთბაშად დააჭირა. მზიანი დარები დაიჭირა. **სიცხეშეუჩვეველი ქალაქელები ერთობ მოთენთა. გარდამავალი პერიოდი მწვავედ გადასატანი შეიქმნა.** სანდრო კაკუბერს მობეზრდა ერთფეროვნება. ქალაქში ყოველდღიურად მიტინგები იმართებოდა. აღმოსავლეთში ომი იყო გაჩაღებული. მომიტინგეთა ნაწილი პაციფისტები იყვნენ, ნაწილი კი ომის მომხრენი. ისინი გაყვიროდნენ: ძირს ძალით მოსული დიქტატორი სადამ ჰუსეინიო. სანდროს პირადი ცხოვრების დღეებიც ერთმანეთს დაემსგავსნენ. დილაობით მარგოს აღგზნებული ყვირილი უჭედავდა ყურებს. საღამოობით დოდო კაიშაურს ხვდებოდა კაფეში. დილით დამძიმებულ თავში და გულში შვებას იგრძნობდა ხოლმე. მერე კი, შინ მობრუნებულს, მარგოს ყვირილი უწეწავდა ნერვებს. გულის მოსაოხებლად ცოლს წკავწკავა შეარქვა. ეს ისე, თორემ დამძიმებულ თავს რაღას უშველიდა ზედმეტი სახელის შერქმევა. მარგოს ყოველი დაყვირება ზარივით რეკდა თავში. მერე გულში ნემსივით ვარდებოდა ხოლმე.

სანდრო იმ დღეს დათქმულ ადგილზე და დროზე შეხვდა ქერათმიანს კაფედან 200-300 მეტრის მოშორებით. ქერათმიანი ზუსტად დათქმულ დროზე გამოეცხადა. მანქანა ჩვევისამებრ ჯიქურ მოაგელვა. საბურავებს ჭრიალი აუტეხა. ჰაერში მტვრის კორიანტელი ავარდა.

– რაო, რას ამბობს კობა ნიაური. – თქვა ქერათმიანმა.

– სულ აქო ეს მთავრობა. ვენაცვალეო. კი, ჯერ მოისუსტებსო, მაგრამ 20-30 წელი უნდა ვადროვოთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქერათმიანმა ეჭვის თვალით შეხედა სანდროს.

– ერთი თმის ღერიც რომ ჩამოცვივდეს ჩვენს მთავრობასო, – განაგრძო სანდრომ, – ღამე რა დამაძინებსო.

ქერათმიანი უხერხულად შეიშმუშნა.

– მორჩი ოხუნჯობას. ამხელა კაცი ხარ და არასერიოზულად კი იქცევი.

-სერიოზულობამ რა მომიტანა. გასკვანჩული ხელფასები. მეტი რა. არაფერი.

– მაგას გეუბნები. ჩვენთან მაღალი ჰონორარებია.

– მე ფულს ხელს არ მოვკიდებ. არ შემიძლია.

– გონს მოდი, სანდრო. რაო, რა თქვა კიდევ კობამ?

– მე იქით შევუტრიალე, საზიზღრად იქცევა-მეთქი ეს ჩვენი მთავრობა.

– და რა გიპასუხა? – ყურები დაცქვიტა ქერათმიანმა.

– ჯანყის ხურუში შეგძრომია თავში და ეგ იქიდან თუ არ ამოიღე, განყენინებო.

– შენ რა უთხარი?

– თავი მოვიფხანე და, აჰა, ამოვიღე-მეთქი.

– დაგიჯერა კი? რას დაგიჯერებდა!

– ეჭვის თვალით შემომხედა. არა მგონია ეგ გადატრიალების მომხრე იყოს.

– არ მჯერა ეგ! შენ ოპერაციას მიგდებ. მაგ საქმის გახსნისთვის პოლკოვნიკობას მპირდებიან,. შენ რა კაცი ხარ! დამეხმარე. შენს თავსაც დაეხმარე. ჰონორარი...

– და რა არის ამისათვის საჭირო?

– საქმის გახსნა.

– გინდა, მე დავიბრალებ გადატრიალების მოთავეობას.

– შენ არ დაგიჯერებენ. მაგის თავი შენ სადა გაქვს.

– როგორ თუ სადა მაქვს თავი. ერთის ნაცვლად ორი თავი მაბია.

– არც ერთი არ უქნია ღმერთს. ორთავე ფუჩეჩით გაქვს გამოტენილი.

– კი, კი. ორთავიანი ვარ. აი, როგორ. გამოუვალში რომ ჩავვარდები, ასე მგონია სხვისი თავი მაბია. როცა ვანგლობ, კარგი განწყობილება მექმნება და თავი მიმსუბუქდება.

– აი, ეგ კი მჯერა. – გაიცინა ქერათმიანმა, – ჰოდა, შე კაცო, შენი თავის შემსუბუქება მწადია, გულით მწადია. ფინანსურ დახმარებაზე ვამბობ. კობა ბევრ რამეს გეტყვის... ჩემთვის სასარგებლოს.

სანდრომ ტუჩები მობუსხა. ვერ მიმხვდარიყო, ამ კაცისთვის რა სარგებლობა უნდა მოეტანა კობა ნიაურის ნათქვამს.

– რა სარგებლობაზეა ლაპარაკი? – ჰკითხა სანდრომ.

– გაიგონე. შეთქმულება მზადდება. არეულობა უნდა ახლა ჩვენს პატარა ქვეყანას! ამბოხს ნიაური ხელმძღვანელობს. მოთავეთა მხილება მე დამევალა. თუ ეს არ გავაკეთე, წოდებას არ მომიმატებენ. ეს ერთი და მეორეც.. ქვეყანას დაღუპავს ამბოხება. მას უთუოდ მოჰყვება სამოქალაქო ომი.

– სანდრო ფიქრს მიეცა. საგონებელში ჩავარდა.

– იცი, რა მოვიფიქრე?

– რა? – წინ წამოიწია ქერათმიანი.

– მიტინგებს მე ჩავატარებ. ხალხს ავშლი. შენ მითვალთვალე. ჰოდა, მე დამიჭირე. ეგრევე ვაღიარებ დანაშაულს. ქვეყანა გადარჩება. შენც პოლკოვნიკობას მიიღებ. ხომ ვარ ჭკუის კოლოფი.

– ეე... შენ ვერ გაიგე. შენი დაჭერისთვის სერჟანტობასაც არ მომცემენ. რომელი პოლკოვნიკობა! კობა ნიაურია სამიზნეზე. იგია ავტორიტეტი და არა შენ. ჭკუის კი არა თუნუქის კოლოფიც არ ყოფილხარ.

– აბა, მე რა ვქნა. ნიაურს ამბოხებაზე არაფერი უთქვამს. ხომ არ დავაბრალებ..

– არ შეიძლება არ წამოცდეს. დღედაღამ მთავრობის დამხობაზე ფიქრობს. დღეს თუ არა, არ შეიძლება ხვალ ან ზეგ არ წამოცდეს. ღვინო დაალევინე.

– რომ მქონდეს, მეც სიამოვნებით დავლევდი.

– შეეშვი ანგლობას. ნიაური დღედაღამ ამბოხებაზე ფიქრობს. ვერა ხედავ, სულ თავჩაღუნული რომ დადის.

– ეგ მეც ვკითხე, სულ თავჩაღუნული რატომ დადიხარ-მეთქი.

– რა გიპასუხა?

– ნატვრისთვალს დავეძებო.

– ა, ისევ! სულ უნდა იმასხრო, კაცო!

– არ ვმასხრობ. მე დაგაჭერინებ თავს. დაჭერა უფრო მაწყობს. აქ გაძაღლებული ცხოვრება მაქვს.

– იქ რა, დალხინებული გექნება? გონს მოდი. ბავშვებს ხომ უნდა დაპურება. დღესვე მოგცემ დიქტოფონს. პიჯაკის უბეში შემალე. კობას ნალაპარაკევი ჩაიწერე. კარგ ჰონორარს მიიღებ. როგორც კი ჩაიწერ, დამირეკე. ჩემი ტელეფონი ჩაგაწერინე, ასე მახსოვს.

– ვერ ვიზამ მაგ საქმეს. მირჩევნია მე ჩავჯდე. კობამ კი ნატვრისთვალი ეძებოს. თუ იპოვა, ხომ კარგი, თუ არადა ვირის ნალს ხომ წააწყდება სადმე.

– საქმეს მიხედე, საქმეს. ხელფასის იმედით ჩემი მტერი იქნა. ჰონორარზე იფიქრე. აბა, გელოდები, ნახვამდის, ნახვამდის.

– კი. კი. ძალიან მონატრებით ველოდები შენს ნახვას. იცოდე ძალიან მომენატრები.

– ილუზია ამოიღე თავიდან. ასე გიჯობს.

– და ფულები ჩავდო სამაგიეროდ, ხომ?!

– შაყირს მორჩი. გელოდები.

– გამახელებს ეგ ლოდინი.

– ტელეფონის ნომერი არ დაგავიწყდეს.

– ო, არა! სათუთად შევინახავ.

– ისევ ოხუნჯობ, ხომ?

– მაგი მასულდგმულებს. მინდა გაგიმეორო. ვერ ვიზამ მაგ საქმეს. კაცის ჩაშვებას ვერ დავიდებ ცოდვად.

6

სანდრო კაკუბერს ხასიათის ცვალებადობა დაეწყო. ხან აღმაფრენა დაეუფლებოდა ხოლმე, ხან კიდევ დეპრესიაში ვარდებოდა. ეჩვენებოდა, რომ გაქრა და საერთოდ აღარ არსებობდა. იმ დღესაც ეგრე დაემართა. უხალისოდ, მოჟამულ ხასიათზე დაბრუნდა სანდრო შინ. უკანასკნელ ხანს, შევიდოდა თუ არა სახლში,ნერვიულობა ეუფლებოდა; გარეთ კი, ნაცნობ-მეგობრებთან საუბრისას, შინ დამძიმებული თავი თითქოს, ეჩუტებოდა. ხალისიც ემატებოდა ხოლმე.

– მამა, – მეჩხერი კბილებიდან ჩიფჩიფით გამოსცრა ბაჩომ, – მოიტანე ის... რას ეძახი? დემოკრატია?

– კი, კი. ძალიან ბლომად.

– სადაა? რომ ვერ ვხედავ?

– ჯიბეებშია. და კიდევ ენაზე.

– კიდევ რა მოიტანე, მამა?

– ბულკი. ბულკი მოგიტანეთ.

ციკო შემოფრატუნდა ბულკის

ხსენებაზე. თვალები აქეთ-იქით მიმოაცეცა.

– დედამ თქვა, მამა ხელფასს რომ აიღებს, კანფეტებსა და ბისკვიტს მოიტანსო. აიღე ხელფასი?

– ვერ ავიღე, შვილო ციკო.

– რატომ, მამა?

– ძალიან მძიმე იყო და იმიტომ. ვერ წამოვიღე.

– ბისკვიტი?

– თვითონ შეუჭამიათ.

– ვის, მამა.

– მთავრობას.

– მამა, ხელფასს რატომ არ გაძლევენ. – მიაყარა კითხვები ციკომ.

– გაიყინაო. ასე ამბობენ.

– მაცივარში უდევთ? – იკითხა ბაჩომ.

– ჰო, ჰო, მაცივარში.

ციკომ მაცივარი გამოაღო.

– აქ რომ არაფერი არ დევს...

– მიხურე, მიხურე, – გადაიხარხარა სანდრომ, – მიხურე, თორემ ხიზილალა და ზუთხი გამოცვივდება.

– აქ არაფერი არ დევს. სულ არაფერი და რა უნდა გადმოცვივდეს.

საუბარში ბაჩო ჩაერთო.

– ბისკვიტს რომ ჭამენ... დემოკრატიას რატომ არ ჭამენ, მამა.

– ეგ ჩვენთვის უნდათ.

ბაჩო საგონებელში ჩავარდა. ფიქრს მიეცა. ვერა და ვერ გაეგო მამის ქარაგმული ლაპარაკი.

მარგო შემოვარდა გაშმაგებით. იქაურობას მზერა მიმოავლო. ჯერ რაღაც წაინკავწკავა. მერე იხივლა, ხმის ჩახლეჩამდე. გამძვინვარება დაეტყო. ადგილზე ბზრიალი აუტყდა. სანდროს ნერვიულობისაგან სახეზე ალმური აუვარდა. დაბნეული შეაშტერდა ცოლს.

– აიღე ხელფასი? – იჭექა მარგოს ხმამ.

– მითხრეს, დაკონსერვებულიაო.

– მაგათი სინსილა გაწყდეს, მაგათ. ბოლოს და ბოლოს რას გეუბნებიან, რა უნდა ჭამოთო.

სანდრომ სიტუაციის განმუხტვა სცადა.

– ცოტაც მოიცადეთო, ასე ამბობენ. ჰო. მერე კონსერვებს დაგირიგებთო.

– სულ უნდა იმასხრო, შე დასამიწებელო!

– კონსერვებს როდის მოიტან, მამა? – სერიოზული ტონით იკითხა ციკომ.

სანდროს სიმწრისაგან ხარხარი აუტყდა. ყასიდად იცინოდა.

– როდის მოვიტან?

– ჰო, როდის, მამა?

– მთავრობა გვპირდება, როცა ღლავს დავიჭერთ, მაშინ დაგირიგებთო. დავაკონსერვებთო. მერე დაგვირიგებენ.

ციკო ბაშვური გუმანით მიხვდა, სანდრო რომ მასხრობდა. პირი დააღო. ღიმილმა ბაგე გაუპო. სანდრომ ალერსით გადაუსვა თავზე ხელი. გული დაუმძიმდა. სევდა არ შემატყონო და გამასხრება სცადა. მარგო დააცხრა თავს:

– აშენდა ხალხი, აშენდა. – გაჰკიოდა მარგო;

– ვინ ხალხი, მარგო?

– აი მაგალითად, ჩვენი მეზობელი რაჟდენა.

– რამ ააშენა რაჟდენა, მარგო?

– ბაზარში ურიკით პროდუქტებს ეზიდება. შენ კი ტყუილად დაყიალობ. რაჟდენას ცოლს მაცივარი პროდუქტებით აქვს გამოტენილი. არ ეტევათ...

– ვათხოვოთ ჩვენი მაცივარი. – სახე დაეღრიჯა სანდროს. აქაოდა მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გო უფრო არ განრისხდესო და ღიმილი ერთბაშად მოსხიპა.

– მასხრობით გინდა ოჯახი არჩინო ხომ! გიჯობს საქმეს მოკიდო ხელი.

– რომელ საქმეს მირჩევ მაინც.

– ან ბაზრობაზე იმუშავე... ან წყნეთში ახვალ... ხე-ტყეს ამზადებენ. კარგი ჯამაგირი ჰქონიათ.

– ვინ მიმიღებს მე იქ!

– მეზობლის ბიჭები მუშაობენ იქ. გაჰყევი, ნახე, დაათვალიერე. ეგებ მოგეწონოს. სუფთა ჰაერზე იქნები.

– ჯანსაღმა ჰაერმა მადის გაღვიძება იცის. მადა მინდა ახლა მე? უმადობას არ ვუჩივი მაინცდამაინც.

*

მეორე დილით, ქუჩაში რომ გავიდა, ტროლეიბუსის გაჩერებაზე ხელგამოშვერილმა დედაბერმა გადაუღობა გზა. სანდროს მარჯვენა ხელი ჯიბეში ედო. დედაბერმა იფიქრა, ალბათ ხურდა ფულს დაეძესო, სანდროს გაახსენდა, კაპიკიც რომ არ უჭყაოდა. სირცხვილმა ლოყები აუფაკლა. თავი ისევ დაუმძიმდა. თავიდან წამოსული ტკივილი ისარივით გაემართა გულისკენ.

7

ზიგზაგიანი ბილიკი აიარეს. ბილიკმა შუაგულ ტყეში აიყვანა ისინი. ცხელოდა. ხის ძირებში გვიანი ზამთრის მორჩენილი ტალახი იდგა. მზეს ჯერ ვერ გაეშრო მიდამო. ნიავი უბერავდა და ხის კენწეროებს აჭრიალებდა. ქალაქი ხელისგულივით მოჩანდა ქვემოთ. მზეზე ელავდნენ წითელი და ნაცრისფერი სახურავები. ჩიტების ჟივჟივი აყრუებდა იქაურობას. სახელდახელოდ გამართული ფარდულის გვერდით წინა დღეებში მოჭრილი ხეები ჯგროდ ეყარა. ცოტა ქვემოთ კი მეჩხრად ეგდო მორგები, რომელთა ამოზიდვა გუშინ საღამოს ვერ მოესწროთ. ის ადგილი ფრონტზე მიმოყრილ დახოცილებს ჰგავდა. გადაკრიალებულ ცაზე ღრუბლის ბურტყლისოდენა ფთილაღა ატმასნილიყო. ერთ ადგილას, ფარდულისგან შორიახლოს, დიდი ხის ქვეშ ნორჩი მოყოლილიყო. ეტყობოდა, როცა დიდი წააქციეს, მიმართულება არეოდათ. ის პატარა ხე გულსაკლავად ესვენა დიდი მორის ქვეშ, ისე ეგდო, ვით გამარჯვებულის ქვეშ გაშოტილი დამარცხებული მოჭიდავე. შორს თუ გასტყორცნიდით მზერას, თვალს ჰკიდებდით მთებზე შემორჩენილ ნაზამთრალ თოვლს, რომელსაც მზეზე ლიცლიცი გაუდიოდა. აქეთ კი ქალაქი გადაშლილიყო. მზეზე ლაპლაპებდა დაკლაკნილი მტკვარი. იგი რამდენიმე ადგილას ხიდებს მოეთოკათ.

საღამომდე გაისარჯნენ. არც შეუსვენიათ. გვიან საღამოს ივახშმეს და დაღლილ-დაქანცულები დასაძინებლად დაწვნენ ხის ტახტებზე. მანქანის ხმამ გამოაღვიძათ. სანდრო და კიდევ ორი ახალგაზრდა ფეთიანივით წამოხტნენ: დაინახეს ნაცრისფერი მანქანა. ხელათ იცნეს კანტორის უფროსი გეგა.

– კარგად გიმუშავიათ ყოჩაღ – შეაქო გეგამ ბიჭები.

– არა უშავს რა, – თქვა რეზომ, რომელიც უფროსობას იჩემებდა.

– ორი კვირის ნამუშევარია, – თქვა სანდრომ. – ხელფასი დაგვიჩქარეთ.

– ხვალ დაგირიგებთ, ხვალ საღამოს. ხვალ იყოჩაღეთ, რაც შეიძლება მეტი დაამზადეთ.

გეგა მანქანაში ჩაჯდა. საქარე მინა გასწია და იქიდან გადმოსძახა ბიჭებს.

– ტრაქტორი ამოვა, თავისი ამწე-

თი. ხვალ ხე-ტყეს გავზიდავთ. გავზომავთ და თქვენ თქვენსას მიიღებთ.

მანქანა დაიძრა.

რეზომ ელექტროხერხი მოიმარჯვა და ხეს მიადგა.

– ეგ ნორჩია, რეზო, – უთხრა მირიანმა, – ცოდოა.

– ეგერ ე, ტოტებგამხმარი ხეა, – დაამატა სანდრომ.

ტოტებგამხმარს მიადგნენ. მალე წამოაქციეს.

– ბებერი გარდაიცვალა, – თქვა სანდრომ.

ბიჭებს გაეცინათ.

– ამისგან დარაბებს გააკეთებენ.

– იქნებ კუბოებსაც.

– მუქთა თუ იქნება მე ჩავწვები. – გააცინა ბიჭები სანდრომ.

– თფუჰ! გადააფურთხე. – თქვა რეზომ, – რამ შეგაჯავრა ეგრე სიცოცხლე.

– სიდუხჭირემ. ცუდი ყოფაა ჩვენში. სადღაც წამიკითხავს... რომელიღაც ქვეყანაში პური უფასოდ ყოფილა. ჩვენთან კი საპირფარეშოც ფასიანია.

– გული არ გაიტეხო, სანდრო.

– ხვალ ბავშვებს დავაპურებ. მეშველება და ეგაა.

– ეეხ, ვინ იცის... – სევდით აღმოხდა რეზოს. მერე თვალები აენთო. – ვინ იცის, რამდენი სახელოვანი წინაპარი დადიოდა ამ მიწაზე.

– კი, კი, – თქვა სანდრომ. ჩვენი ქვეყნის მიწაზე უწინ დინოზავრებიც დადიოდნენ, მაგრამ... ახლა კი მე და შენ დავდივართ და ხეებს ვჭირით.

– ხა-ხა-ხა! – ჩაბუირდა რეზო. მირიანიც აცრემლებამდე ხარხარებდა გულიანად.

ქარი ამოვარდა. მერე მძლავრად დაუბერა. ბილიკზე ბერიკაცი გამოჩნდა. ტაატით, ბებრული ნაბიჯებით ამოიარა დაკლაკნილ ბილიკი. [illegible] მოახლოვდა, ჯმუხი და [illegible] ხუცი დაინახეს.

– ჩეხავთ ტყესა? – იკითხა მან.

– კი, ვამარაგებთ ქალაქსა, – ბერიკაცის კილოზე მოუქცია სანდრომ.

– ამ ქარისა გესმის შენა. ჰო, შენა, ბევრს რომ ყბედობ.

– კი, გვესმის. ვხედავთ კიდევაც.

უწინ აქ ქარი არ იცოდა. გეგამ გაკაფა ტყეები, ე მაგ გორაკზე. მას აქეთ შემოგვეჩვია ქარები. ემაგ გორაკიდან გვიქრის.

– ქარი რა, ცუდია? – ჰკითხა მირიანმა – ჰაერს წმენდს.

ბერიკაცმა ეჭვის თვალით შეხედა. ულვაშზე მოისვა ხელი. დაფიქრებული იდგა.

– ხე ჩვენი სიცოცხლეა. – მიმართა მოხუცმა ბიჭებს. – რომ ჭრით, ასე მგონია, ფეხები მეჭრება. ასე მგონია, ფეხების ნაცვლად ხეებზე ვდგავარ. თქვენ კი ჭრით.

– ამ ხეებით, – მიმართა სანდრომ ბერიკაცს, – ლამაზ სახლებს აგებენ ქალაქში. განა ცუდია.

– ცუდი როდია, შვილო, მაგრამ... მე თუ დამაქციეს, იმათი აშენებული მე რაღას მიშველის.გავერანდა აქაურობა. ვერა ხედავთ!

– ჩვენ რა დავაშავეთ, ძია კაცოო! ხვალ ხელფასი უნდა მოგვცენ. შვილებს იმითი დავაპურებ.

– ეგრე არ ივარგებს. შენი დააპურო და სხვისი კი დაამშიო.

სანდრომ მკერდში ბნკენა იგრძნო. ტკივილმა ჭვალივით გაუარა.

ტრაქტორის ხმა მოესმათ. იგი მალე მოუახლოვდა მეტყეთა ფარდულს. მორების დასატევი ამწეც ამოეზიდა ტრაქტორს.

ბერიკაცმა ჯიბეები ამოიქექა. ორი

ვაშლი ამოიღო, ... და სანდროს გაუწოდა.

– ეგ ვაშლები ბალღებს მიუტანე.

ბერიკაცი მორთან მიდგა. დიდის ქვეშ მოყოლილ ნორჩს მოეფერა. მერე წავიდა.

ქარმა იმძლავრა. აგრილდა. ცოტა შევისვენოთო, თქვა ბრიგადირმა რეზომ. ნახერხი ჩამოიბერტყა. ისინი მუშაობდნენ გვიან ღამემდე. ვეებერთელა ნათურები ჩამოეკონწიალებინათ ხეზე.

– არ გეწყინოთ, – მიმართა რეზომ სანდროსა და მირიანს, – მე როგორც ბრიგადირს ცოტა მეტი თანხა მეკუთვნის. ხომ ასეა, სანდრო.

– მმმ! – მხრები აეწურა სანდროს.

– ვითომ რათაო! – გაცხარდა მირიანი.

– უფროს-უმცროსობა უნდა იცოდე. მე ხომ ბრიგადირი ვარ.

– ვინ დაგნიშნა ნეტა! შარშანაც ეგრე მოიქეცი. ზემოთ გორაკზე რო ტყეს ვჭრიდით, მაშინ.

– მე არ მოგიყვანეთ აქა! – გაანჩხლდა რეზო. გეგას მე ვიცნობ და არა თქვენ. მე მოვურიგდი გეგას.

– ეგ მეორედ არა თქვა. ხელფასს ხვალ დილით თანაბრად გავინაწილებთ.

– არა-მეთქი. მე მეტი მერგება.

– არაფერიც. – განრისხდა მირიანი. ფეხზე წამოხტა. რეზოსკენ გაიწია. რეზოც წამოვარდა. მირიანს მიეჭრა. სანდრომ არ დააყოვნა. შუაში ჩავარდა.

– სირცხვილია, ბიჭებო!

მირიანმა ვეება ხელისგული მომუშტა. რეზოს ხეთქა სახეში. რეზომაც დაუბრუნა ხურდა. სანდრო შუაში გაჩხერილიყო. უცბად თვალთ დაუბნელდა. თითქოს ყბა ჩამოაცალესო. ვერ გაერკვია, რეზოს მუშტი მოხვდა, თუ მირიანისა. საშინელმა ტკივილმა დაუარა თავიდან ტანში.

– შენ სულ ყოყლოჩინობდი ბავშვობაში. – გაჰყვიროდა მირიანი. ჩამშვები იყავი. რომ ვიცელქებდით, მასწავლებლებთან ენა მიგქონდა. იმიტომაც დაგაწინაურეს კომკავშირის კომიტეტის მდივნად. ბავშვობიდან ახვარი იყავი, რეზო შენ! და იგივე დარჩი, ისეთივე არამზადა.

კარგი ხელფასი კი მივიღე, გაიფიქრა სანდრომ და გაღიმება სცადა, მაგრამ ყბა ეტკინა და ვერ გაანძრია.

8

მანქანები შედგნენ. ორი მანქანა უნდა ყოფილიყო. მალე კარი გაიღო. ჯიქურ შემოიჭრნენ. სამნი იყვნენ, სამთავე ნიღბოსანი. იგრძნობოდა, რომ გარეთ მეოთხე იდგა. მას ერთმა ნიღბოსანმა შეატყობინა, აქ არიანო. იმ მეოთხეს პასუხად ხმა არ გაუცია. სიბნელეში იდგა. სახე არ უჩანდა. ნიღბიან სახეზე ხელისგულები დაეფარებინა. ერთმა ავტომატიანმა კონდახი მკერდზე მიიბჯინა, ლულა კი სანდროსა და მის ძმაკაცებს მიუშვირა.

– ხმა კრინტი. არ გაინძრეთ!

ის ერთი ავტომატიანი იქ დარჩა, ფარდულში, ორნი გარეთ გამოვიდნენ. გაიგონეს, თუ როგორ უბრძანეს ტრაქტორისტებს, ცოცხლად, ცოცხლადო. ტრაქტორის ძრავაც მალე აკაკანდა. გაიგონეს ძრავის ფსკერზე ხრიგინის, დანარცხების ხმები. მანქანებზე ალაგდნენ... ვინ უნდა იყვნენო, გაიფიქრა სანდრომ. ეტყობა, ყაჩაღები არიან. დავიღუპეთ და ეგაა. რა ხელფასი, რისი ხელფასი! გეგას ცარიელი მოედანი დახვდება. ხელფასს რაში მოგვცემს. რა უნდა მოვიმოქმედოთ? ერთი რომ იყოს, რაიმეს მოიმოქმედებდა კაცი! სამნი არიან, მეოთ-

ხე გარეთ დგას. ამას დაუმატე ორი მძღოლი და ერთიც ტრაქტორისტი. იგიც ამათი ყოფილა. რა ცბიერულად ზვერავდა წეღან აქაურობას. რა მივუტანო ხვალ ბავშვებს, ჰა? სამსახურიდანაც წამოვედი. იქნებ მოეცათ ოთხი თვის ხელფასი".

თავი დაუმძიმდა ფიქრისგან. არ იცოდა, რა ექნა, რა მოემოქმედა. თვალწინ დაუდგა მარგო მრისხანე გამომეტყველებით, ბაჩოსა და ციკოს შიმშილისგან დაოსებული თვალები. „დავიღუპეთ, ეს მორები თუ გაზიდეს ბანდიტებმა. ამოვა ხვალ დილით გეგა. მოიკითხავს ხე-ტყეს, გადაირევა. რას მოგვცემს ხელფასს, გაგიგონია! განრისხებული იქით მოგვთხოვს ფულს".

ავტომატმომარჯვებულს ნიღბის ჭრილებიდან გადმომზირალი თვალები აუბრიალდა. ოდნავი განძრევაც და ნიღბოსანი ხელათ იარაღს შემართავდა.

– ხელფასს მოგვცემთ? – კითხა ანდრომ ნიღბოსანს.

– ჩუმად, ყბედო!

– მე სანდრო მქვია და არა ყბედი.

– მაშინ ნუ ყბედობ!

სანდრომ იფიქრა, ცოტას ვიმასხრებ, იქნებ ეს ბანდიტი გავაცინო და გული მოულბესო.

– აი, ამ კაცს რო უყურებ, – რეზოზე მიუთითა სანდრომ, – ჩვენზე მეტი ხელფასი ეკუთვნის. ასე გამოგვიცხადა წეღან, ვიდრე თქვენ ამობრძანდებოდით. მისცემთ ჩვენზე მეტს?

– ჩუმად-მეთქი. რამდენს ყბედობ.

– კი ვიქნები ჩუმად, ხელფასს თუ მოგვცემთ.

– ჩვენ ხელფასის ნაცვლად სხვა რამეს ვარიგებთ.

– თუ პატივს მცემ ოდნავ მაინც, გვითხარი რას.

– თუ არ გაჩუმდები, ხელათ დაინახავ. – გაშმაგებით თქვა ნიღბოსანმა და ავტომატის ლულა შეაქანავა.

„იქნებ მართალიც იყოს კობა ნიაური, ამბოხებაა საჭიროო, წარამარა რომ გაიძახოდა. დაგვექცა ქვეყანა. თაღლითებისა და ბანდიტების ხელში მოექცა. ამას მიჩიჩინებს კობა, სხვას არაფერს. ნეტა თუ იქნება ისეთი ქვეყანა, ბანდიტები რომ არ იყვნენ. იქნება, აბა არ იქნება. ნეტავ წამიყვანა და იქ მაცხოვრა. ფული რომ მქონდეს, აუცილებლად წავიდოდი", ფიქრი რომ შეუსუსტდა, ანგლობა გადაწყვიტა, ეგებ გულს მოწოლილი ბოღმა გადარეცხოსო.

– რა მინდა გთხოვო, იცი, – მიმართა ნიღბოსანს.

– ხიზილალა არ მომთხოვო ახლა.

– ცოტა ფულს ხომ არ მასესხებდი, უცხოეთში მინდა წავიდე.

ნიღბოსანმა ვაგლახად შეხედა. ალბათ ბავშვობაში, სწორედ მაშინ დააბიჯა სპილომ, როცა იუმორის ნიჭს არიგებდნენ. ასე დაასკვნა სანდრომ.

– ყველაფერს მოითმენდა კაცი, მაგრამ... გეგას რა პირით შევხვდეთ ხვალ დილით.

– არა უშავს. – ოდნავ გაეხსნა ბაგე ნიღბოსანს. – გაწითლდებით. მერე გაფითრდებით. გეგა კი განრისხდება. ადექით და ცივი წყალი დაალევინეთ. გულიც მოულბება. ყველაფერი ამით დამთავრდება.

– მე რა მივუტანო ჩემს ბღარტებს!

– რამდენი გყავს?

– ორი. გოგო და ბიჭი.

სანდროს მოეჩვენა, რომ ბავშვების ხსენებაზე ბანდიტში რაღაც ადამიანურმა გაიღვიძა. იფიქრა, იქნებ შევეცოდოო.

– ჩემს ხელფასს ელოდებიან, ეს ორი კვირაა, – თქვა სანდრომ.

– კიდევ დაგელოდებიან.

– რამდენ ხანს უნდა მელოდონ?

– კიდევ ორი კვირა დაგელოდონ. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მეტად აღარ შეგაწუხებთ.

– დიდი მადლობა ამ შეღავათისთვის. შენ თუ გყავს ბავშვები.

– ო, ნუ მკითხავ. ოთხი.

– არ უშლიდნენ. ქვირითი კი არ იყო.

– მათაც შიათ. ისინიც ელოდებიან ფულს.

– ოო... როგორ მეცოდებიან. ჩემი ხელფასი შენ აიღე და ბავშვებს მიუტანე.

– იყავი და იანგლე. ჩუმად. გეყო ყბედობა. ენად კი ნუ გაიტლიკე. კლიენტებთან მუსაიფი აკრძალული გვაქვს.

– არ ვართ ჩვენ ურიგო კლიენტები. ვერა ხედავ, რა გუგულებივით მიყუჩებულან ჩემი ძმაკაცები.

– მათ მაგივრადაც შენ ატარტალებ ენას. ჭკუით თუ არ იქნები, შენც გაგაყუჩებ.

ტრაქტორი გამუდმებით კაკანებდა, დროდადრო მოისმოდა მორების ხრიგინი.

– ერთი ნატვრა მაინც აგვისრულე, უფროსო. – მუდარით მიმართა სანდრომ ბანდიტს.

– ქალის საშუალებაც არ მოგვთხოვო ეხლა, ხელფასთან ერთად.

– ქალი კი არადა... სისხლი გვაქვს ჩაქცეული მაგ მორების ჭრაში. წამით მაინც გაგვახედე გარეთ, შე კაი კაცო. გამოვემშვიდობებით მაინც.

– მორებს?

– ჰო, მორებს.

– რომელი მზეთუნახავები ეგენი არიან.

"კარგი ვინმე უნდა იყოს ეგ კაცი – ფიქრობდა სანდრო. ალბათ სურვილი ჰქონდა ეგეთი, – იქნებ [illegible] დეს და ჩაითრიეს ამ [illegible] ეგებ ის მეოთხე, გარეთ რომ დგას, ჩვენი ნაცნობია და სწორედ მან ასწავლა ჩვენი ასავალ-დასავალი. აბა, მაშ სახეს რად გვარიდებს?"

– მეგობარო! – ისევ დაეჭყანა სანდრო ბანდიტს.

– ვინაა შენი მეგობარი. – გამძვინვარდა ნიღბოსანი. – რა გინდოდა.

– გეგას აქვს დიდი ფული. რაღა ჩვენ გვართმევ ხელფასს.

– რას იზამ... ასეა. ზოგს ბევრი აქვს, იმდენი, დათვლა უჭირს. ზოგს კი არაფერი!

– ჰო,ეგრეა. სადამ ჰუსეინს ოქროს ტუალეტი ჰქონია,. ხალხს კი... ჩეჩმა. ტელევიზორში უჩვენეს...

-ხა-ხა-ხა. – აცრემლდა სიცილისაგან ბანდიტი.

იგი სანდროს შეეცოდა, კი არ უწყოდა, რატომ.

9

მკვდრებივით ეყარდნენ, მიმოფანტულნი, მეტყვევეთა ფარდულის გვერდით, რომელიც ბუდრუგანას ჰგავდა. სანდრომ გადაიხარხარა, რეზო შენ ჩვენზე მეტი ფულის მიღებაზე ხომ არ ფიქრობ. რეზო პატივმოყვარე იყო და სანდრო გაჩუმდა. არ უნდოდა რეზო გაემწარებინა. ისედაც ხომ გამწარებულები იდგნენ. შუაღამე გადასულიყო. ძლიერი გრიგალი გადადიოდა და გადმოდიოდა ხეთა კენწეროებზე. დიდი ნათურა, ბოძზე რომ ეკიდა და პროჟექტორივით გამჭოლ შუქს აფრქვევდა მიდამოზე, უეცრად ჩაბნელდა. ალბათ გრიგალმა გაწყვიტა ელექტრომავთული. ბიჭებს არაქათი გამოცლოდათ დანა პირს არ უხსნიდათ კრიჭაშეკრულებს. იდაყვები

სამთავეს თავქვეშ ჰქონდათ ამოლაგებული.

საათსაც არ გაუვლია, მსუბუქი მანქანა გაჩერდა მეტყევეთა ბუდრუგანასთან. დაბნეული და დაოსებული ბიჭები ხელათ წამოხტნენ. მანქანიდან ორი პოლიციელი გადმოვიდა, ერთი ზემდეგი, მეორე რიგითი. რიგითს ავტომატი აეხუტებინა მკერდზე.

– ხელფასები ხომ არ ამოგვიტანეთ, უფროსო. – თქვა სანდრომ. მან გადაწყვიტა მასხრობით დაეწყნარებინა გამწარებული სული. რეზო ერთთავად გამძვინვარებულიყო. მირიანი კი სულგანაბული იდგა. რეზოს ალბათ თავისი წილი ადარდებდა, ცოტათი მეტი, ვიდრე სანდროსა და მირიანს უნდა რგებოდა.

– გაყურყუტებთ მე თქვენ იქ! – მრისხანე ტონით თქვა ზემდეგმა.

– ისეთი რა მოხდა, ბატონო! – ალუღლუღდა რეზო.

– რა დავაშავეთ! – აღმოხდა მირიანს.

– ორი მანქანა დავაკავეთ, ორი. აბა! კვალმა აქ ამოგვიყვანა.

– და ჩვენ უნდა დაგვიჭიროთ? – იკითხა სანდრომ.

– თქვენ გაკაფეთ ტყე! აბა მე? ადგილობრივმა გლეხებმა ჩაგიშვეს. იჩივლეს ჩვენთან.

– ჭრით აქ ტყეს. – ხმას აუწია რიგითმა, – თითქოს ბაბუათქვენის მამული იყოს. ეგ ხალხის სიმდიდრეა. ჰო, ტყე ხალხისაა.

– ჩვენც ხალხს ვეკუთვნით. – გაეხსნა კრიჭა სანდროს. – განა მგლების ხროვას.

– ნუ ლაყბობ, შე ჩურჩუტო. – ჩექმის ძირი მიწაზე დააბრაგუნა რიგითმა.

– კი მაგრამ... – აღშფოთდა სანდრო. – ბანდიტები დაგეჭირათ, არ აჯობებდა?! ვინც მორები წაგვართვა, ისინი დაგეჭირათ.

– ისინიც მოვაყუჩეთ. პოლიციაში ვასვენებთ.

– აბა, მაშ ჩვენ რას გვერჩით?

– თქვენ არ მოჭერით ის მორები. განა მე მოვჭერი.

– არა, არ მოგვიჭრია.

– აბა, ციდან ჩამოფრინდნენ. რას მიედმოედები!

– თავისით წაიქცნენ, – თქვა და სიმწრის ღიმილი აღმოხდა სანდროს.

– გაღადავებთ მე თქვენ. აბა, ჩასხედით მანქანაში!

ზემდეგი საჭეს მიუჯდა. რიგითი გვერდით მოთავსდა. ახუტებული ავტომატი მკერდიდან არ მოუცილებია.

მანქანა მალე ჩასრიალდა გავაკებულზე. პოლიციის შენობას მიადგნენ. დაკავებულები უფროსის კაბინეტში შეიყვანეს. უფროსი გაჩუმებული იჯდა. კარგა ხანს ბურღავდა თვალებით სანდროსა და მის თანამოსაქმეებს.

– რატომ ჭრიდით ხეებს? – იკითხა უფროსმა და ღაბაბზე ხელისგული ჩამოისვა.

– რომ არ მოგვეჭრა, კი იდგებოდნენ სულ – თქვა სანდრომ.

უფროსს გაეცინა. იუმორის მოყვარული გამოდგა. სულს ძლივს ითქვამდა.

– ხე იდგებოდა, ბიჭო, აბა, ხომ არ დაწვებოდა.

– ცოტა დაისვენონ – თქვა და...

– ხა-ხა-ხა! – დაოსდა პოლიციის უფროსი.

– ხესაც ხომ უნდა მოსვენება. ჰოდა, ფრთხილად წამოვაწვინეთ იქ, საიდანაც ამოიზარდა.

– კარგი, კარგი. საქმეზე გადავიდეთ.

– ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან, უფროსო. – სახე დაჭყანა სანდრომ.

– იყოს ორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ეს კაცი, – რეზოზე მიუთითა სანდრომ – ბრიგადირია. მას ჩვენზე მეტი ხელფასი უნდა მიეღო.

– ხელფასიც არ მომთხოვოთ ეხლა!

– არა, არა. ბრიგადირს ყველაზე საუკეთესო საკანი მოუხერხეთ. იგი გამორჩეულია, როგორც ბრიგადირი.

– ხა-ხა-ხა! – ძლივს დაწყნარდა ახორხოცებული უფროსი – ახლა საქმე. რატომ ჭრიდით ტყეს, ვინ დაგავალათ!

– ჩვენ დაქირავებული მუშები ვართ. – მოკლედ მოჭრა მირიანმა.

– და ვინ დაგიქირავათ?

– გეგამ.

– ა? – წარბი აეძგიბა უფროსს – ეგრა მესმის.

– რაც გითხარით, უფროსო. ჰო, გეგამ.

– მორიგეე! – გასძახა უფროსმა, – შემოიყვანეთ მორების ქურდი გეგა.

თმები ყალყზე დაუდგა სანდროს. ეჭვიც გამართლდა, ღამით რომ გაუარა გულში, გარეთ მდგომი მეოთხე ნაცნობი უნდა იყოსო.

– სამაგიეროდ თქვენ ხელფასები მოგპარათ. გეტყოდათ, ვიღაცეებმა მოიპარეს და მე რაღა ვქნაო. ფაფუ ხელფასებიო. აბა, ასეა.

– უფროსო, – თითი ასწია სანდრომ და ცოცხალ-მკვდარ გეგას შეხედა, – ერთი რამ მათქმევინეთ.

– თქვი.

– ადამიანს ღორი ჩაუსახლდა მუცელში. აგერ უამრავი წელიწადია ის ღორი სულ ღრუტუნებს და ღრუტუნებს. თქვენ არ გსმენიათ ამ კაცის მუცლიდან ღორის ღრუტუნი?

უფროსმა თავი ჩაჰკიდა. ეტყობოდა, სასაცილოდ არც მას ჰქონდა საქმე.

•

მთვარეულივით მიაბიჯებდა ქუჩაში. სანდროო დაუძახა ვიღაცამ. შეტრიალდა. დიდი ხნის უნახავი მეგობარი დაუდგა წინ. როგორ ხარო, ჰკითხა.

– კარგად, კარგად, – დაიქოქა მეგობარი. – სახლი ვიყიდე. ბიჭი უცხოეთში გავამგზავრე სასწავლებლად. აგარაკიც შევიძინე.

– კარგია, კარგი.

– სოფელშიც მინდა მამის სახლი გავარემონტო – ქაქანებდა მეგობარი. იქ კარგი ვენახი მაქვს. ამ ზაფხულს წაგიყვან სოფელში. აქაც გამოიარე ჩვენთან. კონიაკი მაქვს ჩვენებური.

– მერე, მერე, – ამ ერთ სიტყვაზე გაიჭედა სანდრო, სხვა ვერაფერი მოეაზრებინა,

– მერე, მერე...

მერე... მეგობარმა ერთი ლარი თხოვა სანდროს. იმანაც მისცა ერთი ლარი.

•

ფეთიანივით წამოვარდა. მიმოიხედა. თავი ბუდრუგანაში იგულვა. მარგოს სუნთქვამ გამოარკვია. ხელების ფათურით გაიარა ოთახი. ბაჩოსა და ციკოს საბანი გაუსწორა. მისაღებში გავიდა. ტელეფონს ეცა. ნომრები აკანკალებული თითებით აკრიფა. ალოო, ჩასძახა ხრინწიანი ხმით. მე ვარ, მეო, სანდრო კაკუბერი. შემდეგ კი: ხვალ კაფეს სიახლოვეს შევხვდეთო. დიქტოფონი აუცილებლად წამოიღეო. კი, კი, იქ დაგხვდები. აუცილებლადო. ხუთისთვის, ექვსზე ხომ ნიაური მოდის და ეჭვს აიღებსო. ჰო, ჰოო. ის კაფე ხომ მათი თავშეყრის ადგილიაო. რაო? გაკვირვებული ხარ? გასაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირი რაა ამ მყრალ წუთისოფელშიო. ჰო, ჰოო. გელოდები. დიქტოფონის წამოღება არ დაგავიწყდეს. პოლკოვნიკობა განაღდებული გაქვსო. ჰო, ჰოო.

10

სანდრო კაკუბერმა მიმტანს უხმო. ორი მწვადიო, უთხრა. მიმტანი გატრიალდა. სანდრომ ისევ უხმო და მოაბრუნა. მაგარს თუ მიირთმევ რამესო, ჰკითხა დოდოს. რას გულისხმობო. სასმელსო, უპასუხა სანდრომ. დოდომ გაიღიმა. უარის ნიშნად თავი გააქნია. გაოცებით შეხედა სანდროს. სანდრომ ისევ გამოიძახა მიმტანი. ნამცხვარი და ორი ყავაც მოაყოლეო, უთხრა.

– სადმე ფული ხომ არ გიპოვია, სანდრო.

– კი, კი. ციდან ჩამოვარდნილიყო. რომ არ ამეღო, სხვა აიღებდა.

– რა კარგად გამოიყურები დღეს, სანდრო. სტუდენტობისდროინდელ ბიჭს ჰგავხარ. კარგ ხასაითზეც ხარ დღეს, განსაკუთრებულზეც.

– არ მითხრა ახლა, შემიყვარდიო.

დოდომ თვალები მინაბა. წამწამები რომ აახილა, სანდრომ დაინახა, ქალს კაეშანი მოსდებოდა. დოდომ ნერვიულად მოსრისა თითებით სიგარეტი. სანდრომ სანთებელას გაჰკრა.

– კი. კი. – ჩურჩულით თქვა დოდომ. – მე მეგონა სიყვარული გამინელდა და დამავიწყდა კიდეც. ჰო, ის, რაც ახალგაზრდობაში მოხდა ჩვენს შორის. ახლა სიყვარული გამიახლდა. ეს დღეები ძილი არ მომეკარა.

არა უშავს რა, – არხეინად თქვა სანდრომ. მერე მიმტანს გასძახა, ცოტა სიყვარულის წამალი მოგვიტანეო. რომელიო, იკითხა მიმტანმა. „ხვანჭკარაო" მერე. დოდოს მიუბრუნდა – ცოტა გადავკრათ. გახალისდები. რა დროს სიყვარულია. უსულგულობის ჟამი დგას. ახლა სულ სხვა [illegible] ამოძრავებთ.

– ფული არა? ფული იგულისხმება ხომ? ფული არ მაკლია.

– როგორ შოულობ ნეტავ! თუ მასწავლი, ძალიან დამავალებ.

– გიშოვია და ეგ არის. ღმერთო ჩემო, რამდენს ხარჯავ. მე არაფერსაც არ ვშოულობ. მამაჩემი მუშაობს კარგ ადგილას. ფულის პრობლემა არ გვაქვს.

– არ მითხრა, სიყვარულის პრობლემა მაწუხებსო მხოლოდ.

– ზუსტად ეგრეა. ახლაღა მივხვდი, რომ შენი დავიწყება ვერ შევძელი. ადრე, როგორც ჩანს, თავს ვიტყუებდი.

სანდრომ ღვინო ჩამოასხა ჭიქებში. შავი ღვინო იყო, კამკამა. თავად ერთბაშად გადაკრა. დოდო კი ყლუპ-ყლუპით წრუპავდა.

– სანდრო, – ცრემლნარევი ხმით თქვა დოდომ.

– გისმენ.

– შემირთე ცოლად, სანდრო. მე ხელმეორედ სიყვარულს ვერ დავამარცხებ. იგი ბოლოს მომიღებს.

სანდროს გაოცებისაგან თვალები შუბლზე აუხტა. თავი ჩაღუნა. თავი დაუმძიმდა. წეღანდელი სიხალისეც ერთბაშად გაუქრა. სიჩუმე კობა ნიაურის გამოჩენამ დაარღვია. მაგიდას მიუჯდა კობა. მას ახალგაზრდა კაცი ახლდა, სახეკუშტი და გაუცინარი. კობამ იგი სანდროსა და დოდოს გააცნო. ილია მქვიაო, უთხრა მან ორთავეს.

– თქვენ აქ ქეიფი დაგიწყიათ, – თქვა კობა ნიაურმა, – ჩვენ კი სხდომას ვაპირებთ. სანდრო, რატომ მოგიწყენია?

– ისე რა.

– მოსაწყენად კი გვაქვს საქმე. ქვეყანა გვექცევა. ამ დილით კომიტეტმა საბოლოოდ გადაწყვიტა... მთავრობის დამხობა აუცილებელია.

სანდრომ პიჯაკის უბეში ხელი შეიყო.

– რა, თქვი, კობა?

– მთავრობის დამხობა აუცილებელია.

სანდრო კაკუბერი სახეზე წამოწითლდა. დაბნეულობა დაეტყო.

– დაგვამხობინებენ რო. – წყენით თქვა დოდომ.

– უნდა ვაიძულოთ. ვერა ხედავთ, ხალხი რა დღეშია. ერთმანეთს ხელი უნდა გავუწოდოთ. ხომ გაგიგიათ, ხელი ხელს ბანსო...

– ფეხიც ბანს ფეხს. მინახავს მე ეგ, – თქვა სანდრომ. – ხელი, კი მარცხიანი, მაგრამ... ის კი არ იცი კაცმა, ფეხი საით წაგიყვანს.

ილია დაჟინებით შეაცქერდა სანდროს. სანდრომ კი ეჭვიანი მზერა შეავლო კობა ნიაურს, რომელსაც ვერ გაეგო რა ქარაგმიანი გამონათქვამის. ზევით აეპყრო თვალები და თავისთვის განაგრძობდა ლაპარაკს.; ილია ისევ ჯიუტად აკვირდებოდა სანდრო კაკუბერს.;

– იძულებით კი ვაიძულებთ, მაგრამ... – ხელების ქნევით მიმართა სანდრომ კობას, რომელსაც მზერა დაეძაბა. – ძალდატანებით განა წავა?

სანდრომ ისევ შეიყო ხელი პიჯაკის უბეში.

– ძალა...

– ჩჩ! – სიტყვა გააწყვეტინა კობას ილიამ. ნერვიულად გაასავსავა ხელები, თან სანდროს ეჭვის თვალით შეხედა.

კობა გაჩუმდა. ილია უნდოდ შეაცქერდა სანდროს.

– ნუ გეშინიათ, – თქვა სანდრომ. – ჩვენ სანდო ხალხი ვართ.

დოდო გასუსული იჯდა. ეტყობოდა ეგ საუბარი არ ეპიტნავებოდა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა.

– მაგაზე არაა საქმე. – მწყრალად თქვა ილიამ, – აქ მანდელსანი გვახლავს. ჰო. უცხო მაწდილოს ნიშანია.

– სამარე ვარ მე, – განაზდა დოდო.

– არც მაგაშია საქმე. კობა ნამეტნავად წრფელია და მიმნდობი. არ ეგების ამგვარი მიამიტობა ჩვენს საქმეს.

– შიში ნუ გაქვთ, – სცადა ყველას დაწყნარება კობა ნიაურმა. მე თქვენთან ვამბობ ამას, განა სხვებთანაც ვიტყვი. რომ დამიბარონ, იქ უარზე ვავალ. თქვენ კი გენდობით და იმიტომაც გეუბნებით... მთავრობის დამხობა აუცილებელია.

ილიამ მზერა უფრო გაამძაფრა. იგი ეჭვის ჭიაშემძვრალს ჰგავდა.

– კარგით, კარგით, – წამოდგა კობა ნიაური, – შენ ახლა ქალი გახლავს და ჩვენთან ვერ წამოხვალ. ხვალაც გვექნება სხდომა. ზუსტად თორმეტზე გამოცხადდი, სანდრო. დრო არ ითმენს. სულ რაღაც ათი დღე დარჩა...

კობა ადგა. გაჩქარებული ნაბიჯებით გაემართა. ილია დინჯად მიჰყვებოდა. აქეთ-იქით იცქირებოდა. რომ შემოტრიალდა, სანდრომ ღვინით სავსე ჭიქა ასწია. ილიას არ გაუღიმია. ცივი მზერით გაშორდა იქაურობას.

– გაანებე თავი, სანდრო ამ კაცს. – მუდარით უთხრა დოდომ.

– არაა ეგ კაცი საშიში.

– საშიშზე არაა საქმე. ნამეტანი გულღიაა... ყველაფერს ლაპარაკობს. ჰო, ყველასთან.

– მართალი და პატიოსანია და იმიტომ. რასაც ფიქრობს, იმასვე ლაპარაკობს. სხვაგვარად არ ძალუძს;

– შეეშვი მაგას. შარში გაგხვევს.

– გახვეულიც ვარ და შეხვეულიც.

– მე ხომ შენგან ყურადღება მჭირდება. რა დროს ამბოხია. ისევ არ მიმატოვო. იმ საქმეში თუ ჩაერიე, ჩემთვის შენ ვერ მოიცლი.

დოდომ თავი ჩაღუნა. რომ ასწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი, სანდრომ ცრემლები დაინახა მის თვალებში.

11

სამზარეულოდან შემწვარი ხორცის სუნმა გამოჟონა. ოხშივარის ხმაც მოისმოდა. ცხვირში შეუღიტინა სანდრო კაკუბერს.იგი არ ჰგავდა კარტოფილის სუნს. ბაჩოს უთხრა, მიდი, გაიგე, დედაშენი რას წვავსო. ბაჩო გაიქცა. ხელათ მობრუნდა. მწვადებსო, უპასუხა. სანდრომ მაცივარი გამოაღო. იგი პროდუქტებით პირთამდე იყო სავსე. უწინდებურად მარგოს წყევლაც აღარ ისმოდა. არ წკავწკავებდა იგი. მარგოს წინსაფარი შემოეკრა წელზე. გაბადრული სახითა და აციმციმებული თვალების მზერით ტრიალებდა სამზარეულოში. ოთახში რომ შემოვიდა, ქმარს კეთილი მზერა მიაპყრო. სანდრო გაჰკვირდა. გააოცა ცოლის მოზიმზიმე განწყობილებამ. ოთახში ციკო შემოფაჩუნდა. სანდროს მუხლებზე შეასკუპდა და ტიტინი დაიწყო.

– ხელფასი აიღე, მამა?

– კი შვილო, როგორც იქნა, ღვთის წყალობით.

– ღმერთმა მოგცა, მამა?

– კი, კი, – ენა გაუქვავდა დაბნეულ სანდროს.

– ღმერთი კარგია, მამა?

– კი, კი, კარგია. – ენა აებნა სანდროს.

ჩაფიქრდა. უხერხულობა დაეუფლა. სხეულში რაღაცნაირი შიშიც შემოეპარა ღმერთის ხსენებაზე.

– არა, შვილო, ღმერთს არ მოუცია.

– აბა, ვინ მოგცა. აკი თქვი, ღმერთმა მომცაო.

– შემეშალა, შვილო.

– აბა, ვინ მოგცა? – დაიჟინა ციკომ.

– სატანამ. – მოჭრა სანდრომ და დადუმდა.

– სატანა კარგია, მამა?

– ცუდია, ძალიან.

– მაშ, ფული რატომ მოგცა?

– შევეცოდე და იმიტომ.

– ღმერთმა არ შეგიცოდა? აკი კარგიაო.

– კი, კი. ძალიან კეთილია ღმერთი.

– მაშ, რატომ არ მოგცა?

– ვთხოვე, მაგრამ... შენ თვითონ ხელი გაანძრიეო. ხელიც გავანძრიე და თავიც, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მერე სატანა გამომეცხადა. მითხრა, მე მოგცემო.

– გამოართვი, მამა?

– გამოვართვი, შევცდი და გამოვართვი.

– მამა...

– თავი გამანებე, შვილო. – ერთბაშად აფეთქდა ჩიხში მომწყვდეული, სახეშეჭირვებული სანდრო. მეტი ვეღარ მოითმინა. გიჟივით წამოვარდა. ოთახში წრიალი აუტყდა.

ციკოს შიშმა გადაუარა სახეზე.

– მაპატიე, მეტს აღარ გეტყვი. – თქვა მან.

ციკო გაისუსა. ამ დროს მარგო შემოვიდა. რაღაცნაირი მოზეიმე იერი დაჰკრავდა. მალე დაგაპურებთო, მიმართა ბავშვებს. სანდროს პერანგის საყელო გაუსწორა. ბავშვები აჟივჟივდნენ. მამამ რომ დაუცაცხანა წელან, იგი დაავიწყდათ, ერთბაშად გახალისდნენ დანაყრების მოლოდინში.

ზარი დაირეკა. კარი სანდრომ გააღო. მეზობლის დედაბერი ლასლასით შემოვიდა. მშიაო, თქვა. დამეხმარეთო. დაბრძანდითო, მიმართა სანდრომ.

– არა, შვილო, არ შეგაწუხებთ. გამაღიზიანა სუნმა. ხორცისაა არა? იქნებ დამანაყროთ.

– ახლავე, – თქვა სანდრომ. სამზა-

რეულოში შევიდა. იქიდან თეფშით ხახვმოყრილი ხორცის ნაჭრები გამოიტანა;

– დიდი მადლობა. – თქვა აცრემლებულმა დედაბერმა. სამჯერ გადაისახა პირჯვარი.

სანდრომ კარამდე მიაცილა. ფული ამოიღო და დედაბერს ხალათის ჯიბეში ჩაუდო. დედაბერი აქლოშინდა. ნელი ნაბიჯებით დაეშვა კიბეზე.

სანდრო ტახტზე წამოწვა. ფიქრს მისცემოდა. ის იყო სიგარეტს მოუკიდა და საფერფლე გამოიჩოჩა, ისევ დარეკა ზარმა. მეორე მეზობელმა შემოყო თავი. იგი ადრე პროკურორად მუშაობდა. ფულს ხომ არ მასესხებდით ცოტასო, უთხრა მან სანდროს.

– ა? – პირი ღიად დაურჩა სანდროს.

12

ტახტზე წამოწოლილიყო. მარგო საძინებელ ოთახში ბავშვებთან ერთად ტელევიზორს უცქერდა. უცბად წამოვარდა. ნაცნობი გვარსახელი მოესმა. არა, ყურებს არ დაუჯერა. „დღეს დააკავეს შეთქმულებაში ეჭვმიტანილი კობა ნიაური“. გამოაცხადა დიქტორმა. ელეთმელეთი დაემართა. კიდევ კარგი, ოთახში მარტო იყო. სიგარეტს ეცა. წრიალი აუტყდა. ნუთუო, თქვა. ეს „ნუთუ“ გაეჩხირა გონებაში. ჩაიცვა. გარეთ გავარდა, ქუჩაში. იქნებ სუფთა ჰაერმა დამაწყნაროსო. შემობრუნდა ოთახში. ქუჩაში გასვლა გადაიფიქრა. ფეხთ გაიხადა. ბიჯაკიც გაიძრო. კუთხეში მიაგდო, ტახტზე. სული შეეხუთა. ჩამოჯდა. მერე ისევ წამოდგა. ჩამოჯდა და ისევ ... ანგარიშმიუცემლად იმეორებდა: ნუთუ, ნუთუ...

გვერდითი ოთახიდან მარგოს ყვირილი მოესმა. ბავშვებს დაუცაცხანა ქალმა. ალბათ ფული შემოაკლდაო, გაიფიქრა. ნეტა მომცა ენის მოსაკვნეტი მაკრატელი ან მდულარე წყალი, მაგრამ მდულარეც რომ გადაყლაპოს? მგონი მაკრატელსაც მიაყოლებს. „რამ გამაგულისა ეგრერიგად ეხლა მარგოზე? ნიაურის დაჭერა ფეხებზეც არა მკიდია!“ ფიქრი წამში შეეცვალა. ნიაური შეეცოდა. მერე ისევ: „ნიაური ფეხებზეც არა მკიდია!“ მერე ისევ შეცოდების შეგრძნებამ დაუთუთქა გული. „რა სისულელე ჩამიდენია, უნდა გამოვისყიდო დანაშაული. მაგრამ როგორ! სხვა გზა არაა. ეს რა ჩამიდენია. გასკდა მარგოს მუცელი“. დაყვირება მოუნდა, ხმამაღლა დაღრიალების სურვილმა მოუღიტინა. შერცხვა და გაყუჩდა. სურვილი და ჟინი მოთოკა. „ეხლა ყველა ყვირის, მე კი სულ გაჩუმებული ვარ. ამიტომაც მეძახის მარგო მუდოს. ცოტა ფული რომ მომცა, სადმე გავემგზავრებოდი, იქ, საცა სიმყუდროვეა. ჩემი ერთი მეგობარი ცოლს სულ უყვირის. ყვირილით იოხებს გულს. „მოდი, ავღრიალდები, ფიქრობდა სანდრო კაკუბური. მაგრამ ხომ იტყვიან ეგ კაცი ვერ არის რაო. სჯობს ისევ სიჩუმით ვებრძოლო წუთისოფელს, უნდა გავუძლო“.

მარგოს მყივანა ხმამ გაკვეთა სიჩუმე. სანდროს ისევ აეშალა ფიქრები. „ბავშვობაში ამ ქალს შემწვარი გველი ან ხვლიკი ხომ არ შეაჭამეს ნეტავ“. ამის გაფიქრებაზე გულიანად გაეღიმა. იფიქრა ამ ხასიათს გამოვიყოლებო, მაგრამ წამიერი გამოდგა ნეტარი ღიმილი. თავში ჩაეკირა ის ორი სიტყვა: „საძაგელი ვარ“. რამდენიც არ შეეცადა თავიდან ამოეგდო იგი, პირიქით კი გამოდიოდა. მეხსიერების ფიცარზე უფრო მყარად ჯდებოდა იგი. ოდნავ შემსუბუქებას აღწევდა დანაშაულის გამოსყიდვის ფიქრზე მცდელობა, რომელიც ახლო მომავალში

უნდა განეხორციელებინა. ეგრეც ვარაუდობდა.

მოდი, ასე ვიზამო მომავალში, გაიფიქრა. ამის გაფიქრებამ შვება მოჰგვარა. მერე გულზეც სიამე მოეფონა. მარგოს ყვირილს კი ყურადღებას არ მივაქცევო. ერთ ყურში რომ შევუშვებ, მეორედან ხელათ გამოვუშვებო. მაგრამ იმ მეორედან რომ არ გამოვიდეს და შიგ ჩარჩესო? თავისთვის გაეცინა. რა მაქვს სასაცილოო. ტირილი მოუნდა. მოდი, ავტირდებიო. ფეხებზეც არ ჰკიდიათ, ვიტირებ თუ ვიხარხარებო. ახლა ისეთი დროა, საკუთარი თავის გარდა არავის არავინ არ ახსოვს. გინდა იტირე, გინდა ყირა აჭიმე შუა ქუჩაში.

ატირება გადაიფიქრა. ფიქრმა მოღალა. სიგარეტს მოუკიდა, ეს უკვე მერამდენედ. რომელი საათია ნეტავ? – ჰკითხა თავის თავს სანდრო კაკუბერმა. გვიანაა, თორემ დოდოსთან წავიდოდა, ნეტავ ორცოლიანობა იყოს დაშვებული. დოდოსაც შევირთავდი. სულ კი ვერ დავრჩებოდი დოდოსთან. ხან იქ, ხან აქ, ბაჩოსთან და ციკოსთან ვიქნებოდი. აკი მეხვეწა, შემირთეო. ასე აჯობებს. მარგოს ყვირილი რომ დამღლის, დოდოს ვეახლები. მერე კი დოდოს დუმილით თავმობეზრებული, მარგოსთან გავიქცევი. კაი რამე კია ორცოლიანობა, კარგი რამე, მე და ჩემმა მზემ. არასოდეს არ მოიწყენ. მე კი დამანელა ერთფეროვნებამ, ყელში მწვდა უკვე.

კარადის კარი გამოაღო. პალტო ჩამოხსნა საკიდიდან. სახელოებში მკლავები გაუყარა. ჰმ! – ჩაიცინა. – ახლა ხომ გაზაფხულია. იწურება კიდევაც. ისევ შეკიდა პალტო. ბიჯაკი მოისხა. კი არ იცოდა, სად მიდიოდა. ფეხაკრეფით გაიარა. კარი გაიხურა და კიბეზე ასკინკილით დაეშვა.

გრილოდა. შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო ხელები. ქუჩას მძიმე ნაბიჯებით გაუყვა. სიბნელეში გამხდარი კაცი დალანდა. რომ მიუახლოვდა, ეჭვის თვალით შეხედა. არ შეგეშინდესო, უთხრა გამხდარმა.

– რაზე შემატყე? – ჰკითხა გამხდარს.

– არა, ისე. გვიან ქუჩაში გამოსვლის ახლა ყველას ეშინია. ბიჭბუჭები დაძრწიან. მე არავის არ ვერჩი. იქნებ ფიქრობ, ასე გვიან რატომ დადისო. აქეთ ვიყავი. ერთი გავლახე. მაგრა კი ვურტყი.

– რას ერჩოდი იმ ღვთის შვილს?

– მოგიყვები და მერე თქვი ღმერთის სიკეთე რამ თუ სცხია იმას.

– ვინ იმას?

– ვინც გავლახე, იმას.

– ორი თვის წინათ გავთავისუფლდი კოლონიიდან. ტანსაცმელი დავუტოვე. შიშველტიტველი იყო. გუშინწინ ისიც გაუთავისუფლებიათ. ჩემი ნაჩუქარი ტანსაცმელი კი არ დაუტოვებია პატიმრებისათვის. თან წამოულია.

– გალახვით ეშველება ამ საქმეს?

– იცი, რას ეშველება? წესიერებას. იმიტომაც მოგიყევი ახლა ეგ ამბავი შენ. მსგავს ვითარებაში რომ ჩავარდე, ხომ არ მოიქცევი ისე, როგორადაც იმან ილორა. გუშინ მაცნობეს ციხიდან ეგ ამბავი. ტანსაცმლის წამოღებას ვინ ჩივის... ერთი პატიმარი უფროსებთან ჩაუშვია.

– ა? – ამ სიტყვამ ჭვალივით გაუარა სანდრო კაკუბერს. – ვინ ჩაუშვა ნეტავ? კობა ნიაური ხომ არ ერქვა იმას?

– ვინ იმას?

– ვინც ჩაუშვა, იმას.

– რა მნიშვნელობა აქვს რა ერქვა. არავინ არ უნდა დააბეზღოს წესიერმა კაცმა, მურდალიც რომ იყოს, ისიც არ უნდა ჩაუშვას.

•

ჩაუშვა. ჩაუშვა. ჩაუშვა. ეს ერთი სიტყვა ჩაქუჩივით ურტყამდა საფეთქელზე. მხოლოდ იგი გაბატონებულიყო თავში. მოსვენება დაუკარგა, დაუსრულებლად წრიალებდა ლოგინში. თავი რუმბივით გახდომოდა, სიგარეტს აბოლებდა. არც ძინავამ შეუმსუბუქა გულის ვარამი. თავიდან დანყებული, ვიდრე ჭიპამდე აღმა-დაღმა მიმოდიოდა უსაშველოდ მწველი ტკივილი.

ნაწილი მეორე

1

გაზაფხულის ჟინჟლი დ თქორი ჩათავდა. ღრუბლები, ქუდივით რომ ეხურა ქალაქს, გორაკებს იქით ჩაიხერგნენ და ზეცაც ამაღლდა თითქოს. სიცხიანი დღეები დაიჭირა. სანდრო კაკუბერი ექიმმა დაამშვიდა. წამლებს თავი გაანებე, გაზაფხულზე ჩვეული მოწყენილობა გჭირს და ზაფხულში გაგივლისო. ქალაქში დაძაბულობამ იმატა. ჯერ იყო და ყველა ერაყში გაჩაღებულ ომზე მუსაიფობდა. მერე კი მოახლოებულმა არჩევნებმა დაძაბა ხალხი. იმ ღამის შემდეგ, რაც კობა ნიაურის დაპატიმრების ამბავი გაიგო, ხასიათი ცვალებადი გაუხდა. ფულიც გამოელია და მარგოს წკავწკავი და ნიოკი უჭედავდა ყურს ყოველდღე. თავს უმსუბუქებდა ფიქრი: „ვინაა ეს კობა, იჯდეს რა ციხეში. ქვეყნის ხალხი ზის იქა. ფეხებზეც არა მკიდია". ეს ფიქრი წამში შეუსუსტდებოდა. მერე სულაც გაუქრებოდა და გულს მოუწურავდა. იგი თავს დაუმძიმებდა. სიცოდვილის შეგრძნება უწვავდა გულ-ღვიძლს... ასე ემართებოდა იმ დღეს გზაში მიმავალს, როცა გეგას სახლისკენ მიიჩქაროდა.

სახლი სამსართულიანი იყო, სვანური კოშკის ტიპისა. ქალაქის განაპირას იდგა, მუხისა და კაკლის ხეების ტევრქვეშ. ეზოს გალავანი ჰქონდა შემოვლებული. სანდრო კაკუბერი ჭიშკარს მიადგა თუ არა, ძაღლი აყეფდა. ქოფაკი გამოდგა. ჭიშკარს მოაწყდა. წინა თათებით ფხოჭნა დაუწყო. უკანებზე შემართულიყო. კოშკის კარიც გაიღო. გეგამ გამოიხედა. შიშჩამდგარი თვალები მიმოაცეცა. მკერდზე ავტომატი აეხუტებინა.

– რომელი ხარ მანდ? – როყიო ხმით გამოსძახა მოსულს.

– მე ვარ, სანდრო კაკუბერი.

– ოო, სანდრო?

– რეზომ დამირეკა. შენ დაგირეკავს.

– კი, მე ვთხოვე. სანდროს დაურეკე-მეთქი. ჩემთან მოვიდეს – მეთქი. გადაეცი-მეთქი.

– რა გაგჭირვებია, სანდრო ბატონო.

– ვიფიქრე, ხელფასს მივცემ მეთქი. მაშინდელი ამბავი არ გამახსენო, თუ კაცი ხარ, ეშმაკი შემიძვრა მაშინ. ფუი ეშმაკს... ფუი ეშმაკს.

სანდრო გაოგნდა, განზე გაიწია, გეგას ნაფურთხი რომ აეცილებინა.

– ხელფასი? – ბურდღუნი აუტყდა სანდროს.

– ბოდიში, იქით რომ არ მოგიტანე. შემოდი.

გეგამ ურდულით სწრაფად გადაკეტა ჭიშკარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ვერ ვტოვებ სახლს, დარაჯად ვუდგევარ.

– კი მაგრამ ძაღლი...

გეგას ჩვევად ჰქონდა სათქმელის განყვეტინება.

– ძაღლი მაინც ძაღლია. ისეთი დროა, კაცი უნდა იქცეს ძაღლად.

– რაა საშიში, გეგა ბატონო?

– ფული წამართვა პოლიციის უფროსმა მაშინ. არ გამახსენო. სისულელე კი ჩავიდინე. სულ რო მასხრობდა, იმ უფროსმა წამართვა ფული. სიცილ-მასხრობით წამართვა. ჰოდა, მას აქეთ შიში დამჩემდა. რაც დამრჩა, იმას ვდარაჯობ. ჯერ შოვნამ დაწყვიტა ჩემი ნერვები, ახლა კი ნაშოვნის დარაჯობამ დამღალა.

ამ საუბარში იყვნენ გართული. უცბად ჭერის მარჯვენა კუთხე ჩამოირღვა. ბათქაში ჩამოცვივდა. გამოჩნდა გადაჯვარედინებული ტკეჩები. გეგა დაფეთებული წამოვარდა. პირჯვარი გადაისახა. თავი ზევით აღაპყრო. კანკალებდა.

– ადექი და შენც გადაისახე პირჯვარი – უთხრა გეგამ სანდროს. უფალო ქრისტევ, ღმერთო მაღალო, შემიწყალე მე ძე შეცთომილი. ადექი. გადაიწერე პირჯვარი. აი, მე არ მახსენდება ყველა ცოდვა, ეტყობა, კიდევ მაქვს ცოდვები და ღმერთი მსჯის. როგორც კი ვილოცებ, ცოდვა მახსენდება და ვინანიებ. ვილოცე ამ დილით და შენ გამახსენდი. რო მიგატყუე, ის...

მარჯვენა ყბა უცახცახებდა. სანდრო კაკუბერმა დაინახა, რომ გეგას ყბა დაუგრძელდა, წვრილი გაუხდა. სახე მორღვეოდა. ცახცახებდა.

დაიქუხა. უეცრად დაუშვა წვიმა. სარკმელი ელვამ გაანათა. ჭერის კუთხეში, გამორღვეული ადგილიდან წვიმის წვეთები ჩამოწკაპუნდნენ. სანდრომ დაინახა, გეგამ თვალებზე ხელისგულები აიფარა. ძაგძაგი აუვარდა.

– ნუ გეშინია. წვიმა დაიწყო, ეს წვიმს, გეგა ბატონო.

– უფალო ქრისტევ, ღმერთო მაღალო, შემიწყალე მე მე შეცთომილი – გაიმეორა გეგამ და სამჯერ გადაისახა პირჯვარი. – ალბათ კიდევ მაქვს ცოდვები ჩადენილი. მეხსიერება მღალატობს.

– არც ისე ასაკოვანი ხარ, სანდრო ბატონო.

– ნერვიულობამ მიქნა ეს ყოველივე. გულმავიწყი გავხდი. ფული რომ შემაწერეს, მაშინ ჩამენერგა შიში.

სანერვიულო რა უნდა გქონოდა. საჭმელი შენ არ გაკლია და სასმელი.

– ფული რომ წამართვა პოლიციის უფროსმა, მაშინ ვინერვიულე. კიდევ მაქვს და იმიტომ მეშინია.

– კიდევ თუ გაქვს, რა განერვიულებს, შე კაცო.

– სიმწრით მქონდა ნაშოვნი. მეცოდება ის ფული.

– ჰოდა, იმათაც სიმწრით იშოვეს...

– ვინ იმათ.

– ვინც წაგართვა. იმათ... პოლიციამ.

– პოლიციასაც ხომ უნდა ჭამა.

– ჰო. ისინიც ამას ამბობდნენ. ჩვენც ხომ გვინდა ჭამაო. მივუტანე. მას აქეთ შიში ჩამენერგა.

– შიში იმათაც ექნებათ, სანდრო ბატონო.

– ვინ იმათ?

– ვინც წაგართვა იმათ. წამრთმევსაც უჩნდება შიში. იქნებ იმის გამო გაგიჩნდა ეგ შიშები, ჩვენ რო ხელფასები მოგვპარე.

– არ გეთქვა ეგ. ჯობდა მოგეკალი.

ისევ გაგრუხუნდა. გეგა წამოხტა.

– ღმერთო მაღალო... – კუთხეში მიდგა გეგა და ლოცვა აღავლინა. – შემიწყალე მე...

სანდრო გაოგნებული შეჰყურებდა. ვერ წარმოედგინა გეგას ამგვარი

სახეცვლილება. ეჭვიც კი შეეპარა, იქნებ გეგა კი არა, სხვა ვინმეაო. ძაღლმა დაიბუხუნა. ეტყობოდა, ჭიშკარს ვიღაც მოადგა. გეგამ ავტომატს დაავლო ხელი და ეზოში გავარდა. მალე შემობრუნდა. ვიღაც უცნობი შემოჰყვა, ჩასკვნილი ახალგაზრდა კაცი, ხეპრეს გამომეტყველებით. უტიფრად იცქირებოდა.

– დაჯექი. – სკამი შესთავაზა გეგამ.

– დასასვენებლად კი არ მოვსულვართ. – უხეშად თქვა უცნობმა.

– რაზე შეწუხებულხარ? – ჰკითხა გეგამ.

– ხელფასი არ მოგიცია, – ეს რომ თქვა, ხეპრემ სანდროს თვალი ჩაუკრა რატომღაც.

– რომელი ხელფასი?

– დაგავიწყდა.

– ნამდვილად.

– წყნეთში რომ მაკაფინე ტყე... იმისი ხელფასი.

– აა... გამახსენდა. რამდენი გერგებოდა? ღმერთო კი მომკალი. რამ დამავიწყა. რამდენი გერგებოდა?

– 300 ლარი და... კიდევ 5 ლარი.

– ახლავე ჩამოგიტან.

გეგა ხვეულ კიბეს აუყვა. კიბე მეორე და მესამე სართულებზე ადიოდა.

სანდრომ მკაცრად შეხედა უცნობს. ხეპრე თვალს არიდებდა. როგორც იქნა, მისი მზერა დაიჭირა.

– ახალგაზრდა!

– რა იყო.

– რატომ ტყუი, რატომ!

– რაო?

– წყნეთში სამნი ვჭრიდით ტყეს. იქ შენ მე არ მახსოვხარ.

უცნობს ნირი წაუხდა.

– შენც სუ და მეც სუ! გულმავიწყობა დაემართაო, ამბობენ. ვაწერ რა...

– ვინ გითხრა, გულმავიწყობა რო დაემართა.

– ერთმა... ვინც შეაწერა ფული.

– რა, სირცხვილი! გეგა ხომ ყველას აწერდა ფულს. ამიტომ ვაწერ მეც.

– გეგას ცოდვები გინდა აიკიდო, არა? შენ გინდა ზიდო გეგას ცოდვები? თფუჰ!

– ქურდის ქურდი ცხონებულაო. ასე ამბობენ, ასე.

– შეეშვი სიბრძნეს. არ გავხარ შენ სიბრძნით აღსავსე კაცს. ხელი აიღე სულელურ განზრახვაზე. არ გამოართვა ფული!

– შენ ვინ გკითხავს!

ხეპრე ადგა.

– გაჩუმდები?

– არა! – მიახალა სანდრომ.

– გამყიდი?

– კი!

– ფულს მაკარგვინებ. ბავშვი მყავს მშიერი.

– მე ცოდვის ჩადენას მინდა აგაცდინო.

– წილს მოგცემ მაგ 305 ლარიდან. არ თქვა ახლა ანგელოზი ვარ და ცოდვა არ ჩამიდენიაო.

– არ მინდა. რა წილი! ცოდვა კი...

სათქმელის დასრულება არ დასცალდა სანდროს. უცნობი წამოხტა. სახეში თხლიშა სანდროს და გაიქცა. ენა და ტუჩი დაზიანებოდა.

გეგამ შეიცხადა, რა რომ ნახა სანდრო გასისხლიანებული და ტუჩგახეთქილი. სასწრაფო გამოიძახა. ისიც მალე მოვიდა. გეგამ ექიმს ხალათის ჯიბეში ფული ჩაუცურა და შეეხვეწა, გულისხმიერა გამისინჯეო.

– საავადმყოფოშია წასაყვანი, – კარგა ხნის ფიქრის შემდეგ დაასკვნა ექიმმა. – ენაზე ნაკერია დასადები... გახეთქილი აქვს.

– ისეთი ცოდვა აქვს ჩადენილი ამის ენას? – გაიოცა გეგამ.

•

საავადმყოფოდან საღამოსვე გამოწერეს სანდრო კაკუბერი. გეგამ აუჩემა, გინდა თუ არა, იმ ჯეელისთვის მისაცემი 305 ლარი შენ უნდა გაჩუქოო. სანდრომ ქვა ააგდო. სხვის ცოდვას მე ვერ ვზიდავო. მხოლოდ თავისი კუთვნილი ხელფასი გამოართვა. იმ საღამოსვე დაბრუნდა სახლში. მარგოსთვის ხმაც არ გაუცია. შეწვა თუ არა ლოგინში, ეგრევე ჩაეძინა. ჯერ ღრმად ეძინა. ნაშუაღამევს კი სიზმარმა ააფორიაქა. ფულები ეყარა მაგიდაზე. სანდრო ითვლიდა და ითვლიდა. რამდენიც არ დათვალა, 305-ს 2 ლარი აკლდებოდა. შეაწუხა ამ დანაკლისმა. მარგო ადგა თავს, თვალი რომ გამოახილა. რა გაბღავლებდაო, ჰკითხა მარგომ. როდისო. ძილშიო, უპასუხა მარგომ.

2

ღია სარკმლიდან ჩიტების ჟივჟივი მოესმა. მოღრუბლულიყო და ჩიტი სითბოს თხოვდა მის გამოფრქვევას. ლოგინიდან ზანტად წამოდგა. წარმოიდგინა თუ რა ნეტარებით შეავლებდა დილაუთენია მაგიდაზე დადებულ ფულს. რაც გუშინ გეგამ გადაუხადა, სულ დაუტოვა ცოლს. მაგიდაზე პატარა ბარათიც დაუტოვა: „ბავშვებისთვის სანოვაგე იყიდე, ციკოსთვის კი ფეხსაცმელი“.

ეს იყო დილით. ახლა კი მოსაღამოებულიყო. შინ აჩქარებული მიეშურებოდა. დღეს მაინც კმაყოფილი დარჩებოდაო მარგო, ფიქრობდა გზაში. მეტროთი იმგზავრა, მერე ორი გაჩერება ავტობუსით. წარმოიდგინა ბავშვების გახარებული თვალები, ციკო ახალ ფეხსაცმელში. რაც ჰონორარი მიიღო, სახლში კაპიკის საღირალიც არა მოუტანია რა. ის ჰონორარიც, ეს თვალრადი და უკანასკნელი გამოდგა.

რეზოს გავუვლიო, გაიფიქრა. მარჯვნივ აუხვია და რეზოს სახლს მიადგა. კარი სიმპათიურმა მანდილოსანმა გაუღო. რეზო მოიკითხა. მანდილოსანმა უპასუხა, შინ არ გახლავთ, სამსახურშიაო. სანდრო კაკუბერი დაინტერესდა, ნეტა როგორი სამსახური იშოვაო.

– სად ნეტავ, ვისთან მუშაობს? – ჰკითხა მანდილოსანმა.

– რეზოს გაუმართლა. რაიონის გამგეობაში მიიღეს. – უპასუხა ქალმა.

სანდრო ქალს გამოემშვიდობა. გატრიალდა და სახლისკენ ფეხით გაუყვა გზას. თვალწინ დაუდგა მუდამ პირველობისაკენ მიმსწრაფი რეზო, სამეულშიც კი ბრიგადირობას რომ გამოჰკრა ხელი, ზემოთ, ხე-ტყის დამზადებისას. „აქტიური ვინმეა, ფიქრობდა სანდრო, განა ჩემსავით პასიურია. მე მუდამ სხვებს ვუთმობ პირველობას“.

ბინას მიადგა ნაბიჯაჩქარებული. ზარის ღილაკს ნერვიულად დააჭირა თითი. გაიღო თუ არა კარი, სიმღერის ხმა შემოესმა. ერთი ურიამული იდგა სასტუმრო ოთახში. ხმაურიანი ლხინი გაემართათ.

– ვინც მოვიდა, გაუმარჯოს. – დაიყვირა მარგოს ბიძაშვილმა გელამ. იგი კარგა შეზარხოშებული ჩანდა. გელას გვერდით მარგოს ძმა თვლემდა, არჩილს სასმელი მორეოდა. ეტყობოდა, ქეიფი რჯულზე მიდიოდა.

– გაგიმარჯოთ. – ცივად თქვა სანდრომ.

– დღეს ქეიფი გვაქვს, ლხინი. – ჩიფჩიფით თქვა შემთვრალმა მარგომ. სანდროს მიეჭრა და ლოყაზე აკოცა.

მერე ქმარს უბრძანა, ძვირფასო, ხელზე მეამბორეო.

სანდრო ჯერ გელასი და არჩილის მეუღლეებს ეამბორა ხელზე, მერე კი მარგოსთვისაც მოიცალა. მარგოს ყმაწვილქალობა გაახსენდა, ლოყებაწითლებული რომ იხილა. მშვენიერი გოგო კი იყო, წყნარი და თვინიერი. მერე და მერე სრულიად საპირისპირო ხასიათისა ჩამოყალიბდა. ალბათ ცხოვრებამ ქნა ეს – დაასკვნა სანდრომ. ყმაწვილქალობის სიხალისე გაუქრა. ფუფუნება რომ მოაკლდა, ანჩხლი და წიოკა გახდა. ბავშვებს რომ მოშივდებოდათ, გული ეწურებოდა, ეზოს ძაღლივით ყეფას ატეხდა. მეზობლის ქალი უჩიჩინებდა, ე გოგო, სულ ნუ ჩამოგტირის ცხვირ-პირი, იცინე, თორემ ადრე დაბერდებიო. ყალბად გაღიმება არ შეეძლო. ისე კი სახალისოდ საქმე არ მისდიოდათ.

– იცი, სანდრო, რისთვის მოვედი? – თქვა გელამ და სახე შეეჭმუხნა, საქმიანი კაცის იერი მიიღო.

– საქეიფოდ. კარგია, განა ცუდია.

– ეგ კია ეგრე, მაგრამ სხვა საქმეც მაქვს შენთან.

– გისმენ.

– იმიჯმეიკერი თუ იცი რაა?

– დაახლოებით კი.

– დეპუტატობის კანდიდატი ვარ.

– იყავი მერე. განა მე შეგეცილები, – გაიცინა სანდრომ.

– იცი, შენგან რა მინდა?

– ვერაფერი გავიგე, რომ შემეძლოს, ეგრეევე დაგსვამდი პარლამენტში.

– არა, მაგი კი არა... ილაპარაკე ხალხში... ჩვენი პარტია თუ გაიმარჯვებს, ხელფასებს ყველას მოუმატებენ-თქო.

– რა ჰქვია თქვენს პარტიას?

– „მიახლოება“.

– თქვენ კი უახლოვდებით პარლამენტს, მარა... რო არ მოუმატოთ ხელფასი ხალხს... ხომ დამგლეჯენ მე ტყუილისთვის;

– ეე, მოგცლია ერთი! – ხელი აიქნია გელამ.

– თქვენ პარლამენტში გაიჯგიმებით. ქუჩაში დაცვით ივლით... მე კი ხალხს შემატოვებთ.

– ეე, მოგცლია ერთი. დამიჯერე. იმუშავე და იმიჯმეიკერობის ხელფასს მიიღებ.

“უნდა აიღო ეხლა ეს ნაგავი და გადაუშვა დიდ სანაგვეში – ფიქრობდა სანდრო, – თუკი სავსე არაა. სანაგვეების მეტი რაა ჩვენში“.

– არ მოიწყინო, ჩემო სიცოცხლევ. – ფიქრი გააწყვეტინა მარგომ.

– ჰო, ჰო. დაფიქრდი. „მიახლოება“ ხალხისთვის მზრუნველი პარტიაა. ჩემი პარტიაა. მას გელა ჩილაჩავას პარტიას ეძახიან.

მთვლემარე არჩილმა თავი წამოსწია.

– ყველაზე საიმედო ჩვენი პარტიაა და არა თქვენი;

– და რა ჰქვია თქვენს პარტიას! – ჰკითხა სანდრომ.

– „მზრუნველი“. საიმედო პარტიაა, გელას პარტია კი ცარიელი დაპირებებია.

– რას ჰქვია ცარიელი. – გაანჩხლდა გელა. – სწორედ რომ ხალხზე ზრუნავს ჩვენი პარტია.

– ნეხვია თქვენი პარტია და მეტი არაფერი. – დაიყვირა არჩილმა.

“ამ ორ ნეხვს დიდ სანეხვეში უნდა გადაუძახო, ადგილი თუკია იქ. – გაიფიქრა სანდრომ. ან გალახო, დასაჯო. მაგრამ ასეც არ გამოვა. მე თუ დავსაჯე, ღმერთმა ვიღა დასაჯოს მერე?“

– ნუ მოიწყინე, სანდრო, გენაცვა-

ლე. – მოფერებით მიმართა მარგომ, რომელსაც თვალები აუუუნებოდა.

გელა და არჩილი თავისას მიერეკებოდნენ.

– ნეხვია თქვენი პარტია.

– ჩვენი კი არა, თქვენია ნეხვი. სანდრო, ჩემო, ესე იგი გელას პარტიას გაუწიე პროპაგანდა. იცოდე, კაი ხელფასსაც მიიღებ.

არჩილს ნამეტნავად მოკიდებოდა სასმელი. ნერვები ვერ მოთოკა. აიღო ჭიქა და ღვინო შეასხა გელას სახეში. გელამ სველი წამწამები ძლივს გახსნა. წამოიწია და ალიყური აჭამა ბიძაშვილს. ორთავე წამოხტა, ხელები მომუშტეს. სანდრო ჩავარდა შუაში.

– კარგით, დაწყნარდით, – დაუყვავა სანდრომ ორთავეს. – პარტიების მეტი რაა. ლამის არის პარტიებად გვექცეს ქვეყანა. ერთ პარტიაში გაერთიანდით. ბიძაშვილები ხართ ბოლოს და ბოლოს.

მოჩხუბრებს არაფრის გაგონება არ სურდათ. დაბღვერით შესცქეროდნენ ერთმანეთს.

– რა გჭირთ, კაცო – ხმას აუწია სანდრომ, ეგრე გამოდის რომ სისხლს სხვადასხვა მილებში უშვებთ სადენად. თუ ორთავე პარტიაა ნეხვი, გააერთიანეთ და ერთ დიდ ნეხვს მიიღებთ.

მოჩხუბრები მუშტებს უღერებდნენ და უმიზნებდნენ ერთმანეთს, მაგრამ რაკი სანდრო იდგა შუაში, მიზანს მაინც ვერ აღწევდნენ. ქალები წიოკობდნენ და თავ-თავიანთ მეუღლეებს ზურგზე ექაჩებოდნენ. არჩილმა დრო იხელთა, მაგრად მოიქნია ხელი. გელამ უკან რომ გაიწია, მუშტი სანდროს მოხვდა ყბაში. ახლა გელამ მოიქნია მუშტი. არჩილმა სხარტად ისკუპა განზე. გელას მუშტიც სანდროს მოხვდა.

მარგოს დაკივლებაზე ბიძაშვილები დაზავდნენ. სანდროს გაჭირდა, ნაფხაჭნიც არ ეტყობოდათ მარგოს ძმასა და ბიძაშვილს.

3

იმიჯმეიკერის ხელფასის მიღებაზე დათანხმებული სანდრო კაკუბერი ზღვის დასახლებაში ერთ განიერ ეზოში შევიდა. თალარის ქვეშ გრძელი მაგიდა იდგა. მაგიდას წელზევით შიშველი მამაკაცები შემოსხდომოდნენ. ისინი მზეზე გარუჯულიყვნენ. რამდენიმეს ევროპული ყაიდის შორტები ეცვა. ამგვარ ჩაცმულობას შეუჩვეველი სამხრეთელები ამრეზით უყურებენ ხოლმე. ცხვირსაც იბზუებენ. მამაკაცები ლუდს სვამდნენ პირდაპირ ბოთლიდან. თალარი ვაზს, უკვე გვარიანად შეფოთლილს, დაეფარა და ჩრდილქვეშ მოექცია. ამ ჩრდილში მაინც ატანდა მზე, რომელსაც სხივები მაგიდაზე პროჟექტორივით დაერჭო, ლერწებზე გამოსხმულიყო სუსტი, ჯერ კიდევ ბუსუსისმაგვარი მტევნები. მამაკაცთაგან ზოგი დომინოს თამაშობდა, ზოგი ჭადრაკის დაფას მიჯდომოდა. უფრო აზარტულები ჯოკერით ერთობოდნენ, ბუზები ასხდებოდნენ წარამარა, უფრო მხრებსა და მკლავებზე, და ისინიც იგერიებდნენ დროდადრო. სანდროს გამოჩენა ხელათ შენიშნეს და ფეხზე წამოდგნენ, კავკასიელთა წესის თანახმად. ლუდი მიაწოდეს. მიირთვიო, უთხრეს. სანდროს უარი არ უთქვამს. თავპატიჟს არ იყო ჩვეული. გელას პარტიაზე საუბარი ერთბაშად არ ჩამოუგდია. ნიადაგის მოსინჯვა გადაეწყვიტა. ხელსაყრელი მომენტის ჩაგდება ეწადა. მოთამაშეები ერთობოდნენ, თან საუბრობდნენ. სანდრომ მათ საუბარს მიუგდო ყური, ცოტა ხანში გაუმართლდა. თვით მოთამაშეები ალაპარაკდნენ

პოლიტიკაზე. ეს მოსალოდნელიც იყო. უკანასკნელ ხანს ქალაქში ყველა პოლიტიკაზე ბაასით იფხანდა ენას, მოზარდებიც და ხნიერებიც. ერთმა, დომინოს რომ თამაშობდა, იმან, მეორეს რუსეთის აგენტი უწოდა. იმ მეორემ არ დააყოვნა და პირველი ამერიკის აგენტად მონათლა. რუსეთისა გაგულისდა. თქვა, რუსეთთან ურთიერთობამ ის სიკეთე მაინც ქნა, ურჯულოთა შემოსევისაგნ გვიხსნაო. ამერიკისა თავს დაესხა, რუსეთმა გეორგიევსკის ტრაქტატი დაგვირღვიაო. რუსეთისამ ამგვარი პასუხი გასცა. ყველა უცხოეთში გარბის და ნატოში შესვლამდე არც ნატოები შეგვრჩება, არც კატოები და აღარც კოტეებიო. ამაზე ხმამაღალი სიცილი ატყდა. რუსეთისამ გააგრძელა. ქვეყანა ახალგაზრდებისაგან თუ დაიცალა, მერე რა, მე და შენ, 60-ს მიღწეულები გავამრავლებთო ერს. ხარხარმა გრუხუნივით გადაიარა, ამერიკისას პასუხის გაცემა არ გასჭირვებია. ამერიკამ დემოკრატია გვასწავლა, ხომ ხედავთ, რამდენი პარტიები გვყავსო,. რუსეთისამ – არსად დაგეკარგოს ეგენი, მშვიდობით მოიხმარეო. ამერიკისას ხმა ჩაუწყდა. წონასწორობიდან გამოვიდა და... ყელში ნუ ამომიყვანე, ნერვები, მაგისი დედა ბოლოს და ბოლოსო. ყველა პარტიის დედაც ვატირეო. ასე თქვა.

პარტიების ხსენებაზე სანდრომ ყურები ცქვიტა, აი, დადგა მისი ჯერიც. ასე დაიწყო. დამიგდეთ ყურიო. კარგიო, ხომ ბევრი პარტიაა. სიტყვა გაუწყდა და ისევ აჩემებული „დამიგდეთ ყური“ მოიშველია. ყველაზე საიმედო პარტიაა „მიახლოება“. იგი ხალხისთვის ზრუნავსო. ვილაცამ ჩაიხორხოცა, ხო-ხო, ღამეებს ათევს ხალხზე ფიქრითო. სანდრომ ყურიც არ ათხოვა და განაგრძო. ხელფასებს ვაგიზრდითო „მიახლოება“. ...ბ ...ვ ...ბ ...ბ ...ბ

დიანები, დადეშქელიანები, ჯანდიერები ხომ არ შეგიქმნიან პარტიებსო. ისინი ხომ შენმა წინაპრებმა ამოჟუჟესო. ეს თქვა და მსმენელთ თვალი ჩაუკრა. ალბათ თვალის პაჭუნი ჰქონდა ჩვევად, თორემ ისე რატომ უნდა ჩაეკრა. ღიპიანმა ხმა არ გასცა, პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა. აიღო ლუდი და შეუდგა სმას. ლიტრიანი ჩაუშვა ხახაში. წყალგადავლებულმა ხვეწნით უთხრა, ცოტა ვერ დამიტოვეო. ღიპიანმა საკითხი ასე დაუსვა. მე სამ ნოტს ჩავაბულბულებ, ერთი სიმღერისას. თუ ამოიცნობ, ლუდს დაგალევინებო. დაყაბულდა წყალგადავლებული. რა ენაღვლებოდა რა. თუ ამოიცნობდა, დალევდა, თუ არადა მაინც მწყურვალი იყო. ასეთებს რა გამოლევდა. დაიწყო. უუუ-უ-უუ-უუუ. აქ მრავალწერტილი იგულისხმა წყალგადავლილმა პირი დააღო, ლუდის დასალევად კი არა... იმ სიმღერის არა გაეგებოდა რა. ესე იგი წააგო. ულუდოდ დარჩა.

რუსეთისა არ ცხრებოდა. ნამეტნავად მიაწვა ამერიკისას. უთხარი, რა უნდოდა, თუ იცი, ამერიკას ერაყშიო. რუსეთს რა უნდოდაო, უთხრა ამერიკისამ, სულ იარაღს რო აწვდიდა. რუსეთისამ – იგი სანადირო თოფები იყოო. ამერიკისამ – ამერიკა ერაყში ერაყელების ინტერესებს იცავსო. სადამს 500 სახლი და ოქროს ტუალეტი ჰქონიაო, ხალხი კი დამონებული და დაბეჩავებული ჰყავდაო. რუსეთისამ ირონიას მიაგნო. ხო-ხოო... ერაყელების ჯავრით ღამე რული უკრთებაო ამერიკას. ან კიდევ ასეთი რამ თქვა: ჩვენთან რა, მთავრობამ ნაკლები სახლები აიშენაო.

სიცილ-ხარხარით ჩათავდა კითხვა-პასუხები. წელან რომ წყალი მხრებზე და თავზე გადაივლო, იმას სახეზე და მხრებზე ოფლის ღვარები დასდიოდა. ადგა და ხელმეორედ გადაივლო. სანდრომ სიჩუმით ისარგებლა და თქვა, „მიახლოება“ კარგი პარტიაა, მიეცით მას ხმაო. რას როშავო, დაუბღვირა ხელმეორედ წყალი რო გადაივლო, იმან. მივარდა სანდროს, ტორივით ხელები მხრებზე დაადო. შეაჯანჯღარა. დაიბღავლა, ყველა პარტიის დედაც ვატირეო. მერე სანდრო დააბზრიალა, უკანალში პანღური უთავაზა და ეზოდან გააგდო. გამაყრუებელი ხარხარი ატყდა. ეტყობოდა მოახლოებულ არჩევნებს მოღლილ და დაპირებებით იმედგაცრუებულით დომინოს, ჭადრაკისა და ჯოკერის თამაში ერჩიათ.

4

კომიტეტის სხდომა საღამოსთვის დაენიშნათ. ერთი დიდი შენობის სარდაფში მოგროვილიყვნენ. ილიამ ყველა წევრს მიუჩინა ადგილი. დინჯად დაიწყო საუბარი. იგი თავის გამოსვლაში შეეხო კობა ნიაურის წინდაუხედაობას. თქვა, კობა ზედმეტად მიმნდობიაო. ყველას, ნაცნობს თუ უცნობს გულს უხსნიდაო. დაუსრულებლად გაჰყვიროდა შეთქმულების აუცილებლობაზეო. საუბრისას ილია თვალს არ აცილებდა სანდროს, რომელიც გატრუნული კი იჯდა, მაგრამ შინაგანად ღელვა მოკიდებოდა. თავისთვის იმეორებდა: „მე უნდა გამოვისყიდო ჩემი დანაშაული. უნდა გავაკეთო ის, რაც კობა ნიაურმა ვერ გააკეთა თავისი მიამიტობის გამო. მე ჭეშმარიტად უნდა ვიღვაწო იმ მიზნების განსახორციელებლად, რისვისაც კობა ნიაური იბრძოდა“. სანდრო კაკუბერი მზად იყო სათავეში ჩადგომოდა შეთქმულთ, მაგრამ გრძნობდა, რომ მას ეჭვით უყურებდნენ და აქამდე არ მიუშვებდნენ.

“ვინაა ნეტავ ეს ხალხი, – ფიქრობ-

და ხელისგულზე ნიკაპდაყრდნობილი სანდრო, – მთავრობაზე იმიტომ თუ არიან განაწყენებული, რომ თვითონ უნდათ იქ შეძრომა. ასე თუა, არ ღირს ამათთან ყოფნა განაწყენებულის გადაბირება ძალიან ადვილია. ან ჰონორარს მიუგდებენ, ან კიდევ მაღალ თანამდებობას შესთავაზებენ. ასე გააჩუმებენ. განაწყენებულია ყველაზე საშიში. სანდრომ გაიხსენა ორი მეზობელი, რომელთაც შარშან შიმშილობა გამოაცხადეს. ხელფასის მომატებას ითხოვდნენ. დიდხანს კი ისხდნენ. კინაღამ არ დაღუპეს ჯანმრთელობა. მერე ჭორმა გამოჟონა, კაიო თანხა მისცეს და დაშოშმინდნენო. თავი გაანებეს თურმე შიმშილობას და იმ თანხით მაგრად იქეიფეს. ესენიც თუ იმნაირები გამოდგნენ, სანდრო ხომ მარტო დარჩება. „არა, ერთხელ მიქარულს მეტად აარ გავიმეორებ“ – თავისთვის დაასკვნა სანდრომ.

სარდაფში ვიღაც ჩამოვიდა. ჯერ ფეხის ხმა გაისმა. მერე კარი გარაჯგუნდა. ქალი შემოვიდა, გამხდარი, თმებგაწეწილი. თვალებს თრითინასავით აცეცებდა ოჰო, ისაა, გაიხსენა სანდრომ. ქალმა სათითაოდ ჩამოართვა ხელი ყველას. სანდრომ ნაძალადევი ღიმილით გაუწოდა ხელი. კი, კი, ფიქრობდა სანდრო, ისაა. ის ქალი წინა მთავრობის წინააღმდეგაც გამოდიოდა, თავის პარტიასთან ერთად. მომდევნო მთავრობამ, წინა რომ დაამხო იმან, ვიცე-პრემიერად დანიშნა. როგორც გაირკვა, ეს დანიშვნა ერთგვარი ფანდი გამოდგა. რამდენიმე თვის შემდეგ იქიდან გამოაგდეს. ქალი განაწყენდა და ისევ მეამბოხეებს შეუერთდა. ახლა შეთქმულთა კომიტეტში მოვიდა იფიცებოდა, მე კარიერას არ დავეძებ, ხალხის დუხჭირი მდგომარეობა მაწუხებსო.

ქალი სკამზე დაკოსდა თუ არა, ეგრევე ალაპარაკდა. ბევრს ლაპარაკობდა. არავის აცლიდა ლაპარაკს. თანდათან კი სხვების მოსმენა უჭირდა. შეეცადნენ, მაგრამ ვერ გააჩერეს. ქაქანად იქცა ქალი. ჟესტებსაც იშველიებდა. კომიტეტის რამდენიმე წევრმა სცადა მისი შეჩერება. არაფერი გამოუვიდათ. საუბარი ჩაუჭრეს კიდეც. ვიღაცამ თქვა, ნაჯახი თუ არ დაარტყი თავში, ან ენა თუ არ მოაკვნიტე, არაფერი გამოგვივაო. ქალს არც გაუგია ეს ერთი საქთმელიდან მეორეზე უსწრაფესად გადადიოდა.

სანდრო თავჩალუნული წარბსქვემოდან უბღვერდა ქალს. თავისთვის ფიქრობდა: „განაწყენებულთ არ ძალუძთ ხალხზე ზრუნვა. ისინი გაწამებულის ყალბ ნიღაბს ირგებენ ხოლმე. გულს იოხებენ. ჯავრს იყრიან მთავრობაზე. ენასაც ამით იქავებენ. სწორედ ამისთვისაა ეს ქალი მოსული აქ“.

ილიამ თვალი ირგვლივ მიმოავლო. კომიტეტის წევრებს გამომცდელი მზერა მიაპყრო. ქალი ისევ ატარტალებდა ენას. იგი ყველას არიგებდა, სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა.

– ვინ წაიყვანს ხვალინდელ მიტინგს? – იკითხა ილიამ.

– მე წავიყვან. – წამოხტა ქალი.

– თქვენ არა! – მოუჭრა ილიამ.

– რატომ!

– თქვენ ხშირად გამოდიხართ. ერთფეროვნება მოსაბეზრებელია. სხვა ვინ?

– მე წავიყვან, – თქვა ერთმა.

– მე...

– მე გავუძღვები.

მხოლოდ სანდრო არ იღებდა ხმას. ილიამ სწორედ მას დაადგა თვალი.

– სანდრო კაკუბერი წაიყვანს მიტინგს. მორჩა და გათავდა.

– მე? რო არ ვიცი, საით წავიყვანო?! – გაიმასხრა სანდრომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას დასკვნას უსიტყვოდ დამორჩილდნენ.

•

გვიან ღამით მიაბიჯებდა სახლისკენ. ქუჩას ფეხით გაუყვა მეტროდან ოციოდე მეტრზე ხელმარჯვნივ გაუხვია. მოულოდნელად ვერცხლისფერი „მერსედესი" გაჩერდა. იქიდან ქერათმიანი მამაკაცი გადმოვიდა. სანდროს მიეჭრა იგი.

– ყოჩაღ შენ. – მიმართა მან გახალისებულმა, – ოპერაცია წარმატებით დასრულდა.

– პოლკოვნიკობა თუ მოგანიჭეს? ძალიან კი იყავი მოწადინებული.

– იმ დღესვე მომანიჭეს. კობა ნიაურის დაპატიმრებისთანავე. დანაპირები შემისრულეს.

– აბა, აწი რაღა გიჭირს.

– შენი წყალობითაა ყოველივე. შენი იმედი მომავალშიაც მექნება.

– ჩემი იმედით ჩემი მტერი იქნა. მოუარე მაგ წოდებას. არსად დაგეკარგოს.

– რაც მთავრია, მივიღე. აწი რა დაკარგავს.

– ქარის მოტანილი ქარს მიაქვსო. ესეცაა ნათქვამი.

– მე არსად არ გავუშვებ იმას, რასაც ხელი ჩავავლე. შენ ის მითხარი... – რატომღაც ხმა გაუწყდა ქერათმიანს.

– რა უნდა მითხრა?

– ამბობენ კობა ნიაურის ძმაკაცები აგრძელებენო მაგ საქმეს. შეთქმულებას ამზადებენო.

– მაგ საქმისა არა გამეგება რა. შენ ის მითხარი თითო კაცის დაჭერაზე თითიო წოდებას ხომ არ გიმატებენ.

– ჯილდოებია დაწესებული. კითხვაზე მიპასუხე – ძმაკაცები ვინ ყოფილან თავენო.

– აკი გითხარი... მე არაფერი არ გამიგია.

– ნამდვილად? – თქვა ქერათმიანმა და გამჭოლი მზერა მიაპყრო სანდროს.

– ნამდვილად.

– დამიგდე ყური. თუ რაიმე გაიგო... ჰო, ჰო, ახლა ყველას უჭირს ჰონორარი... ჰო, ჰო..

– გენერლობა ხომ არ მოგინდა? ერთი ეს მითხარი, თითო ვარსკვლავი რა ღირს, თითო წოდება?

– გააჩნია, გენერლობა არ ამცდება, თუკი...

– რაც გაქვს, იმას მოუარე.

– რა გაქვს მხედველობაში? თქვი პირდაპირ.

– იმ სამ ვარსკვლავს მიხედე, რაც მოგანიჭეს. მეოთხეზე ფეხი არ დააბიჯო.

– გაანებე თავი კბენას. გირჩევ ითანამშრომლო ჩემთან. მაინც გქონდეს მხედველობაში. ყური ათხოვე. მაგ ამბისა თუ გაიგო რამე, სასწრაფოდ მაცნობე. ჰონორარი მგონი არ გაწყენს.

– დაიშალა ის კომიტეტი, შენ რომ გაინტერესებს ისა...

– მათი დაშლა სულაც არ მაწყობს. ნეტა გააგრძელონ...

– ესე იგი გენერლობა გწადია. გატყობ, რომ კიდევ ერთი წოდება მოგინდა.

– აკი გითხარი... ჰონორარი არ გაწყენდა. მიაყურადე კომიტეტის დანარჩენ წევრებს. ისინი ხშირად შედიან კაფეში. შემატყობინე სიახლე, თუკი ახალი საქმე ჩაგივარდა. ადვილი შესაძლებელია შენც მიიღო წოდებყა.

-რომელი? შენ რომ მოგანიჭეს, ისე რომ შენ რა, უნდა ჩამოგართვან და მე

მომანიჭონ? ასე გავიგე შენი ნათქვამი.

– იქ იმდენი წოდებაა, ქვეყანას ეყოფოდა. აბა, წავედი. ველოდები ტელეფონის ზარს. მალე. ნახვამდის.

ქერათმიანმა მანქანა დაძრა. სანდრო კაკუბერმა გზა განაგრძო. მაღაზიასთან, რომელსაც „რისტალი" ერქვა, შუახნის მათხოვარი იდგა და გამოშვერილი ხელით ქუდს აქანავებდა. ამ მათხოვარს ყოველდღე ხედავდა აქ და არ შეცოდებია. შეეცოდა წელში მოკაკვული მაღალი დედაბერი. ჯიბეში არ ჩაუყვია ხელი. იცოდა, რომ იქ არაფერი უჭყიოდა. სიბრალულისგან გული მოეწურა.

5

დილის ძილღვიძილში სიზმრებმა მჩატე ღრუბლებივით იწყეს ზოზინი. მერე და მერე შესუსტდნენ. ნისლს დაემსგავსნენ. სანდრომ ძილს თავი წაართვა. წკრიალით ეცემოდნენ ერთმანეთზე რაღაც ნივთები. ოხუნჯობა მოუნდა. ფიქრებს ოხუნჯობით ფანტავდა ხოლმე. ახლა კი ამის საშუალება არ იყო. სხვა ვერაფერი მოიფიქრა, კედელს უთხრა, აქ რას დაყუდებულხარო. მოეჩვენა, რომ ვიღაცამ შემოიჭყიტა. იმ ვიღაცას გატანჯული სახე ჰქონდა. ცოტა ხანში მარგოს გადმოქაჩული თვალები შენიშნა. ყურები თითებით დაიცო. ადგა და სასწრაფოდ ჩაიცვა.

სახლიდან რომ გამოვიდა, ოდნავ ჟინჟღლავდა.; ქალაქს ნისლი დასწოლოდა. მთებით შემორკალული მიდამო არ ანდა. გაჩქარებული ნაბიჯებით მიიწევდა ქალაქის ცენტრისკენ, სადაც მიტინგი იყო დანიშნული. მოლოდინს თითქოს არნახული ძალა ჩაედგა სანდროს მუხლებში. რას მოგვიტანს ეგ მიტინგი, გაიფირა. ამის გაფიქრებამ ხალისი ერთბაშად გაუქრა. მერე ფიქრმა თავიდან გადმოვიანაცვლა. ფეხები შეუჩერა. სუფთა ჰაერს დავბრუნდე. არაა ეგ ჩემი საქმე. სირცხვილი არაა მიკროფონში ვიღრიალო ძირს მთავრობა-თქო?! მთავრობამ თუ იყვირა, ძირს სანდროო, მაშინ რაღა იქნება? კარგი, კარგი. ნუ ხარ ლაჩარი. უფრო ძირს სადღა უნდა ჩაგიშვან. შიშმა გათანგა. თავს ძალა დაატანა და ნაბიჯს მოუჩქარა. თავში რწმენა დასადგურდა. 4-5 წუთი სიმხნევე. მერე ისევ გააჩერა ფეხები სირცხვილის შეგრძნებამ. ამ გრძნობამ თავიდან გული გამოიარა, მერე ფეხებშიც გაირბინა. სირცხვილის შეგრძნება იყო და არა შიში. თუმცა ხომ ორთავე ბიძაშვილი მამიდაშვილები არიან. ისევ გაიმხნევა თავი. „შენ უნდა იყვირო დღეს – უთხრა საკუთარ თავს. – მთელი ცხოვრება სხვებს უსმენ დადუმებული. დღეს კი ხმა უნდა ამოიღო. სხვებმა კი გისმინონ. ნაბიჯს მოუმატა. სიარულმა რწმენა გაუმართლა, ხუმრობის ხასიათზეც მოიყვანა „მაგ „ძირს მთავრობის" ყვირილზე, მთავრობამ ჭამის მადა რომ დაკარგოს, რა პირით შეხედავ მათ მშობლებს, ან შვილებს; მიდი სანდრო, მიდი, ილუზია გამოდენე თავიდან. და დასცხე, გაანებე თავი მათს შვილებზე ფიქრს. შენებზე იფიქრა ვინმემ თუ...მიდი, მიდი!" თავი აატკივა ფიქრმა, რომელიც ზღვის ტალღებივით მიმოიქცეოდა თავში. იქ ხან რწმენა ისადგურებდა, ხან კიდევ სიმორცხვე და უსასოობა.

პარლამენტის შენობის წინ უამრავი ხალხი მოგროვილიყო. ხალხს რომ გახედა, თავი შეუქანავდა. მომიტინგეებს დერეფანი დაეტოვებინათ. ის დერეფანი გაიარა. კომიტეტის წევრებს ამოუდგა. ეროვნული დროშით მოემართებოდნენ ახალგაზრდა ჯგუფები. მალე ასაკოვანი ხალხიც გამოჩ-

ნდა. ქუჩა სულ მალე გაიჭედა. ნისლიც გაფანტულიყო. ნათლად გამოჩნდნენ შორეული გორაკები. კომიტეტის წევრები იმაზე თათბირობდნენ, თუ ვისთვის დაეთმოთ მიკროფონი. აზრი ორად გაიყო. ერთნი ამტკიცებდნენ, სიტყვის უფლება მიეცათ მხოლოდ იმათთვის, ვინც მთავრობის დამხობის მომხრე იყო. მეორენი კი პირიქით გაიძახოდნენ, მთავრობის მომხრეებიც მივუშვათო მიკროფონთან. ეს დემოკრატიის პრინციპებიდანაა გამომდინარე.

ილიამ მხარზე ხელი მოხვია სანდროს. გაამხნევა, შეაგულიანა – აბა, ანი შენ იციო. ხმაურს მიუჩვეველი თავი ერთბაშად დაუმძიმდა. მოედანზე ყურისწამღები გნიასი იდგა. ფიქრი გაექცა. ილიას გამამხნევებელი სიტყვებიც გაუქრა თავიდან. „რა სისულელეა ეს ყველაფერი. „რამდენია მოსული სეირის საცქერლად. ავდგები ახლა და წავალ. მაგრამ ეს ხომ დიდი სირცხვილი იქნება. რა ახარხარებთ ნეტა იმ კუთხეში მდგომ ბიჭ-ბუჭებსა“ ამ ფიქრებში იყო ჩაძირული, როცა ისევ იგრძნო ილიას ხელი მხარზე. უცბად გამოერკვა.

– დავიწყოთ, დავიწყოთ, სანდრო, ჩართე მიკროფონი, აბა ცოცხლად! – ბრძანა ილიამ.

ხალხმა იხუვლა. გუმანით მიხვდნენ, რომ მიტინგი დაიწყო.

– სიტყვა ეძლევა, – დაიწყო სანდრომ, – მხცოვან პროფესორს... ბატონ ბიძინა დვალს.

ხალხი ტაშით შეხვდა პროფესორს. მან ჯოხის კაკუნით გაიკვლია გზა ტრიბუნისაკენ. მომიტინგეებმა გზა დაუთმეს. რამდენიმემ ხელი შეაშველა. ვილაცამ იოხუნჯა, ამის დამხობილი მთავრობაო...

– მე აქ მოვედი იმისათვის, რათა გამცნოთ ის, რომ თანდაყოლილ [illegible] იღუპება ჩვენი დარგი, [illegible] ერება. ჭიათურის მარგანეცი ხომ მსოფლიოში განთქმულია. იგი მაღალი ხარისხისაა. გამოიყენება ყველა დარგში. ჩვენ ვიკვლევთ მადნის ხანგრძლივობას, მის ხარისხსაც. მაგრამ... ხელფასებს არ გვაძლევენ.

– რატომ? – იკითხა ვილაცამ.

– მეც მაგის საკითხავად მოვედი. – თქვა პროფესორმა და ტრიბუნიდან ჩამობანცალდა.

პირველი გამოსვლა წარუმატებელი გამოდგა. პროფესორს რევოლუციური პათოსი არ აღმოაჩნდა მან მხოლოდ თავის დარგზე ილაპარაკა. მის გამოსვლას ოვაცია არ მოჰყოლია.

მიკროფონთან დადგა ახოვანი ახალგაზრდა კაცი. კომიტეტის წევრებს იმედი მიეცათ. ახოვანმა მკერდი წამოსწია და ომახიანად ჭექა.

– ხალხი სისხლგამშრალია. იუმორიც კი დაიკარგა. სახე ჩამოსტირით. საკუთარ თავთან ლაპარაკობენ. გაუცინარნი არიან.

– გაიცინონ მერე. იყვირა რომელიღაც მომიტინგემ. – უშლიან თუ. მაგაში აინც არ ახდევინებენ ფულს.

– რო არ ეცინებათ.

– მაშინ ხელით შეიღიტინონ ილიაში. – ხარხარით თქვა იმ მომიტინგემ.

აშკარა იყო, მთავრობას ამრევები შემოეგზავნა. ეს იგრძნო სანდრო კაკუბერმა.

მომიტინგეებს ვეებერთელა წითელი ავტობუსი მოადგა. იგი პოლიციელებით იყო გაჭედილი. ავტობუსიდან შუახნის თმახუჭუჭა პოლკოვნიკი გადმოვიდა. მომიტინგეებს მიესალმა. გაუღიმა. მას მეგაფონი ეჭირა ხელში.

– ნუ შეშინდით. დაბრუნდით. რატომ გარბიხართ – იყვირა პოლკოვნიკმა მეგაფონში. – დასარბევად კი არ

მოვსულვართ. ვერა ხედავთ, დემოკრატია ყვავის.

– კი, კი. ყვავილები მოგვიტანე ალბათ. – დაიყვირა რომელიღაცა მომიტინგემ.

პოლკოვნიკს გაეღიმა.

– მთავრობამ გამომაგზავნა დაგვავალა...

– რაო, რაო, ჩვენს მაგივრად გადაგვიკოცნეო? – იყვირა კიდევ ვიღაცამ.

– ჩვენ მიტინგის დასაცავად მოვედით.

– ეგრე როდის მერე მორჯულდით!

– მთავრობამ გვითხრა, მომიტინგეებს ღერი თმაც რომ ჩამოვარდეთ, ცხრა პირ ტყავს გაგაძრობთო. ასეა, ასე. დემოკრატია ყვავის. მიკროფონში რაც უნდათ, ისა თქვანო. მეტი რაღა გინდათ?

– ძირს მატყუარა მთავრობა. – დაიყვირა ილიამ.

– აქ მობრძანდეს მთავრობა! – დაიქუხა ვიღაცამ.

– მოვიდეს აქ...

– გამოგვეცხადონ...

– ახლა სადილობენ. – საწყლად თქვა პოლკოვნიკმა.

– აქ მოვიდეს, აქ! – გაისმა ქალების წივილი.

– ხომ გითხარით, სადილობენ-მეთქი. თქვენთან მოსასვლელად სად სცალიათ. სადილს ყველა მიირთმევს არ სცალიათ. სადილობენ, რაც გინდათ, ის იყვირეთ.

ატყდა ღრიალი. ქალები აკივლდნენ.

– მთავრობა აქ მოვიდეს.

– კეთილი ინებოს, აქ მოვიდეს.

პოლკოვნიკმა მეგაფონი მოიმარჯვა.

– რაკი არ იშლით, ავალ ახლა და მოვახსენებ თქვენს მოთხოვნებს.

პოლკოვნიკი კიბეს ავყვა.

მიკროფონს მუცელ-გინდობიანთ ჩამოკიდებული მამაკაცი მიუახლოვდა.

– მეგობრებო, – იყვირა მან, – მშიერი უნდა მოვკვდე მაინც და მაინც! ძირს მთავრობა.

– ძირს...

– ძირს...

– ძირს! ძირს მუქთახორები და ქურდები.

ამასობაში პოლკოვნიკიც დაბრუნდა.

– სადილი ჯერ არ დაუმთავრებიათ. – ჩასძახა მეგაფონში პოლკოვნიკმა.

– ისეთი რა მადა აქვთ...

– ჭია ხომ არა ჰყავთ მუცელში.

ისევ ხარხარი ატყდა.

– დემოკურატიაა ჩვენში. რაც გინდათ, ის იყვირეთ – დაიბარა პოლკოვნიკმა, ხუჭუჭი ქოჩორი გაისწორა და ავტობუსში ჩაჯდა.

ხალხი არ დაცხრა. ტალღასავით გადადიოდა ყვირილის ექო.

– მთავრობა მოვიდეს!

– მთავრობა მობრძანდეს! – არ დაშოშმინდა ხალხი.

პოლკოვნიკმა ავტობუსის სარკმელი ჩამოსწია. იქიდან მეგაფონს თავი გამოაყოფინა და ჩასძახა:

– ცოტა გვიან დაგეწყოთ ეგ მიტინგი, ვთქვათ, ნასადილევს.

რომელიღაც მომიტინგეს, როგორც ჩანდა, ნერწყვი მოადგა სადილის ხსენებაზე. ტუჩები აუწკლაპუნდა. გაგულისებულმა დაიყვირა:

– ავიდეთ. გამოვყაროთ იქედან. გაწყობილ სუფრას კი ჩვენ მივუსხდეთ. მერე მთავრობამ იძახოს, რაც ნებავდეს. ჩვენზე იძახოს ძირს. ძირსო.

– არ ქნათ მაგი თქვენ! – ტონში

ხუმრობა შეეპარა პოლკოვნიკს. – თორემ ყელში გაგეჩხირებათ. – თქვა და სარკმლის მინა ასწია.

მომიტინგეებიდან ზოგს გმინვა აღმოხდა, ზოგი კიდევ ხარხარებდა. სანდრო კაკუბერი დარწმუნდა, რომ ბევრი სეირის საცქერლად მოსულიყო.

– ცოლშვილს ვერ ვარჩენ. – გაჰყვიროდა მიკროფონში შუახნის თხელი მამაკაცი. – საქმეა ეს. სახლში მისვლა მეზარება, ბავშვები შემომესევიან, მამა რა მომიტანე, რა მომიტანეო. მთავრობის ხალხი სასახლეებს იშენებს. უცხოეთში ისვენებენ. ბანკებში ფული აქვთ. ჰო, ჰო, მე კი ცოლ-შვილს ვერ ვარჩენ.

ამრევთაგან ვიღაცამ იყვირა:

– თუ ვერ არჩენ, გაუშვი ეგ ცოლშვილი, მიდუღაბებული ხომ არა ხარო.

ხარხარმა გრიგალივით გადაუარა მომიტინგეებს.

– მოვითხოვთ მთავრობის გადადგომას! – იჭექა ტანთხელმა მამაკაცმა.

იმ ამრევმა იყვირა, როდის მოვითხოვოთ, სჯობს ნასადილევსო. აშკარად იგრძნობოდა, რომ ამის მთქმელი მთავრობის მომხრეთა გუნდიდან უნდა ყოფილიყო.

მიკროფონთან ჰალსტუხიანი კაცი მივიდა პიჯაკი გაისწორა და დაიწყო:

– ცთუნებას ნუ აყვებით. ფსიქიატრთან მისვლისა კი შეგრცხვებათ. ძალიან კარგი მთავრობა გვყავს. ოღონდ ეგ არის, უნდა ვადროვოთ, უნდა ვადროვოთ.

ისევ იხუვლა ხალხმა. იგრიალა ტაშმა.

სანდრო გაფითრდა. სიბრაზისაგან ყურები აუწივლდა, სასტიკად არ მოეწონა, მომიტინგეები ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს ტაშით რომ ხვდებოდნენ. მომიტინგეებს გადახედა. დაინახა მათი აღტაცებული და გატანჯული სახეები, აღგზნებული თვალები. შეეცოდა ისინი. უფრო იმის გამო შეეცოდა, რომ ნამდვილი ბრბო თავშეყრილიყო მოედანზე.

6

მიტინგიდან მობრუნებულმა პირდაპირ შინისაკენ გასწია. ასეთ უჟმურ ხასიათზე არასოდეს არ ყოფილა. თავში უსასრულოდ ირეოდნენ მომიტინგეთა სახეები. ზოგი მათგანი შეჭირვებული და გატანჯული, ზოგი კიდევ ცინიკური და დამცინავი. არ ეგონა ამნაირ აზრთა სხვადასხვაობას თუ მოისმენდა. რატომღაც უწინ ყველა პატრიოტი ეგონა. დაბეჩავებულებიც და გალაღებულნიც, დღეს რომ იხილა, თან ეზიზღებოდა თან ეცოდებოდა.

სახლში დაბრუნებისთანავე ლოგინში შეწვა. უცნაური სიზმარი ნახა. იგი თვალის დახუჭვისთანავე შეაფრინდა – სიზმარმა მიტინგზე დააბრუნა. მომიტინგეებს გადაავლო მზერა. თვალები აუჭრელდა. მომიტინგეთა თავები ზღვის ზედაპირივით ქანაობდა, თავბრუ დაესხა. მოეჩვენა, რომ ადამიანების ნაცვლად მათი სხეულები ცარიელ ძვლებად აიჩონჩხნენ მოედანზე. მათ სახე ჩამოსტიროდათ. ხელებგამოწვდილნი იდგნენ მოწყალების მოლოდინში.

სანდრო კაკუბერი ძირს დაიხარა. ფეხებთან დიდი ჩემოდანი დაყუდებულიყო. გახსნა იგი. დიდძალი ფული დაინახა, ტკიცინ-ტკიცინა 100-ლარიანები. აიღო ერთი შეკვრა. გაშალა, გამოშალა. ხელი ზევით ასწია და მომიტინგეებს თავზე მიმოაბნია. ატყდა ღრიანცელი. ჰაერშივე იჭერდნენ ფულებს. ერთმანეთს ეჯახებოდნენ. ესმოდა ძვლების ღრჭიალი, გაუთავებელი შე-

ძახილები. სანდრო კი ახალ-ახალ შეკვრებს ხსნიდა და მომიტინგეებს თავსზემოთ აბნევდა. ისინი ჯიბეებში იჩურთავდნენ 100-ლარიანებს. თვალები უელავდათ. ყვირილისგან ტუჩებზე დუჟი მორეოდათ. სანდრო დაღალა შეკვრების გახსნამ და ფულების მიმობნევამ. მკლავები ეტკინა.

ძვლები ერთბაშად ცისკენ გაფრინდნენ. ცარიელი მოედანი წამში გაივსო ახალი ნაკადით. ისინი ჩონჩხები იყვნენ. ხელებს სანდროსკენ იშვერდნენ. ფულს თხოვდნენ, თან ჩემოდანს დაჟინებით უცქერდნენ. სანდრომ საშიშროება იგრძნო. ორთავე ხელი მკვრივად ჩასჭიდა ჩემოდანს. არ მისცე იმათ ფული, ესენი მდიდრები არიანო, დაუყვირა ვიღაცამ, გაუმაძღარნი არიანო, დაამატა. შეეცოდა სანდროს ახალი ნაკადი. მდიდრები ხომ სულ ფულებს ითვლიანო, გაიფიქრა. ვინც სულ ითვლის, ის უფრო ცოდოა, ვიდრე ის, ვისაც დასათვლელი არა აქვსო, გაუელვა აზრმა, შეწყვიტა ფულების დარიგება. მაშინ განრისხდნენ ჩონჩხები. კბილები დაკრიჭეს. სახეებზე მრისხანება დაეხატათ. იშვერდნენ და იშვერდნენ ხელებს. სანდრო კი ჩემოდანს გადაფარებოდა. ხელიდან არ უშვებდა. ჩვენია ფული, ჩვენიაო, გაჰყვიროდნენ ჩონჩხები. ნუ ურიგებ მაგათ ფულებს, ისედაც გადადულანო, უყვირა ვიღაცამ სანდროს. ეს რომ გაიგონეს ჩონჩხებმა ღრიანცელი ატეხეს. ყველა წინ მოიწევდა. ერთმა მეორეს სახეში გლიჯა. მეორეს პირველის წილი ფული ჩაებღუჯა ხელში. თანაბრად დაარიგეო, უყვირეს სანდროს. ღრიანცელი არ წყდებოდა. ჩონჩხები ერთმანეთს აწყდებოდნენ. სანდრო ანგარიშმიუცემლად აფათურებდა ხელებს ჩემოდანში. იღებდა იქედან შეკვრებს, ხსნიდა და ურიგებდა უსუსურ ჩონჩხებს. ისინი ერთმანეთს ართმევდნენ 100-ლარიანებს. ერთი ჩონჩხი ცალი ხელით ჰაერში მოფრიალე ფულებს იჭერდა მარჯვედ, მეორეთი კი გვერდით მდგომს ართმევდა.

მოედანს გადაავლო თვალი. საცოდაობამ გული მოუკლა. წამიც და მოედანი დაცარიელდა. ჩონჩხები, ერთმანეთს რომ აფრინდებოდნენ ფულებ-ჩაბღუჯულ ხელებში, ერთბაშად გაკრეფილიყვნენ. სიჩუმე დასადგურდა. სანდრო კაკუბერი ვერ გარკვეულიყო, თუ რატომ შეეცოდა მდიდრები ღარიბებზე მეტად. მალე მოედანი თეთრწვერა მოხუცებით გაიჭედა. სად მინახავს ეს ბერიკაცები? – ჰკითხა მან თავის თავს. გაახსენდა. მთელ ქალაქს იყვნენ მოდებულნი. ქუჩაში ისხდნენ. წინ ქუდები ედოთ. მდუმარედ ისხდნენ თავჩაღუნულნი. ახლა კი არც ქუდები ეჭირათ, არც ხელები ჰქონდათ გამოწვდილი, რამაც ძლიერ გააოცა სანდრო. მან ისიც შენიშნა, რომ ბერიკაცები უხორცონი იყვნენ, ცარიელი ძვლები და ჩონჩხები. მალე უკბილო დედაბრებიც გამოჩნდნენ. მერე პატარა გოგო-ბიჭებიც მოადგნენ მოედანს. მათ დაკონკილი ტანსაცმელი ემოსათ. ბავშვები ტიროდნენ. დედაბრებიც იცრემლებოდნენ. აი, ბერიკაცებს კი ღირსეულად ეჭირათ თავი.

ძილში შეიშმუშნა და მხარი იცვალა. მაგრამ სიზმარი მაინც არ გაქრა. მან თავის ერთი მხრიდან მეორეში ზოზინით გადაინაცვლა. რა გნებავთო, ჰკითხა სანდრომ მის წინ თავმოყრილთ. ბერიკაცთაგან ერთმა გადააბიჯა და უთხრა, წინამძღოლს ვეძებთო. რისთვის გჭირდებათო. პასუხი ვერ გაიგონა. დაიხარა და ჩემოდანში ჩაყო ხელი, იფიქრა, ფულებს დავურიგებ ამ ბეჩავ ხალხსო. ჩემოდანში ვერაფერიც ვერ იპოვა. იგი ცარიელი აღ-

ELIBRARY.GE

მოჩნდა. აი, მაშინ მორთო ყვირილი და ისევ მხარი რომ იცვალა, მიხვდა, რომ სიზმარი იყო ყოველივე. ძილბურანში იყო. ო, რამდენი ფული მქონია! – ღიმილით ჩაილაპარაკა. მერე თავის თავს ჰკითხა: რომელი აჯობებს ნეტა, ამქვეყნიდან რომ წავალ, კარგი კაცის სახელი დავუტოვო შვილებს, თუ დიდი ფული?

– ა?

ვერ გასცა პასუხი ამ კითხვას.

7

დილა მოახლოებულიყო. ჩიტი შემოფრინდა საძინებელ ოთახში. ერთი ბეწო იყო, კუდქანქარა. კუდი უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე თვით ჩიტი. პაწია კლანჭები მარგოს ტიტველ მკლავზე ააფხაჭუნა. ერთი მკლავიდან მეორეზე გადაცოცდა. უკვე ინათა. მზის სუსტი სხივი აირეკლა სარკმლის მინაზე. მალე მას თვალისმომჭრელი ძალა შეემატა. მარგო შეიშმუშნა. მერე გაისუსა. ჯერ ერთი მკლავი მოიქექა, მერე მეორე. ჩიტი ისევ დაუბრუნდა პირველ მკლავს. ქალმა ძილში მაგრად მოიქნია მეორე მკლავი. ჩიტს სანდროსკენ არ გაუხედავს. მერე, მარგომ მკლავი ხელმეორედ რომ აიქნია, შურდულივით გაიჭრა. ჩიტი სანდროს შიშველ მკერდზე დაფრინდა. მარგომ თვალები გამოახილა. ეტყობოდა, ჩიტმა თავისი საქმე ქნა, გამოაღვიძა ქალი. მარგო იწვა და ჭერს მიშტერებოდა. კარგა ხანს იწვა ასე. მერე ქმრის კვნესა შემოესმა. კვნესას ყვირილი მოჰყვა. მარგომ ღონივრად შეანჯღრია ქმარი.

– შენ გამაღვიძე? – ჰკითხა სანდრომ ცოლს.

– ჰო. მე გაგაღვიძე. – უპასუხა მარგომ.

– რას მერჩოდი. ძილიც გეხებოდა ჩემთვის! სიზმარსაც არ მაცლიდ.

– ყვიროდი, შემეცოდე, ხმამაღლა ყვიროდი,.

– მეყვირა მერე. სიზმარში ყვირილის ნება მაინც მომეცი. ცხადში შენ ყვირიხარ. მე სიზმარში მაინც მაყვირე.

მარგომ გაცინება სცადა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, არაფერი გამოუვიდა, ბაგის გახსნა გაუჭირდა და დაიჯღანა.

– მართლა, მართლა... რა გაყვირებდა?

– ფულები დავკარგე გუშინ. და ავტირდი.

– ა! შე საზიზღარო. როგორ დაკარგე! ჩვენთვის მოგეცა, შე საძაგელო. როგორ თუ დაკარგე. დასაკარგი ფული სადღა გქონდა. ბავშვები...

– ჰო, ჰო, ვიცი, ბავშვებს რო შიათ.

– საიდან-მეთქი ფული.

– რომელი ფული?

– რომელიც დაკარგე.

– კი არ დავკარგე.

– აბა რა უქენი?

– დავარიგე.

– კედელს ხომ არ მიარტყი თავი. გადაირიე?

– კი, კი, გადავირიე.

– მერე?

– კედელი გაინგრა. თავი მთელი დარჩა.

– რა გემასხრება, შე საძაგელო!

– მასხრობით მიდგას სული. სხვა რა დამრჩენია. როცა ვმასხრობ, ასე მგონია სახლი ავიშენე და შიგ მარტო მე ვცხოვრობ.

– ნუ ბოდავ სისულელეებს. ისა თქვი, ვის დაურიგე ფულები.

– მათხოვრებს.

– ფუჰ! შენზე მათხოვარი ვინაა ნეტა?!

– უარესებიც არიან. კი.აი, მაგალითად მდიდრები.

მარგოს სიცილი აუტყდა. ქმარს შუბლი გაუსინჯა, სიცხემ ხომ არ აუწია და აბოდებსო. მეორე ოთახიდან ბაჩოს ტირილი მოისმა. მარგო ადგა და გავიდა. ბავშვების ტირილიც მიწყდა. სანდროს გულზე დარდი მოაწვა. ბავშვების ტირილმა წელანდელი სიზმარი გაახსენა. რამ დამასიზმრა ფულები. ჰო, მაინცდამაინც ფულები. დარდი დაეუფლა, მერე გიჟივით გაეცინა. გრძნობდა, რომ შურის გრძნობა შემოპარულიყო მის სულში. ერთი რამ მაინტერესებს, თავისთვის ბუტბუტი აუტყდა სანდროს. აი, დიდი თანხა რომ მოვუტანო მარგოს, ნეტა დამშვიდდება? დააწყნარებს ბევრი ფული, თვინიერს გახდის, თუ მადას გაუღვიძებს და კიდევ და კიდევ მომთხოვს. არა მგონია, დამშვიდდეს. ფუჭია ეს ფიქრი. მე მაგ ცდის ჩამტარებელი არც არასოდეს ვიქნები.

– მარგო! – უხმო ცოლს სანდრომ.

მარგო არ გამოჩნდა.

ფული რომ მოვუტანე ამას წინათ, სულ მხიარულობდა მარგო. მერე, რომ გამოელია, ნერვები აეშალა და წიოკსაც უმატა.

– მარგო! – დაუყვირა სანდრომ.

– რა იყო, რა გაღრიალებს!

– მცივა.

– მერედა ღრიალი გაგათბობს?! რომელი ღუმელი მე ვარ, რო გაგათბო.

– დაწექი ჩემთან. ბავშვები დააძინე და შემოდი ჩემთან, მცივა-მეთქი. მომენატრე, მარგო.

– მე რა, გახურებული გგონივარ! ნეტავი შენ! მე აზრადაც არ მომივა... ყველაფერი გადამავიწყდა.

– შენ კარგი ქალი ხარ, მარგო. არეულად ვარ. მხოლოდ შენთან დაწოლა მიშველის. მცივა-მეთქი.

– მეც ვიყინები. სიცხეში ბაქნს გაყინული. ამ გაგანია სიცხეში რამ შეგაცივა, შე კაცო.

– შენ ფული გიყვარს, მარგო. ვიშოვი მე მაგ ფულს. ახლა კი ჩამიწექი. ფულს ვიშოვი, დარდი ნუ გაქვს.

– ცრუობ. ბოლო ხანს მთლად წახვედი ხელიდან. მიტინგებზე დაიწყე ბოდიალი. სულელებს აჰყევი.

– სხვაგვარად არ ძალმიძს, იქ მეძახიან. ახლა ძალიან მინდა მოგეფერო.

– მე მაცივარივითა ვარ. მშიერი ბავშვების შემყურეს მაგაზე რა მაფიქრებინებს. რა დაგკარგვია მაგ გიჟების მიტინგზე.

– იქ სიტყვის თავისუფლებაა.

– მაგით გამოვკვებოთ შვილები? ვის რაში უნდა ეს სიტყვის თავისუფლება, ჰა? შიმშილით თუკი ამოვწყდით, მაგი გვიშველის?!

– რითია ცუდი სიტყვის თავისუფლება. ცუდი რომ იყოს, პრეზიდენტი წარამარა განა შეგვახსენებდა. განა არ მოგისმენია... ცივილიზებულობის უპირველესი ნიშანიაო.

– რა არისო...

– სიტყვის თავისუფლებაო.

– ჯანდაბას შენი პრეზიდენტიც და შენი თავიც, მისი სიტყვის თავისუფლებაც. რათ მინდა მაგი მე?! შვილები თუ ვერ გამოვკვებე.

– პრეზიდენტი თვითონ გვაგზავნის ჯანდაბაში. ვინც ხელფასის მომატებას მოითხოვს, იმათ აგზავნის ჯანდაბაში. რა ქნას პრეზიდენტმა... ხოიცი, თავის ხელით გაგიკეთებს ელარჯსა და ჩაქაფულს. მეტი საქმე არა აქვს.

– რო ატლიკინებთ ენას მაგ მიტინგებზე, ვერ შეუთვლით პრეზიდენტს, სიტყვის თავისუფლების ნაცვლად ბრინჯი მოგვცეს ბავშვებისათვის... ან

კიდევ კარაქი და არაჟანი. ეგენი უყვართ ბავშვებს.

– ღამე არ ეძინება მაგაზე ფიქრით, ხო იცი... მეტი საქმე არა აქვს მაგას, ხო იცი.

– აბა ტყუილა ატარტალებთ ენას?

– რატომ ტყუილად. მე მაგალითად...

– ჰო. რა შენ?

– გულს მეშვება, იქ რო დავდივარ. მე... ჰო, მე, ხო იცი... ცოდვა... მაწევს.

– ა? – აკივლდა მარგო. – სწორედ შენი ცოდვები გვაკლდა ახლა! გააუპატიურე ვინმე თუ... შე ოხერო!

– უარესი მჭირს, მარგო. – ხმა ჩაუწყდა სანდროს

– მაინც რა გჭირს, შე დასამიწებელო! არ იტყვი, ისეთი რა ჩაიდინე!

– კობა ნიაური...

– ეგ ვინ ოხერია?

– ჩემამდე ხელმძღვანელობდა მიტინგებს. დაიჭირეს. ციხეში ზის. მალე სასამართლო შედგება.

– მერე შენ რა?

– უნდა ვუშველო.

– რომელი პროკურორი შენ მყავხარ. ჩადექი სადმე სამსახურში. ეგებ ორი კაპიკი მოიტანო სახლში, გაანებე მაგ გიჟებს თავი.

– გაჩუმდი!

ხმა ჩაეხლიჩა სანდროს. სიგარეტს მოუკიდა. ფილტრს ნერვიულად დააჭირა კბილები. უნებურად მოაკვნიტა სიგარეტს ფილტრი. მეორე ღერი აიღო. კბილებში გაიჩარა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. ნერვიული ნაბიჯებით იწყო აქეთ-იქით სიარული ოთახში.

8

დოდო კაიშაური კაფეში იჯდა, როგორც ყოველთვის, ამოჩემებულ მაგიდასთან. ყავას შეექცეოდა, თან სიგარეტს აბოლებდა. დროდადრო კარებისკენ გაიხედავდა მომლოდინე თვალებით. კაფეს კუთხეში ქალი და მამაკაცი მისხდომოდნენ მაგიდას. ქალი სიგარეტს აბოლებდა, კაცი კი ყავას შეექცეოდა. სხვა წყვილი ნელი მუსიკის ტაქტზე ცეკვავდა ტანის ოდნავი რხევით. დოდომ მინის გამჭვირვალე კარებს მიღმა სანდროს ფიგურა დალანდა. უცბათ აცმუკდა. ეს შენიშნეს ქალმა და კაცმა და აქეთ გამოიხედეს. მეორე კუთხეში მჯდომ ჟღალწვერიან უცხოელს არ გამოუხედავს. იგი კონიაკს წრუპავდა. დოდოს ლოყები აუხურდა. მღელვარება არ შეიმჩნია. სანდრო კაკუბერი მარჯვნივ გატრიალდა. ეტყობოდა ნაცნობი დაინახა. დოდო დაიზაფრა. ქალური ოინი, ვითომ ვერ შევნიშნეო, არ გამოუვიდა. ადგა. სწრაფად გაირბინა. კარში გავარდა და დაიყვირა:

– სანდრო!

სანდრო კაკუბერი შემოტრიალდა, დოდოს ხელი აუწია. აშკარა იყო, სანდროც ეკეკლუცებოდა ქალს. ერთმანეთთან თამაში გამოუდიოდათ.

– რად მემალები, სანდრო, – წყენაშეპარული სინაზით ჰკითხა დოდო კაიშაურმა.

– ვერ დაგინახე. მაპატიე. ვერ შეგნიშნე.

– მიპატიებია. სად დაიკარგე ეს დღეები. სულ ქუჩისკენ მეჭირა თვალი.

– რამე ხომ არ შეგემთხვა?

– ნადიმი გვქონდა სახლში. ვიფიქრე, სანდროსაც დავუძახებ-მეთქი.

– მე „ც“ ვარ, არა? – ღიმილით თქვა სანდრომ. – რა ნადიმი გქონდაო. რას დაუკავშირეთ, არ იტყვი?

– თქვენ მიტინგი რომ გქონდათ, იმ დღეს მამამ მთელი მთავრობა შინ მოიპატიჟა. ჰო, იმ საღამოს.

– მერე, მერე?

– რა მერე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ჭამის მადა თუ გქონდათ კარგი. ბევრი ვლანძღეთ...

– ოო, მშვენიერი მადა ჰქონდათ. ლანძღვა მაგათ ფეხებზეც არ ჰკიდიათ. იცი, თამადა ვინ იყო?

– ვინმე დიდი კაცი იქნებოდა.

– შენც იცნობ. არ გახსოვს აღდგომაზე კვერცხების შელებვის გამო ერთი ჩვენი კურსელი რომ გაარიცხვინა. ეკლესიაში გამოუჭერიათ. გვარი დამავიწყდა.

– ახლა დემოკრატიულ მთავრობაშია.

– კი. მაშინ კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო. როგორ არ გახსოვს.

– თვითონ თუ ახსოვს. ახლა რა თანამდებობაზეა?

– რელიგიურ საქმეთა კომისიის უფროსია მთავრობაში.

– აშენებულა ქვეყანა და ეგაა.

– სანდრო! – სევდიანი ხმით მიმართა დოდომ.

– გისმენ.

– მე ერთ დიდ კაცს ველაპარკე ნადიმზე. შენზე ველაპარაკე.

– მაძაგე თუ...

– გზასაცდენილი ხარ, სანდრო.

– ეგ შენზე უკეთ ვიცი.

– შენზე ვუთხარი... რაიმე სამუშაო გამოუძებნე-მეთქი. დამყაბულდა.

– არ შეგეკითხა, ეგ სანდრო ვილა არისო.

– ვუთხარი, – დოდოს თვალები მოუწყლიანდა. – ჰო, ვუთხარი, მიყვარს-მეთქი.

– მერე რაო. ხომ არ აუჩუყდა გული.

– მიყვარხარ სანდრო. მე ცალკე ბინა მაქვს. იგი ცარიელია. – დოდო გაჩუმდა. მერე როდის – როდის წამოსწია თავი. – სანდრო...

– გისმენ-მეთქი.

– მიყვარხარ, სანდრო, – დოდოს ცრემლები წასკდა. – არ შემხვედრო-დი მაინც. მიყვარხარ.. – დოდოს ხმა ჩაუწყდა.

– კარგი. დაწყნარდი.

– უზრუნველად ვცხოვრობდი. დედა უცხოეთშია, აღარ დაბრუნდება. მამა ბევრ ფულს მომცემს.

– უნდა შეგირთო?

– შემირთე, სანდრო, მიყვარხარ... მიყვარხარ – დოდომ თვალები ამოიმშრალა. – მეტი აღარ შემიძლია. ერთად ვიცხოვროთ. სამოგზაუროდ მამა გაგვიშვებს.

სანდრო თავჩაღუნული იჯდა. უცხოელი, აქამდე გაუნძრევლად რომ იჯდა, აქეთ შემოტრიალდა. რამ დააინტერესა, ვერ გაიგებდი. კიდევ შეუკვეთა კონიაკი. მეორე მაგიდასთან ქალსა და კაცს როლები შეეცვალათ. ახლა კაცი ეწეოდა. ქალი კი ნაყინს შეექცეოდა.

კაფეში ზანგი შემოვიდა. მაღალი იყო. კაუჩუკივით თავი ჰქონდა. დოდოს მიესალმა, დოდო იცნობდა ამ ზანგს. მას დოდოს მამამ გაუჩალიჩა ეგ კაფე. ახლა ზანგი ამ კაფეს მეპატრონე იყო. დოდომ ისიც იცოდა, რომ ზანგი ეთიოპიიდან იყო. ყოველთვის თბილად ესალმებოდა ხოლმე დოდოს. ახლაც ღიმილით მიესალმა, რამაც სანდრო დაბოღმა. ეგ ბოღმა სახეზე აშკარად გამოეხატა. დოდო კი გაიბადრა. ეტყობოდა, გაეხარდა, სანდრო რომ დაიბოღმა და შვება იგრძნო.

– ნუ ტირი, დოდო, დამშვიდდი. შენ ღიმილი უფრო გიხდება. ამბობენ, ქალს ტირილი უხდებაო. მაგრამ ეგ შენზე არ ვრცელდება. ნუ ტირი.

დოდომ ნაძალადევად გაიღიმა.

– გახსოვს, სანდრო, ჩვენს ჯგუფში ერთი აწონილი ბიჭი რომ სწავლობდა.

– აწონილ-დაწონილების მეტი რა მახსოვს. ისიც მახსოვს ის ბიჭი შენზე

რომ გიუდებოდა. მგონი თავი ჩამოიხრჩო.

– ჰო. მე ვუყვარდი. ნუ მაშაყირებ, სანდრო.

– შენ არ გიყვარდა?

– მე? მე შენ მიყვარდი ყოველთვის. შენ კი სხვა შეირთე. რა ჰქვია? დამავიწყდა.

– მარგო ჰქვია.

– სად გამოძებნე?

– ლატარიის ბილეთით მოვიგე.

– ხა-ხა-ხა. ღმერთო ჩემო, რამდენს მასხრობ.

– მაგით მიდგას სული.

– კარგი, კარგი, საქმეზე გადავიდეთ.

– გადავიდეთ, თუ გაგვიშვეს.

– შენ ის მითხარი... ჩემს წინადადებაზე რას მპასუხობ. ახლა მაინც გამიგე სანდრო. უშენოდ არ შემიძლია.

– გეჩვენება. გრძნობა გატყუებს.

– ძველი იარა გამეხსნა, რაც შემხვდი, მას აქეთ. უშენოდ გავგიუდები.

– დოდო!

– ჰა.

– მე სხვა ჭია მიღრღნის გულს. მე ვალდებული ვარ...

– მამას მეგობარი მაღალ თანამდებობას გვპირდება, გონს მოდი, სანდრო. მიტინგებზე წოწიალი არ გარგებს. ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე.

– აკი მითხარი... მე ვალდებული ვარ...

– ვალებსაც მე გადაგიხდი.

– სულ სხვა ვალზეა ლაპარაკი. ვალი მარტო ფულით როდი იზომება.

– მაინც რა ვალზეა ლაპარაკი.

– მე ცოდვა მაქვს ჩადენილი... უნდა გამოვისყიდო.

ეს რომ თქვა, კბილების ღრჭიალი აუტყდა სანდროს. სიბრაზემ სახეზე წამოაწითლა. ჯიქურ ადგა და კარში გავარდა.

– სანდრო! – წამოეწია [illegible]

სანდრო შემოტრიალდა [illegible] თულიანი ძველებური შენობის მიღმა, საცა კაფე იყო, ეკლესიის ვერცხლისფერი გუმბათი დაინახა. მალე ზარის ხმაც მოესმა. ზარების ხმა თანდათანობით მოხშირდა.

9

გაზეთები გადაშალა. რამდენიმე გადაათვალიერა. 2003 წლის შემოდგომისპირი იდგა. არჩევნები ახლოვდებოდა. მისი ციებ-ცხელება მოსდებოდა მთელ ქალაქს. ნახევარ საათში უნდა წასულიყო ნაძალადევში, სადაც „მიახლოების" მიტინგი იყო დანიშნული. ვერ მოისვენა და ცოტათი ადრე გავიდა სახლიდან. დილიდან საუცხოო ამინდი იდგა, მაგრამ უეცრად გაავდრდა. გორაკები ღრუბლებში გაეხვია. გაჩახჩახებულ ქალაქსაც მალე ქოლგასავით დააწვა. რაღაც 5-10 წუთში... ქუჩებში მანქანები შხეფებს ისროდნენ.

ისინი იდგნენ მოედნის მარჯვენა მხარეს. ძალიან ბევრნი იყვნენ. გამომეტყველება საზარელი უხდებოდათ, როცა გაჰყვიროდნენ ძირს „მზრუნველი". ეს იყო პარტია „მიახლოების" ხმა. „მზრუნველის" მომხრეები მოპირდაპირე მხარეს იდგნენ და საპასუხოდ გაჰყვიროდნენ ძირს „მიახლოება. პარტიათა ლიდერებიც, გელა და არჩილი მოპირდაპირე მხარეს იდგნენ. მათ ტრანსპარანტები ეჭირათ წარწერებით. ერთს – ძირს „მზრუნველი", მეორეს კი ძირს „მოახლოება".

არჩევნებამდე რამდენიმე საათილა რჩებოდა, უფრო ზუსტად, დღენახევარი. რამ გადაკიდა ბიძაშვილები ერთმანეთს, ფიქრობდა სანდრო კაკუბერი, ერთ პარტიაში მაინც შესულიყვნენ. გადაწყვიტა ორთავე პარტიების მომხრეებს გამოლაპარკებოდა. ჯერ

„მზრუნველის“ ამომრჩევლებში გაიარ-გამოიარა გაფაციცებით უგდებდა ყურს მომიტინგეთა კამათს, რომელიც კინკლაობაში გადაზრდილიყო. „მზრუნველებში“ ოთხი მუტრუკი შემოეგზავნათ. მათ აშკარად ეტყობოდათ, „მიახლოებიდან“ რომ იყვნენ. ნერვიულობნენ, მკერდზე მჯიღს იბაგუნებდნენ. პიჯაკები გაეღეღათ. ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვიროდნენ. „მზრუნველებმა“ პატარა დელეგაცია ამოირჩიეს იგი „მიახლოების“ ბანაკში შეგზავნეს.

– ჩვენი კანდიდატი თქვენსას სჯობს! – დაიყვირა ერთმა შემოგზავნილმა მუტრუკმა.

– რაო, რაო! – შეუღრინა მას ადგილობრივმა მუტრუკმა.

– კეთილშობილი კაცია. სიგარეტს მაწევინებს ხოლმე. რამდენიც არ ვთხოვე, უარი არასოდეს არ უთქვამს.

– ჩვენი კანდიდატი, ერთ ღერს კი არა, მთელ კოლოფს მოგცემს. თქვენი კი გამარჯობას ძლივს ამბობს. გაბღენძილი დადის. მაგი მოგვხედავს ჩვენ? მეტი არაა ჩვენი მტერი!

წვრილკისერა კაცი შემოუერთდა „მიახლოების“ მომხრეებს. ძლიერ გამხდარი იყო. გეგონებოდათ თავი აგერ-აგერ ჩამოუვარდებაო. ყვირილი ატეხა მოსვლისთანავე, თქვენ აქ რა საქმეზე შეკრებილხართო. ხვალ არჩევნებიაო, უპასუხეს. გამხდარს გაგულისება მოეჭარბა; გაანჩხლდა, კისრის ძარღვები დაებერა.

– რას მოგვიტანს ეგ არჩევნები. ან წინანდელმა რა მოგვიტანა, – გაჰყვიროდა გრძელკისერა – რა მოგვიტანა. შიმშილი და კიდევ ის, რა ჰქვია. – უწმაწური სიტყვით დაასრულა. ხალხი ახარხარდა.

– ბისკვიტებს მოგვიტანს. – იხუმრა ვილაცამ.

– ყელში არ გაგეჭედოს! – დაუყვირა გრძელკისერამ. – სამი დღეა ჩვენთან შუქი არაა თქვენ კი სულ გვპირდებით.

ამის გაგონებაზე 4-კაციანი დელეგაციის ემისრებს ერთი კაცი გამოეყო. გრძელკისერას მიუახლოვდა. მხარზე ხელი გადასდო. გრძელკისერამ მოპირდაპირე მხარეს მდგომი ამომრჩევლებისკენ გადააბიჯა. მას და იმ მუტრუკს ადგილობრივი მუტრუკი მიუახლოვდა. იგი იყო „მიახლოების“ ქომაგი. „მზრუნველის“ მუტრუკს გამოეჯგიმა.

– გატყუებს ეგ ახვარი. – უთხრა გრძელკისერამ „მიახლოების“ მუტრუკმა. – შუქის საკითხი ჩვენ გვაქვს აყვანილი.

– თქვენ კი არა, ჩვენ. – თქვა „მზრუნველის“ მუტრუკმა. – ჩვენ ვაგვარებთ მაგ საქმეს. შუქთან თქვენ არაფერი გესაქმებათ. ჩვენ ვაგვარებთ.

– ბატის კვერცხები არ გაგიტყდეთ. – დამცინავად თქვა „მზრუნველის“ მუტრკუმა.

– აქედან დაითესეთ, გირჩევნიათ. ეს ხალხი ჩვენ გვიჭერს მხარს.

– თქვენ მათ ატყუებთ.

– ხო-ხო... თქვენ კი ბროლის კოშკებს პირდებით...

“მზრუნველის“ მუტრუკმა კბილები დააკრაჭუნა. მკლავებზე დაიხედა. წონასწორობა დაერღვა „მიახლოების“ მუტრუკისკენ გაქანდა და სახეში ხეთქა. „მზრუნველის“ მუტრუკმა არც აცია და არც აცხელა ვეება ხელი ზე აღმართა. მუშტი „მიახლოების“ მუტრუკს აცდა და შუაში გახიდულ გრძელკისერას თავში მოხვდა. იგი ასფალტზე გაგორდა. სანდრო სირბილით გაქანდა გრძელკისერასკენ. ზე-

ზე წამოაყენა. მას მიტკლისფერი დადებოდა სახეზე.

მოჩხუბრები დაშოშმინდნენ. სანდრომ იფიქრა, ნეტა მაგ „მზრუნველებს" ისეთი რა სამოთხე უდგათ, სულ რომ ტრაბახობენ. ჯერ გელას შეხვდა, მერე მოპირდაპირე მხარეს მდგომ არჩილს მოჰკრა თვალი. ისინი მრისხანე მზერით ბურღავდნენ ერთმანეთს.

– ოცდაორი თვეა ხელფასი არ მიგვიღია. – გაჰკიოდა ვიღაც მანდილოსანი. იგი მჯილს ირტყამდა მკერდზე. – რად გვინდა ეგ არჩევნები. სისულელეა...

– ხელფასების საკითხზე ჩვენი პარტია მუშაობს. – უთხრა მუტრუკმა მანდილოსანს.

– ჭირსაც წაუღია ყველა პარტია – არ ცხრებოდა მანდილოსანი. – ყველანი მატყუარები ხართ.

– არ ინერვიულოთ. სულ მალე მოგვარდება ხელფასების საკითხი. – დაამშვიდა მუტრუკმა მანდილოსანი.

მუტრუკს ადგილობრივი, საგანგებოდ ამორჩეული მუტრუკი მიუახლოვდა. ხელათ სანდრო ჩადგა შუაში. მას მუხლები მოერღვა. შიშმა გათანგა. გრძნობა დაეუფლა, თითქოს აგერ-აგერ ჩავიკეცებიო. მუტრუკებმა ერთურთს მუშტები დაუშინეს. უმოწყალოდ და დაუნდობლად ურტყამდნენ. სანდრომ თავის ჩაღუნვა ვერ მოასწრო. აღარ ახსოვს, ორი დარტყმა იგემა, თუ სამი. ბარბაცით გასწია. ძალა ელეოდა განაპირდა. ძლივს გააღწია. ხალხი აჩოჩქოლდა დაძაბულობამ იმატა. გალახული სანდრო გაოგნებული უცქერდა მოჩხუბრებს, მუტრუკებს მომხრეებიც აჰყვნენ. პირველი გელას უმტყუნეს ნერვებმა. იგი არჩილს მიეჭრა. სანდრომ მისვლა ვერ მოასწრო. არჩილი უფრო ღონიერი გამოდგა. გელა ასფალტს გაეკრა. ერთ-ორ დაცემულსაც უთავაზა. მომხრეები ყიჟინით დაერივნენ ერთმანეთს. მოედანზე გამაყრუებელი გნიასი იდგა. იგი სახედასისხლიანებულებით გაივსო, ზოგი შიშჩამდგარი გარბოდა, ზოგი კი ასფალტზე გორაობდა. ამ არეულობაში მაღალი კაცი ჩადგა შუაში. მას კეხიანი ცხვირი ჰქონდა. წითელი პიჯაკი ეცვა. პიჯაკს შიგნით ტიტველი მკერდი უჩანდა. სახე დამანჭა და ხრიალით დაიყვირა.

– მე ფსიქიატრიულიდან მოვედი. კერძები არ გვივარგა, ცუდად გვკვებავენ. გაუმარჯოს პარტიას! რომელი პარტია განაგებს კვების საქმეს? – იკითხა. მერე რაღაც გალექსილი მოაყოლა.

– ვაიმე. საცოდავი. – აღმოხდა ერთ ქალს. – ავადმყოფი ყოფილა.

გიჟმა გარეკა, უწმაწური სიტვების კორიანტელი დააყენა. ქალებმა ყურებზე ხელისგულები აიფარეს.

– ხომ არა გაქვთ ბურბუშელა ჩვენი შველა. – გალექსა გიჟმა, მერე დაამატა: – მალე მოვა აქანა ნაგვის მანქანა...

– მოაცილეთ ეს გიჟი აქაურობას. – ბრძანა არჩილმა. სანდრო შეტრიალდა. ჰაერის უკმარისობა იგრძნო. სული შეეხუთა. რა თქვა არჩილმა? – ჰკითხა თავის თავს. – მოაცილეთ ეგ გიჟიო? ჰმ, საკითხავია...

•

მზე ჩადიოდა სანდრო კაკუბერი საზარელ შეხლა-შემოხლას რომ გაერიდა. ლასლასით მიიკვლევდა გზას. ყურში ღრიანცელი და გნიასი ედგა. გრძნობდა, რომ უკან ვიღაც მოჰყვებოდა გაჩქარებული ნაბიჯებით. უკან არ მოუხედავს. ვინც არ უნდა ყოფი-

ლიყო, არ აინტერესებდა. ნეტავ საით მიექანება ჩვენი ყოფა – ფიქრობდა თავისთვის – გიჟს იმას ვეძახით, ვინც ჭკვიანურად იტყვის. ბრიყვს კი ჭკვიანად ვნათლავთ. მზე მალე გორაკებს იქით მიიმალა. ჩამობნელდა.

10

გული ყელში მობჯენოდა. მიტინგზე აშლილი ფიქრების დალაგება ვერაფრით მოეხერხებინა. უსიამო ფიქრები კინოკადრებივით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. თავიდან ვერ ამოეგდო გალახული გელას შემოხედვა. ბოლოს არჩილიც დააგდეს ასფალტზე. ისინი, გელა და არჩილი პირისპირ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ამას იგონებდა ახლა სანდრო კაკუბერი, რომელიც სახლისკენ მიიჩქაროდა. ასფალტზე მიმოყრილები და დასისხლიანებულები გაახსენდა. გულღვიძლი მოეთუთქა, ნაბიჯი შეუსუსტდა.

სახლს მიადგა. ზარის ღილაკს თითი დააჭირა კარი არ გაუღეს. მოუსვენრობა დაეტყო. ისევ დააჭირა თითი ღილაკს. მარგომ ოდნავ გამოაღო კარი და იქიდან გამოიჭყიტა. ღრიჭოდან გამოსძახა, ხელფასი თუ აიღეო. სანდრო კაკუბერს მხრები აეწურა. თითქოს დაპატარავდაო. მიხვდა მარგო, სანდრო ცარიელი ჯიბით რომ დაბრუნდა. მოუთმენლობა ყელში წვდა სანდროს.

– როდემდე ვიყოთ ცარიელი ჩაით! – კბილებიდან სისინით გამოსცრა მარგომ.

– ხელფასები გაიყინაო. ასეთი პასუხი მივიღეთ მთავრობისგან.

– შეეშვი ლაზღანდარობას. როდემდე ვიყოთ სიდუხჭირეში.

– მთავრობამ შემოგვითვალა... გააღე კარი! ჰო, შემოგვითვალა, ორისამი წელი კიდევ მოითმინეთ და... შეეჩვევითო. გააღე კარი.

– რას შეეჩვევითო? იქ იდექი.

– სიდუხჭირეს შეეჩვევითო. გააღე კარი. გამიღე...

– გემასხრება არა?! იტანტალე მაგ მიტინგებზე და იყავი! ეს რომ თქვა, გაგულისებით მიიხურა მარგომ კარი. სანდრო გამშრალი იდგა. ხმა ჩავარდნოდა. კარგა ხანს იდგა. არ სჯეროდა, ცოლი თუ ასე ულმობლად მოექცეოდა. მარგომ ისევ გამოაღო კარი. იბღოტიალე მაგ მიტინგებზეო, გამოსძახა მყივანა ხმით, მერე ზრიალით გაიხურა კარი.

კიბეზე დაეშვა. ქუჩაში გრილოდა. მალე ქარიც ამოვარდა. ფეხით გაუყვა ქუჩას. კი არ იცოდა, საით წასულიყო. ანგარიშმიუცემლად ფიქრობდა, ხან რაზე, ხან კიდევ რაზე. კარგა ხანს იხეტიალა. ნაცნობი ქუჩისა და სახლების დანახვამ მიახვედრა, რომ ფეხებს დოდო კაიშაურის სახლთან მიუყვანია. შედგა. უთავბოლო ბღოტიალს ფეხები დაექანცა. სითამამე მოიკრიბა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

დოდომ გაუღო კარი. გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა. სანდროს კისერზე ჩამოეკიდა, მერე სასტუმრო ოთახში შეუძღვა. დოდო უღონოდ ჩაეშვა სავარძელში. სანდრომ შენიშნა, დოდო ფეხშიშველა იყო. თმა გაწეწოდა, უაზროდ იცქირებოდა სივრცეში. უცქერდა დოდოს შიშველ ფეხებს, რომელთაც სრიალი გაუდიოდათ კრიალა პარკეტზე.

– როგორ ხარ, დოდო? – სიჩუმე დაარღვია სანდრომ.

დოდომ თავი გააქნია. რაღაც ამბავია ამის თავს. – გაიფიქრა სანდრომ. – კარგი რამ არ უნდა ჭირდეს ამ ქალს. მშვენივრად კი გამოიყურება. აი, ვინ უნდა შემერთო მე ჩერჩერტს. ბედნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერად ვიცხოვრებდით. მარგოს ჭიჭყინს არ გინდა მთელი ცხოვრება ყური უგდო?

– შეუძლოდ ხომ არ ხარ, დოდო?

– ისე რა, – ხმა გაებზარა ქალს.

– რამე ხომ არ შეგემთხვა? ახლა, ხომ იცი, ისეთი დროა... ხომ არ შეგემთხვა რამე?

– საშინელება! – ამოიხრა დოდომ.

– მაინც რა.

– მამაჩემია ცუდად.

– რა დაემართა ლომივით კაცს.

– ფულებს ჭამს.

– ეგ რა ახალია? არც ადრე აკლებდა ხელს.

– ნუ მასხრობ, სანდრო. – ამოოხვრით თქვა დოდომ.

– ვერ გავიგე. რას ნიშნავს ფულებს ჭამს,

– ჰო. ჭამს. გააფრინა.

– ახლა ვინ არ აფრენს.

– სამსახურიდან დაითხოვეს და აურია. ფულებს გაუჯავრდა, სულ დაფხრინა, რაც ჰქონდა. ახლა კი ჭამს.

– თუ ინელებს მაინც.

– ისევ მასხრობ. წამოდი და შენი თვალით ნახავ.

საძინებელი ოთახის კარი შეაღეს. სანდროს მწკლარტე სუნი ეცა. კუთხეში დადგა. დოდო ხელების ქნევით უმარტავდა.

– ასეთი არაფერი მინახავს. – თქვა სანდრომ.

თვალებს არ დაუჯერა. მაგრამ სხვა გზა არ იყო. უნდა დაეჯერებინა ხილული. იჯდა კაცი ფულების ნაფხრეწებში. ტანსაცმელი დამტვეროდა. ფულის ნახევებიდან თავიღა უჩანდა. იჯდა და ნაფხრეწებს დინჯად. აუჩქარებლად შეექცეოდა. ბევრი ჰქონია ამ უბედურს, გაიფიქრა სანდრომ. კაცმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ დაბარბაცდა. ეტყობოდა, დიდი ხნის ჯდომისგან ფეხები დასუსტებოდა.

– ასეა სულ. ორი დღეა ფულებს ჭამს.

– ჭკუიდან გადაიწია? – ჰკითხა სანდრომ.

– ჰო. ყვიროდა. გაიძახოდა, სულ მიჩიჩინეს ფულებს ჭამო. არ უთქვამს ვინ, უჩიჩინებდა. ცარიელი დატოვა. კიდევ კარგი, დედა ადრე გაეცალა და ეგ სურათი არ იხილა. ამერიკაში წავიდა. ვურეკავ, არ ჩამოდის. ვერ შეეგუენ ხასიათით. ყურადღებას არ მაქცევსო. მამა სულ სამსახურში იჯდა. უწინაც და შემდგომშიც.

– ექიმს არ გამოუძახეთ?

– რად მინდა, რომ გამოვუძახეთ მოვიდა, დახედა და თქვა. ყველა ფული დაუხრავს და აწი ჩვენ რაო. როგორღა ვუმკურნალოთო.

– სულ არაფერი არ დატოვა? მთელები არ დატოვა?

– არაფერიც არ დაუტოვია.

– საწყალი ფულები. – სინანულით აღმოხდა სანდროს. – ნეტა მათი გამთელება მასწავლა.

– საწყალი მე ვარ, მე... – ატირდა დოდო.

– იქნებ აგვეკრიფა და ერთმანეთზე მიგვეწებებინა.

– უუუ-უ! – დაიზმუვლა პირგამოტენილმა კაცმა. მერე ხელი გაასავსავა. ამით დოდოსა და სანდროს ანიშნა, ნახევების გამთელება არ გაბედოთო.

საზარელ დღეში ჩავარდა სანდრო კაკუბერი. ოთახები გაიარა და კარი გამოაღო. წასასვლელად გაემზადა. რომ მიიხედა, დაინახა დოდო, რომელიც დოინჯშემოყრილი და თვალგაშტერებული იდგა. მას სასოწარკვეთილის გამოხედვა ჰქონდა.

11

წვერმოშვებული კაცი ბარდიურზე ჩამომჯდარიყო. მუხლებზე ჩარჩოედო. ზედ ტილო გაეშალა და მოლბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტით მამაკაცს ხატავდა. კაცი მხატვრის სახლის წინ, ქაშვეთის ეკლესიის გვერდით იჯდა. ბარდიური მარმარილოსი იყო და შავად ბზინავდა. სანდრომ თვალი ჰკიდა ტილოზე გამოსახულ მამაკაცს.

– ეგეთი მრისხანე სახე რატომ დახატე. – ჰკითხა სანდრომ წვერმოშვებულს. – სახემოღიმარი დაგეხატა.

– წუხელის გული წაუვიდა. – თქვა მხატვარმა. – ჩემი მეზობელია. როგორიც გამოიყურებოდა, ისეთსა ვხატავ. ფულებს ითვლიდა თურმე. ერთი საათი, ორი, მერე სამიც. გული წასვლია.

– ეგეთი რამ არ გამიგია. ფულის დათვლამ რა, გულის წასვლა იცის? ანდა ეგ გული სად მიდიოდა, დიდი ფული თუკი ჰქონდა.

– ნწ.ნწ. – მეტი არაფერი არ უთქვამს მხატვარს. – თავი გადაიქნია. სანდრო არ მოეშვა.

– აი, მეც ვითვლიდი ფულებს, მაგრამ გული არ წამსვლია. ოღონდ ეგ სიზმარში მოხდა და არა ცხადში.

მხატვარი დუმდა. სანდრომ უცნაურ კაცად ჩათვალა ..... და გაეცალა. ახლა დალაგებული ვიღააო, გაიფიქრა.

ეკლესიის წინ მათხოვრები ირეოდნენ. ზოგი ფეხმორთხმით ჩამომჯდარიყო. მზე გამწარებით აჭერდა. ვისაც გროშები უჭყაოდა. გრილ ტკბილ წყალს სვამდნენ. სანდრომ ნაცნობი სახე დალანდა. დაუყვირა. ეგებ შემეშალაო, გაიფიქრა. კიდევ დააკვირდა, მეტისმეტი დაჟინებით. ნამდვილად ისაა, დაასკვნა სანდრომ. გეგა იყო. ბარდიურზე ჩამომჯდარიყო. თეთრი წვერი მოეშვა. ხანგამოშვებით გაიძახოდა: დამეხმარეთ! დამეხმარეთ! ცხელოდა და წვერზე ოფლის ცვარები აუციმციმდა.

სანდრო მიუახლოვდა.

– გამარჯობა!- თქვა.

– რომელი ხარ?

– სანდრო ვარ.

– ა??

გეგას ცხვირი და შუბლი გაუწითლდა. მოულოდნელობისაგან დაიბნა. თვალგაშტერებული იჯდა. მზერა ცისკენ მიეპყრო. სანდრომ ენა ვერ მოიბრუნა. ხმა ჩაუვარდა. იგრძნო ეს მეტისმეტად აღგზნებულმა გეგამ და თვითონ ალაპარაკდა.

– ქუჩაში აღმოვჩნდი. – თქვა მან. – ალბათ, გიკვირს.

– ქუჩაში ბოლო ხანს ბევრი აღმოჩნდა. ცუდი დრო დაგვიდგა. მაგას ნუ განიცდი.

– როგორ არ განვიცადო, როგორ! – ნერვიულად ალაპარაკდა გეგა.

– ნერვების აშლა კარგს რას მოგიტანს.

– მერედა სადღაა ეგ ნერვები! ქუჩაში აღმოვჩნდი, ვერა ხედავ! ვინ იფიქრებდა ამას. ადრე ზემოთ, მთავრობის შესასვლელთან მოვკალათდი. ერთი-ორი დღე ვიჯექი იქა. ვმათხოვრობდი.

– იქ ჯობდა ალბათ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ... მთავრობასთან ახლოს ყოფილხარ.

– მათხოვრებს თავიანთი ადგილი ჰქონიათ ამორჩეული. იქედან გამომაგდეს.

– ადგილები დაუჯავშნიათ?

– კი. მე რა ვიცოდი.

– მაინც ისეთი რა გადაგხდა. – გაკვირვებით ჰკითხა სანდრომ. – რამ გაიძულა, გეგა ბატონო.

– მოგიყვები ყველაფერს.

– არაფერი გამოტოვო თუ კაცი ხარ.

– ერთმა გამვლელმა, ახალგაზრდა გოგონამ, რომელსაც მეტისმეტად მოკლე კაბა ეცვა, ათთეთრიანი ჩაუგდო ქუდში. გეგამ თვალები ამოიმშრალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რამ აგიწეწა ცხოვრება ეგრე, სანდრო ბატონო. ისეთი რა შეგემთხვა. მომიყევი დაწვრილებით, თუ კაცი ხარ.

– ცოდვებმა მიწია. ვისაც მოვუყევი ჩემი წარსული, ყველამ მითხრა დიდი ცოდვა გქონიაო; შემიჩნდა ეშმაკი. ცოლი გავაგდე. ნამეტანი დაბერდა ლოგინში აღარ მიწვებოდა. მე კი... ბოდიში შენთან... გავძღებოდი თუ არა ხორცით, სულ ქალი მინდებოდა. ჰოდა, ახალგაზრდა გოგო შევირთე. უწინაც ახალგაზრდა გოგოებში მიყვარდა გავლა. გამამწარა...

– ახალგაზრდა ცოლმა?

– ფულები, რაც მქონდა, სულ დავარიგე. ვისთვისაც წამირთმევია, იმათ დავურიგე.

– უარზე არ იყვნენ?

– ვიზე მეუბნები?

– ვისაც ურიგებდი, იმათზე. სისულელე გიქნია. დღეს ეგრე ვინ იქცევა.

– არავინ, მაგრამ მე ხომ შიშები დამჩემდა. ჰოდა დავრჩი უსახსროდ. ახალგაზრდა ცოლი ამიხირდა, რა ჯანდაბად გვინდაო ამხელა სახლი გავყოდოთო. უფრო პატარა ვიყიდოთო.

– შეგძრომია ეშმაკი და ეგაა.

– კი. ეგრეა. გავყიდე სახლი. სამოთახიანი ფიცრული მედგა მოშორებით. სახლის ფული 20-ლიტრიან ბოცაში ჩავჩურთე. მიწაში ჩავმარხე ის ბოცა. ერთ დილით, რომ გავიღვიძე, არც ცოლი... მივვარდი ბოცა რო მქონდა ჩამარხული იმ ადგილს. გაგიგონია! – არც ფული, ცარიელი მიწა დამხვდა.

– მიწაა დიდი შეღავათი, გეგა ბატონო მიწა რომ შეგრჩა, ეგაა კარგი... მიწა და ფიცრული... ესე იგი მიწა დახე. მძიმე რამ კი მომიყევი. გაუცურებიხარ იმ გოგოს და ეგაა.

– კი. გამაცურა და მაბუნავა ეშმაკი ვაც.

– ქარის მოტანილი ქარსვე მიაქვსო, ასე იტყვიან, გეგა ბატონო.

– სისხლი მქონდა ჩაქცეული მაგ სახლის აშენებაში. ახლა კი უსახლკარო ვარ. ცოდვებმა მიქნეს ეს ყოველივე. ახლა ეკლესიაში დავდივარ. იქნებ განვიწმინდო-მეთქი ცოდვებისგან.

•

სიტყვა ცოდვა მძიმე დოლივით დაანვა გულზე. ჟრუანტელმა მთელი სხეული დაიარა. ალმური მოედო. მოსვენება დააკარგვინა. ძილი დაუფრთხო. თეთრად ათევდა ღამეებს. ბოლოს გადაწყვიტა, გეგასთვის მიებაძა, ერთხელ და სამუდამოდ გამოედენა გამოსადენი სისხლი, ცოდვისგან განწმენდილიყო. როგორც კი კარგ ხასიათზე დადგებოდა, უეცრად კობა ნიაური დაუდგებოდა თვალწინ. შიში ჩაუდგებოდა ხოლმე მუხლებში. გულში ტკივილი მსჭვალავდა. ხასიათის ცვალებადობა გაუხშირდა. თავში რეკდა და რეკდა ის ერთი სიტყვა „ცოდვები“.

12

გამომძიებლის კაბინეტის კარი შეაღო. დაბრძანდითო, თავაზიანად მიმართა მასპინძელმა. სანდრო კაკუბერი მაგიდასთან მიდგმულ სკამზე დაეშვა. გამომძიებელმა რუსული „მდაა“ ამოთქვა. მერე თვალი თვალში გაუყარა სანდროს. გუმანმა უკარნახა, რომ რაღაც მოულოდნელი უნდა მომხდარიყო. თვალს არ აცილებდა სანდროს.

– მე გისმენთ. – თქვა მან.

– მე... იცით...

– ვხედავ, ლაპარაკი გიჭირთ.

– ლაპარაკის გარდა სხვა რამ რომ არ მიჭირდეს, ჩემს ბედს ძაღლი არ

დაჰყეფდა. – სცადა წაოხუნჯება სანდრომ.

– ძაღლს რას ერჩით – გაეცინა გამომძიებელს. – უწინდელ ჩვენებებში კორექტივის შეტანა ხომ არ გწადიათ.

– მოგიყვები ყველაფერს.

– საიდუმლო თუ არაა, თქვით.

– მე კობა ნიაურის საქმეზე მოვედი.

– მაგას კი ვხვდები. ვიცი, რომ ეგრეც იქნებოდა.

– ახალი ჩვენება მინდა მოგცეთ.

– კი მაგრამ... საქმეს რომ ვამთავრებ?!

– მე უცნაური ტიპი ვარ.. უკულმა ვარ გაჩენილი.

– ეგ რას ნიშნავს? როგორ გავიგოთ?

– აი... როცა ვბრაზდები, მაშინ ვიცინი. ხოლო როცა გამამხიარულებენ, მაშინ ვტირი.

– ასეთები ბევრი მინახავს. ასეთებს სისხლის სამართლის პასუხისგებისგან ვათავისუფლებთ ხოლმე. შეურაცხადი ჰქვია მათ ჩვენს ენაზე.

– არა, არა... მაქამდე ჯერ არ მივსულვარ.

– აპირებთ თუ...

– არც არაფერი მიკლია.

– ხა-ხა-ხა! – გადაიხარხარა გამომძიებელმა. ღილაკს თითი დააჭირა. გაწრიპულმა გოგომ შემოიხედა. ორი ყავაო, უთხრა გამომძიებელმა, მერე მზერა სანდროზე გადაიტანა და უთხრა:

– მოყევი... თუმცა ჰო... მე უნდა გითხრათ. თქვენს გამოძახებას ვაპირებდი. ძველი ჩვენებები მართლა არ ვარგა. დიქტოფონზე ჩაწერილის გამოყენების უფლება არა გვაქვს. კანონი კრძალავს. ფრაზა „მთავრობის დამხობა აუცილებელია", თქვენ უნდა დაამოწმოთ. თქვენ და თქვენმა მანდილოსანმა, რომელიც იქ გახლდათ. ასე უნდა თქვათ ორთავენ... კობა ნიაური ამბობდა... მთავრობის დამხობა აუცილებელიაო. აი, ეს იქნება მტკიცება და არა დიქტოფონი.

– იცით... მე თავიდან გაძლევთ ნამდვილ ჩვენებას.

– აი, ქაღალდი და კამილმისტარი. – გაეხარდა გამომძიებელს.

სანდრომ დაიწყო.

– ქერათმიანი კაცი ამეკიდა. მას კაფეში კობა ნიაურთან დავუნახივარ. საშველი არ მომცა, აქეთ მიარა, იქით...

– მისი გვარია გურგუნდია. პოლკოვნიკობა მიიღო.

– არ ვიცოდი მისი გვარი. ხან ერთ გვარ-სახელს მეტყოდა, ხან მეორეს, ხან მესამეს.

– ეს სპეციფიკაა ჩვენი დარგის. ერთგვარი მეთოდია.

– მეც მაგ მეთოდებზე მინდა მოგახსენოთ. სახელმწიფოს რომ აქვს, იმ მეთოდებზე.

– ეგ მეც კარგად ვიცი. სახელმწიფოს მხოლოდ ფუნთუშეულის ან მაკარონის წარმოების ფუნქცია როდი აკისრია. პირდაპირ საქმეზე გადადით.

ჰოდა, იმას ვამბობდი. თუმცა... ჰო. სახელმწიფოს ფუნქცია არც ისაა, პიროვნება გათელოს. გურგუნდიამ მე, ბოდიში მომითხოვია ამ სიტყვაზე, პრეზერვატივივით მომისროლა. ან კიდევ ლიმონის ნაფცქვენივით.

– იცით, რას გეტყვით... სახელმწიფო საბავშვო ბაღი არ გეგონოთ. სახელმწიფოშიუნდა ითამაშო... მას კი არ უნდა ეთამაშო. რისი თქმა გსურთ?

– ჰოდა, გაგვაქვს ჩვენც, უბრალო ადამიანებს ჩვენ-ჩვენი ლელო. ადამიანი ჭიაყელა არ უნდა ეგონოს სახელმწიფოს.

– ფილოსოფიის კურსს ვინ გიკითხავდა? – დამცინავად თქვა გამომძიებელმა. მერე ზანტად წამოდგა. ეტ-

ყობა, შინაგანად ანერვიულდა – კარგი, კარგი... ზოგად მსჯელობას შევეშვათ. იწყებ თუ არა მოყოლას?

სანდრო ფიქრს მიეცა. თავი ჩაქინდრა. გამომძიებელი გაფაციცებით ელოდებოდა სანდროს ალაპარაკებას. ჩამოჯდა. ნიკაპი ხელისგულზე ჩამოდო.

– იმაზე ვფიქრობდი ახლა, წელან რომ მითხარი.

– რომელზე?

– ისევ სახელმწიფოსა და პიროვნებაზე.

– პიროვნება თუ მიუშვი, გაალაღე, ადგება და გაინავარდებს. სულ დალეწავს სახელმწიფოს. სჯობს გააგრძელოთ. ჩვენში დემოკრატიაა და რაც გნებავდეთ, ის დაწერეთ. ერთი რამ დაიხსომეთ მხოლოდ, კასეტაზე ჩაწერილი ნიაურის გამონაქთვამი... „მთავრობის დამხობა აუცილებელია“ თქვენ და თქვენმა მეგობარმა ქალბატონმა უნდა დაადასტუროთ ცოცხალი მოწმეების სახით. თუ არადა კასეტას ვერ გამოვიყენებთ.

– ცოტა ხნით ჩენი მსჯელობა გავაგრძელოთ. ძალიან გთხოვთ. მერე ყველაფერს მოვყვები გულწრფელად.

გამომძიებელს გაეღიმა.

– კარგით. გავაგრძელოთ. ვიფილოსოფოთ. ამაში მაინც ფულს არ გადაგახდევინებენ.

– ჩვენი მსჯელობიდან გამოდის, რომ სახელმწიფოს ძლიერების საფუძველი პიროოვნების სისუტე უნდა იყოს. აი, მაგალითად მაგ... სახელმწიფომ ქერათმიანის...

– გურგუნდიაა მისი გვარი.

– დიახ, გურგუნდიას მეშვეობით სახელმწიფომ ცოდვა ჩამადენინა.

– ა! – მარჯვენა წარბი აეძგიბა გამომძიებელს. – რაკი სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობაზე მსჯელობას არ ეშვებით, გეტყვით... საქონელს თოკით აბამენ თუ ბოლოში საბელი, საქონელი სუმბლობს და დაძოვს ბალახს. მთელი წლის სამყოფს ერთ დღეში შეახრამუნებს.

– ესე იგი სჯობს ხესთან სულ ახლოს მიებას და შორიდან უცქიროს ბალახს.

– ეგ კამათი შორს წაგვიყვანს. საქმეზე გადავიდეთ.

– სახელმწიფომ... აკი ვთქვი...

– ა, ისევ სახელმწიფოო.

– დიახ. სახელმწიფომ არ უნდა გადაუაროს პიროვნების უფლებებს. სწორედ პიროვნების უფლების გათელვამ უბიძგა კობა ნიაურს... მას არ შეეძლო გულგრილი ყროფილიყო. ერთგულები ყვლეფენ ხალხს. ძიძიგური კი...

– ასე, შე კაცო, ნიაურამდე ძლივს არ მივაღწიეთ!

გამომძიებელს ერთბაშად დაეტყო გამოცოცხლება. თითიდან გამოწოვილი, ათასგზის გამეორებული განსჯადობებით მოღლილი გონება გაუხალისდა. გააგრძელეთ, გააგრძელეთ, – თქვა მან.

– პიროვნების აბუჩად აგდებამ აიძულა ნიაური სახელმწიფოს დაპირისპირებოდა.

– და ფეხებიც არ მოჭამა. სახელმწიფოს შეეშვი. გირჩევ.

– ეს კიდევ საკითხავი იქნებოდა, მე რომ...

– რა თქვენ? რაიმე მოიმოქმედეთ? და მას შეხება აქვს ნიაურის საქმესთან?

– მე ქერათმიანმა კაცმა... უშიშროების კომიტეტიდან...

– ესე იგი გურგუნდიამ, არა?

– კი. მას ჩემთვის გვარი არ უთქვამს.

გამომძიებელს, ეტყობა, გონების განტვირთვა მოუნდა გადამღლელი საუბრის შემდეგ.

– თქვენ ცოლი გყავთ? – ჰკითხა მან სანდროს.

– გვიან შევირთე. კი. მყავს.

– რატომ გვიან. მანამდე რას აკეთებდი.

– დროს ვატარებდი. ლხინი მიყვარდა. სხვები რომ ფულს შოულობდნენ და ითვლიდნენ, მე დროს ვატარებდი.

იმიტომაც დამაგვიანდა ცოლის შერთვა. ახლა კი ვნანობ, ცოლი რომ შევირთე. ერთხელ ერთ გაზეთში ამოვიკითხე.

– რაო, რას წერდნენ.

– ლომსა და ვეფხვს თურმე ცოლი არ ჰყოლია. ჰოდა... ვეფხვსა და ლომს თუ არ ჰყავს ცოლი მე რათ მინდოდა. ამიტომაც ვნანობ ხოლმე.

– ხა-ხა-ხა! – ჩაბუერდა გამომძიებელი.

– ჰო. ჰო; ავდექი და წამოვედი, ცოლი დავტოვე. აუტანელი ხასიათი აქვს. სიდუხჭირეს ვერ შეეჩვია.

– ხა-ხა-ხა! ახლა ცოლის გარეშე მდგომარეობაში ყოფილხარ. სად ცხოვრობ?

– საყვარელთან.

– რა ჰქვია?

– დოდო.

– ჰოდა, მაგ დოდოს გაფიცებ, საქმეზე გადადი. იცოდე ერთი რამ. შენ და მანდილოსანი, ესე იგი დოდო მოწმეებად თუ გამოხვალთ, ამით სახელმწიფოს გაუწევთ დახმარებას.

– საწყალი სახელმწიფო.

– კარგი, კარგი. გააგრძელე. სულ სხვა თემაზე გადავდივართ.

– მე და დოდო კაფეში ვხვდებოდით კობა ნიაურს. იგი ყოველთვის ზოგადად ლაპარაკობდა, სახელმწიფოს წინააღმდეგ მას არც არასოდეს უთქვამს რამე.

გამომძიებელს ნაბიჯები შეეჭმუხნა.

– გააგრძელეთ. – თქვა მან,.

– ქერათმიანმა...

– გურგუნდიამ... მინდა გკითხო, უწინ სხვაგვარი ჩვენება რატომ მოგვეცი?

– გურგუნდიამ მაიძულა.

– გააგრძელე, გააგრძელე.

– ჰო; გურგუნდიამ დამადგა თვალი., ერთხელაც გზაში დამეწია. მითხრა, ნიაური სახელმწიფოსათვის საშიში პიროვნებაა. ჩემი გადაბირება სცადაო მე დიდხანს ვყოყმანობდი, მაგრამ...

– ბოლოს სახელმწიფო შეგეცოდა, არა?

– ჰონორარი შემომთავაზა. მომცა დიქტოფონიც...

– სიმღერები უნდა ჩაგეწერა, არა?

– უნდა ჩამეწერა ნიაურის ნათქვამი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

– და თქვა რომ. მთავრობის დამხობა აუცილებელია.

– არა, არა. ეგ არ წამოცდენია.

– აბა მაშ თავისით ჩაიწერა. ღმერთმა ხომ არ ჩაწერა.

– ღმერთს ამას ნუ აკადრებ. პირჯვარი გადაისახე. ავდექი და დიდი ხნის ვარჯიშის შემდეგ მივბაძე კობას და ჩავწერე ჩემი ხმით: მთავრობის დამხობა აუცილებელია“.

– რამხელა რისკი გაგიწევია. ორი თავი ხომ არ გება?

– კი, კი. საერთოდ ვარ ორთავიანი კაცი. იგი ხან მიმძიმდება...

– ტყუი კაკუბერო! ის ფრაზა ნიაურმა აღიარა მე ვთქვიო. ნიაური გამოტყდა. შენ კი...

– არა-მეთქი. ნიაური ცრუობს. თავმომწონეობს და ეგაა. ის ფრაზა მე ჩავწერე. ჩემი ხმით ნიაურის ხმას მი-

ვამსგავსე. რამდენიმე კასეტა მოვიტანე, ნავარჯიშევი კასეტები.

– ეგ მერეც შეგეძლო ჩაგეწერა. გუშინ, ან გუშინწინ. ვერ მოგვატყუებ, კაკუბერო. ჩვენიკომიტეტი სახელმწიფოს დასაყრდენია და არა ფილარმონია, ან ცირკი, რატომ ჩაწერე, ვთქვათ, გულწრფელი ხარ და მართლა ჩაწერე. რად გინდოდა ეგ სიყალბე?

– ჰონორარისთვის ჩავიდინე. რა მექნა, ნიაური არ ამბობდა იმას, რაც გურგუნდიას სურდა. მე კიდევ სხვაგვარად ჰონორარს ვერ დავიმსახურებდი.

გამომძიებელმა გამჭოლი მზერა ესროლა სანდროს- ტყუი, ტყუი. ნიაურმა ხომ აღიარა.

– გეუბნები, ჩემი ხმაა, ნიაურის ხმის მიბაძვით მე ჩავწერე. მომეცი უფლება, ცოდვა გამოვისყიდო.

– ცოდვა? აქ ეკლესია არაა, რომ მოინანიო. მე კიდევ მღვდელი როდი ვარ. მე სახელმწიფოს ვემსახურები. ჩემი რჩევა იქნება, სახელმწიფოს ნუ ეთამაშები. სიყალბისათვის ციხე რომ მოგელის, მაგას თუ ითვალისწინებ!

– მე მზად ვარ პასუხი ვაგო. გეუბნები ჩემი ხმაა და არა ნიაურის. ჩემი ბრალია იგი რომ გიზით ციხეში. ჩემი ხმაა.

– ნიაურისაა. ეგ უნდა დაამოწმოთ შენ და შენმა მეგობარმა მანდილოსანმა.

– მერწმუნეთ, ნიაური ტყუილა ზის. იგი გურგუნდიას წოდებასა და ჩემთვის გაღებულ ჰონორარს შეეწირა.

– რაში გაინტერესებს ნიაურის დახსნა. იგი ხომ საშიშია სახელმწიფოსათვის.

– მე ვერ ვზიდავ ცოდვას. გამიგე ეს, თუ კაცი ხარ. ღამე არ მძინავს. დაავადდი კაცი, დავილიე.

სიყალბე ჩაგიდენია. ეგრე ბაბბიდან ეგრე გამოდის სიყალბისთვის პასუხს აგებ.

– მე თანახმა ვარ! პასუხს ვაგებ...

•

გამომძიებელმა იმ დღესვე ორი დასკვნა დაწერა. პირველი დასკვნა შეეხო კობა ნიაურის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საკითხს. მეორე დასკვნის თანახმად კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საქმე აღიძრა. სანდრო კაკუბერის მიმართ. ორთავე დასკვნას სათანადო მოტივაციები ახლდა. გარდა ამისა, მითითებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლები. ორთავე დასკვნას პროკურორმა ხელი მოაწერა, რამაც მეტისმეტად გაახარა გამომძიებელი.

13

ისინი ლოგინში იწვნენ და თითების ცაცუნით ეფერებოდნენ ერთმანეთს. ენერგია გამოლეოდათ, მაგრამ მოფერების შედეგად სხეულები ისევ თანდათანობით ევსებოდათ. სანდროს ეჩვენებოდა, რომ დღეს დილით ყველაზე ბედნიერი იყო მთელ მის ცხოვრებაში. მარგოს სულ ბავშვები ახსოვს, ფიქრობდა სანდრო, მას ჩემთვის არასოდეს ეცალა. ცხვირში სცემდა დოდოს სხეულის სასიამოვნო სურნელი. მიხურული დარაბების ღრიჭოებში დილის სინათლის სუსტი ჭავლები შემოიჭრა. მერე მომძლავრდა ეს ჭავლები. ქალი წამოდგა. ზანტად დაიმორჩილა სხეული. აი ვისთან ვიქნებოდი ბედნიერი, ფიქრი გაუგრძელდა სანდროს. დოდოს თვალს არ აცილებდა. ხედავდა, თუ როგორ გაისრიალეს ქა-

ლის შიშველმა ფეხისგულებმა კრიალა იატაკზე. ღამის პერანგი კოჭებამდე წვდებოდა. დიდებული სანახავი იყო ვიწრო პერანგში გამოკვართული მოხდენილი ტანი. ღამის ენერგიისგან დაცლას მეტისმეტად დაემშვენებინა ქალი. სახეც დაწყნარებოდა, თვალები დაწმენდოდა და დამშვენებოდა. სანდრო იხსენებდა და მაინც ვერ გაეხსენებინა თუ რომელ გამოფენაზე უნახავს მსგავსი სურათი. ცოლის შერთვამდე ალბათ, მაგრამ მას აქეთ ასეთი ბედნიერება არ ჰქონია, ეს ფიქრი აეკვიატა სანდროს. დოდო სარკესთან დადგა და თმის დავარცხნას შეუდგა. მხრებზე გაშლილი ქალის თმები მან შეადარა მდინარის ჩქერს, რომელსაც მზეზე, ან მთვარის შუქზე ლაპალაპი გაუდის. დაცოლშვილებამ მომისპო სიყმაწვილის სიხარული, ფიქრობდა სანდრო, მარგომ წერტილი დაუსვა მას. აბეზარი ფიქრისგან თავის დაღწევა მოუხდა და დოდო შეაცქერდა. ხედავდა ქალის ზურგს, წვრილ წელს, ასხლეტილ ფეხებს, სარკეში კი მის სახეს, რომელიც ხორბლისფერი იყო. უცქერდა ქალს და მშვენიერებით ტკბებოდა, თან სინანული ეუფლებოდა. ვერა და ვერ მოეცილებინა აკვიატებული ფიქრი: მარგო რამ შემართვევინა.

– სიკვდილამდე გიერთგულებ, სანდრო. – მოულოდნელად წარმოსთქვა დოდომ. ტონში სინაზე შეეპარა – სულ შენთან ვიქნები. სანამ პირში სული მიდგას, შენთან ვიქნები.

– მართლა? ვთქვათ, უცხოეთში მომიხდა წასვლა. მაშინაც?

– მეც წამოგყვები. აპირებ თუ

– რა ვიცი... აქ ყველაფერში ხელი მომეცარა. გაწბილებული ვარ.

– მე ამოგიდგები მხარში დარდი ნუ გაქვს.

– ვთქვათ და დამიჭირეს. აი, ეგ უფრო რეალურია, ვიდრე [illegible] წასვლა. ციხეში რომ ჩაგსვან?

– იქაც წამოვალ.

– ჩემთან ერთად დაჯდები?

– ჰო. საკანში. დღეს კაფეში წავიდეთ.

– ვერა, ვერ წავალთ.

– რატომ?

– სახლიდან გაუსვლელობაზე ხელი მომაწერინეს. ალბათ დღეს ან ხვალ მომაკითხავენ.

– რა უნდათ შენგან? რას გერჩიან?

– ეგ საიდუმლოა.

– ჩემითვისაც?

– ყველასთვის, მით უფრო ქალისთვის.

– ქალი სანდო არაა, სანდრო?

– ხანდახან კი. გააჩნია.

– მაინც როდის? როცა ლოგინში გიწევს, მაშინაც?

– ეგ არ მიფიქრია.

სანდრო ადგა. სწრაფად ჩაიცვა და სავარძელში ჩაჯდა. სტვენა აუტყდა. ხან სტვენდა, ხან კიდევ ღიღინებდა;

– რა კარგ ხასიათზე ხარ დღეს, სანდრო. ასე მომწონხარ.

– კი, კი. ყავა მოადუღე. მე მთლად ვგიჟდები შენზე. ყავა. თუ შეიძლება.

– ახლავე, იქონიე მოთმინება.

– დასალევი თუ გაქვს რამე?

– ბორჯომი.

– მაგარზე გითხარი.

– უიმეე... რომ არა მაქვს.

– ცოტა ფული მასესხე. „იზაბელას“ ამოვიტან.

– უიმეე... რომ არა მაქვს. სულ შესანსლა...

გვერდით ოთახში ავადმყოფი კაცი იჯდა, დოდოს მამა. იგი ფულის ნაკუწებს ახრამუნებდა. მერე გადმოყრიდა პირიდან. იმდენი მოგროვებოდა, ვერ მოეთავებინა. ახრამუნებდა და მერე ყრიდა პირიდან.

– არ მიმატოვო, – სევდიანი ხმით თქვა დდომ.

– არა, არა. შენ თუ არ მიმატოვე...

დოდო ადგა. სანდროსაც უბრძანა ადგომა. მერე ყელზე ჩამოეკიდა კაცს. სანდრო დატრიალდა ყელზე ჩამოკონწიალებული დოდო კარგა ხანს ატრიალა.

– მიყვარხარ ძალიან, სანდრო.

– მე მძულხარ თუ... ძალიან, ძალიან მიყვარხარ.

დოდო ტუჩებზე დააცხრა სანდროს. მკლავები კისერზე მოხვია. მკერდზე მიეკრა. კარგა ხანს იდგნენ გარინდულნი. სანდრომ ხელში აიყვანა დოდო. ეგრე ატატებული მიიყვანა საწოლთან, ზედ დააწვინა.

– მიყვარხარ, სანდრო. არასოდეს მიგატოვებ. შენ?

-არც მე, არც მე, – ხმა გაებზარა სანდროს.

– უცხოეთში წამიყვან?

– კი, კი, – უაზროდ იმეორებდა სანდრო, თან ქალის ტუჩებს ხარბად ეწაფებოდა.

– სადაც წახვალ, ყველგან წამიყვან?

– კი, კი. მაგრამ ციხეში რომ ჩამსვან?

– იქაც, იქაც წამოგყვები, – ატირებული ხმით ჩურჩულებდა ქალი.

•

ნაშუადღევს ზარის ხმა გაიგონეს. ორი პოლიციელი ჯიქურ შემოვარდა. აბა, გაემზადეო, უთხრა ერთმა სანდროს. სად უნდა წამიყვანოთო, ჰკითხა პოლიციელებს. სადაც დაბარებული ხარ, იქაო, უპასუხეს. იუბილეს ხომ არ მიხდითო, გაიმასხრა, ნაძალადევი ღიმილიც მოაყოლა. აბა, სწრაფად ჩაიცვიო. უბრძანეს პოლიციელებმა.

პროლოგი

სასამართლო დეკემბრის ბოლოს შედგა. შუა სხდომა მიმდინარეობდა, როცა დარბაზში გურგუნდია შემოვიდა. სანდრო გაოგნდა. სიბრალული თავიდან წამოვიდა, გული გაიარა და მთელი სხეული დაზაფრა. კი არ იცოდა, თუ რატომ შეეცოდა ქერათმიანი, რომელიც სულ მუდამ ეზიზღებოდა. გურგუნდია სამოქალაქო ფორმაში იყო გამოწყობილი. მან სანდროს გასაგონად დაილაპარაკა: „მე დამღუპე, ნიაური კი ააშენე. მე სამსახურიდან გამაგდეს. ნიაური კი მთავრობის კანცელარიაში მუშაობს. რეფერენტია“.

სასამართლოს შენობიდან ორმა ბადრაგმა გამოიყვანა. ირგვლივ მიმოიხედა იქ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ქალი, ერთადერთი არსება დალანდა უკაცრიელ ქუჩაში, დოდო იქნება, აბა სხვა ვინ გამაცილებდაო, თავისთვის ჩაილაპარაკა. მხედველობა დაძაბა. მარგო შეიცნო იმ გამხდარ ქალში, მხრებაწურული და სახეგატანჯული მარგო ენაჩავარდნილს ჰგავდა იგი. მანქანაში რომ ჩასვეს, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს თავი ახადეს და მის ნაცვლად რაღაც მძიმე ნივთი დაადგეს. ბადრაგმა მანქანის კარი ჯახუნით გაიხურა და სამუდამო უკუნეთი ჩამოწვა.

დალილა გედიანიძე

თიბვა

ჭრელად იცინის სათიბი
ათას ყვავილისთვალება,
ტოკავს ყაყაჩო ნატიფი –
მთიბველსაც შეებრალება.

მოგთიბვენ, რა გიხარია,
ერთხელ მოსულო ბალახო?
რა ავდარივით დარია,
უკანასკნელად ნანახო.

იგი წავა და მოვა სხვა –
მინდორთა შესამკობარი
და წავუქციოთ ჭიქა, ვთქვათ
ბალახის შესანდობარი.

სიკვდილს

„სულს ნუ ამომხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა.“

აკაკი

ჰეი, სიკვდილო, სიკვდილო,
რა ბრმა და ყრუ ხარ ხანდისხან.
„სულს ნუ ამომხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა!“

ისედაც ერთი წამია
სიცოცხლე შესაბრალისთა.
„სულს ნუ ამომხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა.“

მაცალე, სიტყვა დავაჭდო,
ვით ნაკვალევი ხმალისა.
„სულს ნუ ამომხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა.“

არ დაიჩოქო ჩემს კართან!
ძლივს გული გამიხალისდა.
„სულს ნუ ამომხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა.“

სიკვდილო, დღეს არ მცალია,
ხვალემ იკითხოს ხვალისა.
„სულს ნუ ამომხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

შენ მიუყვები ზეცის ბილიკებს
მზესავით შორი, მზესავით შორი.
მოვა ქარი და ჩამოგვირიგებს
ფოთლებს, დაღლილებს ქარებთან
ბრძოლით.

ამაოება ამქვეყნიური
ვერ შეგეხება წმინდას და მარტვილს.
გულს ვერ ვიურვებ, გულს ვერ
ვიურვებ,
მე შენ მოგელტვი და შემოგნატრი.

ამ უზარმაზარ დედამიწაზე
მე შენიანად მიგულვე, დაგრჩი.

შენით ვარ სავსე, შენით ვარ სავსე
ყოველდღიურსა და წვრილმან
დარდში.

არ გამიმართლა, როგორც ველოდი
და გაჩენისთვის გამჩენს ვემდური,
მაგრამ ყოველთვის შენ გიმღეროდი
მე ბედნიერიც და უბედურიც.

მეც წამიყვანე, სადაც შენ წახვალ!
უშენოდ ყოფნას არა აქვს ფასი.
სული მიიწევს მაღლა და მაღლა
და ვიწმინდები ღვთიური არსით.

ქარავანი

აფსუსია, დრო არ გვერგო მშვიდი!
ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

აითრია პატარა თუ დიდი –
ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

ჩანგრეულა ო, რამდენი ხიდი –
ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

არ იკითხო, ვინ – ვის, ვინ – რას ყიდის
– ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

აღარც ხათრი და აღარც ღვთის რიდი –
ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

ერთხელ მოვალთ! რა ახლოა ბინდი!
ყველაფერი მიდის, მიდის, მიდის...

•

უკანასკნელი სიყვარულით
მიყვარხარ... ღმერთო!
დღეს გაზაფხულის ბოლო დღეა
და ვინ იცის, გაის ამ დრომდე
რა მოხდება, რა შეიცვლება!
უკანასკნელად მოხვედი ჩემთან
და შემოგყურებ უკანასკნელად.
ჩვენს ფანჯარას მზე ეთხოვება –
მიმწუხრის ჟამი, მზის ბოდიშობა
წასვლის გამო.
როგორც ეს მზე, შენც წახვალ მალე
და მე დავრჩები სიბნელეში
მარტოდმარტო
და გავიხსენებ შენს ხმას, შენს ხელებს.
განა მზე აღარ ამოვა!
ამოვა, მაგრამ მზე უშენობის.
შენ დაასწარი – სანამ სიყვარული
წავიდოდა,
წასასვლელად შენ მოემზადე.
ვინ იცის, იქნებ ასეც ჯობდეს,
რომ ლამაზ მოგონებად გადაიქცე.
კიდევ შევხვდებით, ცხოვრება ოხერია,
განა არ შევხვდებით, მაგრამ
სიყვარული აღარ იქნება.
შენი ღიმილი მზის ჩასვლას მოჰგავს.
უკანასკნელი სიყვარულით
მიყვარხარ... ღმერთო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

კოჭლი მთვარე. დედამიწა
მთვარის ფეხქვეშ ტორტმანებს
და ჰაერიც გადაირწა –
რე მინორი, ნოტა რე!

მეც მარტო ვარ და შენც – მარტო
შუალამის მთვარეო.
ჩამომიჯექ, შემემატე,
გული გამიხარეო!

მომიყევი, სად იარე,
მითხარ შენი ამბავი.
მე კი ჩემსას გეტყვი, მთვარევ,
სხვა განა გვყავს აბა, ვინ?

მოოქვრილა არე-მარე,
ჩემი თავსასთუმალი,
თავთან მიზის კოჭლი მთვარე –
ჩემი ღამის სტუმარი.

ღრუბელი

– ო, საით მიქრი, ღრუბელო,
შეუკაზმავი, უბელო?
– ქარს მივყვები და გამოჰყევ,
შენსკენ რო წამოუბეროს.
წამოდი, ზეცას გაჩვენებ
უბრყვილოსა და უბნელოს!
– გამოგყვებოდი, მაგრამ ჯერ
ჩემთვის ადრეა, ღრუბელო,
და დამიკოცნე, ვინც მანდ გყავს,
ზეცას რომ შემოურბენო!

ნუნუ ქადაგიძე

ნატვრისთვალი

მოთხრობა

გადაუღებლად წვიმდა, ზანტად, გაჭიანურებულად. ალბათ ყველაფერი სწორედ ამ წვიმის ბრალი იყო, გაწუწულს და შემცივნებულს თვალში შემეჩხირა ნეონით გაჩირაღდნებული წარწერა „ნატვრისთვალი". ძალზე მიმზიდველად ბრკიალებდა, თითქოს აღთქმული ქვეყნის ნაპირი გამოჩნდაო.

დიახ, ასეა. მეტად მიმზიდველი წარწერა იყო, მრავლისაღმთქმელი შინაარსის მქონე. მის მიღმა ალბათ ან მაღაზია იქნებოდა, ან კაზინო. კიდევ უფრო უკეთესი, კაფე ან ღამის კლუბი თუ აღმოჩნდებოდა. ჩემისთანა გზადაბნეულისთვის პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო. თავს ავარიდებდი წვიმას, ცოტა ხნით შევისვენებდი, შევთბებოდი და კვლავ გავაგრძელებდი ჩემს გზას. სრულიად შემთხვევით შემოვეხეტე ამ ქუჩაზე, ქალაქის ამ მხარეს თითქმის არ მიწევს სიარული.

როგორც კი კარის ზღურბლს გადავაბიჯე, საკმაოდ მოზრდილ დარბაზში ამოვყავი თავი. სრულიად ცარიელი იყო იქაურობა, და ეს ძალიან უცნაურად მომეჩვენა. წვიმაში ხომ განსაკუთრებული ხალხმრავლობაა, მაღაზია იქნება თუ კაფე. შემთხვევითი გამვლელები შემოვლენ ვითომდა რაიმეს შესაძენად ანდა თითო ფინჯანი ყავის დასალევად. ამასობაში შეიძლება წვიმამ გადაიღოს, ანდა შესუსტდეს მაინც და ისინიც გააგრძელებენ თავიანთ გზას.

აქ კი, როგორც უკვე ვთქვი, გადასაწვიმებლად შემოსულთაგანი არავინ ჭაჭანებდა. არც ისეთი ჩანდა ვინმე, შინაურს მგვანებოდა. ოღონდ მეტი ყურადღებით რომ მოვათვალიერე იქაურობა, ასე ათიოდე წუთის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მარტო არ ვიყავი: ჩიატანის კაცუნა დაბალ სკამზე მიმჯდარიყო შესასვლელთან, პირით დარბაზისკენ. სწორედ ამიტომ ვერ შევამჩნიე შემოსვლისთანავე. კაცუნა თვლემდა. ჭაღარა თხელი თმა ჩაქინდრულ თავზე წამოშლოდა. ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს.

დარბაზის შუაგულში მწვანე მაუდგადაკრული ფართო მაგიდა იყო გამართული. ერთი შეხედვით ბილიარდის მაგიდას წააგავდა, რადგან ჩარჩოთი იყო შემოსაზღვრული. ოღონდ მისგან განსხვავებით, ოვალური ფორმისა გახლდათ. მაგიდის შუაგულში რაღაც ციმციმებდა. ბრჭყვიალა თვალი აღმოჩნდა, როცა უფრო კარგად დავაკვირდი. ზომით ასე კაკლის ტოლა იქნებოდა.

მგონი კაზინოში მოვხვდი, გავივლე გულში. ოღონდ ეს მაგიდა არ ჰგავს რულეტს, არც კარტის სათამაშოდ გამოდგება, არც ჩემთვის ცნობილი რომელიმე გასართობისთვის. ერთი ბრჭყვიალა თვალი დევს და მეტი არაფერი. ამას გარდა, არც სხვა მაგიდები ჩანს, არც სათამაშო ავტომატები.

როგორ, ამოდენა დარბაზი ერთი მაგიდისთვის მოცდება?

მოთამაშეც რომ არავინ ჩანს?

სხვა მხრივ თვითონ დარბაზი მშვენივრად გამოიყურებოდა; იატაკი, კედლები, ჭერი, ყოველივე ჯეროვნად მოერთოთ და აღეჭურვათ ფერებით, ფიგურებით, განათებით. ირგვლივ ყოველივე ჩახჩახებდა და ელავდა. ეს უცნაური სიცარიელე რომ არა, კაზინოს ნამდვილად შეეფერება აქაურობა.

იქნებ ეს ჩემთვის აქამდე უცნობი რომელიმე თამაშია, რაიმე ახალი ტიპის გასართობი, დიდად გათვითცნობიერებული არ გახლავართ ასეთ საკითხებში.

– ერთი მითხარით, თუ შეიძლება, – მივუბრუნდი კაცუნას, იგი ისევ თვლემდა, სანამ მე აქაურობას ვეცნობოდი, – ეს რაიმე ახალი თამაშია?

კაცუნამ თვალი დააჭყიტა, ორიოდე წამს ჩუმად მიყურებდა, თითქოს ჩემი ნათქვამის გააზრებას ცდილობსო.

– თამაში? –როგორც იქნა, ამოიღო ხმა, – შეიძლება ასედაც ითქვას.

– რას გულისხმობთ?

– ეს ხომ ნატვრისთვალია! – ისეთნაირად მითხრა, თითქოს ამით ყოველივე გასაგები იყო.

– რაო, რა ბრძანეთ? ნატვრისთვალი?

– დიახ, დიახ, ნატვრისთვალი.

ახლა ჩემი გაჩუმების ჯერი დადგა. ალბათ ათიოდე წამი მაინც ვდუმდი, სანამ ხმას ამოვიღებდი.

– მეხუმრებით?

არაო, კაცუნამ ენერგიულად გაიქნია თავი, თხელი თმა აეშალა.

– კი, მაგრამ ნატვრისთვალი განა მართლა არსებობს?

– განა არ გსმენიათ მის შესახებ? – კითხვა დამიბრუნა.

– მხოლოდ ზღაპრებში.

– რომელი ზღაპარია თვით ცხოვრებაზე უფრო ზღაპრული? – კვლავ კითხვა შემომაგება მან, თან თავისთვის ჩაიღიმა, თბილად, უბოროტოდ.

– მართალია, მაგრამ მაინც მიჭირს დავიჯერო, – ვთქვი მე, – ნატვრისთვალმა ხომ რაიმე ნატვრა უნდა შეასრულოს...

– ცხადია, ეს მისი პირდაპირი დანიშნულებაა.

– მერე, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ნატვრა იქცეს იმად, რასაც ვინატრებ, ანუ უსხეულო იქცეს სხეულად... ვთქვათ, ვინატრე ოქროს ზოდი...

კაცუნა წამოდგა, მაგიდას მიუახლოვდა და მოპირდაპირე მხარეს დადგა.

– წონა მითხარით, – საქმიანი სახით მითხრა, – აქ სიზუსტეა საჭირო.

– ჰმ, ვთქვათ, ათკილოგრამიანი...

– სინჯი!

– ასე, ოთხმოცდაათამდე.

– რაოდენობა!

– ვთქვათ, ასი ცალი... ჰოდა, სანამ მე ის მენატრება, იგი უსხეულოა, ნატვრას ხომ სხეული არ აქვს. ოქროს ზოდს კი ნამდვილად აქვს სხეული, თუკი არსებობს საერთოდ. აქედან გამოდის, რომ უსხეულო უნდა იქცეს სხეულად. განა ასეთი რამ შესაძლებელია? ეს ხომ ბუნების კანონების დარღვევაა.

– ეს ყველას უკვირს, – კვლავ ჩაიღიმა კაცუნამ, – არადა სულ უბრალო ამბავია; ნატვრისთვალის მეოხებით სივრცის გადაკეტვა ხდება...

– ეს რაღას ნიშნავს? – გაკვირვებით ვკითხე.

– ... რაც შეეხება დროს, იგი ზამბარასავით შეიკუმშება, – ყური არ მათხოვა კაცუნამ, – თუმცა თქვენ ალბათ არც ის იცით, რომ სივრცე მყიფეა, როგორც ბროლის სარკე, დრო კიდევ

ფოლადის ზამბარასავით დრეკადია. დიახ, სივრცე და დრო სრულიად განსხვავებული ბუნების არიან. უფრო მეტიც, შეუთავსებელნი არიან. ამის მიუხედავად, მთელი სამყარო მათი შეთანწყობისგან შედგება...

– გამაგებინე, რას ამბობ...

მან როგორც იქნა, შემომხედა.

– ძნელია თქვენთან ლაპარაკი, არც არაფერი იცით, არც რაიმეს დაჯერება შეგიძლიათ. ნებისმიერი სხეული ბოლოს უსხეულო ენერგიად გარდაიქმნება ხოლმე და პირიქით, უსხეულო ენერგია სხეულით შეიმოსება. სხეული და ენერგია, ეს ორი უძველესი მოცეკვავე, განუწყვეტლივ ადგილმონაცვლეობენ. სკოლიდან მაინც გაიხსენეთ ენერგიის მუდმივობის და გარდაქმნის კანონები...

– ეს სულ სხვა რამეა, – შევესიტყვე მე.

– ზუსტად იგივე ამბავია, – გაფიცხებით ჩამომართვა სიტყვა, – ბუნების კანონები არსად არ ირღვევა. აი, შემომხედეთ, – მან ორივე ხელი ფართოდ გაშალა, ხელისგულებით მაღლა, – ერთ ხელისგულზე თქვენი ნატვრა მიდევს, მეორეზე ნატვრის საგანი. მათ შორის ძალზე ფართო სივრცე – დროის რკალია, იმდენად ფართო, რომ ვერც კი წარმოიდგენთ. თქვენი სასიცოცხლო დრო მაგ რკალში რამდენჯერმე ჩაეტევა. მინდა იცოდეთ, თუ აქამდე არ იცოდით: როცა იქნება, თქვენი ნატვრა აუცილებლად ასრულდება, იგი აუცილებლად იქცევა სხეულად. ნატვრა იგივე ენერგიაა და არც ის დაიკარგება, როგორც სხვა უსხეულო ენერგიები. საქმე იმაშია, რომ ვერაფრით ვერ მიწვდებით, სივრცე-დროის უფართოესი რკალი გადაულახავი დაბრკოლებაა თქვენთვის. მაგრამ აი, ნახეთ, – მან გაშლილი ხელები ერთმანეთს დაუახლოვა, მაღლა მიმართული ხელისგულები ერთმანეთის გვერდით მოაქცია, – სივრცე გადაიკეცა, დრო შეიკუმშა, მანძილი ნატვრასა და მის საგანს შორის ნულის ტოლი გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენი ნატვრა ასრულდა, იგი იქცა იმად, რაც ინატრეთ. უსხეულომ სხეული შეიძინა. აი, რა შეუძლია ნატვრისთვალს, ეს ყოველივე მისი წყალობით ხდება. ახლა ხომ გაიგეთ...

– თითქმის...

კაცუნამ ცნობისმოყვარეობით შემომხედა და ოდნავი დაყოვნებით მითხრა:

– მინდა ბარემ აქედანვე იცოდეთ, მხოლოდ ერთი ნატვრის უფლება გაქვთ.

•

ათიოდე წამით სიჩუმე ჩამოვარდა, კაცუნა მომლოდინე სახით შემომყურებდა. მე ჩემთვის ვფიქრობდი. თავი ოდნავ მიბრუოდა, გაგონილი საკმაოდ დამაჯერებელი მომეჩვენა. ყოველ შემთხვევაში მე მისი შემოწმება არ შემეძლო და არც სურვილი მქონდა ამისი. თუ ყველაფერი ნაღდად ასეა, როგორც ახლახანს მოვისმინე, მაშინ ეს ბრჭყვიალა თვალი მართლა შემისრულებს რაიმეს. ჰოდა, რატომ გავუშვა ასეთი შანსი ხელიდან? მხოლოდ ერთი ნატვრაო, ის ერთიც წყალს გავატანო?

არადა, რამდენი რამაა სანატრელი... ნეტავი ასე რატომ დაუწესებიათ, ერთის გარდა მეტის უფლება არ გაქვთო. იქნებ მეორის უფლებაც მომცეს. ვიკითხავ, კითხვას წინ რა უდგას...

– არ შეიძლება, მეორეჯერაც ვინატრო რაიმე? – ვკითხე კაცუნას.

– მაშინ აქ მეორეჯერ უნდა მობრძანდეთ, – იყო პასუხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– აჰა, – ვთქვი მე, ძალიან გამახარა გაგონილმა, აქ კიდევ შემოსვლაზე ადვილი რაღა უნდა იყოს (თურმე როგორ ვცდებოდი!) – ბარემ ისიც მითხარით, ნატვრისთვალი მხოლოდ აქ, ამ დარბაზში მოქმედებს თუ სხვაგანაც? ძალა ხომ არ ეკარგება ამ კედლების მიღმა.

– რა საკითხავია! ნატვრისთვალი ყველგან ნატვრისთვალია.

– თუკი ვთქვათ, ნატვრისთვალი ჩემი საკუთრება იქნებოდა, სიტყვაზე... ასეთ შემთხვევაში რამდენი ნატვრის უფლება მექნებოდა?

მეგონა, ამ შეკითხვის მერე კაცუნა დაცვას გამოუძახებდა (თუ ასეთი რამ არსებობდა ბუნებაში) მან კი სრულიად უბრალოდ მიპასუხა.

– ასეთ შემთხვევაში ნატვრათა რიცხვი უსასრულოა, – მან თავშეკავებულად დაამთქნარა და დაუმატა, – ეს კი იგივეა, რაც ნატვრათა სრული არარსებობა, ან თითქმის იგივე...

●

ახლა კი სხვა აღარაფერი დამრჩენია, უნდა ვინატრო რაიმე, უკვე დროა. კაცუნას თავშეკავებული დამთქნარებაც ამას მიმანიშნებს, თავი მოვაბეზრე ნაღდად. რა ვინატრო? არაა საჭირო ამაზე დიდი ფიქრი და თავის მტვრევა, ისედაც ბევრი ვიფიქრე უკვე, რაც აქ შემოვდგი ფეხი. ოქროს ვინატრებ, ეს ყველაზე საიმედოა, უფრო მაღალ ფასეულობებს ვერ შევბედავ, მეშინია რაიმე ხათაბალაში არ გავეხვიო. რაც არ უნდა იყოს, სიფრთხილეა საჭირო, ეს უცხო თამაშია ჩემთვის, უნდა გავფრთხილდე.

უცბად ერთმა აზრმა გამიელვა.

– ერთი ესეც მითხარით, თუ შეიძლება, – ვკითხე კაცუნას, –რაიმე წინასწარი პირობა ხომ არ არის საჭირო, სანამ, ასე ვთქვათ, ნატვრისთვალი ამოქმედდებოდეს, თუნდაც პირობა, გარიგება ანდა ფსონის ჩამოსვლა, რაც გარკვეულ თანხასთან იქნება დაკავშირებული.

არაო, მაშინვე გადაჭრით შემომაგება კაცუნამ, არავითარი წინასწარი პირობა, არაფერი მაგის მსგავსი არ არის საჭირო. არავითარი თანხა, თუნდაც სულ უმცირესი, თქვენ სრულიად ხელგახსნილი ხართ, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. ოღონდ აი, როდესაც ყოველივე დასრულდება და წასვლას დააპირებთ, სასურველია, აქ დატოვოთ თქვენი ნანატრის რაღაც ნაწილი, ჩვენც ხომ ცხოვრება გვინდა... მაგრამ თუ მთლიანად თან წაიღებთ თქვენს ნანატრს, არც ამაზე შეგედავებათ ვინმე. იგი თქვენია, მთლიანად თქვენი.

– გასაგებია, – ვთქვი მე, თუმცა ერთმა ღმერთმა იცოდა, რა იყო ჩემთვის გასაგები, – მაინც რამდენ ნაწილს ტოვებენ ხოლმე ნანატრიდან? რამდენი უნდა დავტოვო?

– რამდენსაც ინებებთ. ესეც მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული.

– მე გარკვეულობა მიყვარს, – ვუთხარი კაცუნას. – მინდა ვიცოდე, სხვები როგორ იქცევიან; რამდენს ირგუნებენ თავისთვის და აქ რამდენს ტოვებენ, როგორ ხდება უმეტეს შემთხვევაში.

– უმეტეს შემთხვევაში? – გაიმეორა კაცუნამ ჩემი სიტყვა, – უმეტეს შემთხვევაში აქ ტოვებენ თითქმის ყველაფერს, რასაც კი ინატრებენ, მხოლოდ უმცირესი მიაქვთ თან. ასეც მომხდარა, – აქ კაცუნამ ისევ დაამთქნარა წინანდელივით თავშეკავებულად, – მთლიანად აქ დაუტოვებიათ თავიანთი ნანატრი, უმცირესიც კი აღარ ერგებათ, სრულიად ცარიელნი დარჩენილან.

ამ პასუხმა ძალიან გამაკვირვა. ერთ ხანს ჩუმად ვუყურე და მერე ისევ ვკითხე.

– რატომ რჩებიან ცარიელნი, როცა ნანატრის მთლიანად წაღებას არავინ უშლით. დავიჯერო, ერთხელ მაინც ვერავინ ირგუნა მთლიანად თავისი ნანატრი?

– ასეთი რამ ნამდვილად არ მაგონდება. – თქვა კაცუნამ. მერე შუბლზე თითი მიიდო და დაფიქრდა, – თუმცა, მოიცა... აქ ერთხელ ვიღაც კაცი შემოეხეტა, ძალზე შიოდა, ხაჭაპური ინატრა და აქვე შეჭამა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა აქ შემოსულმა სრულად მიიღო თავისი ნანატრი. მსგავს შემთხვევას სხვას ვერ ვიხსენებ. აქ კაცუნამ ისეთი იერით შემომხედა, თითქოს მეკითხებოდა, დარჩა კიდევ რაიმე გასარკვევიო?

•

– ვინატრებ რაიმეს, – ვთქვი გადაჭრილად, თან გულში ვფიქრობდი; ბოლოს და ბოლოს რატომ არ უნდა მივიღო მონაწილეობა ამ თამაშში. თუ ვერაფერს მოვიგებ, არც არაფერს დავკარგავ. კაცუნა მაშინვე თაგვივით წაცუნცულდა შესასვლელისკენ, მე თვალი მივადევნე... დაიხარა, შლიაპა აიტაცა ჯორკოდან... არც ჯორკო და არც შლიაპა მანამდე არ შემინიშნავს, სკამი ეფარებოდა უცხო თვალისგან. ფართოფარფლებიანი შავად მბზინავი შლიაპა იყო, ზუსტად ისეთი, ილუზიონისტები რომ იყენებენ ფოკუსებისთვის. კაცუნას ამობრუნებული ეჭირა იგი. როგორც აღმოჩნდა, ქაღალდის ნაკუწებით იყო სავსე.

– ხელი ამოურიეთ და ერთ-ერთი ქაღალდი ამოიღეთ, – მეუბნება კაცუნა. ასედაც მოვიქეცი. ქაღალდი გავშალე, აი რა ეწერა მასზე:

„მარჯვენამ აიღოს, მარჯვენიდან, მარცხენამ – მარცხნიდან“

– ეს რაღას ნიშნავს? – ვიკითხე გაოცებულმა, ვერაფერი გამეგო.

– ესაა კეთილი რჩევა, რითაც უნდა ისარგებლოთ ნანატრის სრულად მისაღებად. თუ ამ რჩევას უგულებელყოფთ, უმცირეს ნაწილს მიიღებთ, ანდა სულაც ცარიელზე დარჩებით.

– კი მაგრამ, არ მესმის ამ სიტყვების აზრი.

– მაგაზე მე ვერ დაგეხმარებით. ეს სიტყვები თქვენთვისაა და არა ჩემთვის.

გაოგნებული დავყურებდი ქაღალდის ნაკუწს, მისი აზრის ამოცნობას ვცდილობდი. კაცუნა ფუსფუსს განაგრძობდა. შლიაპა ჯორკოზე დააბრუნა და ახლა ქვიშის საათი დააძრო საიდანღაც.

– აბა, – მკითხა ომახიანი ხმით, – მზადა ხართ?

– დიახ! – ვუპასუხე და ქაღალდს თვალი მოვწყვიტე.

– ძალიან კარგი. ნატვრისთვალს უყურეთ და ინატრეთ რაიმე. ნატვრა მთელი სიხარულით სწორედ თვალებში ცხადდება. სივრცე გადაიკეტება, დრო ფოლადის ზამბარასავით შეიკუმშება, თქვენ მის ცენტრში მოექცევით. აი ასე, – მან ქვიშის საათი ამოაბრუნა და დიდის ამბით დადო მაგიდის განაპირას. – სანამ ქვიშა ჩამოიცლებოდეს, ნატვრისთვალი თქვენს განკარგულებაშია, შეგიძლიათ გონების თვალით ერთხელ კიდევ გადახედოთ თქვენს ნატვრას.

•

კაცუნამ ისევ თავის სკამს მიაშურა შემოსასვლელთან, მარტო შემატოვა ნატვრისთვალს და ქვიშის სა-

ათს. მაშინვე თავში ქარიშხალივით დამიტრიალდა ფიქრები, სულ რამდენიმე წამის წინ კი ასე მეჩვენებოდა, თითქოს მზად ვიყავი ამ უცხო თამაშისთვის. თურმე სადა ხარ...

ჯერ იყო და ქვიშის საათს მივაჩერდი მოჯადოებულივით. ქვიშა იყრებოდა, იყრებოდა შეუჩერებლად. და ამ დროს რატომღაც ძალიან მკაფიოდ გავიგონე წვიმის ხმა. არ ვიცი, მანამდე არ მესმოდა თუ ყურადღებას არ ვაქცევდი. ქვიშის საათს წვიმის წვეთების შხაპუნი დაეფინა, რაღაც საოცრად კი მოუხდნენ ერთმანეთს. წვიმის შხაპუნი და უხმო ჩამოფენა ქვიშისა, უხილავი დროის ხილული და კეთილხმოვანი დინება...

მერე გამახსენდა, რომ შემეძლო გონების თვალით გადამეხედა ჩემი, უკვე მოფიქრებული ნატვრისთვის, ქარიშხალიც სწორედ ამან გამოიწვია. ეეჰ, სათქმელი სულ მებნევა, როცა ამ წუთებს ვიგონებ. უცნაურია, მაინც რა გვემართება ხოლმე სწორედ მაშინ, როდესაც მართლა ძალიან გვჭირდება სწორი განსჯა, აზრების მოკრეფა. სად ქრება ჩვენი სწავლა-განათლება, გამოცდილება, უამრავი წაკითხული წიგნი, ფილმი, უამრავი ბრძნული გამონათქვამი, იგავი... სულ ტყუილია, სრულიად უსარგებლონი ხდებიან ისინი, როცა ყველაზე მეტად გვჭირდება გზის გაკვლევა მოულოდნელობათა ლაბირინთებში.

არადა, თითქოს არაფერი შემშლია, არც არაფერი გამომრჩენია. თავიდანვე ძალზე ზუსტად შევაფასე ჩემი მდგომარეობა. გონებაში განუწყვეტლივ ვუმეორებდი საკუთარ თავს, რომ ეს ჩემთვის უცხო თამაშია, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე მმართებს. არც იმის გამორკვევა დამვიწყებია, რომ არავითარ ფსონს არ ჩავდიოდი. ანუ თუ არაფერს მოვიგებდი ამ უცხო თამაშიდან, წაგებითაც არაფერს წავაგებდი. მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყე იმაზე ფიქრი, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მენახა ამ თამაშიდან. დიახ, მე არაფერი შემშლია, არაფერი გამომრჩენია, სულ უმცირესი წვრილმანიც კი გავითვალისწინე...

და მაინც, ერთხელ კიდევ კარგად დავფიქრდეთ. დრო გვაქვს, ქვიშის საათის ზედა კონუსში ბევრად მეტი ქვიშაა, ვიდრე ქვედაში. ალბათ ისევ ამ ოქროს ზოდებს ვინატრებ, რა დაწვრილებით გამომკითხა მათ შესახებ კაცუნამ. დიახ, სიზუსტეა საჭირო, წონა, სინჯი. ეს ჩემს ხელთაა, ვერსად გამექცევა, მაგრამ მინდა კია? როდესაც საქმე ნატვრისთვალთან გაქვს, ოქრო როგორღაც უფერულდება. ოქრო, ანუ სიმდიდრე, ეს ისეთი რამეა, რაც ნატვრისთვალის გარეშეც შეიძლება მოიპოვო. იგი გადადის ხელიდან ხელში, მეტად არამყარია.

დავფიქრდეთ, რაც შეიძლება კარგად დავფიქრდეთ, არაფერი გამოგვრჩეს. სიმდიდრეს ინატრებ? მაშინ ხანგრძლივი სიცოცხლეც გინდა, რათა მოასწრო მისით ტკბობა. ამასთან ერთად ჯანმრთელობაც აუცილებელია, თორემ სიცოცხლე ჯოჯოხეთად გექცევა, რაც არ უნდა მდიდარი იყო. ეს ყველაფერი თუ მოგეცა, მაშინვე იმის სურვილიც გაგიჩნდება, გამორჩეული გარეგნობა და ღირსებები გქონდეს, რათა ვერავინ დაგხედოს მაღლიდან. ... აი, ხომ ხედავთ, ნატვრათა მთელი თაიგული მივიღეთ. ძნელია, მეტად ძნელია ამოარჩიო ამ თაიგულში ერთადერთი ნატვრა, რომელიც ყველაზე სასარგებლო და შესაფერისი იქნება თქვენთვის. ქვიშის საათი კი იცლება, იცლება შეუჩერებლად. არა, ერთი ნატვრა აქ საქმეს ვერ უშველის, რამდენიმეა საჭირო. მეუბნებიან, შეგიძლია კიდევ მოხვიდეო, რაღაც ეჭვი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარება. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული არა ვარ მაგაში. ვინ იცის, იქნებ ეს ერთადერთი შანსია... იქნებ მერე მთელი სიცოცხლე სანანებლად გამიხდეს, თუ ამ შანსს ხელიდან გავუშვებ და შესაძლებლიდან უდიდესს არ მივიღებ მისგან.

ქვიშის საათი კი იყრება, იყრება შეუჩერებლად, მგონი, სულ უფრო და უფრო სწრაფად. რა კარგად მესმის იმ მოჭადრაკეებისა, უცნაურ სვლებს რომ აკეთებენ მძიმე ცაიტნოტში, მერე თვითონ უკვირთ...

იფიქრე, იფიქრე, თავო...

არა, ერთი ნატვრა საქმეს ნამდვილად ვერ უშველის. თვითონ ნატვრისთვალი რომ გავიტანო აქედან? აი, ეს იქნებოდა ყველაზე ნაღდი. ჰო, ეს მართლაც ყველაფერს აჯობებდა.

აი, მაშინ მოევლებოდა ყველაფერს ერთხელ და სამუდამოდ, რაც ცხოვრებას მიწამლავს.

ო, რა სწრაფად იყრება ქვიშა.

როგორ მოვიქცე?

ნაღდად ასეა, ნატვრისთვალის აქედან გატანაა ერთადერთი საუკეთესო სვლა ამ უცხო თამაშში. რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო ცხადი ხდება ეს ჭეშმარიტება.

კი მაგრამ, როგორ შევძლო მისი აქედან გატანა?

ჰოო, მოვიფიქრე! რაიმეს ისეთს ვინატრებ, რაც ნატვრისთვალის აქედან გატანაში დამეხმარება.

ასეთი რა შეიძლება იყოს?

ალბათ ალმასის თვლები, ისეთივე ზომის, როგორიც ნატვრისთვალია.

ოჰ, ეს მართლაც კარგად მოვიფიქრე; ვინატრებ ალმასის თვლებს ზომით ნატვრისთვალის ტოლს. ჯიბეში ჩავიყრი და ვითომ შემთხვევით, ნატვრისთვალსაც მივაყოლებ, მის ადგილას კი ალმასის თვალს დავტოვებ.

კაცუნას გავხედე. შესასვლელთან სკამზე ჩამომჯდარი ყვინთავდა.

მაგის მოტყუებას რა უნდა, მეც უმეტეს, ჩემსკენ არც კი იხედება.

აბა, კიდევ დავფიქრდეთ, ხომ არაფერი გამომრჩა მხედველობიდან. ვთქვათ, წავიღე ალმასის თვლები და მათთან ერთად ვითომ შეცდომით ნატვრისთვალიც. იქნებ მერე ქურდობა დამწამონ, როცა აქედან უჩუმრად წავალ. ვინ რა იცის, რა მიდარაჯებს. თითქოს არაფერი სჩანს, მაგრამ მაინც...

იფიქრე, თავო! ო, რა სწრაფად იყრება ქვიშა...

მოდი ასე მოვიქცევი; ვინატრებ უბრალო შუშის ბურთულებს, ზომით ნატვრისთვალის ტოლს, მათ სანაცვლოდ ნატვრისთვალს წავიღებ. თუ გამომიჭირეს, არც ვეტყვი; უბრალო შუშის ბურთულის გამო რა ამბავს ტეხთ-მეთქი. უწყინარი ხუმრობის სახე ექნება ყველაფერს.

დიახ, ასეა, ალმასის თვლები სულ სხვა რამეა, შუშის ბურთულა კი თითქმის არაფერი ღირს. მისი წყალობით სულ ადვილად გავიმართლებ თავს, მე ეს ყველაფერი ხუმრობა მეგონა და მეც გაგეხუმრეთ-მეთქი, ასე ვიტყვი.

მგონი, კარგად მოვიფიქრე...

რა კარგი იქნებოდა, გონების თვალით ერთხელ კიდევ გადამეხედა ყველაფრისთვის, უფრო საგულდაგულოდ გამეთვალა ვარიანტები ნატვრისთვალის აქედან გასატანად, მაგრამ მეტი დრო ნამდვილად არ მრჩება, ქვიშის საათის ზედა კონუსში სულ ცოტა ქვიშა დარჩა. წესიერად ვერაფრის მოფიქრება ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად ჩამოიცალა, არა და, მეგონა, ქვეყნის დრო მქონდა მარაგში.

რაც არის, არის! აღარც დრო დარჩენილი საამისოდ, აღარც ფიქრები მემორჩილებიან. გადაწყდა, შუშის თვლებს ვინატრებ, მეტის განსჯა მე აღარ შემიძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი გავუშტერე ნატვრისთვალს, იდუმალი პეწით რომ ციმციმებდა ამ უცნაური მაგიდის შუაგულში. ასი ცალი უბრალო შუშის თვალი ვინატრე, ზომით მისი ტოლსწორი.

ქვიშის საათიც ჩამოიცალა. ჩამოიცალა და ჩემი ნატვრაც აღსრულდა, მთელი მაგიდა ბრჭყვიალა შუშის თვლებით დაიფარა. მართლაც საოცრად გავდნენ ნატვრისთვალს, სულ ადვილად შეიძლებოდა აგრეოდა ერთმანეთში. ამის თავიდან ასაცილებლად ნატვრისთვალს წამითაც აღარ ვაცილებდი მზერას. მაშინაც კი, როცა ხელი ამოვურიე თვლებს და ისინი მსუბუქი ტკაცანით გაგორდნენ მაგიდაზე, ჩემი მზერა ნატვრისთვალზე იყო მიჯაჭვული. დიახ, ნატვრისთვალი არცერთხელ არ გამსხლტომია მზერიდან. ის ჩემგან ხან მარჯვნივ მოექცა, ხან მარცხნივ, ორივე ხელით მოვხვეტე თვლები, თითქოს ყველას ერთად აღებას ვაპირებდი, ამ დროს ნატვრისთვალი ჩავბლუჯე. წამით კაცუნას გავხედე, კვლავინდებურად ყვინთავდა. თავი კიდევ უფრო დაბლა დაეხარა. კიდევ ერთი წამიც და... ნატვრისთვალი ჯიბეში მედო. „მარჯვენამ აიღოს მარჯვენა", თითქოს ცეცხლოვანი ასოებით აენთო სადღაც ჩემს თავში ეს სიტყვები. კეთილი რჩევაა მართლაც, ნატვრისთვალი ზუსტად მარჯვენა მხარეს იყო ჩემგან მოქცეული და სწორედ მარჯვენა ხელით ავიღე. ესეც კარგი ნიშანი უნდა იყოს, მგონი გაამართლა ჩემმა განსჯამ, ალბათ, ყველაფერი რიგზეა...

გულდაარხეინებული გავემართე კარისკენ, კაცუნა ისევ ყვინთავდა თავის სკაზე. როცა გვერდით ჩავუარე, თავი ოდნავ ჩამოკრა კიდეც, თითქოს დამემშვიდობაო.

ისევ წვიმდა. რამდენიმე ნაბიჯი აუჩქარებლად გადავდგი, კარგია, სიდინჯემაც არ მიღალატა. თანდათან მოვუმატე ნაბიჯს, მერე კი... მერე მგონი გავრბოდი, ზუსტად ვერ გეტყვით. ის კი ნამდვილად მახსოვს, ჩემს ოთახში ვდგავარ და იდუმალი შუქით მოციმციმე ნატვრისთვალი დიდის ამბით მესვენა ხელის გულზე. საკუთარი თავით უაღრესად კმაყოფილი ვიყავი. რა უბრალო გეგმა იყო და რა კარგად იმუშავა, განსაკუთრებული სირთულით სულაც არ გამოირჩეოდა. კარგი ინჟინერი მხოლოდ მარტივ კონსტრუქციას ქმნის, აბა ვინ ინატრებს შუშის თვლებს. ვინ მოაცდენს ამ მიზნით ნატვრისთვალს? ეს მე, მხოლოდ მე შევძელი, მიზანსაც მივაღწიე...

•

აი, ახლა კი მოემზადეთ დიდი ამბებისთვის. ნატვრისთვალი ჩემს ხელშია, მე ის დამსახურებულად მოვიპოვე. რასაც მინდა, ვინატრებ და უმალ ამისრულდება. როგორც კაცუნამ თქვა, სივრცე გადაიკეტება, დრო ფოლადის ზამბარასავით შეიკუმშება და ნატვრაც ხორცს შეისხამს, რა უნდა იყოს ამაზე მშვენიერი. არც მეტი, არც ნაკლები, უკვე აღთქმულ ქვეყანაში ვიმყოფები, და მთლიანად ჩემს ნებასურვილზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ეს ქვეყანა. დიახ! ჩემი ნებასურვილი, ეს ყველაფერია ახლა. ნუ ვიჩქარებთ, სულ უბრალო რამით დავიწყოთ, ერთი კარგი სუფრა არ მაწყენდა, ძალიან მომშიებია...

არ მინდა თავი შეგაწყინოთ, მოკლედ და გასაგებად ვიტყვი; ერთი, სულ ერთადერთი, სულ უბრალო ნატვრაც კი არ შემისრულა ნატვრისთვალმა, პურის ნამცეცსაც ვერ ვეღირსე მისგან. ასეთი გახლდათ პირველი ნაბიჯი ჩემს აღთქმულ ქვეყანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომდევნო დღეები სრულ გაუგებრობაში გავატარე, არცერთ ნატვრას არ ეხმიანება ჩემი ნატვრისთვალი, ნეტავი რატომ? მე ხომ ყველაფერი საგულდაგულოდ გამოვარკვიე წინასწარ, სანამ რაიმეს ვინატრებდი იმ კაზინოში (მაინც ასე ვუწოდებ), დავაზუსტე, რომ ნატვრისთვალი ყველგან და ყოველთვის ნატვრისთვალია, ვის ხელშიაც არ უნდა მოხვდეს. კაცუნას თავიც კი მოვაბეზრე, იმდენი შეკითხვა დავუსვი. იქ ამისრულა ნატვრა ნატვრისთვალმა, დამაჯილდოვა შუშის ბურთულებით. ჩემს სახლში რაღა დაემართა?

აღარაფერი მინდოდა სხვა, ოღონდ კი გამეგო, რაში იყო საქმე. ამის გამოსარკვევად, ცხადია, იმ პატარა კაზინოს ვეღარ ვესტუმრებოდი, როგორმე თვითონ უნდა ამომეხსნა ეს საიდუმლო. ამ მიზნით ბოლოს საიუველირო მაღაზიას მივაკითხე, რამეთუ სხვა ვერაფერი გავარიგე.

– ერთი ეს თვალი შეამოწმეთ, – ვთხოვე იუველირს და ნატვრისთვალი მივაწოდე, თან დავუმატე, ფრთხილად მოექეცით, ძალიან ძვირფასი, უნიკალური თვალია.

გასინჯეს, შეამოწმეს და მომახსენეს, უბრალო შუშის თვალიაო.

– როგორ! უბრალო, სულ უბრალო?

– სულ, სულ უბრალო. თუმცა უნდა ითქვას, ძალზე დახვეწილი რამაა. ისეთი ზუსტია, თითქოს უწონადობაში შექმნილაო.

ჩემს გაოგნებას კიდევ ესღა უნდოდა? გარკვევის მაგივრად სულ მთლად დამებნა თავგზა. შუშის თვალი? რანაირად... მე ხომ ნატვრისთვალს დავავლე ხელი, იგი ჩემგან მარჯვნივ იდო, მზერა წამითაც არ მომიცილებია მისთვის, არც კეთილი რჩევა დამვიწყებია, „მარჯვენამ აიღოს მარჯვენა“, ერთი სიტყვით, არაფერი დამიკლია, ნატვრისთვალი სწორედ მარჯვენა ხელით ავიღე.

საინტერესოა, ასეთი რა მოხდა, როგორ შემრჩა ხელში ეს უბრალო შუშის თვალი ნატვრისთვალის მაგივრად. ამას ნამდვილად არ ველოდი. ცხადია, ნატვრისთვალს იუველირები ვერ ამოიცნობდნენ (ამას ვერც ვერავინ შეძლებს, რაც არ უნდა მახვილი თვალი ქონდეს), მაგრამ მეგონა იმას მაინც იტყოდნენ, ჩვენთვის გამოუცნობი ძვირფასი, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, საინტერესო თვალიაო.

ამათ კი, სულ უბრალო თვალიაო.

იქნებ რაიმე ეშლებათ, ანდა განგებ, ასედაც ხდება...

ერთი სიტყვით, დავყევი და სადაც კი საიუველირო მაღაზია თუ ფარდული იყო, სულ ყველგან შემოვატარე ჩემი ნატვრისთვალი. ყველგან ერთი და იგივე პასუხი მესმოდა, უბრალო შუშის თვალიაო.

არც კი ვიცი, რამდენ ხანს მომიწია ამ გაუგებრობაში ყოფნამ, დღე და ღამე ერთი ფიქრი მიბურღავდა თავს. აღარაფერი მინდოდა, აღარაფერს ვნატრობდი ერთი რამის გარდა, გამეგო თუ როგორ შემრჩა ხელში უბრალო შუშის თვალი.

და აი, ერთხელ ავტობუსით მივემგზავრებოდი ერთ-ერთ მორიგ საიუველირო მაღაზიაში ჩემი განუყრელი „ნატვრისთვალით“. ჩემი ფიქრები, ცხადია, გამუდმებით მას დასტრიალებდნენ, ავტობუსში ადგილი არ იყო, ფეხზე ვიდექი. ფიქრებში გართულს მოულოდნელად ვიღაცამ ყურში ჩამყვირა ცივი, მკივანა ხმით:

– ... მარჯვენა მხარე, გესმის, მთელი მარჯვენა მხარე აქვს წართმეული, მარჯვენა ხელს სრულებით ვერ ამოძრავებს. ხომ გესმის, დამბლა დაეცა, მარცხენა ნახევარსფეროში მოხდა გაჟონვა...

მოვიხედე, ვიღაც ქალი თავის დაქალს ელაპარაკება, საერთო ნაცნობის ამბავს ამცნობს. მე ზედაც არ მიყურებს, მაგრამ ამ ჭედვაში პირი ისე აქვს მომართული, ლამის ყურის ბიბილოზე მეხება...

ვაი შენ, ჩემო თავო?..

რა უცბად გაიხსნა გაუგებრობათა გორგალი. ყველაფერს სინათლე მოეფინა, დიახ, „მარჯვენამ აიღოს მარჯვნიდან". თითქოს ასედაც ვიქცევით, მაგრამ იმ მარჯვენა ხელს ტვინის მარცხენა ნახევარსფერო მართავს. ასეა ადამიანი მოწყობილი. მეც თითქოს მარჯვენა ხელით ავიღე ჩემგან მარჯვნივ მყოფი ნატვრისთვალი, მე ხომ მაშინ გადაკეცილ სივრცეში ვიმყოფებოდი. ჰოდა, იქ პირიქით მოხდა, ამერია ყველაფერი. მეგონა ნატვრისთვალს ვიღებდი და შუშის უბრალო თვალს ჩავავლე ხელი. შეიძლება ითქვას, საკუთარ თავში გავიხლართე.

ხომ დასანანია, არა? რა ახლოს ვიყავი ნატვრისთვალთან, რა ახლოს... წამი რაა, წამითაც არ გამსხლტომია მზერიდან, და სულ ამაოდ, ხელი ვერ მისწვდა, თვალი მოტყუვდა. მეტისმეტად ადვილად ტყუვდება ჩვენი თვალი თუნდაც ჩვეულებრივ ბუნებრივ სივრცეში, კინოფილმი გავიხსენოთ, რაღა მოგივა მაშინ, როდესაც სივრცე რაიმეთი შეიცვლება, ანუ გადაიკეტება, იმ კაცუნას თქმისა არ იყოს. მე იმ „კაზინოში" ფეხის შემდგმელი აღარ ვარ, მიუხედავად იმ კაცუნას სტუმართმოყვარული მიპატიჟებისა, რამდენჯერაც გნებავთ, მობრძანდითო. არ მინდა კიდევ ერთხელ გავიხლართო საკუთარ თავში.

მთელი გზა მთვარეულივით ვიარე, ამ ფიქრებში გართულმა. არც კი გამიგია, ისე მივედი იმ მაღაზიამდე. დახლს რომ მივადექი, მაშინღა მოვედი-ა ხრზე. აქ რაღა მინდა-მეთქი, ვიფიქრე. გამობრუნებას ვაპირებდი და ვხედავ, კარი იღება, შემოდის ჩემთვის კარგად ნაცნობი კაცუნა ხელში შავი ჩანთით. მაშინვე გვერდზე მივბრუნდი, თავი ისე დავიჭირე, ვითომ ძვირფას ნაკეთობებს ვათვალიერებდი. თან თვალი მისკენ მეჭირა. კაცუნამ ჩანთა გახსნა და იქიდან შუშის თვლები წამოყარა.

– იქნებ რაიმეში გამოგადგეთ, – იუველირს მიმართა, – ერთმა მუშტარმა დამიტოვა, სულ ოთხმოცდაცხრამეტი ცალია.

იუველირმა გასინჯა და თავი დაუქნია, ვიღებო. რაღაც პატარა თანხაც გამოუწერა. მე ჯიბისკენ გავაპარე ხელი, ჩემი „ნატვრისთვალი" ამოვიღე. მინდოდა დახლზე დახვავებული თვლებისთვის მიმემატებინა, ოღონდ ისე, რომ მე თვითონ შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი. თავს ვიმტვრევდი, ეს როგორ მოვახერხო-მეთქი. ამ დროს შემთხვევა დამეხმარა, ერთი თვალი ძირს დაუვარდა კაცუნას. მეც მაშინვე მოფარებულად ძირს დავაგდე ჩემი „ნატვრისთვალი". დინჯი ნაბიჯით გავდექი განზე, მერე კარისკენ გავემართე სასხვათაშორისო იერით. როცა გავდიოდი, დავინახე, როგორ აიღო კაცუნამ შუშის თვალი და ჩემს „ნატვრისთვალსაც" დასწვდა. ალბათ ეგონა, ორი ცალი დამივარდაო. კარს მაშინვე მოვცილდი, სხვა აღარაფერი მაინტერესებდა. მივდიოდი და ყურებში მედგა კაცუნას სიტყვები: ვინც აქ შემოდის, აქვე ტოვებენ თავისი ნანატრის უდიდეს ნაწილს, ისედაც ხდება, რომ მთლიანად აქ რჩება, რასაც ინატრებენ, სრულიად ცარიელი მიდიანო.

ერეკლეანული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ხუნდაძე

სიზმარში

მე არ ვყოფილვარ აქ რახანია,
მიკვირს, ვერ ვაგნებ ნაცნობ ალაგეს,
მივდივარ, ვჩქარობ, ვღელავ ძალიან,
ვერ ვხედავ მოძმეს და მოამაგეს.

მე დავდიოდი თითქმის ყოველდღე,
ეტყობა, აქ დღეს არავინ დადის,
მხარი მექცა თუ გონს ვერ მოვეგე...
ხარობს ანწლი და ეკალი, ბარდი.

თვალს აწრიალებს დამფრთხალი,
ჩქარი,
გაიშხუილებს ნეშოში ხვლიკი,
ღმერთო! – მეცემა უცებ თავზარი,
წაშლილა ჩემი სიყრმის ბილიკი.

დასანანია

შენ მოგესაჯა, დარდზე გეწერა,
გედაგებოდა სახმილით სული,
და საკუთარი გქონდა ხელწერა –
ნასაზრდოები გულის ღრმა წყლულით.

ხშირად გიწყდება იმედის ძაფი,
შიშობ, გეცლება სულის ფიალა,
აღარ ჟღერს სიმი ფანდურის, არფის,
დრომ უზოგველად გაგატიალა.

წინ გელოდება გვიმრა და ხავსი,
თავს ვეღარ ირთობ ჩვეული ვნებით,
დაცარიელდა სიცოცხლის თასი,
და საცოდავი უღვინოდ თვრები.

ზოგჯერ

ბევრი ვეცადე, ვერ აგიხსენი,
ვერ აგიხსენი, ძნელი რაკია –
ხშირად სიამეს გვანიჭებს სენი,
ზოგჯერ სიხარულს ტკივილი ჰქვია.

ცხოვრებას ალღოს ვუღებთ ნელ-ნელა,
სიკეთის თესვა გვგონია ძნელი,
სინათლეს ველტვით, როგორც
პეპელა,
ხან გვირჩევნია დღის ნათელს ბნელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუთუ?!

ყურს აღარ ვუგდებ საწუთროს
ქადილს,
მე არ მეხება თითქოს ეს ხმები.
არ ვმალავ, ვამხელ ჩემს
გულისწადილს
და ზეზეურად დარდისგან ვხმები.

გასაქარვებლად მძიმე დარდების
მე განუწყვეტლივ ვაბოლებ თუთუნს,
არ აყვავდება სულში ვარდები,
არ დამადგება საშველი ნუთუ?!

ქვითინებს ბზიფი

მონატრებული ვერ ვნახე
ჩემი გაგრა და კოლხეთი,
ბიჭვინთის ყურე მეძახის
ჩემი ბავშვობის ქოხიდან.

საყვედურს ამბობს ლიძავა, –
ნამყენი ვერ გავუხარე,
ვერ ვიბანავე ჩანჩქერში, –
ქვითინებს ბზიფი მწუხარე.

არ მიშვებს ქარი

იდუმალი ხმით ვილაც მომძახის,
თვალს ვერ ვუსწორებ მზის სხივთა
ლივლივს,
მე უშენობა მიმატებს სახმილს,
თვალს ველარ მტაცებს კოშკი
მაღლივი.

ჩემი ოცნების შენ ხარ გალია,
გარს გივლი, ვერსად გიპოვე კარი,
მკერდში ჩაგიკრა – მინდა ძალიან,
მაგრამ შენამდე არ მიშვებს ქარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარეჯან სუმბაძე

•

შენ თვალგახელილს გეძინა მაშინ,
არ იდგა დარი – ოცნება ცათა,
იკარგებოდა ბგერები ქარში,
ლოდინით, შიშით სხვათა და სხვათა.
შენ მიდიოდი ნაბიჯით უკან
და გაყინული თვალებით ცისკენ,
თეთრი გვირილა გებნია გულთან
და სამუდამოდ, ისევ და ისევ...
დალეწილ ვნებებს გახვევდა ქარი,
სულის სიღრმეში ბილწი ქველობით
და შენ იყავი ცოცხალი მკვდარი
უპატიებელ უცოდველობით...

თავს ვერ დააღწევ...

თავს ვერ დააღწევ მარტოობის საშინელ ტკივილს,
შენ, ვისთვისაც გასაგებია სხვისი ტკივილი.
თავს ვერ დააღწევ უძლურობის დამთრგუნავ ჭაობს,
რადგან ყველაფერი ამ ჭაობის მსხვერპლია ბოლოს.
თავს ვერ დააღწევ მლიქვნელ მეძავთა შურიან შეძახილებს,
შენი „ბედი“ თუ ბედის ნიღაბი რომ ეხარბებათ,
გესლიან ქილიკს უნიჭო დედაკაცების,
თავს ვერ დააღწევ ლოდინის ღამეს გაუთენებელს,
შენი სული რომ დაუმწყვდევია სუფთა კედლებში,
რომელიც ასე გძულს და
რომელსაც ასე ელოლიავები...
დილას, რომლის გათენებაც არ გინდა,
რადგან ასეთი ბევრი იყო უკვე.
თავს ვერ დააღწევ სიყვარულს,
რომლის მთავარი წევრი დიდი ხანია უკვე აღარ ხარ,
რადგან იქეცი საზიზღარ „უბრალო დამატებად“...
თავს ვერ დააღწევ,
რადგან ასეა ჩაფიქრებული,
რადგან ასე უნდა იყოს,
რადგან უძლური ხარ შეცვალო რამე,
რადგან, უბრალოდ, თავს ვერ დააღწევ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

•

სადღაც დაკარგულა ჩემი ბილიკები,
და ჩემს წყاროსწყალსაც სვავები მოსვამენ,
თუმცა ამ ულრანებს მარტოდ მივიკვლევდი,
მაინც დავიკარგე მეორედ მოსვლამდე.
ჩემი ოცნებებიც სადღაც დაკარგულა,
ვცდილობ, დავიჩემო აპრილი სანაცვლოდ.
მე მომენატრება დელგმა გაზაფხულის
და როს სიყვარული ყინულებს დაამცრობს;
მოდი, მაპოვნინე ჩემი ოცნებები
და ეს ბილიკები შენად დაიგულე,
მე კი ცელქ გრიგალებს ფრთებად მოვესხმები
და შენთვის ავკონავ მინდვრად თაიგულებს.

•

რაღაც ველური ხმა მომესმის ქარის ყმუილად
და განთიადი აწვერილი ღრუბლებს მიჰყვება...
ნუთუ აქამდე ეს ცხოვრება იყო ტყუილი.
მე ნაქარალზე დამცვივდება შენი სიტყვები.
მიყვები ზღაპრებს მაგ თვალებით, ვერ გამიწყრები,
ეგ შემოხედვა ერთ აპრილად მიღირს, იცოდე
და თუ მიპოვა მე ოდესმე დღემ დავიწყებად,
ალბათ უშენოდ ვერ ავიტან წუთსაც სიცოცხლის...
და ველურ ხმებში კვლავ მომესმა ქარის ყმუილი,
რა უნდა იყოს უფრო ცუდი, ვიდრე იგია,
შენ გელოდი და ყვავთა გუნდმა გადმიშხუილა,
ნუთუ ეს იყო გაზაფხული, ვერ გამიგია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადისლავ ხოდასევიჩი

•

ო, მეგობრებო, იქნებ სულ მალე,
არა სიზმარში, არამედ ცხადში –
მოულოდნელად მუსაიფს განვლევ,
ფუჭსიტყვაობას უეცრად წავშლი.

მხოლოდ სულიდან ამოყვანილი
ბგერა თუ შემძრავს, ხემივით მჟღერი,
და შემერხევა ხელში ყვავილი,
რადგან აღვმართე მე მაღლა ხელი.

ყვავილოვანი გზა და ქვეყანა
გადამეშლება სავსე მწვანეთი,
იმ მხარეში რომ გადაგვეყვანა,
რა იქნებოდა, ჩვენ ერთმანეთი.

უხმოდ

შენ მიმანიშნე უხმოდ – რა ჰქენი
და ნახელავი შენი მაჩვენე,
კოხტა და სუფთა ამონაკერი
თეთრი ბატისტის ლამაზ ნაჭერზე.

და გავიფიქრე, ალბათ, ვინ იცის,
ჩემი ცხოვრებაც ზრუნვის
მტვირთველი
გავლებულია, როგორც გვირისტი
ყოფნის ტილოზე უფლის თითებით.

მე მელიმება, – ვიცი, გვირისტი,
ჩემს ბედსაც გასდევს, როგორც
ცხვირსახოცს,
ხან სასაცილოდ, ხან
სიკვდილისთვის...
და პირს ვუბრუნებ ნაჭერს,
ძვირფასო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

•

გასჭერ ღრუბელი – გადმოანათე
ჭიქა ჩაის და ვიწრო მაგიდას,
ჯერ არ წახვიდე ზამთრის მნათობო,
შუქს ნუ ჩარაზავ, მაგ სიმაღლიდან.

კაშკაშა სხივი გადამაწანი,
ვიდრე კალამი ფიქრში გართულა, –
ამოთქვამს მისი მკვირცხლი ტკაცანი
ჩემი ცხოვრების ყველა სამდურავს.

ატოკებული, ბასრი და მჭრელი –
ორლესულია თითქოს ნამდვილი,
გარბის ფურცელზე კალამი ჩემი,
მაგრამ მე იქ კი არ ვილანდები:

კუთხოვანი და მრუდე პროფილი
სიმაღლეების იხატვის მჭიდროდ,
ზეაღმსწრაფი და ქვედამხობილი
ეს ჩემი სული, სადაც კი მკვიდრობს.

ქარიშხალი

შენ, ქარიშხალო! სდევნი არმადას,
გამძვინვარებულ ტალღებს მიანთხევ,
ანძებს დადრეკ და ღრუბლებს
დაბლანდავ
და ნეშტს ატყორცნი ცათა წიაღებს.

მდინარეების წალმა მბრუნავო,
პონტონს ანარცხებ კლდეზე ხალისით,
დედაბერს უძლურს და უუნაროს
ქოლგას გამოგლეჯ და გადაისვრი.

ხეებს მოთხრი და ტოტებს მოტეხავ,
მინდორში ალოს სეტყვას მიაყრი,
მარტო ბრძენკაცს არ შეუტოკდება
შენი შლიგინით გულის წიაღი.

ვერც მეხთატეხა უქცევს გუნებას,
წყნარია, როგორც მჭვრეტელს
შეჰფერის,
მხლოდ თვალები მოეწკურება,
თვალები ყოვლის მომყირჭებელი.

•

ქუჩები უკვე გადაფარა მწუხრმა ნახევრად,
ჩქამი გავარდა და მოისმა ფანჯრის გაღება.

სინათლე გასხლტა, აფრიალდა ფარდა, ატოკდა,
უეცრად მოწყდა და კედელი ჩრდილმა დატოვა.

ბედნიერია ის, ვინც თავქვე სწრაფად ეშვება,
კი, წამით, მაგრამ... ყველაფერი სულ სხვად ეჩვენა.

თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გენაშვილი

არაბესკები

კლასიკური ტექსტების კითხვა ჩემში აღვიძებს გულწრფელ სურვილს განცვიფრებისა – რაოდენ მრავალი ცოდნაა კონცენტრირებული და დაფარული ლიტერატურულ ქმნილებაში... გავლილ-გატარებული მის უნატიფეს, მგრძნობიარე „სხეულში"... ყოველივე ამის შესწავლა, დარწმუნებული ვარ, სერიოზულ იმპულსს მისცემდა სტრუქტურული ანალიზის სრულიად ახალ მოტივაციებს...

ლიტერატურა, ყოველთვის, თავისი არსებობის ყოველ ეტაპზე, იყო ფანტასტიკურად მოწესრიგებული სისტემა, პროვიდენციული ცოდნის მკაცრად სტრუქტურირებული ველი... თუმც, ისიც საგულისხმოა, რომ ეს ჯადოსნური მოცემულობა არ იყო და ვერც იქნებოდა უსასრულო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ლიტერატურა ვერ იქნება უფრო ფართო, ვიდრე საკუთარი ეპოქის ცოდნა... ხოლო, მეორე ის, რომ მას არ ძალუძს გამოთქვას და გამოხატოს უსასრულობა... ისევე, როგორც ყოველი ენა, ისიც განზოგადებულ-დასრულებადია და არ შეუძლია იმ საგნების, გარემოებებისა და მოვლენების აღქმა-ინტერპრეტაცია, რომელნიც გაოგნებამდე ანცვიფრებენ მას... ეს ფსიქოლოგიური დისკურსი შთამბეჭდავად გაამჟღავნა ბერტოლდ ბრეხტმა, თავის ცნობილ რეფლექსიაში, რომ ოსვენციმისა და ბუხენვალდის კოშმარები, აშკარად აღემატებოდნენ ლიტერატურის შესაძლებლობებს, და რომ იგი (ლიტერატურა) არ იყო მზად ამ აპოკალიფსური მოვლენების აღქმა-წარმოსახვისათვის... სხვათაშორის, ამ რაკურსში მოვიაზრებ მე, ჩვენი ისტორიის უკანასკნელ თხუთმეტწლეულს, ფრიად და ფრიად შემაძრწუნებელსა და ლიტერატურისათვის ჯერაც TERRA INCOGNITA-ს...

შესაძლოა, ამითაც აიხსნას რეალისტური ლიტერატურის საერთო დეფიციტი... თითქოს უკვე შეუძლებელია ილიას, დავით კლდიაშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურულ კულტურათა გამეორება... გამეორება თუნდაც იმ საშუალო ღირსების სოციალისტური რომანისტიკისა, რომელშიაც, რა მოულოდნელიც არ უნდა იყოს, დროის განუმეორებელი სურნელი წარმოისახა, ნეოკლასიცისტური ესთეტიკით მოდელირებული და ერთობ საინტერესოც კი...

რეალიზმი დღეს საოცრად მორცხვად და მოკრძალებულად „გამოიყურება", და, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ზედმეტად სენსაციურია თანამედროვე სამყარო... მასმედიის ყველასა და ყველაფერზე სრული გაბატონება და საყოველთაო „პოლიტიზაცია" უნუგეშოდ ამსხვრევს და ამახინჯებს ლიტერატურის ტრადიციულ „სხეულს"...

სამყარო, როგორც ლიტერატურის

ობიექტი, სამწუხაროდ, თითქმის აღარ არსებობს... უნივერსალური, ონტოლოგიური ცოდნა მიდის ლიტერატურიდან და ის ახლა წარმოადგენს არა მიმეზისს, არამედ მყარად გამოკვეთილ სემიოზისს, ანუ ტექსტს, რომელიც, ლიტერატურული პრეტენზიის მიუხედავად, სრულიადაც არ გახლავთ ლიტერატურა...

რადგან ჭეშმარიტი ლიტერატურა მყარად შემოსაზღვრული სამყაროს რეპრეზენტაციაა... გადაშლა და წარმოდგენაა იმისა, რომ „გარბის" ყოველგვარი წარმოდგენისაგან, რაც უმალ დავიწყებას ეძლევა და უჩინარდება...

ტექსტი კი – ენობრივ რესურსთა უსასრულობის წარმოსახვაა, ყოველგვარი ცოდნის, ცნობიერებისა და გონების გარეშე...

ამ თვალთახედვის მშვენიერ ილუსტრაციად წარმოიდგინება ლიტერატურის ის ბუნდოვანი და უსახური „ლანდშაფტი", რისი სამწუხარო მხილველნიც ჩვენა ვართ...

●

„ვეფხისტყაოსნით" – სრულიად მართლმადიდებლურმა სამყარომ, ისევე მძლავრად და შთამბეჭდავად გამოხატა ახალი დროის – რენესანსის მაუწყებელი იმპულსები, როგორც კათოლიკურმა ევროპამ დანტეს „ღვთაებრივი კომედიით"...

ამ გრანდიოზულ ქმნილებაში ნათლად იკვეთება რენესანსის ერთი უმძლავრესი პარადიგმა – ქრისტიანული სამყაროს სრული გახსნილობა და დიალოგის წყურვილი სხვა კულტურებთან... და თუ დასავლეთ ევროპის დიდმა ჰუმანისტებმა უფრო მეტად ანტიკურობისაკენ გაამახვილეს მზერა, რუსთაველმა ოდენ უნივერსალური წვდომით აღბეჭდა საკუთარი შემოქმედებითი ძიებანი... დასავლურ-აღმოსავლურ კულტურულ ღირებულებათა იდუმალ „ლაბირინთებს" მიანდო თითქოს საკუთარი მაძიებელი სული და გონება... შეიძლება ითქვას, რომ ევროპულ სულიერ-ინტელექტუალურ სივრცეში სწორედ „ვეფხისტყაოსანია" პირველი „დასავლურ-აღმოსავლური დივანი" (ალბათ ნათელია, რომ ამ შემთხვევაში, ასოცირება ხდება გოეთეს ცნობილ მონუმენტურ ქმნილებასთან)...

ლექსი უნდა „მუსიკობდეს"-ო, ასეთია რუსთაველის უპირველესი მხატვრული იდეალი... ამ თვალსაზრისით, იგი ნამდვილი ჯადოქარია და პოეტური ხელოვნების იმ მწვერვალებს აღწევს, საიდანაც მხოლოდ მოკრძალებულ ბორცვებადღა ჩანან მისი თანამედროვენი და არა მხოლოდ ისინი...

„ვეფხისტყაოსნის" ყველა განზომილება, მისი იდეოლოგია და ესთეტიკა გვაგრძნობინებს, რომ იგი ქვეყნის საყოველთაო ტრიუმფისა და აღმავლობის ხანის ქმნილებაა... თუმც ეს ნეტარი „ყვავილოვნება" წამიერი აღმოჩნდა და სულ მალე, ხანგრძლივმა ტრაგიკულმა ჟამმა მოიცვა ყოველივე... ქვეყნის ზეაღმავალი სულიერება და მისი ჭეშმარიტი მშვენება – ლიტერატურა, კარგა ხნით ჩაკვდა და წარსულს ჩაბარდა... და როდესაც XVII საუკუნის დამდეგს პოეზია კვლავ გაცოცხლდა და მკვდრეთით აღსდგა, რუსთაველის კაშკაშა, ოპტიმიზმისა და სიცოცხლის დამამკვიდრებელი რენესანსული პათოსი, სკეფსისისა და უსასოო პესიმიზმის განწყობილებებმა შეცვალა... პოეტი-მეფეების თეიმურაზ I-ისა და ვახტანგ VI-ის პოეტურ ქმნილებებში „სოფლის სამდურავის"

გაბმულმა ტრაგიკულმა მოტივმა იმ-ძლავრა და იღორძინა...

კიდევ ერთი საუკუნე, და ვითარცა პანაცეას, გენიალური დავით გურამიშვილი წარმოაჩენს საკუთარი პოეტური სულის უნიკალურ „ფრაგმენტებს"... ტიპოლოგიურად, იგი ოცდაათწლიანი სისხლიანი ომის შემზარავი პროცესებით შეძრწუნებულ, ევროპელ ბაროკალურ პოეტს მოგვაგონებს... გრიფიუსის „სამშობლოს ცრემლების" მსგავსად, დავით გურამიშვილიც შეძრულია მშობლიურ მიწაზე უცხო ძალთა უთავბოლო თარეშით, ნგრევით, გაპარტახებითა და სრული ზნეობრივი დაცემით...

ვფიქრობ, მისი პოეზიის არსს განაპირობებდა უკვე ოდენ ანტირენესანსული, უფრო ბაროკალურ ესთეტიკასთან და მსოფლგანცდასთან წილნაყარი პრინციპი – თავისებური, მკაფიოდ გამოხატული დუალიზმი... მასში სრულიად თანაბარი უფლებებითაა წარმოდგენილი როგორც ამქვეყნიერი, მიწიერი და ისტორიული, ისე მისტიურ-რელიგიური, ლიტურგიული და მეტაფიზიკური... ამ პოლარულ საწყისთა ბინარული ოპოზიციები ქმნიან გურამიშვილისეულ იმ სააზროვნო სტრატეგიას, რომელიც ძალზე ახლოსაა ევროპული ბაროკოს თვით ყველაზე ტრაგიკული და დაძაბული ანტინომიებით აღბეჭდილ ტექსტებთან...

და ბოლოს, XX საუკუნის ქართველ მოდერნისტთა საყოველთაოდ აღიარებული „კერპისა" და წინაპრის, საქართველოს უკანასკნელი მეფის კარზე დაწინაურებულ, მოგვიანებით კი, „პიკანტურ" მიზეზთა გამო, სასტიკად შერისხულ – ბესარიონ გაბაშვილის, ანუ ბესიკის პოეზია... კიდევ ერთი ბრწყინვალე გამოვლინება ქართული მხატვრული ცნობიერებისა...

ელეგანტური, სულის წარმტაცი სიტყვის დიდოსტატი, იგი სრულიად განსაკუთრებულ ტრადიციას-ამკვიდრებს... მუსიკალური ეფექტების ძიება და ფორმის სრულყოფილება, მიმზიდველს ხდის მის პოეზიას განსაკუთრებით მათთვის, ვინც პოეზიაში ეძებს არა იმდენად სიღრმესა და განცდის სიმძაფრეს, რამდენადაც სიტყვიერ ინკრუსტაციებსა და მუსიკალურ პარტიტურას... პოსტმოდერნისტული „ესთეტიკის" ამ უძვირფასეს „სამკაულებს"...

●

დღეს, ჩვენს წინაშე, კიდევ ერთი საოცრად პროგრესირებადი პრობლემა ამოიზარდა, კერძოდ ის, რომ ცოდნა-განათლება კლასიკურ სახეს კარგავს და მხოლოდ მასმედიით-ღა „იღრმავებს და იფართოვებს" სულსა და გონებას... მასმედიის მასობრივი ხასიათი და აქედან მომდინარე მისი მოძრავი და არამყარი ბუნება კი „ყოვლისმცოდნეობის" ყალბი ილუზიით „ასნეულებს" ახალგაზრდობას... ამიტომაა, რომ ჩვენ აღარ, თუ ვეღარ ვაზროვნებთ და ვლაპარაკობთ, რადგან განუწყვეტლივ ვუსმენთ და ვივსებით მოსმენილით...

გონიერი აღქმისა და ანალიზის გარეშე მივფარფატებთ ერთი უსახური იდეიდან მეორისაკენ... სიტყვები იქცნენ რაღაც არაცნობიერ მითებად, რომელნიც უპირობოდ მორჩილებენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის უსაზღვრო ძალაუფლებას... ჩვენ სულ უფრო მეტსა და მეტს გვეუბნებიან, და როგორც თითქოს ალოგიკური შედეგი, ჩვენ უფრო და უფრო ცუდად ვაზროვნებთ და ვლაპარაკობთ...

ტოტალური ინფორმაციის „ნე-

ტარ“ მარწუხებში უნუგეშოდ მოქცეული სუბიექტი, თანდათანობით „იწრიტება“ საუკუნეებით ნალოლიავები იმ ღვთაებრივი ელექსირისაგან – ინდივიდუალობა რომ ერქვა სახელად...

•

ნიკოლოზ ბარათაშვილი თვითგანახლების ინიციაციით შეპყრობილის როლს ანსახიერებს... იგი ნიადაგ ახლიდან იწყებს და ახალი სულისკვეთებით მოსილს წარმოაჩენს ღვთაებასთან ოცნებით მიახლოვების სურეალისტურ მისტერიას... და, რწმუნდება რა თავის მხოლოდ ადამიანურ შესაძლებლობებში, ანუ რეალურ უძლურებასა და უუფლებობაში, რაღაც ლუციფერული ამბოხით და ყველასა და ყველაფრის წყევლით აფუძნებს მისთვის ჯერ უცნობ, და მაინც მხოლოდ საკუთარ Alter Ego-ს... ღმერთი არ მომკვდარა, მაგრამ ის დაეცა... და როგორც ერთადერთი რეაქცია ამ თავზარდამცემ პოსტულატზე – უარყოფილია ყოველივე, რაც ერთ დროს ღვთისგან იყო ინიცირებული და მისგან აღქმულის ონტოლოგიურ განფენილობას წარმოადგენდა – დედა და მამა, და და ძმა, სიყვარული და ცრემლი, საფლავი და იდეალი... მიწიერი სამოთხეები და ციური ნეტარებანი... ერთადერთობით გატანჯული პოეტის ლირიკული გმირი, აღბეჭდილია უნატიფესი დენდის ყველა ღირსებით... და როგორც რომანტიკული მეამბოხე და ბედისწერისაგან გულგანგმირული დუელიანტი, იგი უკიდეგანო, მარადიულ სივრცეს, ანუ საბოლოო არყოფნას მიელტვის... დაამწუხრო სხვა და დამწუხრდე თვითონ... რაღაც აზარტული, უნაპირო ტანჯვით ამაღლდე არაადამიანურ ახალ ყოფიერებამდე – ასეთი, რაღაც ჰოლდერლინისეული ამბიციური პოეტურ-ფილოსოფიური რეფლექსიების ფარული შუქ-ჩრდილებით „გადაფოთლილი“ პარადიგმა... „მერანი“ – გენიალური ილუსტრაციაა რომანტიკული სულის ლიტანიისა... რაღაც იძულებითი უარყოფაა სამყაროს როგორც მითოპოეტური აღქმისა, ისე მისი კარნავალურ-გროტესკული ფასადით თავის ამაო მოტყუებისა... ეს, სულის ის ზღვრული მყოფობაა, როცა უკვე აღარავინ გიცავს... როცა, ფიქრით „ცეცხლმოდებული“, ხვდები, რომ შენს პირისპირ თვით ღმერთია... და რომ განწირული ხარ სამყაროსა და მის შემოქმედთან საბრძოლველად...

საგულისხმოა, რომ ვითარცა შეფიცულ რაინდთა ორდენი, რომანტიკოსები მთელი არსებით უჭერდნენ მხარს შეურიგებელ დაპირისპირებას – ადამიანის მარტოობასა და ღმერთის განურჩევლობას შორის...

კიდევ ერთხელ გავმეორდები და ვიტყვი, რომ „მერანი“ ერთგვარი ლიტანიაა მარტოობისათვის სამუდამოდ განწირული რომანტიკული სულისა...

•

ლიტერატურული ტექსტის ორიენტირება სხვა კონკრეტულ კულტურულ მასალაზე, ანუ სხვადასხვა სტილთა და პოეტიკათა ელემენტებით „თამაში“ – ერთი უმნიშვნელოვანესი და ერთობ „პიკანტური“ პრინციპია მოდერნისა...

ამგვარი მიღება-შეთვისებისა და თავისში გაღვივების „წყალობით,“ გალაკტიონი ახერხებს საკუთარ პოეტურ ტექსტებში განსხვავებული კულტურული პლასტების „ინკორპორირებას“ (ი. ლოტმანი), ანიჭებს რა მათ შემეცნების სრულიად ახალ ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხს... საგულისხმოა ის, რომ ამგვარი „ალქიმიური“ ჯადოსნობით მიღებული ქმნილებანი, სემანტიკურად ემორჩილებიან მხოლოდ მათ, ვინც იცის კონტექსტი, რომელზედაც აპელირებს ავტორი... ამიტომაცაა გალაკტიონის პოეზია კულტურული მეხსიერების ერთგვარი კონდენსატორი...

მისი პოეტური ხატები, უფრო ხშირად, ბიბლიის, მითოლოგიისა თუ ლიტერატურის სემანტიკური აურით არიან „მოსილნი“ და მათი სრულფასოვანი აღქმა მკითხველის ფართო კულტურულ არეალს ითხოვს...

აქვე უნდა წარმოვიდგინოთ გალაკტიონის უმაღლესი ხელოვნებით შექმნილი დეკორატიულ-ორნამენტული სტილისტიკა – ეს სრულიად განსაკუთრებული მოვლენა ქართულ პოეზიაში...

ვფიქრობ, უმდიდრესია მისი პოეტური სიტყვა და ერთგვარად აღმატებულიც კი, სხვა გამომსახველობით ხელოვნებათა შორის... იგი თავისში აცხოვრებს და ანსახოვნებს მუსიკის, ფერწერისა და ქანდაკების ფარულ პოტენციას...

სიტყვის ამგვარი უნივერსალიზაციიდან გამომდინარე, მისი ენობრივი რესურსები პერმანენტულად ივსებოდნენ სხვადასხვა ხელოვნებათა სტილური ვარიაციებით... შესაძლოა, სწორედ ამიტომაა ასე ერთობ ჰარმონიული პოეტის გამომსახველობითი, თემატური თუ სტილური პოლიფონია... და ამ „მუსიკალურ“ კადენციებში მოლივლივე სიტყვიერი არაბესკები...

•

მხატვრული ქმნილება, თავისი არსით, არასოდეს ყოფილა ფილოსოფიის კონკურენტი, მისი ალტერნატივა... თუმცა საკმაოდ ახლოა მასთან პრობლემათა იდეალის თვალსაზრისით... თუ დავუშვებთ, რომ ყოველი მშვენიერი ჰიპოთეტურად მაინც შეეფარდება იმ ჭეშმარიტებას, რომელიც ფილოსოფიური განსჯის ობიექტს წარმოადგენს, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველ ნამდვილ მხატვრულ ქმნილებაში შესაძლოა აღმოვაჩინოთ პრობლემათა ფარული იდეალი... ასე რომ, იქ, სადაც ნაწარმოების აღქმა მაღლდება მისი შინაგანი სულის შეცნობამდე, აქ უკვე ფილოსოფია ენაცვლება მითს და აზრის წარმმართველის როლს სწორედ იგი ასრულებს...

საერთოდ კი, ალბათ, ყოველი მშვენიერი, თავისში, როგორც ზეშთაგონების წყაროს, ითავსებს უმდიდრეს ისტორიულ-ფილოსოფიურ კონტექსტებსა და გამოცდილებას... რადგან იგი მხოლოდ ამ ვრცელი თვალსაწიერიდან იძენს არა მხოლოდ იდეის, არამედ იდუმალი მხატვრული იდეალის სახესა და მნიშვნელობასაც...

•

საოცრად ღრმა და ურთულესია თემა მარტოსულის „გათავისუფლებისა“... სხვა მასავით „მარტოდშთენილის“ სულიერი „ტირანიიდან“ სრული თავდახსნისა... ჰიპოტეტურად ალბათ ეს ხდება თავისთავად, საკუთარი ზრდისა და „მწიფობის“ საშუალებით... ან, ცნობიერად, ჯოჯოხეთური შინაგანი ტანჯვის შედეგად...

და მაინც, ყველაზე რთული, ალბათ, – გრანდიოზულ პიროვნებათა ტყვეობიდან გაქცევაა... და, რაც უფრო დროულად ხდება ეს, მით უფრო თავისუფლად მიაბიჯებს ამ წუთისოფლის მგზავრი, საკუთარი შემოქ-

მედებითი „სამოთხეებისაკენ“... რადგან საკუთარის პოვნამდე, გენიალური ადამიანები მხოლოდ გენიალური ტირანები არიან...

გალაკტიონმა თავისი „გათავისუფლება“ გიგანტებისაგან – ნიკოლოზ ბარათაშვილისა თუ ნიცშე-ვაგნერიანობასთან სუბლიმირებული ევროპული „დემონიზმისაგან“, საკმაოდ ადრე დაიწყო, თუმცა ბოლომდე (ალბათ საკუთარივე სურვილით) მათგან ვერა და ვერ „განიწმინდა“... რადგან, როგორც ჩანს, რაც უფრო დიდია კერპი, მით უფრო მომნუსხავია მისი მისტიკური აურა...

როგორც არ უნდა განზიდულიყო იგი „მერანის“ ავტორის რომანტიკული მედიტაციების ენერგეტიკული ველიდან, მის ანგელოსურ ლირიკაში მაინც იჩენდა თავს შორს დარჩენილი წინაპრის მსოფლმხედველობრივი თუ იდეოლოგიური მოტივაციები... უნატიფესი ანარეკლები სულის იმ „მელოდიებისა“, რაც მხოლოდ წარსულის კუთვნილება არ ყოფილა და გალაკტიონის პოეტურ ინტენციებსაც მაცოცხლებელი „ნიავივით“ აჰყვა...

თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ „თავისუფალ“ გალაკტიონში რომანტიკოსისათვის ჩვეულ „მარად-ეზოთერიკოსისაგან“ „მხოლოდ“ მარად-ლირიკოსის ხატილა რჩება...

რაც შეეხება ნიცშესა და ვაგნერის მითოლოგიური ცნობიერების, როგორც უმნიშვნელოვანესი კულტურული კატეგორიის მხატვრულ-ფილოსოფიურ აღქმას, იგი გალაკტიონის პოეტური რეფლექსიების ერთ არსებით პარადიგმას წარმოადგენდა... მისი ვრცელი ციკლი ბრწყინვალე ლირიკული „მარგინალიებისა“, დიონისური თუ „დემონურ-ირაციონალური“ აზროვნების უნიკალური გამობრწყინებაა... „საუკუნის ცდუნებათა“ სულისწარმტაც ლირიკულ მელოდიებს და მათ ჭეშმარიტ შედევრებამდე ამაღლებას, ხელი არ შეუშლია მისთვის ეპოვა საკუთარი სულის განუმეორებელი „ჩუქურთმები“ და, რაც მთავარია, საკუთარი მუსიკა... ცალკეულ სიტყვათა სემანტიკის „აალებით“ შობილი მათივე მუსიკალური აჩრდილების მომაჯადოებელი მოზაიკა...

გალაკტიონის ლირიკული მწვერვალები, ანუ ცამდე ატყორცნილი თავისუფლება – ის ღვთაებრივი მდგომარეობაა, რომელიც თავისუფალია დრო-სივრცისაგან, საკუთარი თუ ნებისმიერი ეპოქისაგან...

თუმც, ეპოქისაგან გათავისუფლება, მისგან სრულ მოწყვეტას არ ნიშნავს...

ეს გულისხმობს „დააბრძანოს“ იგი (ეპოქა) თავის ჯეროვან ადგილზე და საკუთარი მარტოობის ჯადოსნური კოშკიდან ამაყად უცქიროს მის წარმავალ ნაირფეროვან ლანდშაფტებს... და, რაც მთავარია, – მომავალს, მარტოსულის ამ რომანტიკულ, ერთადერთ სამშობლოს...

●

ქრისტიანობამ უმძლავრესი იმპულსი მისცა ადამიანის პრობლემის „პერსონალიზაციას“, მის თვითმყოფადობასა და თავისუფლებას... სწორედ აქედან, ამ ფუნდამენტური მორალური და ეთიკური სივრციდან გაცხადდა მისი პროფეტული არსი და ბუნება...

ამ ღვთაებრივი მისიის წმინდა მქადაგებლად და განმავრცელებლად მოავლინა უფალმა უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკოს-პატრიარქი ილია მეორე... უმძიმესი და უნეტარესია ტვირთი მისი, როგორც ერის სულიერი მამისა... მითუმეტეს დღეს, როდესაც ეშმაკეული ცთუნებებით შეპყრობილი, დრტვინავს და იტანჯება, ლამის სრული ზნეობრივი სიბერწისაკენ მიდრეკილი ქართველობა...

უმრავლესია მისგან კეთილად შობილი და აყვავებული ღვაწლი... ჭეშმარიტად უნივერსალური, იგი წარსულის იმ ნეტარხსენებულ მოძღვართ გვაგონებს, რომელნიც, თავისი რენესანსული შემოქმედებითი პოტენციით, სულიერად განამდიდრებდნენ და მომავლისკენ მიუძღოდნენ საკუთარი მიწიერი სურვილების ნაჭუჭში დატყვევებულ ადამიანთა სამყაროს...

მის ფიქრთა, ოცნებათა და სურვილთა უსაზღვროება ღმერთისა და ერის საკრალური სიყვარულიდან იშვება და ვითარცა სულიერების მაცოცხლებელი ძალა, სასომიხდილ ერსა და ბერს მეოხად და ნუგეშად ევლინება...

მან, ნეტარი გრიგოლ ხანძთელის სულიერმა მემკვიდრემ და ჭეშმარიტმა შთამომავალმა, უძველეს მართლმორწმუნე ერს ქრისტესმიერი სიყვარულისა და სათნოების გადავიწყებული რწმენა შეახსენა და თავისი ზემიწიერი პიროვნების უღრმესი შეცნობის სიმბოლოებად საკუთარი სულის ნაღვაწი შესთავაზა...

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე – უპირველესად მოაზროვნეა, რომელმაც განავრცო და შეამკო ქრისტიანული მსოფლჭვრეტის ღვთაებრივი რეფლექსიები... მის ქმნილებებში განფენილია ვრცელი სპექტრი პრობლემებისა, რომელნიც უმნიშვნელოვანესნი არიან ჩვენი თანამედროვე ინტელექტუალური და სულიერი ცხოვრებისათვის... მან, თითქოს, წინასწარმეტყველა და თავისში განახორციელა თავისუფალი საქართველოს წიაღიდან აღორძინებული სულის ღვთაებრივი სიცოცხლე, მისთვის დამახასიათებელი სწრაფვით აბსოლუტისა და უნივერსალურისაკენ... ამ სიცოცხლეში ერთიანდებიან რაციონალიზმიცა და ფილიგრანული ინტუიციაც, საგანთა პანორამული, ყოვლისმომცველი წვდომაცა და პრაგმატული სკრუპულოზურობაც... პროპედევტიკული გულმოდგინებაცა და მისტიკური კოსმიზმიც... განსაცვიფრებელი შეგრძნება მოვლენათა ობიექტური განვითარების უცვალებლობისა და ვნებიანი, თვითგვემამდე გულწრფელი თაყვანისცემა ღმერთთან წილნაყარი ინდივიდუალობისა...

ასე რომ, ჩვენს წინაშეა არა მხოლოდ თეოლოგი და ღვთისმეტყველი, არა მხოლოდ ღრმა მნიშვნელობის ფილოსოფოსი და მწერალი, არამედ უნივერსალური მასშტაბის პიროვნება...

თუ არა იგი, საოცრად გაუჭირდებოდა აწ გარდასული კომუნისტური რეჟიმისაგან სასტიკად ნაგვემსა და დამცრობილ ქართულ ეკლესიას...

ერთი ყველაზე უფრო ტრაგიკული და გარდამტეხი ისტორიული პერიოდი თუ საბედისწეროდ არ ექცა ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებასა და რწმენას, ეს, უპირველეს ყოვლისა, ილია მეორის დამსახურებაა...

იქნებ ამიტომაც, მისი ღვთაებრივი იერსახე წმინდა ადამიანური სულის იმ უმძიმეს განვლილ გზას იუნჯებს, რომელსაც მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულნი მიუყვებიან... არაფერია ამქვეყნად უფლისკენ მიმავალ ამ „გზაზე“ უფრო მნიშვნელოვანი, რადგან მხოლოდ იგი იმეტებს ნათელხილვის ნიჭს...

ეროვნული

საკრალურია, სწორედ დღეს, მისი ლოცვა-კურთხევით მომავლისაკენ მძიმედ მავალი ერის ტანჯული შვილობა... სინანულისა და მწუხარების დიდი გამოცდით სულის წრთობა და ახალ ადამიანად ქცევა...

მისგან გვაქვს ნასწავლი, რომ გზა საკუთარი თავის შეცნობისა – ღვთაებრივი სიმართლის გზაა, რომ ყველაზე შემზარავი სიცრუე, საკუთარივე თავის მოტყუებაა... და, რომ შინაგანი რეალობა ადამიანისა, მხოლოდ ჭეშმარიტებასთან უნდა იყოსო წილნაყარი...

•

თუ ისტორიულ კონტექსტში მოვიაზრებთ მოდერნისტულ კონცეფციებს, აღმოვაჩენთ, რომ მათი ფსიქოფილოსოფიური ფორმირება ჯერ კიდევ ადრეულ „ხანაში" მოხდა... ამ „ფუძემდებლურ" კონცეფციათა შორის იყო მუდმივად თანმდევი ქსენოფობია წარსულის კულტურებისა თუ ტრადიციების მიმართ... ყოველი ახალი დროის ადამიანები უპირველესად პრაგმატიკოსები იყვნენ და ამიტომაც იბრძოდნენ ბედნიერი მომავლისათვის... უფრო ხშირად, ივიწყებდნენ რა გუშინდელსა და მითუმეტეს, შორეულ წარსულს...

საერთოდ კი, ყოველი ახალი დრო, წარმოადგენს არა იმდენად ეპოქას, რამდენადაც მყარ კონცეპტუალურ ჩარჩოს... რაღაც იდეოლოგიურ ლაიტმოტივს... ის არა მხოლოდ დროით განსაზღვრული პერიოდია, არამედ ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა უნივერსალური ჯამიც... ასეთი იყო იგი ყოველთვის, თუმც მხოლოდ XIX საუკუნის ინტელიგენციის ჯიუტი კაპრიზით იქცა მოდერნიზმი დასავლეთის საზოგადოების უნივერსალურ მენტალობად... ხოლო XX საუკუნიდან მან მიიღო და „შეისისხლხორცა" ადრე მიუღებელი ამორალური და ანტიჰუმანური იერსახე... სხვადასხვა უსახურ იდეოლოგიათა აპოლოგეტიკა და უხამსი „მოდერნიზმი" წარმოადგენს, სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვეობის იდეა-ფიქსს... კარგია თუ ცუდი ეს ყოველივე, მხოლოდ რიტორიკული კითხვაა და არსებითად იგი ყოველთვის უპასუხოდ რჩება...

•

„შალვა კარმელი, უპირველეს ყოვლისა, რითმის კავალერი იყო – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი – პოეზია და ლექსი იყო სტიქია შ. კარმელის. ის კულტურული იყო ზედმიწევნით და იყო ნიშნები, რომ ის გახდებოდა ტეოდორ ბანვილი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა რითმა"...

მისგან ჩვენამდე მოაღწია პოეტურ ხილვათა მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტმა, რამდენიმე წლის ელეგანტურმა სევდამ... გარდაიცვალა იმ ასაკში, როდესაც ტალანტები ჯერ მხოლოდ თვლემენ, ვითარცა ამოუცნობ სურნელებაში ჩაძირული ჯერგაუშლელი ყვავილები... იქნებ, ამიტომაც, შალვა კარმელი საჭიროებს არა იმდენად მწყობრ ანალიტიკურ განხილვას, რამდენადაც ღრმა თანაგრძნობით აღბეჭდილ სიყვარულს...

ის იყო მომხიბლავი, თუმც, ძალზედ ამაყი... სასიამოვნო, თუმც, სევდიანი და მარტოობის ფიქრს მინდობილი... ნატიფი, მიუხედავად ტანჯული სიცოცხლისა...

მასში, ჯერ კიდევ ბავშვში, იგრძ-

ნობოდა ორიგინალობა... სიმბოლისტურ ლექსში მას შეჰქონდა მწუხარე ეზოთერიზმი, ჯერ კიდევ ახალი იმ დროისათვის, განსაკუთრებით ვერსიფიკაციული სისუფთავისა და გრძნობათა გულწრფელობის თვალსაზრისით... მის მცირე რეპერტუარში, არ არის პოეტური ვიზიონი, რომელშიაც არ კრთოდეს ამაყი საყვედური და სევდა... ეს არ იყო სიცოცხლის სევდა – მან ძალზე ცოტა იცოცხლა... ეს არ არის სევდა სიცოცხლის გამო – მას არ მიეცა დრო, შეემჩნია, რომ ცხოვრება იძლევა ბევრად უფრო ნაკლებს, ვიდრე გპირდება...

ეს იყო სევდა, ორგანული და დაუძლეველი, სევდა განწირულთა, რომელნიც ძალუმად გრძნობენ სიკვდილის ყინულოვან ნაკადულთა სხეულში შემოსვლას, მის საბედისწერო „ჩუხჩუხს" და მისით აღვსებას...

ამგვართა მხატვრულ მედიტაციებში რომანტიკული მეტაფიზიკაა არსებითი... და ისმის აღუსრულებელ ოცნებათა შორეულ ლივლივს გულუბრყვილოდ ადევნებული სულის სასოწარკვეთილი ქვითინი...

ასეთად დარჩება სამარადისოდ ეს პოეტი... ასე გააგრძელებს იგი თავის ვნებიან ჩურჩულს იმ ცხოვრებასა და სინამდვილეზე, რომელიც მხოლოდ მან იცოდა, რომელიც მხოლოდ მას განეცადა და ერთადერთ მისაღებ რეალობად წარმოედგინა... ულტრარომანტიკული და ფეერიული, ეს ის ვირტუალური სამყარო იყო, რომელიც მხოლოდ პოეზიით „დასნეულებულ" მარგინალთა კუთვნილებაა...

დიდი ხანია დროა ამ ჭეშმარიტი ტალანტის უფრო მეტი დაფასებისა...

ჩვენივე ესთეტიკური ტკბობისათვის კი, უფრო მეტი ინტენსივობით განცდა მისი კრისტალური ხატებით აღბეჭდილი პოეზიის რასაც ეცხო ესენციებით სურნელქმნილი, უცხაური, იდუმალი, ფანტასმაგორიული და სულისწარმტაცი პეიზაჟებისა...

•

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა ყველა სიტყვა უკვე ნათქვამიაო – ასეთი რამ განუცხადებია მეცნიერთა ერთ-ერთ ფორუმზე სერგეი ავერინცევს... ამ მოულოდნელ ფრაზაში უნებლიედ გახმიანდა პოსტმოდერნიზმის უმთავრესი კონცეფცია – ყოველი სიტყვა და თვით ყოველი ასო, პოსტმოდერნისტულ კულტურაში – ციტატაა...

მის სხვა „ფუნდამენტურ" პრინციპთაგან საყურადღებოა – სრული იგნორირება ჭეშმარიტებისა... ჭეშმარიტება მხოლოდ უბრალო სიტყვაა, რომელიც ნიშნავს იმას, რაც ლექსიკონშია... ვიტგენშტეინის დეფინიციით, „ჭეშმარიტება" არის სიტყვა, რომელსაც არ გააჩნია სხვა აზრი, გარდა იმისა, რასაც აღნიშნავს... ეს არის მხოლოდ სიტყვა, როგორც ტექსტის ელემენტი, ბოლოსა და ბოლოს, როგორც ტექსტი... ტექსტი ისტორიის ნაცვლად, რადგან ისტორია, თურმე, სხვა არაფერია, თუ არა ისტორია ტექსტის წაკითხვისა...

კლასიკური მოდერნიზმის შთამომავალი – პოსტმოდერნიზმი, ჯოისის, თომას მანის, ბულგაკოვისა და სხვათა ესთეტიკური ნოვაციებიდან ამოიზარდა და, დროთა განმავლობაში, გადაიქცა უნივერსალურ კულტურულ მოვლენად... როგორც ფილოსოფიური ცნება (ფრანსუა ლიოტარი)...

ის იყო პირველი XX საუკუნეში, ვინც ღიად აღიარა, რომ ტექსტი კი არ

ასახავს, არამედ ქმნის ახალ რეალობას, უფრო ზუსტად, ხშირად ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ რეალობებს...

მისთვის ერთადერთი – ვირტუალური რეალობაა ცხადი და მისაღები...

კლასიკური მოდერნისტული რემინისცენცია შეიცვალა ტოტალური პოსტმოდერნისტული ციტატა-კოლაჟით.

პოსტმოდერნისტული ფილოლოგია კი სხვა არაფერია, თუ არა სკრუპულოზური ძიება ციტატებისა და ინტერტექსტებისა ამა თუ იმ „მხატვრულ" ტექსტში...

რაც ადრე სინამდვილედ ცხადდებოდა – პოსტმოდერნისტთა აზრით, ეს მხოლოდ ჩვენივე წარმოდგენა ყოფილა მასზე... ამგვარად, ადამიანის აღქმა განწირული ყოფილა „მულტიპერსპექტივიზმისა" და სინამდვილის ცვლადი რაკურსებისათვის... საბოლოო ჯამში კი, სინამდვილის სრული შეუცნობლობისათვის...

თვით პოსტმოდერნიზმის „მამათა" (დერიდა, ჟენეტი და სხვა) აზრით, პოსტმოდერნიზმი დასრულდა და ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ ახალ კულტურულ ეპოქაში...

ამგვარი პროგნოზირება ერთობ მერყევია და რეალურ ვითარებას ბოლომდე ვერ ითვალისწინებს...

ჩვენი სულიერ-ინტელექტუალური ეკლეკტიზმი და მხატვრულ-იდეოლოგიურ დისკურსთა სრული ქაოსი, ანუ ქართულ პოსტმოდერნიზმად წოდებული შემოქმედებითი მოძრაობა, ახლა იწყებს პროვოკაციულ თვითდამკვიდრებას. ჯერ, რა თქმა უნდა, წარსულის სულიერ ღირებულებათა დისკრედიტაციითა და მისთვის ჯერ ბუნდოვანი ესთეტიკის „ქადაგებით"... რა შედეგებით გაამდიდრებენ ჩვენი ქართულ ლიტერატურულ სიტყვაცას, ამას ალბათ მომავალი დაგვანახებს...

●

საგულისხმოა, რომ აკაკი ბაქრაძე გონითა და ენით, ანუ ჭეშმარიტი საქმით მეტყველებდა მაშინ (და სწორედ მაშინ!), როდესაც ადამიანებში ყოვლისმომცველი შიში საოცრად ბუნებრივი იყო... მისი ყოველი საჯარო გამოსვლა თუ პუბლიკაცია გაბოროტებულ ქარიშხალსა და ქაოსს კი არ აძლევდა დასაბამს, არამედ აღვიძებდა და აღორძინებდა დაკარგულ ეროვნულ თვითშემეცნებას, პიროვნულ თვითგანცდასა და სამყაროს სულიერ ფასეულობათა წინაშე თაყვანისცემას...

კიდევ უფრო საოცარი და ღრმად მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ აკაკი ბაქრაძე დუმდა მაშინ, როდესაც ადამიანებს უახლესი წარსულის უარყოფისათვის არათუ სჯიდნენ, აჯილდოვებდნენ და აღმერთებდნენ კიდეც...

მაგრამ მისი მჭევრმეტყველური დუმილი შეიძლება უფრო არსებითი და უღრმესი ქვეტექსტებით იყო გადატვირთული...

ასეა თუ ისე, აკაკი ბაქრაძემ საკუთარი თავის „აღწერა" დაამთავრა... ანი და ამიერიდან, მომავალი „ჟამთააღმწერელი" განასრულებს მას...

ჩვენ, XX საუკუნიდან მომდინარე ადამიანები, მომსწრენი ვართ ჩვენსავე თვალწინ გათამაშებული მრავალი შემზარავი ტრაგიკული „მისტერიისა"...

რატომღაც მგონია, რომ სულ უკანასკნელი, ჩვენს წინაშე გათამაშებული მწუხარე მისტერიის პროტაგონისტი სწორედ აკაკი ბაქრაძე იყო...

ხომ სიმართლეა, რომ ყველა შემზარავ ნაკლოვანებათა მიუხედავად, XX საუკუნის ადამიანებს გააჩნდათ უნიკალური უნარი, რაღაც ღვთაებრივი ნიჭი, რომელიც თითქოს სულიერების ზეაღმავლობის კიდევ ერთ დიდ ისტორიულ ეტაპს განასახიერებდა უთუოდ...

ამ იდუმალი ტეხილებით აღბეჭდილი საუკუნის მოულოდნელი „კაპრიზებიდან" ერთ-ერთი აკაკი ბაქრაძე იყო... დრო-ჟამის უნიკალური ნაყოფი, იგი მთელი არსებით ირეკლავდა ერის ისტორიული მეხსიერების იმ სრულიად განსაკუთრებულ აქცენტებს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია თავისუფალ მოაზროვნედ და მოქალაქედ ჩამოყალიბება... ჭეშმარიტად ენციკლოპედიური უნივერსალიზმი აქცევდა მას ერის სულიერ-ინტელექტუალურ „ოაზისად", რომლის უნეტარეს ჩრდილებშიაც იბრუნებდნენ სასომიხდილ სულს ცოდნასა და თავისუფალ ფიქრს მონატრებული ქართველები...

მისი მღელვარე და დინამიური მოლვაწეობის ფინალი, ანუ სრული განმარტოებისა და სულის საბოლოო მოთქმის ჟამი, ჩემთვის თითქოს გასაგები გახადა მიშელ მონტენის მედიტაციამ – „განვთავისუფლდეთ წარსულის ვნებიანი გატაცებებისაგან, რომელნიც ერთ დროს აგრერიგად გვიმონებდნენ და გვაშორებდნენ ჩვენსავე თავს... საბოლოოდ უნდა გაწყდეს ეს ერთ დროს ძლიერი კავშირები... რადგან უდიადესია ამქვეყნად, შეგეძლოს ეკუთვნოდე მხოლოდ შენს თავს... უნდა გავეცალოთ საზოგადოებას, რომელსაც აღარ ვჭირდებით, რომლისთვისაც აღარ ვართ სასარგებლონი...

განმარტოება, არსებითად, კიდევ უფრო აფართოებს ჩვენს სულიერ თვალსაწიერს, გვხდის კიდევ უფრო თანაზიარს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებისა და მსოფლიო მოვლენების მიმართ..."

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ფრაგმენტი ადამიანური აღსარებისა, არ წარმოადგენს არც ეგოიზმს, და არც ადამიანებისა თუ საზოგადოებისადმი ზურგშექცევას... სხვა, სრულიად განსაკუთრებული, ამაყი და შინაგანი ღირსებით სავსე კეთილშობილებაა ამ დრამატული მონოლოგის ჭეშმარიტი პარადიგმა... მასში განფენილია თავისუფლებისადმი უსაზღვრო მოწიწება და თაყვანისცემა, პიროვნული დამოუკიდებლობის აპოლოგია... უცხო, ფუჭად ხმაურიანი და უსარგებლოსაგან განრიდება... სულისა და სხეულის ამაღლების უნიკალური მანიფესტაცია...

მხოლოდ ამგვარად წარმომიდგენია ერთ დროს მღელვარე და ცეცხლოვანი აკაკი ბაქრაძის განმარტოებასთან საბოლოო შერიგების საოცრად მტკივნეული და მაინც უმაღლეს სიბრძნესთან წილნაყარი სიცოცხლის ფინალური „მოტივი"...

ასეთი ყოფილა დრო-ჟამის არა ერთი პროტაგონისტის ეკლიანი გზა – აზრისა და მოქმედების ტრიუმფატორიდან, – განმარტოებასა და მდუმარებაში ჩაძირულ „ანაქორეტამდე"...

საქართველოში პარადიგმების ცვლა ყოველთვის ძალზე მტკივნეულად, შემაძრწუნებელი ტეხილებით მიმდინარეობდა და მისი ზუსტი პროგნოზირება, მხოლოდ ურჩეულესთა ხვედრი იყო – ხვედრი უმძიმესი და, ხშირად, საბედისწეროც კი...

და კიდევ, ამაღლებულმა და ზეცისკენ მაყურებელმა რომანტიკოსმა „დათრგუნა" და გადააჭარბა მასში ემ-

პირიული სინამდვილის ბოლომდე ერთგულ, ანუ ორთოდოქს მიმდევარ-აპოლოგეტს...

ამიტომაც არ შედგა აკაკი ბაქრაძისაგან პოლიტიკოსი...

ბედისწერამ ამით მაინც დაიცვა თავისი რჩეული, მრავალზე მრავალ უღირსთა მიერ დამცირებისა და შეურაცხყოფისაგან, საბოლოო იმედგაცრუებისა და მოუნელებელი თუ სულისმომწამლავი სინანულისაგან...

•

ნეომითოლოგიზმი იყო, არსებითად, XX საუკუნის მხატვრული პროზის განმსაზღვრელი პრინციპი... მეტნაკლებად სწორედ ის მსჭვალავდა მის სტილურსა და სემანტიკურ დინამიკას... არქაულ, კლასიკურ და ყოფით მითოლოგიაზე ორიენტირებული პროზა – „ილუზია-რეალობის" პროვოცირებით, უფრო ხშირად კი რეალობის სემიოტიზაციითა და მითოლოგიზაციით აღწევდა ჭეშმარიტად შთამბეჭდავ შედეგებს – კლასიკურ ქმნილებათა სახით... კაფკას, ბულგაკოვის, თომას მანის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვა პროზაიკოსთა კვაზირეალისტური ოპუსები XX საუკუნის მოდერნისტული ესთეტიკის თვალსაჩინო ილუსტრაციებს წარმოადგენენ...

უსაზღვროდ მრავალგანშტოებადია გარდასული საუკუნის მხატვრული პროზა, მისი იდეოლოგიური თუ ესთეტიკური პრინციპები...

მათ შორის, ერთი უარსებითესია, აშკარად აქცენტირებული, სტილის პრიორიტეტი სიუჟეტზე... არა – რა, არამედ – როგორ – აი მწერლის ამოცანა... ნეიტრალური სტილი – ხვედრი იყო მასობრივი, ანუ ტრივიალიტერატურისა.

ბიბლიოთეკა

დღევანდელი თვალსაწიერიდან, მნიშვნელოვან ესთეტიკურ ნოვაციად ჩანს ნაწარმოების ფაბულის სრული იგნორირება (ბორხესი)... სინტაქსის პრიორიტეტი ლექსიკაზე (ჰესსე), ტექსტის პრაგმატიკა და არასემანტიკა (პრუსტი) ტექსტის შინაგანი ერთიანობის დეკონსტრუქცია (ფოლკნერი, აკუტაგავა, რობ გრიე)...

და ბოლოს, „აუტიზმი" – ძალზე ექსტრავაგანტული პრინციპი მოდერნისტული პროზისა... ეს არის მწერლის მიერ მხოლოდ საკუთარი „რეალობის" მოდელირება, მკითხველის მაპროვოცირებელი ტექსტის რაღაც „შიზოიდურ-პოლიფონიური" მოზაიკა, „თხრობის" ულტრაოდიოზური ფორმებით მანიპულირება (კაფკა), და ინტელექტუალიზებული რებუსის მოუხელთებელ ნაკვთებად ნაწევრება (ბორხესი)...

საოცრად რთულია თვალი მიადევნო და ერთ მთლიან მხატვრულ პანორამად წარმოიდგინო ყველა საუკუნეთა შორის ურთულესი „ესთეტიკური ძიებებით გადატვირთული" XX საუკუნის პროზის გრანდიოზული სივრცე...

•

ყოველი ახალი დროის ხელოვნების არხიმთავარი ამოცანა მომავალზე იყო გათვლილი და ოცნებით მარადისობას „ელაციცებოდა"...

ხელოვნების ყოველი „ფორმაციის" სივრცეში დგება კრიტიკული მომენტი, როცა იგი იძულებული ხდება იქცეს თვითმიზნურ და თავბრუდამხვევ ეფექტებად... ამ ტიპის ექსტრავა-

განტური და ოდიოზური გამოვლინებანი, არსებითად, სათავეს უმდიდრესი კულტურულ-ისტორიული ენერგეტიკული „ცენტრებიდან“ იღებენ და არასოდეს არიან სრულიად „უპატრონონი“... უკანასკნელი ნიმუში ამგვარი „ინტელექტუალური“ ექსცენტრიკისა – პოსტმოდერნიზმია...

პრინციპულად ახლის პრეტენზიით მოვლენილი ლიტერატურული აზროვნების ეს ტიპი, მოთხოვნილების გაჩენისთანავე, მეტისმეტად შორს მიდის... მიზანმიმართულად აკარგვინებს რა მხატვრულ ტექსტს ელემენტარული აღქმის პრეტენზიას... ის „წარმატებით“ ახერხებს საკუთარი მისიის შესრულებას მასალის სრული დერომანტიზაციითა და ყოველგვარი ამაღლებულისადმი რაღაც ბიოლოგიური ზიზღით... მათი პოეტური თუ პროზაული ტექსტები – ეს არის სიტყვათა „კოკტეილი“, სკაბრეზული „სამკაულებით“ დამშვენებული ხროვა სიტყვებისა... ზოგჯერ კი, სრული ნაგავი იმისა, რასაც ანტილიტერატურა გამოყოფს თავისი მოდერნიზებული სიცარიელიდან...

•

საოცრად შთამბეჭდავია გერმანელი მწერლის ერთი სევდიანი ჩანაწერი... იგი ფიქრობს, რომ ადამიანი, რომელიც 35 წლის ასაკში კვდება, თავისი სიცოცხლის ყოველ მომენტში, სწორედ იმ ადამიანს ანსახიერებს, რომელიც კვდება 35 წლისა... ანუ იგი მოგონებებში ყოველთვის გაცოცხლდება იმად, რომელიც 35 წლისა კვდება...

ფიქრი, რომელიც რეალურ სიცოცხლეს უყურადღებოდ სტოვებს, აუცილებელია იმ სიცოცხლისათვის, რომელსაც იხსენებენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათაშორის, ყველაზე უცვლელ სწორედ ამგვარადაა შესაძლებელი ლიტერატურული გმირის არსის წარმოსახვაც... მისი სიცოცხლის ჭეშმარიტ აზრს, მხოლოდ სიკვდილი ააშკარავებს, ამიტომაც უნდა იყოს მკითხველი მზად ტრაგიკული ფინალისათვის...

რომანი, მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმით, რომ სხვათა ბედის წარმოსახვით, რაღაც პროვიდენციალურს გვასწავლის, არამედ უფრო იმით, რომ ჩვენში გადმოდის ამ ბედის დამფერფლავი ალის ის საკრალური სიმხურვალე, რომლის მსგავსს ვერასოდეს განგვაცდევინებს საკუთარი ამქვეყნიური ცხოვრება...

•

ისე არაფერი გამახსოვრებს მოთხრობას (მონათხრობს), როგორც უბინო ლაკონიზმი, რომლისგანაც „განდევნილია“ ყოველგვარი ფსიქოლოგიური ანალიზი... და რაც უფრო ბუნებრივად ჩანს ფსიქოლოგიურ ნიუანსთა არყოფნა, მით უფრო დიდია შანსი მკითხველისა თუ მსმენელის მეხსიერებაში დამკვიდრებისა... საგულისხმოა, რომ სწორედ ის (მოთხრობა) იქცეოდა ხოლმე მკითხველის „გამოცდილებად“ – სხვებისთვის მოსათხრობად... ასიმილაციის ეს უცნაური პროცესი კი ითხოვს განსაკუთრებულ სულიერ დამუხტვას, ანუ იმას, რაც დღეს სულ უფრო და უფრო ძნელად მიიღწევა... თითქოს იკარგება ნიჭი თხრობისა და კითხვა-მოსმენისა... და იკარგება იმიტომაც, რომ მწერლის სიტყვა მაღალი ხელოვნებით ვეღარ

„ქსოვს“ ისედაც მწირსა და უგრძნობელ სათქმელს... იძენძება და საბრალოვდება ავტორსა და მკითხველს შორის გაბმული ერთ დროს „ჯადოსნური ბადე“... ბადე, რომელიც ათასწლობით იქსოვებოდა და სასოებით გადაეცემოდა მომავალს...

•

გადმოცემით, წარსულის დიდ შემოქმედთაგან, მრავალნი იყვნენ „რესპექტაბელურ“ ცხოვრებასთან სრულიად შეუთავსებელნი – სუსტნი, უნიათონი, საბრალონი, ბავშვივით უმწეოდ მოარულნი... შესაძლოა, ნაწილობრივ, ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ამ „მარგინალთაგანი“, სწორედ თავისი ამ ვირტუალური ყოფიერებითა და აზროვნებით „იქცა“ უნიკულარ კულტურულ მოვლენად... საინტერესო ის არის, რომ მათში სწორედ მაშინ მძაფრდებოდა გენიალური შემოქმედებითი გამოვლინებანი, როცა პიკს აღწევდა და საბედისწეროდ მძლავრდებოდა „იდუმალ“ სნეულებათა კრიზისული სიმპტომები...

სწორედ სრული დეპრესიის ჟამს, როგორც შემოქმედებითი სულის საპასუხო რეაქცია (როგორც „ბინარული ოპოზიცია“), აღორძინებას იწყებდნენ ღვთაებრივი იმპულსები და სამყაროს ევლინებოდნენ – პროვიდენციალური იმპრესიები, ინფერნალური ვიზიონები, სურეალისტური მითოლოგიები... პოეზიის, ფერწერისა და მუსიკის უნიკალური შედევრები...

აქ, ამ ქმნილებებიდან ავლენდნენ ისინი იმ უნაპირო სულიერ თავისუფლებას, რომელიც მათ მიწიერმა ცხოვრებამ აუკრძალა... გოია, ნერვალი, ბოდლერი, მოდილიანი, ფიროსმანი, გალაკტიონი... კიდევ არაერთი სხვაც, ამ მედიტაციის პროტაგონისტად ნარმოიდგინებიან...

•

ლექსი – შესაძლოა იგია ცდა, ექსპერიმენტი... საგნების ფიგურალური აღქმით, მათი მოძრაობის ფარული კანონზომიერების წვდომით, ემპირიულის ენერგეტიკასთან შერწყმითა თუ ოპოზიციით, ირეალურთან გაბაასებითა და კიდევ მრავალი სხვა მოტივაციებით აღბეჭდილი ეს ურთულესი სულიერ-ინტელექტუალური „თამაში“, თვით მოთამაშისაგან უდიდეს მხსვერპლშეწირვას რომ ითხოვს, მთელი მისი სიცოცხლის სახით...

სულ ერთი ჭეშმარიტი ლექსის შესაქმნელად „ბოლომდე“ უნდა შეისრუტო ცხოვრება... ლოგიკურია მეორე თეზაც: იმისათვის რომ შექმნა ერთადერთი ლექსი, „ბოლომდე“ უნდა შეიმეცნო ხელოვნება, ანუ ამოწურო მთელი შენი სიცოცხლე ხელოვნების ძიებასა და წვდომაში...

ამ ორ თანაბარუფლებიან პასუხში საერთოა ის, რომ ცხოვრებაცა და ხელოვნებაც მხოლოდ გამოცდილებაა, რადგან არსებითად ისინი მუდმივ ძიებებში ჰპოვებენ ერთადერთ „ბედნიერებას“... სრულიად უნიკალურია განუსაზღვრელობით განსაზღვრული ეს ძიებები...

•

კულტურა სულ უფრო მეტად და მეტად იხსნება ჩვენს წინაშე, როგორც სიმბოლოთა უნივერსალური სისტემა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც, ფაქტობრივად, ერთი და იმავე ოპერაციებით რეგულირდება... ეს ვრცლად განფენილი სიმბოლური ველი დაყურსულია რაღაც საოცარი ერთარსებობის ინიციაციით, რომელსაც მხოლოდ ენა ამეტყველებს, წარმართავს და წარმოადგენს... ამიტომ წინასწარმეტყველებენ უახლესი ჟამის დასავლეთის ფილოსოფოსები, კულტუროლოგები თუ კრიტიკოსები ჩამოდგომას ისეთი დროისას, როცა დღის წესრიგში დადგება მეცნიერების ახალი დარგის შექმნისა და ჩამოყალიბების აუცილებლობა... ეს იქნება მეცნიერება კულტურის შესახებ – რომელიც დაეფუძნება სხვადასხვა დისციპლინებს... თუმც ყველა ისინი, სხვადასხვა დონეებზე, კულტურას შეისწავლიან, როგორც ენას...

•

ოქტავიო პასი ღრმა სინანულით წერდა მარტოობის დაწყევლილი ლაბირინთის, როგორც ლათინურ-ამერიკელი ადამიანის მწუხარე ბედისწერისა და მწარე მემკვიდრეობის შესახებ... კიდევ უფრო მეტი ონტოლოგიური სილრმით წარმოდგა ეს ტკივილი მარკესის მხატვრულ ოპუსებში... სამყაროსთან სრული განხეთქილება იქცა ლაიტმოტივად იმ ცნობილი რომანისა, რომელშიაც მარტოობის მსხვერპლია არა მხოლოდ პიროვნება და გვარი, არამედ, მეტაფორულად მთელი ხალხი და ქვეყანაც კი...

ადამიანის სიცოცხლე აქ, ამ სიურეალისტური სამყაროს წიაღში, თითქოს მათივე კუთვნილება არ არის და მათი ნების გარეშე მიმდინარეობს... ისინი მხოლოდ გადაადგილდებიან და ისიც, ვიღაცის ნება-სურვილის მიხედვით... უფრო ზუსტი იქნება, ვილაპარაკოთ არა უცხო ნეიტრალურ ძალაზე, არამედ რაღაც მისტიკურ ძალადობაზე, რომელიც ერთის მხრივ მსგავსია კოშმარული სიზმრისა, ხოლო მეორეს მხრით, ვირტუალური კრიმინალური ცხადისა... სწორედ აქედანაა მთელი რიგი ფანტასმაგორიული და „ასიმეტრიული" ფიგურებისა ბორხესთან და კორტასართან...

თუმც, ამასთან ერთად, ლათინურამერიკული „მარტოობის" პარადიგმაში, კიდევ სხვა, საოცრად ღრმა და უნაზესი „ვედრებაც" ილანდება... ეს არის ოცნება ადამიანურ კავშირებზე, სურვილი შეიცნო და გულით აღიარო ამხანაგი, სიყვარული, მტერი და, ბოლოს და ბოლოს, შენივე ტანჯული თავი... აღიარო და დატკბე თუნდაც მხოლოდ „მაგიური სარკის" მისტიური სივრცით... ამ კოლოსალური ოცნებითაა აღბეჭდილი სამხრეთამერიკელ კლასიკოსთა არაერთი ბრწყინვალე მხატვრული ქმნილება...

რა პიკანტურადაც არ უნდა გვეჩვენოს, ვფიქრობ, სწორედ ამ რომანტიკული სულისკვეთებიდან ამოიზრდება, რაღაც მეტაფიზიკური „ეროტიკა".... და იგი, არა მხოლოდ მათი ინტერპრეტაციის საგანია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული სიტყვის მშვენიერებისა და ენერგეტიკის წყაროც... ეს არის – პოეტური ენის ეროტიკა... სიტყვის ლირიკული სტიმულაცია... პოეტურ ბოდვასა და პროზაულ რაციოს ზღვარზე „ატეხილი" სახიფათო თავაწყვეტილი „როკვა"... აქ, მაგიური რეალიზმის ამ თეატრალიზებულ ავანსცენაზე, მოწმენი და მაყურებელნი ვართ არა მხოლოდ პერსონაჟთა ალერსით ტკბობისა, არამედ სიტყვათა ურთიერთალერსისა... მათი ჯადოსნური პოლიფონიით

მიღწეული ღვთაებრივი ჰარმონიისა. ალბათ, სულაც არ იყო შემთხვევითი ამ უნიკალური ღირსებებით აღბეჭდილ მწერალთა გატაცება სიტყვის ჭეშმარიტი ჯადოქრებით – ბოდლერით, ვერლენით, რემბოთი, ზოგადად სიმბოლიზმით და რაღა თქმა უნდა, ედგარ პოთი – ამ ახალი ლიტერატურული აზროვნებისა და პოეტური სიტყვის საყოველთაოდ აღიარებული მეტრით...

●

როლან ბარტის „თვითანალიზის" ერთი ფრაგმენტია გასაოცარი... იგი საკუთარი შემოქმედების უპირველეს ძალად – შიშს მიიჩნევს – „ყოვლის პირველსაწყისი – შიშია... – წერდა იგი – ... მე მეშინია – ესე იგი ვცოცხლობ"... შენიშვნა: ამჟამინდელი ზნე-ჩვეულება ისეთია, რომ შიშზე არასოდეს ლაპარაკობენ... იგი განკიცხულია, განდევნილია დისკურსიდან... პირველსაწყისში ჩაბრუნებული, იგი მეთოდის მნიშვნელობას იძენს; მისგანვე იწყება ინიციაციის გზა. ამ არითმიული სტილისტიკით წარმოდგენილ მედიტაციაში ახალი სააზროვნო აქცენტები იკვეთება... უპირველეს ყოვლისა კი კითხვა – შიში რისი?.. საგულისხმოა, რომ ამ „იდუმალ" კითხვას მოგვიანებით თვით ბარტმა გასცა პასუხი... მან მინიშნებით „დაასახელა" ის ვირტუალური მოწინააღმდეგე, რომლის წინაშეც „კრთის და კანკალებს" ... „რა არის წიგნის საზრისი? არა ის, რაც მასში განიხილება, არამედ ის, რასთანაც კამათობს იგი"...

ამგვარია შემოქმედის მოდერნისტული კონცეფცია: არა შუასაუკუნეების ღვაწლმოსილება, არა კლასიციზმის უმაღლესი ხელოვნება, არა რომანტიზმის შთაგონებული ცნობანი, არამედ მძიმე და ძალზე სახიფათო ჭიდილი წარსულ კულტურულ პარადიგმებთან... რომლის „სისხლიანი" ნაფეხურები მძაფრად აღებეჭდება ქმნილებათა კონტურებსა და ტექსტის მთლიან სტრუქტურას... ამ სასტიკ შემოქმედებით „ბრძოლაში" მწერლის უპირველესი მეტოქე ტექსტის აზრია, ანუ ბრძოლაა არა აზრისათვის, არა მისი გამოკვეთისა და ნათელღებისათვის, არამედ მის წინააღმდეგ – აზრის წინააღმდეგ(!), მისი „ბორკილებიდან" თავდასახსნელად, რაღაც სრულიად უტოპიური სამყაროს შესაქმნელად და მწყობრ, გამოცდილ საზრისთაგან განსარიდებლად...

მწერალი აზრისათვის კი არ იღვწის, არამედ ებრძვის მას მთელი თავისი არსებით, რათა დაიჩრდილოს და სულაც მოისპოს ხატი „ავტორისა"...

ბარტი გახლდათ ერთი პირველთაგანი, რომელმაც „ავტორის სიკვდილი" იწინასწარმეტყველა... (თუმც, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლიტერატურული ტექსტის ავტორის გაუჩინარების პერსპექტივა უარყო ლიტერატურის შემდგომმა განვითარებამ)...

„ – დე, ლიტერატურამ შეწყვიტოს აღმნიშნოს „მე", შეწყვიტოს დაანახოს სხვას ჩემი ფიქსირებული იერსახე, რომლითაც სხვანი უფლებამოსილნი იქნებიან აკეთონ, რაც უნდათ"... აი, ონტოლოგიური შიშის ის ერთი უდიდესი მიზეზთაგანი, რომლითაც „იტანჯებოდა" გენიალური ფრანგი კრიტიკოსი და კულტუროლოგი...

და კიდევ – თურმე, მთელი სიმძიმე მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობდა, რაც ზევით ითქვა, არამედ ტრადიციული ლიტერატურული დისკურსის „გულისამრევ" პირობითობაშიც...

სწორედ მის „ჯიბრზე“ ხდება განრიდება აზრის ყოველგვარი კრისტალიზაციისაგან და საავტოროდ მორგებული „სამოსელისაგან“...

იგი წერდა, რომ მისი წიგნი მთლიანად – აზრისადმი სრული ზურგშექცევა და უარისთქმაა... და დაწერილია იმიტომაც, რომ საბოლოოდ განშორებოდა აზრით აღბეჭდილ სივრცეებს...

და, მაინც, რად ინება მან „ხელი მოეკიდა“ ესოდენ „სკანდალური“ ავტოხატის წარმომსახველი ჟანრისათვის – ლიტერატურული ავტოპორტრეტისათვის... ალბათ, ეს უფრო მეცნიერსემიოლოგის ინტელექტუალურ მოვალეობას წარმოადგენდა... მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: „მეცნიერების სტატუსი ნიშანთა შესახებ იმგვარია, რომ ითხოვს წერილობით „აღიაროს თავი“ და აღწეროს საკუთარი პერსონა“... ამ ეკზისტენციური დისკურსით დავამთავრებდი ფიქრს იმაზე, „ვინც ბოლომდე იწვნია მწერლისა და მოაზროვნის მარტოობის დედაარსი და ბუნება“ (მორის ბლანშო)...

•

ჩვენთვის მეტნაკლებად ცნობილი ისტორიული ამბოხი, ინდივიდუალური ქნებოდა ის თუ ფართომასშტაბიანი, თავის წიაღში შობდა და საჯარო ავანსცენაზე „გამოაბრწყინებდა“ ხოლმე როგორც ნამდვილ გმირს, ასევე ნამდვილ ლაქიასაც... სამწუხაროდ, ზოგჯერ ერთ „პროტაგონისტში“ ერთდროულად „ყვავილოვნებდა“ ერთიცა და მეორეც... აქედან, როგორც ერთგვარი დასკვნა – კონფორმიზმი, ერთი ნიჰილისტურ ცდუნებათაგანი ყოფილა ყოველგვარი ამბოხისა...

უფრო მეტიც, კონფორმიზმის ზეობის გავლენითაა აღბეჭდილი არც თუ მცირე ფრაგმენტები ჩვენი გონებრივი „განვითარების“ ხანგრძლივი ისტორიისა... მასზე დაკვირვება ერთ საინტერესო აღმოჩენამდეც მიგვიყვანდა... კერძოდ, მოქმედებაზე გადასული მეამბოხე „ივიწყებდა“ რა ეროვნული ცნობიერებისა და ბრძოლის იდეის წმინდა სათავეებს, კონფორმიზმის უმძლავრეს ცდუნებათა მონა-მორჩილი ხდებოდა... განა ამ ტოტალური ცდუნებით არ აიხსნება ჩვენი აწგარდასული თუ დღევანდელი მზაკვარი რეალობა?... ჩვენი გონების თვალწინ „ამაყად“ ჩავლილ დროსთან „შეურიგებელთა“ ჭეშმარიტი ფიქრნი და ზრახვანი?

სამწუხარო, კიდევ უფრო, ის არის, რომ კონფორმიზმის ამ საერთო „ვაკხანალიაში“, ნებსით თუ უნებლიედ, „მეამბოხე“ მხატვრული სიტყვის ოსტატებიც იყვნენ ჩართულნი... ისინიც, თურმე, კარგად იყვნენ „განდობილნი“ კონფორმიზმის ტექნოლოგიათა „ურთულეს“ ხელოვნებაში... აღარ დავკონკრეტდები და აღარ დავწყვეტ გულს იმათ, ვინც დღესაც მშვენივრად არსებობს და იმათ, ვინც მხოლოდ ჭირისუფლებით არიან წარმოდგენილნი...

•

მოდერნიზმი და ავანგარდი... ორი იდეოლოგიურ-ესთეტიკური „მონსტრი“... მაპროვოცირებელი XX საუკუნის თითქმის ყველა სულიერ-ინტელექტუალური რეფლექსიებისა თუ ავანტიურისტული ოცნებებისა...

რა იყო, ბოლოსა და ბოლოს, მოდერნიზმი – თუ არა XX საუკუნის კულტურული ცნობიერების ტიპი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ქმნიდა თავისი დროის კულტურული ნორმების წინმსწრებ ტექსტებს... ნოვაციურს, სინტაქსისა და სემანტიკის და ტრადიციულს პრაგმატიკის (მკითხველზე ზემოქმედების) თვალსაზრისით...

რაც შეეხება „ავანგარდს" – იგი კულტურული ცნობიერების ის ტიპია, რომლის ტექსტებში პრევალირებს სკანდალური აგრესიით „გაამაყებული" პრაგმატიკა, ანუ მკითხველისა თუ მაყურებლის უტრირებული ექსცენტრიკით პროვოცირება... სხვა დანარჩენი (სემანტიკა, სინტაქსი) მისთვის მხოლოდ პერიფერიული „სამკაულებია"...

ლაკანის ფსიქოლოგიური „ფორმულებით" თუ ვიმსჯელებთ, მოდერნისტთან უცვლელი რჩება სუბიექტთან საკონტაქტო საფუძველი ენისა... ანუ, მოდერნისტულ დისკურსში წარმოსახვითი თრგუნავს რეალურს, არა ენობრივი „ეგზოტიკითა" და გაუვალი „ჯუნგლებით", არამედ ფანტაზიის არაცნობიერი კომპოზიციებით... ყოველივე ამას, ფრანგი ფსიქოლოგი ნევროზულ დისკურსად წარმოიდგენს...

ავანგარდი კი საგულდაგულოდ ანგრევს ენის თვით კომუნიკაციურ საფუძველს... ახშობს ენის ცნობიერი აღქმისაკენ მიმავალ გზას... იგი საკუთარ ენას „ქმნის"... ენას, რომელიც პარანოიდალურისა და მანიაკალურის ზღვარზე ბალანსირებს... ეს ლაკანისათვის უკვე ფსიქოზური დისკურსია...

ასე რომ, ნევროზული დისკურსის ილუსტრაციას წარმოადგენდნენ – პოსტიმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, აკმეიზმი, ექსპრესიონიზმი, ნეოკლასიციზმი...

ფსიქოზურისა კი – დოდეკაფონია, ფუტურიზმი, სურეალიზმი...

•

ფიქრი – რევაზ ინანიშვილზე, როგორც ჭეშმარიტად მარადიულ სულიერ თანამგზავრზე... თავისი ინსტინქტებით, წარმოდგენებითა და რეფლექსიებით, უნატიფეს სულიერ მოძრაობათა „წყალობით", იგი ბოლომდე დარჩა ოდესღაც უმანკო ბუნების ერთგულ რაინდად, მის გულმხურვალე და ცრემლდამდინარე ჭირისუფლად... აქ, ამ პასტორალურ სივრცეში გრძნობდა თავს სასტიკი, მზაკვარი და ლაჩრული სინამდვილიდან შორს, ყველასგან სრულიად განმარტოვებულად... ამ იდილიური სამყოფელიდან ასწავლიდა ადამიანებს ბუნებისაგან შთაგონებულ სიბრძნესა და სიმართლეს, განცვიფრებასა და ღიმილს, მწუხარებასა და იმედს, სიყვარულსა და განშორების სევდიან რომანტიკას... სხვა მის დიდ თანამედროვეებთან ერთად, ისიც ტრაგიკული ეპოქის ჟამთააღმწერელი და პოეტი იყო... პოეტი უნიკალური და თხემით ტერფამდე ქართველი... ამქვეყნად დიდი მისიით მოვლენილმა, უჩუმარი სიცოცხლით განაცვიფრა მრავალი... საოცრად მოკრძალებული, იგი თავისივე ქმნილებებიდან „გამოპარულ", სათნო და კეთილშობილ გმირს ჰგავდა...

უმძიმესმა ჟამმა გააცილა უკანასკნელ გზაზე... ერისაგან დაუტირებელი და სულაც შეუმჩნეველი გაეცალა ამ წუთისოფელს... ესეც, ერთი მწუხარე შტრიხია მისი ადამიანური ბიოგრაფიისა... ოდენ უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი მისი მარადიული სულიერი სიცოცხლისათვის...

მთავარი ის არის, რომ ჩვენს წინაშეა ჭეშმარიტად დიდი ლიტერატურა, თავისი შინაგანი არსით, ახალიცა და, გარკვეულწილად, ტრადიციულიც...

ის გვაღელვებს და ნიადაგ აღგვიძრავს რომანტიკული იდეალების უმძაფრეს სიყვარულს, დავიწყებული მშობლიურის ცრემლიან განცდას...

მე მეჩვენება, რომ ის, ყოველ მომდევნო ქმნილებაში, ყოველ მომდევნო წიგნში, როგორც სიტყვის და ფიქრის დიდი ხელოვანი, ახლიდან იწყებოდა... ეს, შინაგანი წვითა და მიღწეულით „გაუმაძღარი" მაძიებელი სული, ნიადაგ კიდევ უფრო შორი, დათოვლილი მწვერვალებისაკენ მიილტვოდა... და, თუ კი მის ქმნილებებს უფრო დიდი მოლოდინის, ბოლომდე დაუმთავრებელი ტკბილი მელოდიის ცოცხალი შეგრძნება მიაცილებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამოუწურავია მისგან განცდილი ნეტარება და მისით აღძრულ პოეზიასთან დიალოგი...

•

ტერენტი გრანელი – საოცრად თავისუფალი, ულტრასუბიექტური, საკუთარ სიურეალისტურ წარმოდგენებსა და განცდებს მინდობილი პოეტია... ამგვარი შემორჩება იგი ქართველი მკითხველის ცნობიერებას...

უპირველეს ყოვლისა, მან გადაგვიშალა ეფემერათა და იდუმალებათა საკუთარი, რაღაც არაცნობიერი და ერთობ აუტისტური შეგრძნებები... მარგინალურ და ფანტასმაგორიულ ხილვათა მთელი სპექტრი... მასში ტრაგიკულის ფილოსოფიური წვდომისა და აღმოჩენილის პოეზიად სუბლიმირების დისკურსია არსებითი და მნიშვნელოვანი... მელანქოლიური სინანულისა და ამაყი კრთომის კომპლექსი, მისი, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის, იდეა-ფიქსი იყო...

არაფერია მის მხატვრულ სამყაროში ხელოვნური და ნაძალადევი... იგი საღამო ჟამის, სასაფლაოებისა და ეკლესიების, მოწყენისა და მარტოობის ინიციაციებშია ჩაძირული და გაზავებული...

მას ჰქონდა სიცოცხლის ბედნიერი განცდის უნარიც... წამები სიხარულისა და იმედისა... დროდადრო, ვითარცა ჩვეულებრივი მოკვდავი, ნაზად შემოფრენილ ამ განწყობილებებსაც გაუბედავად ეჩურჩულებოდა... ბავშვური ვნებიანობითა და ცრემლიანი საყვედურით გულში იხუტებდა... შემდეგ კი, სიხარულის „სამოთხეებიდან" გამოდევნილი, იგი კვლავ საკუთარ, განმარტოებულ სევდა-მწუხარებით ნაგებ „სასახლეებს" უბრუნდებოდა, რათა, თითქოს, კიდევ უფრო ძალუმად ეგრძნო ყველასაგან მიტოვებულთა და განწირულთა უკანასკნელი თავშესაფრის – ცხოვრების ამაოების განცდისა და გაშინაგნების მწუხარე სიბრძნე...

ამ „რომანტიკული" ცხოვრებით, შემოქმედებითი თვალსაზრისით, მას, რა თქმა უნდა, არაფერი დაუკარგავს... პირიქით, სწორედ ამ „თავისუფლად" ყოფნის შთამაგონებელმა იმპულსებმა გამოძერწეს ამ ჭეშმარიტი ტალანტის შინაგანი პოტენცია...

„არტისტული ყვავილებისა" და „დაისების" დამათრობელი სურნელით გაბრუებული, იგი სიმბოლიზმის ფანტასმაგორიების სინარნარესაც უკმევდა გუნდრუკს... გულწრფელი მღელვარებით განიცდიდა ახალ პოეტურ აზროვნებასთან ზიარების ბედნიერებას...

და, მაინც, მისთვის სიმბოლიზმი

შორეულ, აუხდენელ ოცნებად დარჩა... მისი ტრფიალი მხოლოდ ტკბილ ილუზიებს გაჰყვა და გაუჩინარდა...

მას მხოლოდ საკუთარი, ერთადერთი და განუმეორებელი გზა არგუნა მწუხარე და მაინც ნეტარმა ბედისწერამ, და ისიც რაინდულად ერთგული დარჩა ბოლომდე მისი...

ამბობდნენ და იტყვიან, რომ იგი პოეზიაში კმაყოფილდებოდა მცირედით, კამერულით... ეს მხოლოდ მოჩვენებითი რეპლიკაა... კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რომ „MEMENTO MORI"-ის ავტორი მხოლოდ უსაზღვროებით კმაყოფილდებოდა... იგი, ვითარცა ეზოთერიკოსი, დროდადრო სრულიად კარგავდა რეალურ სამყაროსთან კავშირს და ეძლეოდა უსასრულობის ზეაღმტაც ვნებას...

დაუსაბამო თავისუფლება – მისი ობოლი სულის კოლოსალური პრივილეგიაა, რომელიც ზოგჯერ ჭეშმარიტი მისტიციზმის იდუმალ მწვერვალებამდეც კი მაღლდება...

სრულიად ლოგიკურია, რომ ერთ დროს იგნორირებული ტერენტი გრანელი, დღეს თავის კანონიერ ადგილს იმკვიდრებს... როგორც არ უნდა გადაიაზრონ მომავალმა ანალიტიკოსებმა მრავალი მოჩვენებითი ღირებულებებით შეურაცხყოფილი XX საუკუნე, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ იგი ღრმა მოწიწებითა და გულწრფელი თანაგრძნობით განიმსჭვალება გრანელის უფაქიზესი, სევდით, დაღლილი ოცნებებითა და ტანჯული ვნებებით გათანგული ლირიკული მონოლოგების მიმართ... ლექსის ბრწყინვალე ხელოვანის მაღალი სისადავისა და ნატიფი ჰაეროვნების მიმართ...

და იგი, კიდევ ერთხელ დარწმუნდება, თუ რა ამაო ყოფილა პროსოდისტთა თვითმიზნური მცდელობანი პოეტური ფიქრის ხელოვნური გაკოპწიავებისა... მისი ფერუმარილით საგულდაგულო „შეთხუპვნისა"...

დარწმუნდება, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოეტის გაშიშვლებული სულის „ხილვა" ის უნიკალური ფუფუნებაა, რომლის წინაშეც იჩრდილება და ძალას კარგავს ნებისმიერი კრიტიკული რეფლექსია...

●

გრიგოლ აბაშიძის უკანასკნელი ლირიკული რვეული ერის უსიხარულო ცხოვრების შთამბეჭდავი ანარეკლია... პოეტის სულის ტრაგიკული ტეხილებით აღბეჭდილი და ამაღლებული...

ჭეშმარიტად უსასოო ამ ელეგიების ავტორი, შემოქმედთა იმ რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთა ცხოვრებასაც თან სდევდა წარსულის უსასტიკესი აჩრდილი...

განვლილის ფილოსოფიური განსჯისა და ღირებულებათა გადაფასების „მოტივის" პრევალირება ბუნებრივად აჩენს კითხვას, რა აწვალებდა და სტანჯავდა ამ რესპექტაბელური მოქალაქისა და შემოქმედის სულს... თუ, ეს ყოველივე ნამდვილი მწერლის მუდამ თანმდევი აპრიორული ვნებაა, სიბერის ჩამოდგომასთან ერთად, უკიდურესად რომ მძაფრდება და ძალუმად გადმოიღვრება ხოლმე მხატვრულსა თუ ეპისტოლურ ნაწარმოებებში... უკმარისობის შეგრძნებითა და სიმწრით ათრთოლებულ „ბაგეთაგან" ამოთქმულ არაერთ შედევრს იცნობს ლიტერატურის დიდი ისტორია... რომელთა უმაღლესი ღირსებანი იმითაც განისაზღვრებოდა, თუ რამდენად ღრმა და გულწრფელი იყო აღმსარებ-

ლის მიწიერი ცხოვრებისა და, მასთან ერთად, თვითუარყოფის პათოსი...

როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ არის ცხადი – ასაკოვნება სიბრძნის ის აპოგეაა, ოდეს წარსულის ფერადოვან კადრებს ბუნებრივი ელფერი ეძლევა... ოდეს „უსასტიკესი" თვალთახედვის წინაშე უმოწყალოდ ქრებიან წარსულის ილუზიების, ქიმერებისა და ცრურწმენათა მაცდურად მოციმციმე „სანთლები"...

სამწუხაროდ, ძალიან გვიან ხდება ადამიანისათვის საცნაური ძველ რომაელთა შეგონება – რომ, ამ მზისქვეშეთში არავინ და არაფერია უსაზღვრო თაყვანისცემის ღირსი, და რომ სულ ამაოა მიწიერით სულის აღვსება და ჟამით აღზევებული სიდიადით ტკბობა...

„ჩვენი მიწიერი ცხოვრება მწუხარებისა და ტანჯვის გრძლად გაჭრილი ხეობაა და მეტი არაფერია; ერთია მასში კარგი – იგი გზაა სხვა ცხოვრებისაკენ... სხვაგვარად იგი, არა მხოლოდ საცოდაობა, არამედ საძულველი და აუტანელიც კი იქნებოდა" – დიდი იტალიელის, პეტრარკას ეს ტრაგიკული „მოთქმა" მისი სიბერის ჟამის ჩანაწერებიდანაა...

უღრმესი კაეშნით გასცქერის იგი თითქოს უკვალოდ ჩავლილისა და განცდილის მიმქრალ სილუეტებს.... მიწიერი კეთილდღეობა და დიდება, წელთა სიმაღლიდან მისთვის მხოლოდ ფერფლი და არარაობაა...

ამ შორეული რემინისცენციის შემდეგ, კვლავ ქართველი პოეტის მწუხარე მონოლოგებს მივუბრუნდები და ვიტყვი, რომ ამ ლირიკული მედიტაციების ავტორიც სრულიად თავისუფალია გულუბრყვილო ოპტიმიზმის „ნეტარი არტახებიდან" და არც ხვალინდელ სამოთხეებს ელოდება... საყოველთაო უზნეობის სუფევაში, ამორალობა იქნებოდა ტოლერანტობაცა და უაზრო „დიდსულოვნებაც"... იქ, სადაც ყოველი „ნამდვილი" მხოლოდ სიზმარია, ხოლო ყოველი „მაღალი" ილუზია, პოეტს ოდენ ზეციერისკენ აღაპყრობინებს სულიერ მზერას... იმ საკრალური მეტაფიზიკისაკენ, რომელსაც თავს აფარებდნენ სიცოცხლით დაღლილნი და შეწუხებულნი...

არის ამ მღელვარე მონოლოგებში ადრეული კლასიკური პოეზიის გამოძახილიც...

საგულისხმოა, რომ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, ამ „რვეულის" ავტორს არა ერთხელ ჰქონია შემოქმედებითი წარმატებებისა და აღიარებათა ბედნიერი დროებანი... და მიუხედავად ამისა, რატომღაც ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ამ გედის სიმღერად ამოთქმულმა უკანასკნელმა მწუხარე ჰანგებმა შესძლეს ყოფილიყვნენ განმაკეთილშობილებელნი და ღირსეული დამაგვირგვინებელნი მთელი მისი ამქვეყნიური მოღვაწეობისა...

და, კიდევ, ცხელი თბილისური ივლისის ერთ ჩვეულებრივ დღეს, იგი ჩემი მოულოდნელი სტუმარი იყო... სავარძელში ჩამდნარი და ჩაკარგული, საუბარში დროდადრო სინანულით წარმოთქვამდა ჩემი გარდაცვლილი მამის სახელს... გულით უყვარდა იგი და ვგრძნობდი, ფიქრით როგორ ეალერსებოდა წასული მეგობრის დაუვიწყარ სილუეტს... იჯდა წლებით დაღლილი და დანაღვლიანებული მოხუცი და, თურმე, არყოფნისაკენ მიბრუნებული მზერითღა შემომცქეროდა... როდის-როდის მძიმედ წამოდგა და გამომეშვიდობა... მახსოვს, კიბეებზე ბავშვის უმწეო სიფრთხილით ჩამავალი შემოტრიალდა და თითქოს სა-

ბოლოო გამოთხოვების ნიშნად, ხელი დამიქნია...

სულ რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა და დამიტოვა საოცრად თბილი ნაღველი იმ დაუვიწყარი შეხვედრისა...

მისი უკანასკნელი პატარა წიგნიც იმ მშვენიერი დღის სახსოვარია... იქნებ ამიტომაც, განსაკუთრებით ძვირფასი და თაყვანსაცემი ჩემთვის...

•

ბიძინა ავალიშვილი – ბრწყინვალე მოქანდაკე, მხატვარი და პიროვნება... ერთ დროს ლამაზთა და ღირსეულთა თბილისის მშვენება... ან, უკვე, ხშირად მოვინატრებ ქანდაკებასავით ნატიფად აღნაგი ქართველის კვლავ გამოცხადებას...

თითქოს სიმპტომურია, რომ ჯადოსნური ბესიკი, აწ და მარადის, ბიძინა ავალიშვილის უზადო სილამაზით „მოიწონებს“ თავს...

კლასიკური ფორმები და ტრადიციული პლასტიკური აზროვნება ის მყარი ესთეტიკური ორიენტირი იყო, რომლის მიმართ არასოდეს ყოფილა იგი გულგრილი და ნეიტრალური...

მისი მკაცრი, სადა სილამაზის პათოსი საოცარი უშუალობით სჭვიოდა შინაგანი სინათლით გაკაშკაშებულ მარმარილოს სილუეტებში... მოქანდაკის „ძერწვის“ ემოციური დიაპაზონი სრულიად განზიდული იყო ულტრაეფექტური კომპოზიციების „ხმაურსა“ და „აჟიოტაჟს“, რადგან სავსებით კმაყოფილდებოდა გენიალურ „მოდელთა“ გამომეტყველების იდუმალი სიმდიდრითა და პოეტური ქვეტექსტებით...

ქანდაკთა მისტიკური შუქ-ჩრდილების პოეტიკა კიდევ უფრო ამძაფრებდა ლირიკული ინტუიციით აღქმულსა და დაუნჯებულ მთაბეჭდილებას...

იგი საოცარი ინტიმით გრძნობდა და განიცდიდა მარმარილოს ფარულ ხავერდოვნებასა და სიჩვილეს, მის მკვრივ სითბოსა და გამაოგნებელ შინაგან მეტყველებას...

ასე და ამგვარი ალერსისა და მორჩილების „ინიციაციებში“ იბადებოდა ბიძინა ავალიშვილისეული მარმარილოს რომანტიკა, მის ქმნილებათა განუმეორებელი სიცოცხლე...

მისეული გალაკტიონი – ტრაგიკული წარსულის უფორმო წიაღიდან ამოტყორცნილი გენიალური სულის განსახიერება... მარმარილოს სიქათქათიდან შობილი პოეზიის ღვთაება... რომელსაც მთელი არსით უნდა ეთაყვანო, რათა განიწმინდო დროის დაუსაბამო ბინიერებათაგან...

ამ ძეგლში თითქოს ერთმანეთს ერწყმიან პოეზიის მშვენიერება, პლასტიკის ჯადო, მუსიკის ნაზი ქვითინი და ზეცად აღვლენილი ადამიანური ვედრებანი...

პოეტის პროვიდენციალური აურიდან კრთის არაამქვეყნიურ სიმწუხარეთა უნაზესი სიო...

სწორედ ამიტომაცაა ეს შედევრი განსაკუთრებული მოვლენა ეროვნულ პლასტიკურ ხელოვნებაში, უფრო ზოგადად კი, ჩვენს საერთო კულტურულ სივრცეში...

ბედნიერი ვარ, მისი დიდსულოვანი ჟესტით, ჩემდამი მოძღვნილი ხეში „ამეტყველებული“ გალაკტიონით...

მახსოვს, მისი დასაფლავების დღეს თოვდა თბილისში.... და ასე მეგონა, მისი სათაყვანებელი გალაკტიონის „იისფერი თოვლით“ დადაფნუ-

ლი მიუყვებოდა იგი თავის უკანასკ-
ნელ სევდიანსა და მწუხარე გზას...

•

ალბათ, ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს
გედი ჭყონია, ძველი რომანტიკული
თბილისის სულით ნაძერწი, ქართული
არისტოკრატიის ნამსხვრევი და ახალ
დროებაში მოულოდნელად შემოგდე-
ბული... მისი ტალანტი – გონებამახვი-
ლური გაბრწყინებები, მაღალი გემოვ-
ნებითა და კულტურით აღბეჭდილი
ვრცელი მონოლოგები... ზუსტი და
მოხდენილი დასკვნა-შეფასებანი...

გედი ჭყონია – სული და გული თბი-
ლისელთა ერთი გამორჩეული თაო-
ბის... ძმა და მეგობარი თითქმის ყვე-
ლა იმათი, ვინც თავისი განუმეორებ-
ლობით დაამშვენა ან ზღაპრად ქცეუ-
ლი ჟამი – რაინდებისა და ტალანტე-
ბის „ელდორადოდ" სახელდებული გა-
სული საუკუნის მეორე ნახევარი...

ნეტარი წარსულის მრავალრიცხო-
ვან სულთა მიმოფენაში ლივლივებს
ჩემთვის იგი, სხვათა მსგავსიცა და
განსხვავებულიც, მრავალში განზავე-
ბულიცა და მარტოობით გამოკვეთი-
ლიც...

ლეგენდარული თბილისელი, მე-
გობრულ ურთიერთობათა აღიარებუ-
ლი „მეტრი", სულით თავადი და მთა-
ვარი გმირი უკვე ზეპირ კლასიკად
ქცეულ მრავალრიცხოვანი „ბურლეს-
კისა", სახალისო და აღმაფრთოვანე-
ბელი ქალაქური „ოინბაზობებისა"...

იყო ერთი გედი ჭყონია... ბუნების
კიდევ ერთი გენიალური„ ნათავხედა-
რი"... მისგან გამომეტებული უნიკა-
ლური საჩუქარი... ცოცხალი ხატი
ალალი და ლაღი ცხოვრებისა... სი-
ცოცხლის ვაჟკაცურად განლევისა და
თვინიერი, უდრტვინველი სევდისა...

•

ალექსანდრე გვახარიას ცხოვრება
და ღვაწლი თვალსაჩინო ნიმუშია იმი-
სა, თუ რა რთული და მძიმეა ტვირთი
ჭეშმარიტი სწავლულისა და მამულიშ-
ვილისა... იგი კიდევ ერთი ღირსეული
„ფურცელია" უმდიდრესი ქართული
ფილოლოგიის დიდი წიგნისა... ქარ-
თული ლიტერატურის ისტორია, კლა-
სიკური სპარსული ლიტერატურა,
წყაროთმცოდნეობა, ლექსიკოლოგია,
პოეტიკა...

ეს ის სფეროებია, რომელთა სიღ-
რმეებსაც იყო ბოლომდე განდობილი,
როგორც უზადო ხელოვანი წვდომისა
და აზროვნებისა...

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი
რუსთველოლოგიური გატაცება...

სრულიად უნიკალურია ქართული
„ვისრამიანის" ტექსტთან მისი „დამო-
კიდებულება"...

დაუვიწყარია მისი სიყვარული
ქართული ლიტერატურის ინსტიტუ-
ტის მიმართ. მახსოვს, საოცარი ნოს-
ტალგიით იგონებდა იმ ნეტარ წარ-
სულს, ჟამს, როცა თავის ღირსეულ
მასწავლებლებთან და მეგობრებთან
ერთად, ახალგაზრდობის ულამაზეს
წლებს ოცნებებითა და დიდი მოლო-
დინით აფერადებდა...

იყო არისტოკრატი ქართული სუ-
ლისა, ღრმა პოეტური გრძნობებითა
და განცდებით მოაზროვნე ანალიტი-
კოსი... ღვთაებრივი სათნოებით აღ-
ბეჭდილი რომანტიკოსი და სიყვარუ-
ლის უსაზღვრო მეტრფე...

•

არ უნდა გვეშინოდეს მარტოობისა, თუ ის თავისუფლების შემოქმედებით მარტოობასთან არისო წილნაყარი...

ერთი ფრანგი მოაზროვნის ამ კონცეფციის განსახიერებად წარმოსდგა ჩემს წინაშე ესმა ონიანის პოეზიით, ფერწერითა და ესეისტური ფიქრებით გაჯერებული სულის პეიზაჟები...

ამ წარმტაც „ლაბირინთებში" ხეტიალი შემოქმედის სულის სასიამოვნოდ მოულოდნელ აღმოჩენებში გვარწმუნებს...

უპირველესი კი ის არის, რომ იგი სრულიად მარტოდმყოფი ზრდის თავის თავს, თავისი ნებით ამწიფებს საკუთარ მხატვრულ ცნობიერებას... ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი ქმნის თავისი „ყოფიერების" ტექსტს, აღმოაცენებს რა მას კოლექტიურობის „არყოფნიდან"...

და იქცევა რა ჯერ „მხოლოდ" ადამიანად, მასში იბადება ოსტატი, შთამბეჭდავი და განუმეორებელი შემოქმედი... სრულიად ბუნებრივია, რომ სწორედ ის იშინაგნებს სიტყვისა და ფერის იდუმალ „ინფორმაციებს", მათ ფარულ აკუსტიკურსა და ვიზუალურ ჰარმონიას... რადგან ამგვარი „ჯადოქრობის" უფლება ეძლევა მხოლოდ ინდივიდუალური ყოფიერებით აღბეჭდილ პიროვნებას...

შემოქმედება, როგორც ინდივიდუაციის პროცესის სიმბოლო, საოცარი პარადიგმებით ცხადდება ამ წიგნის სივრცეებიდან...

სულიერი სისავსე, – აი, რა არის აქ, ამ „მისტიკურ" ლანდშაფტებში, ყოვლის საწყისი და განმსაზღვრელი, ყველასა და ყველაფერზე აღმატებული... სილამაზე და მშვენიერება აქ მხოლოდ აუცილებელი „თანამგზავრია" იმ ერთადერთი ჭეშმარიტი „პროტაგონისტისა" – დროისგან გამოტანჯული და თვითნაძერწი სულის თავისუფლება რომ ჰქვია...

ეს ის უნიკალური მდგომარეობაა, როცა კალამი თუ ფუნჯი იმპულსირდება იმ ნეტარი შინაგანი სისავსიდან, რომლიდანაც „მოჩქეფს" ხოლმე ამქვეყნად ყოველი ჭეშმარიტად ღირებული...

კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ მხოლოდ „მარტოსულის" ხვედრია საკუთარი სისავსიდან მშვენიერის ქმნა... იგია სარკე ზრდისა, ჯადოსნური კიბე მისი ამაღლებისა...

და რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სწორედ ამგვარი ეული შემოქმედის ზრდა და მწიფობა აღწევს ხოლმე უპიროვნო და ანონიმურ მასშტაბებს... გამოდის რა თავისი „ჩვეული" საზღვრებიდან და თანდათანობით კარგავს რა მისი გულშემატკივრებისათვის კარგად ნაცნობ ძველ იერსახეს, იგი იწყებს ცხოვრებას მეტაფიზიკური მთელით, ანუ იმ უნივერსალური სისავსით, რომლის პერსპექტივასაც თვითონ წარმოადგენს...

ეს ის ეზოთერული რეალობაა, რომლის შეგრძნება გკარნახობს როგორ სწვდე და შეიმეცნო საგანთა ფარული პოეზია და მათში განფენილი იდუმალი მელოდიები...

თუმც, მიუხედავად ყოველივე ამისა, თვით ეს „მარტოდშთენილი" ხელოვანიც კი, ბოლოსა და ბოლოს, მაინც ადამიანად რჩება, რადგან ის არ არის და ვერც იქნება ყველა სიქველეთა ჭურჭელი, ანუ წმინდანი თუ ბერმონაზონი... აქ მთავარია ის, ყოფიერების რომელი პოლუსისაკენ მოძრაობს იგი... საითკენ მიილტვის მისი მეოცნებე შემოქმედებითი სული...

აი – ფიქრები, რაც ჩემში აღძრა ესმა ონიანის ერთ წიგნად დაუნჯებულ-

მა სულისა და გონების მოძრაობამ... მისი სამყაროსთან დამოკიდებულების ძალზედ შთამბეჭდავმა რეფლექსიებმა...

რა უნდა ვთქვა კიდევ ამ, აწ უკვე დაფერფლილი პიროვნების „გაზაფხულების" ჟამზე... მასში სათუთად აყვავებულ ვიზიონებზე, საოცარი კონფიგურაციების მეტაფორებზე, სურეალისტური სიმშვიდის ესთეტიკაზე... რომანტიკულ ყოფიერებასთან შეხვედრების გამჭვირვალებასა და სიწმინდეზე...

„ის" იდგა პირთამდე სავსე ფერადოვნებით... ჰყვაოდა რაღაც ქალური გრაციით... და მისი სურნელოვანი „ყვავილები" ჩუმი სევდით და სიცოცხლის ბედნიერი ეფემერებით იყვნენ აღტაცებულნი...

ეს იყო ვარდისფერ ნისლოვანებათა სუფევის უნეტარესი ჟამი... ჟამი მზეთა რბილ, მოოქროვილ სხივთა ულამაზესი ჩანჩქერებისა... ცეცხლოვანი შთაგონებისა და დიდი სიზმრისეული სიმშვიდისა... მოახლოებულ უსაზღვრო არყოფნასთან მწუხარე შერიგებისა...

და რაც მთავარია, იგი იყო ჟამი მარტოობის „ნაყოფთა" კრეფისა, რომელთა ფერისა და გემოს აღქმის კულტურა, სამწუხაროდ, ჩვენში უნუგეშოდ გაუჩინარებულა... უთუოდ მოვა მისი სრულიად ახალი აღმოჩენის „წამიც" და მაშინ კიდევ უფრო გაბრწყინდება ქართული პოეზიისა და ფერწერისათვის დღეს უკვე სანუკვარი სახელი – ესმა ონიანისა...

●

„ულტრათანამედროვე" ქართული სოციო-კულტურული და პოლიტიკური მენტალობიდან გამომდინარე, გულწრფელად ვაღიარებ, რომ სრულიად ლოგიკური და „ნორმალური" ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პროცესები, მოვლენები, რეაქციები, აქცენტები... ანუ, ის ფარული თუ ცხადი დინამიკა, რაც ვფიქრობ, უკვე აღარავისში აღარ იწვევს აღარც გაკვირვებას და აღარც განსაკუთრებულ გაღიზიანებას...

თავაწყვეტილი პოლიტიკანობითა და მასმედიის ისტერიით შერყეული სოციუმისათვის, უკვე სულერთია, რას ან ვის გააღმერთებენ, აღიარებენ, დასცემენ, დააკნინებენ... წყალობითა და უმოწყალოდ მოექცევიან მისთვის აპრიორულად უკვე „ნეკროფილური" პერსპექტივებით აღბეჭდილ ფაქტებსა და პერსონალიებს...

ხალხი ცრემლამდე დაიღალა, და დღეს აღარც საშუალებაა და აღარც სურვილი სულიერი ღირებულებებით ტკბობისა და „თავის მოტყუებისა"...

ის, ვინც კლასიკას ქმნიდა ან კლასიკით აღტაცებული კულტურის რაფინირებულ სივრცეს უკმევდა გუნდრუკს, მოკვდა და წარსულის რომანტიკულ საფლავებადღა იქცა...

დღევანდელი „პოსტმოდერნისტებისათვის" კი აქტუალური და სუპერარსებითია სხვადასხვა „კულტურული" სივრცეებიდან „იმპორტირებული" მეორადი მოხმარების იდეოლოგიური თუ ესთეტიკური ფსევდორეფლექსიები... ადამიანური ტკივილებისაგან და სხვა რომანტიკული „სისულელეებისაგან" განწმენდილ-გასუფთავებული სუროგატები, ე. წ. კლასიკისშემცვლელები... რაზე ფიქრობდა, ოცნებობდა და წერდა წარსულის ჯურღმულებში „ჩაკარგული" სულიერი წინაპარი – რუსთაველი თუ ილია, ვაჟა თუ გალაკტიონი... „საინტერესოკია", მაგრამ არააქტუალურია, არა-

თანამედროვეა, მომავლისათვის უსარგებლოა – აი, მათი „ღრმააზროვანი“ რეაქცია გარდასულზე...

ამ „თავისუფლებით“ გაბრუებულებისათვის არსებობს თვითდამკვიდრების ერთადერთი უნივერსალური მანიფესტაცია – შოუ... ყველასი და ყველაფრის საბაზრო თუ გაბაზრებულ შოუდ ქცევა...

კიდევ უფრო საინტერესო ის არის, „დამარცხებული“ კლასიკაც შოუს ენაზე რომ ალაპარაკდა, ალუღლუღდა და ატიკტიკდა... ბიზნეს-სისტემის ერთგულ მესიტყვედ და „არლეკინადღა“ იქცა...

ამ სულიერი ამჩატების სავალალო ილუსტრაციებად ჩანან თანამედროვეთა გულუბრყვილო კაპრიზები დიდ ქართველ წინაპართა მიმართ... ეს, ის „აუცილებელი“ რეაქციებია, რომელმაც მათი სუპერგემოვნება და „ახლებისაკენ“ გადახრა უნდა აუწყოს თანამედროვეობას... რათა, კიდევ უფრო გამძაფრდეს მათდამი ინტერესი და აღიარების საყოველთაო პათოსი... ამგვარი პრაგმატული სტრატეგია ანუ საზოგადოების ეპატაჟი „არ ახალია“ და იგი მოულოდნელობის ეფექტს ვეღარ ქმნის...

იქნებ, ამიტომაც აღარ ღირს განცვიფრებად, თუნდაც ცნობილი ქართველი რეჟისორის, რუსთაველთან უხამსი „შეთამაშება“ და სრულიად უმეცარი შეფასება მისი უდიდესი პოეტური ქმნილებისა...

ასევე ნონსენსია, სერიოზულად ილაპარაკო ილიას თანამედროვე უსულგულო და საეჭვო გემოვნების „კრიტიკოსებზე“... ყურადღება გაამახვილო იმ ფსევდოინტელექტუალურ ინერციაზე, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებად მიმაჩნია ასევე ცნობილი ლიტერატორის ფრიად ოდიოზური რეფლექსიები „ოთარაანთ ქვრივის“ მიმართ...

საერთო ტოტალური ქაოსია ჩვენი დღევანდელობის ერთადერთი პარტიტურა...

აი, რას ვაღიარებთ და სამწუხაროდ, უკვე რას შევეჩვიეთ...

ის დროც მოვა, ქართული სულის ავადმყოფობა რომ დადგინდება... რა ეშველება მას, ეს უკვე მხოლოდ და მხოლოდ ღმერთსღა ეცოდინება... ჩვენს ერთადერთ მფარველსა და „მესაიდუმლე“ ღმერთს... ქართველებისაგან ისტორიულად ესოდენ „ექსპლუატირებულსა“ და მაინც უსაზღვროდ მიმტევებელ სამყაროს ამ დემიურგს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერი ჭელიძე

მეოცე საუკუნის სამოციანი წლების გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები

ხსოვნის სიტყვები*

ძველბერძნებს წესად ჰქონიათ ყოველ წელიწადს ოქტომბრის თვეში აღენიშნათ გარდაცვლილ გამოჩენილ ადამიანთა, სამშობლოს თვისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის დღე. ამ საზეიმო-სამგლოვიარო დღესასწაულზე წარმოითქმებოდა „ლოგოს ეპიტაფიოს" – „სამგლოვიარო სიტყვა" – „მოსახსენიებელი", ხსოვნის სიტყვები, რომელთაც თხზავდნენ და წარმოთქვამდნენ პერიკლე, ან ორატორები დემოსთენე, ლისიასი, ან გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, ცნობილი რიტორიკოსები.

პლატონი დიალოგში „მენექსენე" თავის მუდმივ პერსონაჟს სოკრატეს ათქმევინებს: „ყოველთვის, როცა მათ ხოტბას მოვისმენ, მოჯადოებულივით ვდგავარ, გარინდებული და ასე მგონია, რომ ამ წამს უფრო უკეთესი ვხდები, უფრო კეთილშობილი, უფრო მშვენიერი".

ჭეშმარიტი ფილოსოფოსების გაცნობიერებისას იმ პიროვნებების გახსენება, რომელნიც ფიზიკურად უკვე აღარ არიან, მაგრამ დარჩა მათი დიდმნიშვნელოვანი ნაღვაწი, – შეუძლებელია არ იწვევდეს ისეთივე ამამაღლებელ განწყობას, რაზედაც სოკრატე მიუთითებს.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღმავლობაში გამორჩეულად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა – ნიკო ჭავჭავაძემ, ზურაბ კაკაბაძემ, თამაზ ბუაჩიძემ, ედუარდ კოდუამ, – თავიანთი კვლევის სიახლითა და სიღრმით, არაორდინალური აზროვნებით ახალი სინათლე რომ მოფინეს ჩვენი ფილოსოფიური კვლევის კულტურის განვითარებას. ეს ახალი თაობა მხოლოდ ამ „შესანიშნავი ოთხეულით" არ შემოიფარგლება. მათ მხარში ედგნენ, ან კვალდაკვალ მიყვებოდნენ აგრეთვე გამოჩენილი მკვლევარები: არჩილ ბეგიაშვი-

[1] ეს წინათქმა და ორი თავი ამოღებულია პროფესორ მერი ჭელიძის ჯერ გამოუქვეყნებელი წიგნიდან, რომელიც სამოციანი წლების ქართველ ფილოსოფოსებს ეძღვნება.

ლი, ვენორ ქვაჩახია, ოთარ ჯიოთი, ვახტანგ ერქომაიშვილი და, თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში, მერაბ მამარდაშვილი.

ქართული ფილოსოფიის ეს ახალი თაობა ერთგული იყო თავისი სამშობლოსი, ყოველივე ქართულის, მეცნიერებაში ჭეშმარიტებას ემსახურებოდა, ჯერ კიდევ შემოქმედებითი აღმასვლის წლებში ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და ღვთიური სასუფეველი მოიპოვა.

ეს ხსოვნის ფურცლები, რომელსაც პერიკლეს დროინდელი ბერძნების მიბაძვით „ლოგოს ეპიტაფიოს“ დავარქვით, ეხება ქართველ ფილოსოფოსთა ახალი თაობის „შესანიშნავი ოთხეულის“ ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს.

ზურაბ კაკაბაძე

(1926-1982)

ცნობილი ქართველი პედაგოგის მეთოდე კაკაბაძის ოჯახში ორი გამოჩენილი მეცნიერი აღიზარდა: ნოდარ კაკაბაძე – დასავლეთ ევროპის ლიტერატურის, განსაკუთრებით, გერმანული ლიტერატურისა და კულტურის მკვლევარი და უმცროსი ძმა – ზურაბ კაკაბაძე – თანამედროვე დასავლური ფილოსოფიისა და კულტურის მცოდნე „ქართველი ექსისტენციალისტი“. ზურა კოტე ბაქრაძის საყვარელი მოწაფე იყო. მას საკანდიდატო სამეცნიერო ხარისხი თუმცა ლოგიკის მეცნიერებაში შესრულებული ნაშრომით ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ შემდეგ ფართო შემოქმედებითი მუშაობა გაშალა თანამედროვე ფილოსოფიის უძირითადესი პრობლემების კვლევის მიმართულებით. იყო ესთეტიკის დარგის მკვლევარიც, მაგრამ მისი ძირითადი კვლევის სფერო [illegible] ჰუსერლის ფენომენოლოგია და ექსისტენციალიზმის „კრიზისის“ საკითხები იყო, რაც იმხანად ჩვენში, და არა მხოლოდ ჩვენში დიდ სიახლეს წარმოადგენდა.

ზურაბ კაკაბაძის ნაშრომები უცხოეთში დიდ ინტერესს იწვევდა და ამიტომაც ითარგმნა და საზღვარგარეთ გამოქვეყნდა გერმანულ, ინგლისურ, იაპონურ, პოლონურ, რუსულ ენებზე. ცნობილ ფილოსოფოსად აღიარებული ჰუსერლის საერთაშორისო საზოგადოების კომიტეტის წევრად იყო არჩეული.

ზურაბი სიცოცხლის ბოლო წლებში ადამიანის ფილოსოფიურ პრობლემებზე მუშაობდა, იკვლევდა ადამიანის მიმართების რთულ პრობლემებს ბუნებისადმი, კულტურისა და ეროვნული თავისებურებებისადმი. მან აქაც წარმოაჩინა სრულიად ახალი ასპექტები და უცხოეთში შეფასდა როგორც „ფილოსოფიური მარგალიტი კავკასიიდან“ (შვედეთი, ოსლოს „რევიუ“). გაკვირვებული ფილოსოფოსები დასავლეთიდან კითხულობდნენ „ფილოსოფიური რენესანსია საბჭოეთშიო?“ ნიკო ჭავჭავაძემ ზურაბის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩვენი პირველი დიდი თაობის ფილოსოფოსები ჩამოთვალა – შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, სავლე წერეთელი, სერგი დანელია და დასძინა: მათი საუკეთესო თვისებები ზურაბმა შეითვისა, შეისისხლხორცა და თავის პიროვნებაში ჰარმონიულად გააერთიანაო.

19 წლიდან ზურაბ კაკაბაძე პოეზიას ეზიარა, თარგმნა რილკეს ლექსები, მისი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალებში. თამაზ ჩხენკელმა ითავა მისი

ლექსების კრებულის გამოცემა, წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავს: „ამ მეტად ახალგაზრდა კაცის ლექსებში უჩვეულო იყო „ინტელექტუალურად ადრე მომწიფებული კაცის დასრულებული მსოფლხედვა", „ფილოსოფიური ხედვით" აღბეჭდილ ლექსებში განწყობილებათა „ნერვული ვიბრაცია" და აზრის ნატიფი „ობერტონები" ხმიანებს. ამ ლექსებში მინიმუმამდეა დაყვანილი ემპირიული ქვეყნის ფერადოვნება, სამაგიეროდ ფიქრისმიერი ქვეყანა უჩვეულო და ძლიერი ხილვებით არის გამოსახული"... „მათშია პოეტური შთაგონების დახვეწილი სურათები და რბილი ნახევარტონებით შეფერილი განცდები". თვითონ ზურაბს პოეზიის შესახებ უთქვამს: „პოეტური ნიჭი შეუძლებელია აზროვნებისაგან განსხვავებულად წარმოვიდგინოთ. ყოველი დიდი პოეტი თავისებურად, მაგრამ მაინც ღრმად მოაზროვნე ინტელექტის პატრონი იყო".

ზურაბ კაკაბაძის პოეზიაში იგრძნობა სევდიანი განწყობის ნოტები, ზოგიერთს სათაურადაც კი აქვს „მინორი" და, ხშირ შემთხვევებში, ეს სიტყვა ქვესათაურადაა ფრჩხილებში ჩასმული. მაგრამ მთელი მისი პოეზია სრულიადაც არ არის მინორული ტონით აღბეჭდილი, მასში საკმაოდ მრავლადაა ოპტიმისტური, სიყვარულის გრძნობით გამთბარი, დიდი სიხარულით, ქვეყნის სილამაზით აღძრული სტრიქონები.

ერთი შეხედვით, ზურაბ კაკაბაძე სევდიანი კაცის, მელანქოლიკის შთაბეჭდილებას კი ტოვებდა და თითქოს კომიკურ სიტუაციებშიც ზომაზე მეტად თავშეკავებული იყო, მაგრამ მასში ფილოსოფოსობის დიდ ნიჭთან ერთად შესაბამის მომენტებში მისი პოეტური ბუნებაც ვლინდებოდა და მახვილი იუმორის უნარიც. მას შეეძლო მოსწრებული, კვიმატი სიტყვაც ეთქვა აზრიანად, ლაზათიანად და ამიტომ სიტუაციისათვის ასე ადექვატური გამოთქმები მოწონებასა და სიმპათიას იმსახურებდა. მისი ბუნებისათვის სრულიად მიუღებელი იყო მეშჩანობა, ყალბი არისტოკრატიზმი, მოჩვენებითი ინტელიგენტობა, ამიტომაც გარკვეულ შემთხვევებში არ იშურებდა სუსხიან და გამკილავ გამოთქმებს.

დიახ, ზურაბ კაკაბაძე არ გახლდათ არც მელანქოლიკი და არც სკეპტიკოსი, პირიქით, იგი ღრმად ჩაფიქრებული მაძიებელი ფილოსოფოსი მოაზროვნე იყო, რომელიც მის მასწავლებელს პროფესორ კოტე ბაქრაძეს თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებს შორის განსაკუთრებულად უყვარდა, მეორე ზურაბთან, მიქელაძესთან ერთად. მეცნიერი ხელმძღვანელი და მისი იდეების ერთგული მიმდევარი, ზურაბ კაკაბაძე, თითქმის ერთად შეუდგნენ ევროპაში უკვე ფართოდ გავრცელებული ექსისტენციალიზმის ურთულეს კატეგორიებში და ახალ ტერმინოლოგიურ ნიუანსებში დაფარული მეტად თავისებური საიდუმლოებების ახსნას და ამ მიმართულების რთული არსის ცხად, ნათელ არეალზე გამოტანას, სხვებისთვისაც მისაწვდომ ფორმაში წარმოჩენას. და ეს, იმ ხანად არ იყო ადვილი, ერთი მხრივ, იდეოლოგიური ზეწოლის გამო, მეორე მხრივ, პირველწყაროების მოპოვების, აუცილებელი ლიტერატურის შეძენის თვალსაზრისით, და მაინც, ყველა სიძნელე გადაილახა. საქართველოში ამ მხრივ ისეთი ვითარება შეიქმნა, ფილოსოფიური აზროვნების კულტურა ისეთ სიმაღლეზე დადგა, რომ თითქმის იოლ საქმედ ითვლებოდა კანტისა და ჰეგელის ფუნდამენტური ნაშრო-

მების თარგმნა და გამოცემა; ამიტომ აღარც ის გაკვირვებიათ ქართველებს, რომ ძალზე ადრე გამოჩნდა ჩვენს მშობლიურ ენაზე ექსისტენციალიზმის ლიდერის მარტინ ჰაიდეგერის მთავარი ნაშრომი „ყოფიერება და დრო“ გერმანულიდან თარგმნილი გურამ თევზაძის მიერ, და ეს, იმ დროს, როცა ევროპის სხვა მაღალი კულტურის ქვეყნებში ეს საქმე მხოლოდ საწყის სტადიაში იყო.

ზურაბ კაკაბაძის პიროვნებაში მაღალი ფილოსოფიური კულტურა საოცარი ძალით გახლდათ შეწონასწორებული მეტად მგრძნობიარე პოეტურ ნიჭთან. მის წერილებში ესთეტიკაზე, ესსეებში, ლექსებში მომხიბვლელად ჩანს მწერლის პოეტური სული, მხატვრული აზროვნების სიწრფელე, რაც მჭიდროდაა შერწყმული მისსავე არაორდინარულ ფილოსოფიურ აზროვნებასთან.

... ზურაბს უყვარდა უნივერსიტეტიდან თავის სახლამდე, სოლოლაკამდე საკმაოდ დიდი გზის ფეხით გავლა და ეს ხდებოდა ღრმა ფილოსოფიურ განაზრებებში, ფიქრში ადამიანის თავისუფლების პრობლემაზე და განსაკუთრებით იმაზე, თუ რა პასუხს იძლეოდა თანამედროვე ფილოსოფია, როგორ წყდებოდა ეს პრობლემა ტრადიციულ ექსისტენციალისტურ მოძღვრებებში, და საერთოდ, იყო კი პასუხი მათში ამ რთულ კითხვაზე? ფიქრობდა იმაზეც, თუ როგორ იყო წარმოჩენილი ადამიანისა და ყოფიერების დამოკიდებულების საკითხი იტალიურ ნეორეალიზმში. ასე ფიქრსა და თავდადებულ მეცნიერულ შრომაში ამოიხსნებოდა ხოლმე ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიისა და ექსისტენციალური კრიზისის სიძნელეები, პარადოქსები, თუ საიდუმლოებანი. ასევე ფილოსოფიური მეცნიერების მაღალ დონეზე ყალიბდებოდა გადაწყვეტა პრობლემისა – „ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა“.

... ერთხელ უნივერსიტეტიდან სოლოლაკისაკენ მიმავალ ზურაბს დავემგზავრეთ და მორიდებულად ვკითხეთ: „ამდენი მშვენიერი გოგონებიდან რატომ არ აირჩევ საცოლეს?“ – პასუხი: „მომიძებნეთ ის, ვინც კარგად იცის იტალიური ნეორეალიზმი, ერკვევა და იცის იმპრესიონიზმი და მხოლოდ მაშინ მივიღებ გადაწყვეტილებასო“. ეს გადაწყვეტილება კი მას უკვე მიღებული ჰქონდა. თავის მომავალ მეუღლედ მხოლოდ და მხოლოდ ნათია ამირეჯიბი ჰყავდა ამორჩეული – მისი გემოვნებისათვის სრულიად შესაფერი, მომხიბლავი ქალბატონი.

... ზურაბი მეცნიერებაში და, განსაკუთრებით ფილოსოფიაში, ქალების მოღვაწეობას არ იწონებდა და ეს ეხებოდა უწინარესად იმათ, ვისაც ფილოსოფია რაღაც მეორადად, დამატებითად, შეთავსებითად მიაჩნდათ. ასეთების შესახებ იტყოდა ხოლმე, მათ ნაღვაწს „სამზარეულოს სუნი უდისო“. ამავე დროს იგი დიდად აფასებდა მეცნიერ ქალებს – ელენე თოფურიძეს, მანანა მეგრელიძეს და სხვებს. მათთან მეგობრობდა და აქტიურად თანამშრომლობდა.

... ზურაბ კაკაბაძე არ იყო ერთგვაროვანი ყველგან და ყველაფერში, არ იყო მკაცრი რაციონალისტი, მეცნიერული აზროვნების ტყვე. მას თავისებური ამბივალენტური ბუნების გამოვლენა შეეძლო გაწყობილ სუფრასთან მიწვევისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვერდით თამაზ ბუაჩიძე ჰყავდა. იგი სრულიად აღარა ჰგავდა „მელანქოლიკს“, მთლიანად გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიქმნებოდა, ქეიფის მოყვარულ, ხალისიან, მეტად მოლხენილ პერსონად გადაიქცეოდა, მას თაზოსთან ერთად მთელი საღამო შეეძლო ემღერა და ეცეკვა. ეს არ იყო, რა თქმა უნდა, ცეკვისა და სიმღერის ხელოვნების დემონსტრაცია, მაგრამ ორივენი ხელიხელ გაყრილნი ასეთი როკვით გამოხატავდნენ ქეიფის სასიამოვნო განწყობილებას და ეს გადამდები იყო ყველასთვის, ვინც კი ასეთ საღამოებს ესწრებოდა.

... ზურაბ კაკაბაძე თავისი სამშობლოს სიყვარულს მთელი კეთილშობილებით ავლენდა და მეტად ნიშნეულია ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა და ინტელიგენტობის შესახებ მისი მსჯელობანი გერონტი ქიქოძეზე დაწერილ წერილში, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა. იგი წერს: „ნამდვილი ინტელიგენტობა ის კი არ არის, დიდი სამშობლო გქონდეს და გიყვარდეს, ჭეშმარიტი ინტელიგენტობა პატარა ერის შვილის წმინდა პატრიოტული გრძნობაა, სიყვარულია საკუთარი ხალხის კულტურისა, თავისი ერის ჭირვარამის განცდაა, ზრუნვაა მისი კეთილდღეობისათვის."

ასეთივე პათოსით წერდა იგი მშობლიური ბუნებისა და ეროვნული კულტურის დაცვის აუცილებლობაზე, ტექნიკისა და ინდუსტრიული პროცესების მხრივ ხიფათზე, მათი არაგონივრული გამოყენების შემთხვევაში ბუნებისა და ერის გადაგვარების საფრთხეზე.

„კაცობრიობა მხოლოდ მაშინ შეძლებს ინდუსტრიული პროცესების გონივრულად წარმართვას, და, ამგვარად, ბუნების დაცვას, თუკი თავდაპირველად მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გაითვალისწინებს ბუნების გარდაქმნებისა და გადაგვარებისაგან წარმოქმნილ ხიფათს და თუკი ამ ხიფათის დაძლევისათვის ბრძოლის საკმარისი პათოსით გაიმსჭვალება.

ხსენებული ხიფათი, სხვათა შორის, ერთ შედარებით უცნობსა და ფარულ აპსექტს შეიცავს, რისი გამომჟღავნება და გაცნობიერება, საფიქრებელია, საგრძნობლად გააძლიერებს ბუნების დასაცავად აღძრულ მოძრაობას...

კაცობრიობისათვის სრულიად არ კმარა ელემენტარულ დონეზე სიცოცხლე და, მაშასადამე, სიცოცხლის ელემენტარული პირობების შენარჩუნება; მას აგრეთვე კულტურის შენარჩუნება და განვითარება სჭირდება.

ხოლო კაცობრიობის კულტურის შენარჩუნება და განვითარება ეროვნულ კულტურათა თავისებურებებისა და სხვადასხვაობის შენარჩუნებასა და განვითარებას გულისხმობს."

ზურაბ კაკაბაძე თავდავიწყებით ეტრფოდა თავისი ქვეყნის ყოველ კუთხე-კუნჭულს, მის ლანდშაფტს, მშვენიერ ბუნებას, ამწვანებულ მინდვრებსა და მთებს. მას უსაზღვროდ იტაცებდა იმერეთის მომხიბლავი პეიზაჟები, თავდავიწყებით უყვარდა თავისი „პატარა ერის" უძველესი კულტურა და რთული ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტის დროსაც ეს გრძნობა ანიჭებდა სასიცოცხლო ძალას.

თამაზ ბუაჩიძე

(1930-2001)

თამაზ ბუაჩიძე მეცნიერის ოჯახში დაიბადა. მამა, პროფესორი ანდრო ბუაჩიძე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი იყო, იგი 1938 წელს „ტროცკისტის" ბრალდებით დახვრიტეს. თაზოს დედაც გადაასახლეს და უფროსი ძმაც, რომელიც უკან აღარ დაბრუნებულა. რეპრესიების იმ საშინელ წლებში ნათესავებსა და ახლობლებს, ბუნებრივია შიშის გამო უძნელდებოდათ დახმარებოდნენ „ტროცკისტის" ოჯახის შვილს.

თამაზი თავის მოგონებებში აღნიშნავდა ხოლმე: ოჯახზე რეპრესიის რისხვა არ მაკმარეს და ამავე მიზეზით სამსახურის შოვნაც მეტად გამიძნელდა, ბედის ირონია იყო, სულ მცირე ადგილი რომ ვიშოვე, ისიც რუსულ გაზეთშიო. იგი ყოველთვის მადლიერებით მიუთითებდა პროფესორ სავლე წერეთლის დამსახურებაზე, რომელმაც ფილოსოფიის ინსტიტუტში მიიღო მოგვიანებით მეცნიერ-თანამშრომლად, სადაც თამაზ ბუაჩიძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დიდ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა, იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე და ბოლოს ნიკო ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ დირექტორის არჩევით მინიჭებული თანამდებობა ეკავა. იმავდროულად უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე და სასულიერო აკადემიაში ეწეოდა ინტენსიურ სალექციო მუშაობას, სტუდენტებისათვის იყო არაჩვეულებრივად მომხიბლავი, საყვარელი ლექტორი. უნივერსიტეტმა დააფასა მისი მოღვაწეობა და როგორც ფილოსოფიის ისტორიის კათედრის პროფესორი ივანე ჯავახიშვილის მედლით დააჯილდოვა.

თამაზ ბუაჩიძის ლექციებიც და წერის მანერაც სისადავისა და სიღრმის განსაკუთრებული ერთიანობა გახლდათ. თავის გამოკვლევაში აკად. კოტე ბაქრაძის შესახებ იგი წერს: „საოცარი სინათლე, ბურუსის არაჩვეულებრივი გაფანტვა კ. ბაქრაძის ლექციების არსება იყო. ეს არსება დაუსწავლელია, მასში რაღაც საიდუმლოა, ის ღვთით ბოძებული ნიჭია ადამიანისა". ეს იმას ნიშნავს, რომ თამაზს არ შეეძლო თავისი მასწავლებლისაგან არც ესწავლა და არც მიებაძა მისთვის, იგი სრულიად ბუნებრივად ჰგავდა საუბრით და წერის მანერით თავის საყვარელ პროფესორს.

თამაზ ბუაჩიძის ყველა ნაშრომი განსაკუთრებული სიახლით ხასიათდება. ვთქვათ, მისი გამოკვლევა ჭეშმარიტების შესახებ, – ეს ის თემაა, რომელზედაც იმ დროს პაექრობდა ჩვენი ორი დიდი მასწავლებელი – ბატონი კოტე და ბატონი სავლე. თამაზმა სრულიად სხვა კუთხით, ორიგინალური რაკურსით განიხილა ყოველი დროის ფილოსოფიის ეს მარადიული პრობლემა და თავისი ახალი სიტყვა თქვა; ანდა მისი გამოკვლევა ჰეგელზე, ფილოსოფოსზე, რომელიც თითქოს ამომწურავად იყო შესწავლილი და გამოკვლეული იმავე ჩვენი პროფესორების კოტე ბაქრაძისა და სავლე წერეთლის მიერ, თამაზმა კი იმდენად დიდი სიახლე ჩადო ამ სოლიდურ მონოგრაფიაში, რომ მან სპეციალური სააკადემიო პრემია დაიმსახურა. ფილოსოფოსებისათვის სამაგიდო წიგნებადაა აღიარებული მისი გამოკვლევები სიცოცხლის ფილოსოფიის შესახებ, სტუდენტებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოებია. სწორედ ეს

ორი მონოგრაფია დაედო საფუძვლად მის სადოქტორო დისერტაციას.

თამაზის მრავალ თხზულებათაგან დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია მისი გამოკვლევა, კომენტარები და ინტერპრეტაციები ფ. ნიცშეს ურთულესი და მეტად ძნელად გასაგები ქმნილებისა „ასე იტყოდა ზარატუსტრა", ქარაგმული სათაურით და ასევე მასზე საკრალური მინაწერით – „წიგნი ყველასთვის და არავისთვის". პირველად მისი ქართული თარგმანი, შესრულებული მოაზროვნისა და ლიტერატურათმცოდნის ერეკლე ტატიშვილის მიერ დაახლოებით 70 წლის შემდეგ გამოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს" ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერიის 1988 წლის 1 ნომრიდან გაგრძელებებით. ყოველ თავს წინ წამძღვარებული აქვს თამაზ ბუაჩიძის კომენტარები, ტექსტის მეტად ვრცელი ახსნა-განმარტებები. ეს არ არის მხოლოდ კომენტარები ნიცშეს ურთულეს ტექსტზე, რთული სიმბოლოებით და სიბრძნით რომ არის სავსე. ეს გამოკვლევა მეტად სერიოზული ფიქრის ნაყოფია. ქართული „ზარატუსტრა" გამოიცა 1993 წელს.

ამ გამოცემის დანართში „ფრიდრიხ ნიცშე და მისი „ასე იტყოდა ზარატუსტრა" თამაზ ბუაჩიძე წერს: „გერმანელი ფილოსოფოსი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ თანამედროვე ევროპული კულტურა, ყველა თავისი განშტოებით გვთავაზობს ცხოვრების ისეთ ყალიბებს, რომლებიც ადამიანის ნამდვილი არსებისა და მოწოდების საპირისპირონი არიან... „ზარატუსტრას" ავტორის მიერ დასმული დიაგნოზი და ამ დიაგნოზის საფუძველზე მოცემული პროგნოზიც, არსებითად, ჭეშმარიტი აღმოჩნდა: ნიცშემ ჩვენი დროის ადამიანის ექსისტენციური შეჭირვების მრავალ სიმპტომს მიაგნო, ამან, ბუნებრივია, გერმანელ ფილოსოფოსს უდიდესი პოპულარობა მოუტანა თანამედროვე სამყაროში."

ავტორი აღნიშნავს, რომ მისი პოპულარობა საქართველოსაც შეეხო, ნიცშეს გავლენა განიცადეს გრიგოლ რობაქიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, კაპანელმა და სხვებმა, რომ ჩვენთან ამ მოაზროვნის მკითხველთა ძალზე ფართო წრე არსებობდა, მაგრამ ჩვენი ავტორი ყურადღებას ამახვილებს სწორედ ამ ვითარების მიზეზზე: „გერმანელი ფილოსოფოსის მსოფლგანცდა ნათესაურია ჭეშმარიტი (და არა გადაგვარებული) ქართველი ადამიანის მსოფლგანცდისა. ქართულ სულთან ნიცშეს ანათესავებს განსაკუთრებული სიძულვილი ჯოგური, მონური ცხოვრებისა, მასაში გათქვეფილი, საკუთარ სახეს მოკლებული ადამიანისა, მდორე, უშფოთველი არსებობისა, „პაწია" ბედნიერებისა და „პაწია" კეთილდღეობისა; ქართული სულის მისწრაფებებთან ახლოსაა ნიცშე, როცა ეთაყვანება მოძრაობით, ბრძოლით, ხიფათით და რისკით აღსავსე „დიონისურ" ცხოვრებას, უშურველ, ანგარიშიანი განსჯის მოთხოვნათა უარმყოფელ, ლაღ, გულუხვად გამცემ, ბრძენსა და მამაც ადამიანს". თამაზ ბუაჩიძემ უჩვეულო სიზუსტით ახსნა ნიცშეს მთავარი პერსონაჟის ზარატუსტრას მხატვრულ-ფილოსოფიური სახის საფუძვლიანობა, განმარტა თუ რატომ გადაიქცა ზოროასტრიზმის ფუძემდებლის სახელი გერმანული სიცოცხლის ფილოსოფიის მთავარ გმირად.

ნიცშეს მოძღვრების მრავალ „უცნაურობათა", ცალმხრივობათა მხილებასთან ერთად, თამაზი გამორჩეულად მიანიშნებს მის იმ ღირსებებზე,

რაც გერმანელმა ფილოსოფოსმა სამომავლოდ ადამიანის არსების წარმართვისათვის დასახა და რაც ასე ჭარბად იყო თავად ჩვენი ქართველი ფილოსოფოსის არსებაში განსხეულებული: ნიცშეს „ზარატუსტრას სძაგს ეგოიზმი, „ულატაკესი", „დამშეული" „თავკერძა", „რომელსაც მარად ქურდობა ჰსურს, იგი სნეულთ თავკერძობაა, სნეული თავკერძობაა. ამ სენით შეპყრობილი ადამიანი ცხოველს ემსგავსება, მას საზიარო აქვს „კატებთან და მგლებთან". ეგოიზმის პრინციპი – „ყველაფერი ჩემთვის", ზარატუსტრასთვის ადამიანის ღრმა გადაგვარების ნიშანია."

თამაზი ნიცშეს მოძღვრებაში იმ დიდ ღირებულებასაც ხედავს, რომ იგი „ინდივიდის უდიდესი ქომაგია, პიროვნების ინდივიდუალობის სრული გამომჟღავნების გზას კი ის ხედავს ყოველი არსებულისა და, მაშასადამე, აგრეთვე ადამიანის ფუნდამენტური, არსებითი მისწრაფების სრულსა და სწორ რეალიზაციაში".

თამაზ ბუაჩიძეს მეგობრობის იშვიათი ნიჭი ჰქონდა. მას ნიცშეს სიტყვების მნიშვნელობა მთელი არსებით ესმოდა: „მონა ხარ? მეგობრობა არ ძალგიძს. ტირანი ხარ? მეგობართ ვერ მოიპოვებ". ბევრი მეგობარი ჰყავდა და ზრუნავდა კიდეც მათთვის. განსაკუთრებული იყო მისი მეგობრობა ზურაბ კაკაბაძესთან. ორივენი ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსები იყვნენ, მაგრამ ამავე დროს მომადლებული ჰქონდათ ერთგვარი ლირიკული ნიჭიც. ზურაბ კაკაბაძე საკმაოდ ბევრი ლექსის ავტორია და მის ესსეებს, ფილოსოფიურ საუბრებს ლექსების კრებულიც ამშვენებს. ზურაბის შესახებ თამაზ ჩხენკელი (ლექსების კრებულის გამომცემელი) წერს: იგი „ზეპირი" პოეტი იყო, „ზეპირად წერდა" ლექსებს და „შემდეგ უკვე ეს ლექსებია" ხელით იწერდა [illegible] „ულში".

თამაზი ჯერ მელოდიას ქმნიდა და შემდეგ ამ მუსიკალურ ტაქტზე გააწყობდა ხოლმე ლექსის სტრიქონებს. ასე გავრცელდა მისი ორი სიმღერა, რომელთაგან ერთი განსაკუთრებულად პოპულარული იყო.

ამ სიმღერამ მთელი საქართველო შემოიარა, მღეროდნენ უნივერსიტეტში, ხშირად ისმოდა მელიქიშვილის ქუჩაზე მიმავალი ახალგაზრდების ხმები: „ირა, ჩემო ირა!.. დამიშალე დალალები"...

„... სინდისს ჩვენ განვიცდით როგორც ხმას, ძახილს... ეს ხმა თავისებურია – ის არ ჩაგვესმის ყურში, ის არ ისმის გარედან, სინდისის ხმა შინაგანია, ამიტომ ის მესმის მხოლოდ მე და სხვას არავის, ამ ხმას მე ვწვდები არა ყურით, არამედ მთელი „შინაგანი არსებით", „გულით".

ეს სიტყვები თამაზ ბუაჩიძეს ეკუთვნის, ჭეშმარიტ ფილოსოფოსს, რომელიც თავად იყო სათნოების, შემწყნარებლობის, სინდისიერების იშვიათი ნიმუში. მისი ამგვარი ხასიათის ჩამოყალიბებაზე ბოროტი ზეგავლენა არ მოუხდენია ბავშვობის უმძიმეს წლებს, მის ოჯახში 37 წლის ტრაგედიას, პირიქით, იგი იყო მეტად შომთმენი, დამთმობი და უაღრესად გულისხმიერი. თამაზის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდი დაემთხვა იმ დროს, როცა ჩავლილი იყო უნივერსიტეტში ძნელბედობის წლები.

... 1940 წელს ფილოსოფიის ფაკულტეტი ხელახლა აღდგენილია დამოუკიდებლობის სტატუსით, მისი პირველი დეკანია პროფ. კოტე ბაქრაძე. ამ დროიდან ერთი წელიც არ იყო გასული, დაიწყო სამამულო ომის

ხუთწლიანი პერიოდი. ამას მოჰყვა „თავისუფალ მოაზროვნე“ სტუდენტებისა და ასპირანტების დაპატიმრებები. ომის დაწყების პირველსავე თვეში დააპატიმრეს ცნობილი ფილოსოფოსი, პროფესორი მოსე გოგიბერიძე. უშიშროების მუშაკებს უნივერსიტეტის აუდიტორიებიდან რიგრიგობით გაჰყავდათ გერმანული წარმოშობისა და გერმანული ორიენტაციის ლექტორები. მათ წინასწარვე უკვე მისჯილი ჰქონდათ შორეული გადასახლებები. დააპატიმრეს ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებიც: მიტო მამულაიშვილი, რამაზ კობიძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ მიქელაძე.

... ომი დამთავრდა. ფილოსოფიის ფაკულტეტი საკმაოდ მოდური გახდა, მოდიოდა ახალ-ახალი შევსებები, რჩეული ახალგაზრდები. გამოირჩეოდა პირველი კურსის შემადგენლობა, ფართო განათლება და ნიჭიერება თვალშისაცემი იყო ამ კურსზე. სწორედ აქ გაბრწყინდა თამაზ ბუაჩიძის ტალანტი. მას შეეძლო ყველასაგან განსხვავებით ურთულესი ფილოსოფიური პრობლემების ზუსტად, თანაც მარტივად, მოკლე ლოგიკური სიმწყობრით ახსნა-განმარტება. ჩანდა – იგი ჭეშმარიტების ძიებისათვის, ფილოსოფოსობისათვის იყო დაბადებული.

... და აი, უკვე პროფესორი თამაზ ბუაჩიძე სტუდენტებისათვის უსაყვარლესი ლექტორი, უმაღლეს მეცნიერულ დონეზე დაწერილი წიგნების ავტორი წააგავდა ბატონ კოტეს და რაც დრო გადიოდა თითქოს თანდათან, უფრო და უფრო ემსგავსებოდა საყვარელ პროფესორს. როცა ამ მსგავსებაზე ვეუბნებოდით, სიხარულით თვალები უბრწყინავდა. თამაზი მართლაც წააგავდა მასწავლებელს, მაგრამ თურმე, როგორც ერთ შეხვედრაზე დადასტურა, იგი ... მამის განსახიერება ყოფილა და ცხადია, ეს ბუნებრივიცაა. ამ ფაქტის აღიარება მეტად საინტერესო ვითარებაში მოხდა.

... 1970 წელს ჰეგელის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი აღინიშნებოდა და ამ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მიწვეული მომხსენებლები ავედით პრეზიდიუმისათვის განსაზღვრულ ადგილზე. დარბაზი სავსეა, წინ მხცოვანი მეცნიერები სხედან და უცბად ამ რიგებში ფეხზე წამოდგნენ და გაისმა ემოციური შეძახილები: „ანდრო ბუაჩიძე!“ „ჩვენი ანდრო!“, „ალბათ მისი შვილია!“ თამაზს თვალები ცრემლებით აევსო, მასში დიდი სევდაც იყო და სიხარულიც. პროფ. ანდრო ბუაჩიძე, თამაზის მამა, დიდად პატივცემული პიროვნება, დაპატიმრებამდე ხომ ამ ინსტიტუტის რექტორი იყო.

... თამაზი – ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსი, უნდა გენახათ საზეიმო სუფრაზე. მეტად თავისებური მოლხენა იცოდა... ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ზურაბ კაკაბაძესთან ერთად. მართალია, ბატონ კოტესაც უყვარდა თავის ახალგაზრდა კოლეგებთან მოლხენა, მაგრამ სულ სხვა იყო ორი მეგობრის ხელიხელ გადახვეული როკვა. თვალწინ მიდგას დაუღალავად მოცეკვავენი მათივე გამოგონილი „აკომპანიმენტით“ – ეს იქ მყოფთ აღტაცებასა და ხალისს ჰგვრიდა. ზურაბის გარდაცვალების შემდეგ თამაზს უკვე აღარ მოულხენია...

თამაზ ბუაჩიძის ერთი ინდივიდუალური თავისებურება ბოლო ხანებში ყველაზე მეტად წარმოჩნდა. მას სძულდა ზამთარი და სიცივის ეშინო-

და. რა არის ამაში საკვირველი?! ჩვენმა თაობებმა და განსაკუთრებით მისმა თაობამ სიცოცხლის არცთუ ისე ცოტა დრო გაატარა სიცივეში, სითბოს გარეშე, უშუქობასა და სიბნელეში. მისი შინაგანი სულიერი სითბო ვერ შველოდა გაუთბობელ და გაუნათებელ ბინას, გაყინულ აუდიტორიებს! მიუხედავად ამისა, იგი არასოდეს არ წუწუნებდა, არ ჩიოდა ასეთი ყოფის გამო, თუმცა ბავშვობიდან „მძიმე ხვედრით იცხოვრა", მის სულს გაბოროტების ნიშანწყალი არ დაჩნევია. იგი არ ჰგავდა იმათ – დაბადებიდან ყველაფრით უზრუნველყოფილნი, გაჭირვებაუნახავნი რომ მეშურვეობდნენ, ხარბობდნენ, რაღაცით მუდამ უკმაყოფილონი ღვარძლს ანთხევდნენ.

თამაზს საყოველთაო სიყვარული ჰქონდა მოპოვებული, საპასუხოდ თვითონაც უხვად აფრქვევდა ბუნებით მომადლებულ სიკეთეს, – სხვათაშორის იმათთვისაც, ვინც არ მოსწონდა. ვამბობდით ხოლმე, თაზოს მტერი არ შეიძლება ჰყავდესო. ზოგიერთს ეგონა, ეს კეთილმოსურნე კაცი ყველას მეგობარი იყო. ასეთებმა არ იციან ცნობილი შეგონება: „ყველას მეგობარი, არავის მეგობარი არ არის". თამაზს მეგობრების ვიწრო წრე ჰყავდა, – თავის სამოღვაწეოში, ინსტიტუტში განსაკუთრებული ადგილი ნიკო ჭავჭავაძესა და ზურაბ კაკაბაძეს ეკავათ, მაგრამ მათ გარდა იყვნენ და არიან სხვანიც, ცოტანი, მისი უახლოესი მეგობრები, ნამდვილი პიროვნებები, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

თამაზ ბუაჩიძის ნაშრომები ჰეგელზე, შოპენჰაუერზე, კირკეგორზე, სიცოცხლის ფილოსოფიასა და ექსისტენციალიზმზე დარჩა თავისი დროის შედეგრებად და ასევე იქნება მომავალი სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის. ასე რთულ და ერთ-ერთ შეხედვით აბსტრაქტული პრობლემების გადაწყვეტის დროსაც ფილოსოფოსს ადვილად შეეძლო გადართულიყო ჩვენი სამშობლოსა და ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებულ თემებზე. აღსანიშნავია ის კრიტიკული სიმახვილე, რასაც თამაზი ავლენდა ევროპის ცნობილ ფილოსოფოსებთან კამათში, როცა დამცირებულია ეროვნული კულტურის, ეროვნული ხასიათისა და გონის ღირებულება და მნიშვნელობა. იგი მკაცრად იცავდა ქართული ეროვნული გონის თავისთავადობის, ქართული სულიერი ცხოვრების, კულტურის ორგინალურობის თვალსაზრისს. ამ პოზიციიდან მახვილი ლოგიკური არგუმენტებითაა უარყოფილი ვილჰელმ დილთაის სიცოცხლის ფილოსოფიის პრინციპები, ოსვალდ შპენგლერის „ჩაკეტილი კულტურების" თეორია.

აქ გამჟღავნდა თამაზ ბუაჩიძის საოცარი სტილი, სიღრმე და სინათლე.

სენსაციური იყო ევროპისათვის გერმანელი ფილოსოფოსის ოსვალდ შპენგლერის გამოსვლა ახალი თეორიით „ჩაკეტილი კულტურების" შესახებ, მოაზროვნისა, რომელიც ფილოსოფოსობდა, სამეცნიერო ხარისხიც ჰქონდა, მაგრამ აკადემიური მუშაობის პრეტენზია არ გამოუხატავს, მიუნხენში ცხოვრობდა და კერძო მასწავლებლად მსახურობდა.

უფრო მეტად სენსაციური იყო 1918 წელს გამოცემული მისი წიგნი „ევროპის აღსასრული", სადაც იგი ამტკიცებდა ევროპული კულტურის „მობერებულობას" და მისი დაცემის ისეთ ნიშნებზე მიუთითებდა, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა „კულტურის დაისი" ევროპაში.

შპენგლერის მიერ ისტორიის გაგების მეტად ორგინალურმა კონცეფციამ, როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიც, საქართველოში, აზრთა მღელვარება გამოიწვია, ბუნებრივია, ევროპაში მეტად, რადგან ავტორი წინასწარმეტყველებდა, ევროპული კულტურის დაცემის გარდუვალობას. იგი ისტორიას განიხილავს ასპარეზად, სადაც სხვადასხვა კულტურები იბადებიან, აღმოცენდებიან, იზრდებიან, კარგავენ სიცოცხლისუნარიანობას და კვდებიან. მისთვის კულტურა ცოცხალი ორგანიზმია და როგორც ყოველი ორგანიზმი – იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება.

შპენგლერის თეორიას 20-იან წლებში გამოეხმაურნენ ქართველი ფილოსოფოსები შალვა ნუცუბიძე, მოსე გოგიბერიძე, მწერალი გრიგოლ რობაქიძე და სხვანი. თამაზ ბუაჩიძე ჩაკეტილი კულტურების თეორიის მკაცრი კრიტიკოსია, იგი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ეროვნული კულტურების, ეროვნული გონის თავისთავადობასთან ერთად მათ საერთო თავისებურებებზე. მას ამ პოლემიკაში ეროვნული კულტურის დამცველის პოზიცია უჭირავს და ამხელს შპენგლერის მიდრეკილებას ბიოლოგიზმისაკენ.

თამაზ ბუაჩიძის შრომებში მრავალი ფილოსოფიური, ზოგადი ხასიათის პრობლემაა განხილული – ჭეშმარიტების, სიცოცხლის ფილოსოფიის და სხვა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები, სადაც იგი ჩვენი ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს ეხება. ასეთი გამოკვლევები მრავლადაა. აქ წარმოგიდგენთ ფრაგმენტს „სინდისის შესახებ". ტექსტში გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ ჩვენში დიდი ხნის განმავლობაში სინდისზე მსჯელობა არ შეიძლებოდა, – ყველაფერი წყდებოდა, იზომებოდა „კომუნისტური მორალის" საზომით.

რა არის სინდისი? რაშია ადამიანის ღირსება?

ამ თემის ფილოსოფიურ-ისტორიული წყაროა პლატონის დიალოგი „დიდი ჰიპია", სადაც სოკრატე წარმოდგენილია თავისთავში გაორებულად. მას თავის საკუთარ არსებაში აღმოუჩენია მეორე „მე", როგორც „იდუმალი საბედისწერო ძალა". – ის ჩემი თანამესაუბრეა – ამბობს სოკრატე, „ყოველი ფეხის ნაბიჯზე მეპაექრება და მამხელს", ის შინაგანი გულისხმევაა, სინდისია ადამიანისა, რომელსაც „ვერსად გაექცევი, ვერსად წაუხვალ". „ჩვენ ერთად, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ". როცა შინ ვბრუნდები, – ამბობს სოკრატე, – იგი მეუბნება: „ნუთუ არა გრცხვენია, ასე თავხედურად რომ მსჯელობ!"

ანტიკური დროიდან კაცობრიობის მიერ გაცნობიერებული ზნეობრივი ქცევის საფუძველს – სინდისის ცნებას – საბჭოთა პერიოდში „ვეტო" დაედო. მასზე მსჯელობა აკრძალული იყო, წარსულის გადმონაშთად ითვლებოდა.

ქრისტიანობაში სინდისის ცნებას დიდი დატვირთვა აქვს. ამ ცნებაში ადამიანის, როგორც პიროვნების ღირებულებითი მნიშვნელობაა მინიშნებული. ბიბლიის ენაზე სინდისი განისაზღვრება როგორც „მსახურება წმიდითა გონებითა". თამაზ ბუაჩიძემ სინდისის ცნება კლასიკურ ტრადიციულ ჭრილში გაიაზრა. ძალზე შთამბეჭდავია მისი პასუხი კითხვაზე: „რა არის სინდისი?"

„სიტყვა „სინდისი" თანდათან იბრუნებს თავის დაკარგულ უფლებებს. სულ ახლახან, ჩვენ – რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდილთ, მარად-

ყამს შინაგანი თუ გარეგანი მტრების მოსასპობად გამზადებულთ, სიძულვილით დატენილთ, – ეს სიტყვაცა და ამით გამოხატული ცნებაც „წყეული“ წარსულის გადმონაშთად გვეჩვენებოდა. სინდისიერება იქცა სინონიმად უხერხულობისა, დოყლაპიობისა, ინფანტილობისაც კი. დღეს ამ სიტყვას და სხვა მასავით თითქოსდა საბოლოოდ ყავლგასულ სიტყვებს (ასეთებია, მაგალითად „სიყვარული“, „გულმოწყალება“, „იმედი“, „ნდობა“, „სირცხვილი“) ხშირად ვხვდებით ჩვენი მწერლების, პუბლიცისტების, ჟურნალისტების, სახელმწიფო მოღვაწეთა ნაწერებში. სინდისი არ აღმოჩნდა ისეთი დღენაკლული, როგორც წარმოედგინა კლასობრივი ბოლმით დანისლულ ჩვენს გონებას. „სიტყვა „სინდისის“ ეს მკვდრეთიან ადგომა ყველაზელად ნიშანია – მართალია, გარეგნული – იმისა, რომ ჩვენი საზოგადოების წევრებს აღარ სურთ იყვნენ ზემოდან ნაბრძანების ბრმა და უსიტყვო შემსრულებლები, რომ მათ გაუჩნდათ მოთხოვნილება, შეუთანხმონ საკუთარი ქცევა იმ ხმას, რომელიც „მე“-ს სიღრმიდან ისმის – სინდისის ხმას.“

ეს თავისთავად მეტყველებს თამაზ ბუაჩიძის აზროვნების მრავალმხრივობაზე, კულტურისა და ადამიანური ყოფის ღრმა შრეების წვდომის უნარზე, და საერთოდ მის, როგორც მოაზროვნისა და პიროვნების მაღალ ღირსებებზე.

მადლენა მირიანაშვილი

დავით სარაჯიშვილი – ერის ქომაგი და ქველმოქმედი

დავით სარაჯიშვილი (1848-1911) – დიდი ქართველი მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, ერის ქომაგი, ქველმოქმედი, ევროპულად განათლებული მრეწველი.

დიდი და მრავალმხრივია დავით სარაჯიშვილის სამრეწველო საქმიანობა. იგი სპირტის, სხვადასხვა სახის სპეციალური არყებისა და კონიაკის ქარხნების დამაარსებელი მაღალი რანგის სპეციალისტია. მის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი კონიაკის წარმოებას უჭირავს. იგი ფრანგულ ტექნოლოგიაზე დამყარებული კონიაკის სრულყოფილი სამრეწველო წარმოების ფუძემდებელია რუსეთის იმპერიაში.

რუსეთში კონიაკის დამზადების ცდებს ადგილი ჰქონდა ყირიმში, თერგის ოლქში, სტავროპოლის გუბერნიაში, ტემპელგოფში, რომანოვების, ვორონცოვის, რაევსკის მამულებში, მაგრამ XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე რუსეთის იმპერიაში კონიაკის სრულყოფილი წარმოება არ არსებობდა. კონიაკად იწოდებოდა 55 გრადუსი (გრადუსით აღინიშნებოდა აბსოლუტური უწყლო სპირტის რაოდენობა, რომელიც 120 მილილიტრს უდრის. 1 „ვედრო" – 12 ლიტრს უდრიდა) სიმაგრის ყურძნის არაყი, ხშირად მუხის კასრებში სათანადო დაძველების გარეშე. არასწორი დამზადების გამო, მას დაყვებოდა მკვეთრი სუნი და სპეციფიკური გემო, რაც მის გასაღებას აბრკოლებდა. ამ მხრივ სრულიად განსხვავებული წარმოება შექმნა დავით სარაჯიშვილმა.

გერმანიის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ქიმიის დოქტორის და ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხის მფლობელმა – დავით სარაჯიშვილმა ჰოჰენჰეიმსა და ჰალეში 1871-77 წ.წ. სოფლის მეურნეობა, 1877-78 წ.წ. პარიზში მევენახეობა-მეღვინეობის საკითხები შეისწავლა. სათანადო ცოდნის მიღების შემდეგ იგი 1880 წ. თბილისში დაბრუნდა, 1884 წ. ალკოჰოლური სასმელების წარმოება წამოიწყო და სპირტის სარექტიფიკაციო (1886), სხვადასხვა სახის სპეციალური არყის (1887) და კონიაკის (1888) ქარხნები გახსნა (დღევანდელი – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკას" რედაქციის ადგილზე).

დავით სარაჯიშვილმა 1888 წ. კონიაკის ქარხანაში შვეიცარიიდან სპეციალურად მიღებული საკონიაკე სპირტსახდელი აპარატი დადგა და იმავე წელს სპირტის გამოხდა დაიწყო. განათლებული მრეწველი მალე დარწმუნდა, რომ ფრანგულ ტექნოლოგი-

აზე დამზადებული ძვირადღირებული სასმელი ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრებულ იაფ, ფალსიფიცირებულ კონიაკებს კონკურენციას ვერ გაუწევდა. რუსული კონიაკის ტექნოლოგია დაზუსტებას, კონიაკის ყველა ქარხნისათვის ერთი ნორმის შემუშავებას და დადგენას მოითხოვდა.

რუსეთში კონიაკის ტექნოლოგიის დაზუსტებაში პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი დავით სარაჯიშვილმა გადადგა. 1889 წლის 2 მაისს, პეტერბურგის ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე მან წინადადება შეიტანა ფრანგული ტექნოლოგიის მსგავსად, საკონიაკე სპირტის სიმაგრის 45 გრადუსამდე შემცირების და მასში 1,5% შაქრისა და დისტილირებული წყლის მიმატების შესახებ. იგი წინადადებას იმ მოტივით ასაბუთებდა, რომ სპირტის სიმაგრის შემცირება საკონიაკე სპირტის გემოს დახვეწავდა და ამით აამაღლებდა კონიაკის ხარისხს. შაქრისა და დისტილირებული წყლის მიმატება კი გააიაფებდა კონიაკს, რომელიც მეტად ძვირი ჯდებოდა. ამ ღონისძიებების გატარება რუსეთის ახლადფეხადგმულ წარმოებას საშუალებას მისცემდა კონკურენცია გაეწია იმპერიის ბაზარზე გაბატონებული საზღვარგარეთული კონიაკისათვის.

სარაჯიშვილის მოთხოვნა სხდომაზე დიდი მსჯელობისა და კამათის საგანი გახდა. სპეციალურ ლაბორატორიას დაევალა ფრანგული კონიაკის სიმაგრის და შაქრიანობის შემოწმება. სხდომაზე ერთხმად აღიარეს რუსული კონიაკის წარმოების და გასაღების საკალალო მდგომარეობა. ოქმში აღნიშნული იყო: „რუსული კონიაკი იმ სახით, რა სახითაც ახლა მიიღება, წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ხელოვნურ გაუმჯობესებას მოითხოვს.“

პირველი წინადადება – კონიაკის სიმაგრის შემცირების შესახებ სხდომაზე შედარებით ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდა. რაც შეეხება მეორე წინადადებას – კონიაკისათვის შაქრის მიმატების შესახებ, პირველ სხდომაზე სასტიკად უარყვეს. სარაჯიშვილი გაკიცხეს კიდეც იმის გამო, რომ ნატურალური კონიაკის სიწმინდის დაცვის ნაცვლად მან კონიაკის რაღაც უბრალო ნარევით შეცვლა მოითხოვა; თუმცა იქვე აღინიშნა, რომ ფრანგული კონიაკი გარკვეული რაოდენობით შაქარს შეიცავდა. მიუხედავად ამისა, საკითხი დიდი შეხლა-შემოხლის საგანი გახდა. სხდომის თითქმის ყველა წევრი სარაჯიშვილს ეწინააღმდეგებოდა. საკითხის გარშემო მსჯელობა და კამათი დიდხანს გაგრძელდა.

სხდომების დაწყებამდე დავით სარაჯიშვილი პარიზში გაემგზავრა. მან ერთხელ კიდევ დააზუსტა კონიაკის ფრანგული ტექნოლოგია და მკვეთრად დაუპირისპირდა მოკამათე საზოგადოებას. დიდი მსჯელობისა და კამათის შემდეგ, 1889 წლის დეკემბერში პეტერბურგის ტექნიკური კომიტეტის სხდომამ აღიარა დავით სარაჯიშვილის მიერ წამოჭრილი საკითხების ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა და მისი ყველა წინადადება მიიღო. 1890 წლის 8 მარტიდან კონიაკის სიმაგრე 45 გრადუსით განისაზღვრა (ნაცვლად 55 გრადუსისა), დაშვებული იქნა მასში 1,5% შაქრის და დისტილირებული წყლის მიმატება. სარაჯიშვილმა თავისი წარმოებისათვის წვიმის რბილი წყლის გამოყენების ნებართვაც მიიღო. აღნიშნული დადგენილება კონიაკის ტექნოლოგიის გაუმჯობესების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. ამ ღონისძიებების გატარებით შედარებით გაიაფდა კონიაკის

წარმოება, რამაც ადგილობრივ პროდუქციას საშუალება მისცა კონკურენცია გაეწია საზღვარგარეთული კონიაკისათვის. ამ მხრივ სარაჯიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის სრულყოფილი სამრეწველო წარმოების ჩამოყალიბებაში. მისმა საქმიანობამ ბიძგი მისცა კონიაკის წარმოების განვითარებას რუსეთის იმპერიაში და მრეწველთა დაინტერესება გამოიწვია.

რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოების დაფუძნებაში სარაჯიშვილის პრიორიტეტის და დამსახურების შესახებ წყაროები მიუთითებენ: „დაარსების დროის მიხედვით (1888) დ. სარაჯიშვილის თბილისის ქარხანა ითვლება რუსეთის იმპერიაში პირველ სპეციალურ სრულყოფილ კონიაკის ქარხანად“. „... 1888 წ. სარაჯევმა თბილისში მოაწყო კონიაკის პირველი ქარხანა, რითაც მან ამიერკავკასიაში ბიძგი მისცა ასეთი ტიპის ქარხნების შექმნას“. „... ასეთი ტიპის ქარხნები დ. სარაჯევამდე არ არსებობდა“. „... რუსეთში კონიაკის პირველი ქარხნის გახსნით, მნიშვნელოვანი ბიძგი მიეცა მეღვინეობის ახალი დარგის განვითარებას იმპერიაში“. დავით სარაჯიშვილი ითვლება „... სწორად დაყენებული კონიაკის წარმოების ინიციატორად“. „... მისი წარმოება გამოირჩევა როგორც მასშტაბებით, ისე წარმოების თანდათანობითი სრულყოფით და მატერიალური დანახარჯებით“. მისი ფირმა ითვლება „... რუსეთში მთავარ პიონერად კონიაკის დამოუკიდებელი, თვითმყოფადი წარმოების თანმიმდევრულად განვითარების და მისი პროდუქტების გავრცელების საქმეში“. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის პროდუქციამ რუსეთი „უცხოური და ადგილობრივი ფალსიფიცირებული სასმელებისაგან გაათავისუფლა“.

დავით სარაჯიშვილის ქარხანაში ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ საუკეთესო ხარისხის საკონიაკე სპირტი მიღებულიყო. კონიაკის წარმოებისათვის მაღალი ხარისხის ღვინოებს იყენებდნენ. პირველ ხანებში სპირტის წარმოებაში კახეთის, ქართლის, კიურდამირის საუკეთესო ხარისხის ღვინოებს ხდიდნენ, შემდეგ მისი არეალი გაფართოვდა. იმ მიზნით, რომ კონიაკის წარმოებისათვის საუკეთესო საკონიაკე სპირტი მიღებულიყო და ღვინის ორჯერ გამოხდის დროს უხვად შერჩენოდა ალდეჰიდები და ეთერები, რომელიც მუხის კასრებში დაძველებისას სასიამოვნო სუნსა და გემოს განივითარებდნენ, სპირტის გამოხდა ნელა ხდებოდა (ორი გამოხდა დღე-ღამეში). კონიაკის წარმოებაში მხოლო შუა ნახადი გამოიყენებოდა, თავი და ბოლო ნახადი სხვა სახის სპირტის წარმოებაში გამოიყენებოდა. მიღებული 55-58 გრადუსი სიმაგრის სპირტი მცირე ზომის 20-40 „ვედროს“ ტევადობის მუხის კასრებში ინახებოდა, რომელიც საქართველოს მაღალმთიან რაიონებში ამ მიზნით სპეციალურად შერჩეულ, კარგად გამომშრალი მუხისაგან მზადდებოდა. კონიაკის წარმოებისათვის საჭირო მუხის კასრებს თბილისისა და ვლადიკავკასის სპირტსახდელი ქარხნები საკუთარ საკასრო სახელოსნოებში ამზადებდნენ. მათი დამუშავება, კონიაკის საჭიროების მიხედვით, ჩვეულებრივი წესით არ ხდებოდა. მუხის კასრები ორთქლში გატარების, დამდუღვრის და გამოხარშვის გარეშე მზადდებოდა. მცირე ზომის კასრებში დაძველება საკონიაკე სპირტის დიდ დანაკარგს იძლეოდა, სამაგიეროდ საუკეთესო ხა-

რისხის კონიაკი მიიღებოდა. საკონიაკე სპირტებს, მათზე დამკვიდრების და შემდგომში სწორი გამოყენების მიზნით, გამოხდის ადგილების მიხედვით, ცალ-ცალკე ათავსებდნენ, რომ სხვადასხვა ადგილებიდან მიღებული ღვინის სპირტი ერთმანეთში არ შერეულიყო. დავითი საკუთარი ვენახებიდან ჩამოტანილი ღვინის გარდა, სპირტის ნედლეულს სხვა მწარმოებლებისაგანაც ყიდულობდა. მეღვინეებთან შეთანხმება წინასწარ ხდებოდა. სარაჯიშვილი ღვინოს იმ შემთხვევაში იძენდა, თუ იგი ჭაჭის და ყურძნის ჩენჩოს გარეშე იყო დაყენებული. ქარხანაში კონიაკის დაკუპაჟება – გაზავებას ფრანგი სპეციალისტი – პიერ ჟურდონი ხელმძღვანელობდა. წარმოების დონისა და ხასიათის შესახებ, წყაროებში ვკითხულობთ: „... თბილისის გუბერნიაში კონიაკი კარგად დადუღებული და დაწმენდილი ღვინისაგან იხდება მხოლოდ ერთ – დ. სარაჯიშვილის ქარხანაში“. „კონიაკის წარმოებისათვის სარაჯევი ხდის ძვირადღირებულ მასალას, – ყურძნის ღვინოს“. „კონიაკს მხოლოდ ნატურალური სახით უშვებენ, მას უმნიშვნელო რაოდენობით ემატება მხოლოდ შაქარი“. „სარაჯიშვილის ქარხანაში კონიაკის წარმოება ძირითადად ფრანგული ტექნოლოგიით ხდება“.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ თბილისში ღვინის ჩამოტანა და გამოხდა უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე ადგილზე გამოხდა. ამ გარემოებამ დ. სარაჯიშვილი აიძულა თბილისში კონიაკის ქარხანა დაეხურა და ახალი ქარხნები იაფი ნედლეულის ბაზებში გაეხსნა. 1895 წ. თბილისის კონიაკის ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა. იგი კონიაკის ცენტრალურ საწყობად გადაკეთდა.

1889-1913 წლებში სარაჯიშვილის ფირმამ იაფი ნედლეულის ბაზებში კონიაკის 9 ქარხანა გახსნა – ყიზლარში – 2 (1889), ერევანში (1894), კალარაშში (ბესარაბია – 1895), ბარგუშეთში და გოქჩაში (ბაქოს გუბერნია – 1902), ტარუმოვკაში (თერგის ოლქი – 1908), პაულეშტეტში და ელისავეტოპოლში (1915). მისი ქარხნები აღჭურვილი იყო იმ დროის საუკეთესო ტექნიკური დანადგარებით, რომელსაც დ. სარაჯიშვილი ცვლიდა და ახალი ტექნიკით აახლებდა. ქარხანაში ხდებოდა კონიაკის წარმოებისათვის საჭირო ღვინის შერჩევა, საკონიაკე სპირტის გამოხდა. კონიაკის ქარხნებთან არსებული ვენახებიდან მიღებული ღვინიდან გამოხდილი სპირტების გარდა, სპეციალური აგენტების მეშვეობით ადგილებზე იაფფასიანი ნედლეულის შესყიდვა ხდებოდა. შუამავალი შემსყიდველები პასუხისმგებელნი იყვნენ ღვინის ხარისხზე. ღვინოს სექტემბრიდან მარტამდე ნალექებისაგან ორჯერ ათავისუფლებდნენ. კონიაკის სპირტის ტექნოლგიის დაცვით გამოხდილი სპირტი, კასრებით თბილისის საკონიაკე საწყობში გაჰქონდათ, სადაც მისი შემდგომი დამუშავება ხდებოდა.

სარაჯიშვილის კონიაკის წარმოებაში ძირითად როლს თბილისის კონიაკის ცენტრალური საწყობი ასრულებდა. დავითმა ოლღას ქუჩიდან იგი 1901 წ. წყნეთის ქუჩაზე (ახლანდელი მელიქიშვილის ქუჩა – ისტორიის ინსტიტუტის შენობა) სპეციალურად აშენებულ შენობაში გადაიტანა. საწყობი 3 შენობისა და 6 სარდაფისაგან შედგებოდა, გათვალისწინებული იყო 2-3 მილიონი გრადუსი საკონიაკე სპირტის დასაძველებლად. საწყობის სპეციალურ განყოფილებებში საკონიაკე სპირტის ტიპების გამომუშავება,

დადგენა, კონიაკის დაკუპაჟება, ახალი ტიპის კონიაკების გამოშვება ხდებოდა. მიღებული საკონიაკე სპირტი ხარისხდებოდა და შემოსულობის დროისა და ადგილების მიხედვით, ცალ-ცალკე დასაძველებლად მცირე ზომის კასრებში ისხმებოდა. საკონიაკე სპირტის წლების განმავლობაში დაძველების შემდეგ, ხდებოდა მისი დაკუპაჟება. ამის შემდეგ, კონიაკი 500-600 „ვედროს" ტევადობის მუხის კასრებში ისხმებოდა და ბოლოს ბითუმად, ან ბოთლებში ჩამოსხმული, სარეალიზაციოდ იგზავნებოდა.

საქონლის საწყობიდან გაგზავნა ნაღდ ანგარიშზე, ან მთელი ღირებულების ერთი მესამედის ანაზღაურებით ხდებოდა. გათავისუფლებული, დაუზიანებელი ტარა (კასრები, ბოთლები) მყიდველის ხარჯით უკანვე მიიღებოდა. ფირმას საქონელი თავისი ხარჯით მხოლოდ რკინიგზამდე გადაჰქონდა, შემდეგი გადაზიდვის ხარჯებს მყიდველი კისრულობდა. ქალაქის ფარგლებში გადაზიდვას, ფირმა თავის თავზე იღებდა. შორს გასაგზავნი სასმელი ყუთებში ეწყობოდა, ილუქებოდა და დანიშნულების მიხედვით იგზავნებოდა. საწყობიდან სპირტის და არყის გატანა 3 ვედროზე ნაკლები არ შეიძლებოდა, ნატურალური კონიაკის – 1 ვედროსი.

სარაჯიშვილის ფირმას საკონიაკე სპირტის დასამუშავებლად ყოველწლიურად საშუალოდ 100 000 ფუთი ყურძენი ჭირდებოდა. 1891 წლიდან ყოველწლიურად საშუალოდ 10 000 ვედრო კონიაკს ამზადებდნენ. კონიაკის საწყობში ყოველდღე საშუალოდ 1000 ბოთლ კონიაკს ასხამდნენ. საწყობში 1,5-2 მილიონი გრადუსი საკონიაკე სპირტი მუხის კასრებში ძველდებოდა. 1901 წელს სარაჯიშვილის ფირმის ნაწარმის ბრუნვამ 1,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა – გაიყიდა 1,3 მილიონი მანეთის სპირტი და არაყი, 220 000 მანეთის კონიაკი და 40 000 მანეთის ლიქიორი.

90-იანი წლების დასაწყისიდან დავით სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის ნაწარმით მარაგდება არა მარტო ადგილობრივი და ამიერკავკასიის ბაზარი, არამედ „კავკასიის ნატურალური კონიაკის" სახელწოდებით, მისი ქარხნის პროდუქცია გადის მოსკოვში, პეტერბურგში, ნოვოროსიისკის მხარეში, ვლადივოსტოკში და იმპერიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ქალაქებში.

1900 წლის მონაცემებით, სარაჯიშვილის პეტერბურგის, ვარშავის, ციმბირის საბითუმო საწყობებიდან, ყოველწლიურად 180 000 ბოთლი კონიაკი იყიდებოდა, ხოლო რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში, კავკასიაში და თბილისში – 40 000 ბოთლი, ე. ი. რუსეთის ცენტრალური და შიდა გუბერნიების მოხმარება 5-ჯერ ჭარბობდა ადგილობრივს.

სარაჯიშვილის მიერ დამზადებული 1 გრადუსი კონიაკის საბაზრო ფასი, დაძველების პერიოდის მიხედვით, 25-35 კაპ. უდრის. ბოთლი, რომლის მოცულობა ვედროს 1/20 შეადგენს, 1 ვარსკვლავიანი კონიაკი ღირს – 80 კაპ., 2 ვარსკვლავიანი – 1 მან., 3 ვარსკვლავიანი – 1 მან. და 20 კაპ., 4 ვარსკვლავიანი – 1 მან. და 50 კაპ., ფინშამპანი – 1 მან. და 85 კაპ., ძველი ფინშამპანი – 2 მან. და 10 კაპ., გრანდ-შამპანი – 2 მან. და 60 კაპიკი.

ფირმის სასმელები ბაზარზე გამოჩენისთანვე განსაკუთრებით დიდ პოპულარობას ვარშავაში იხვეჭენ. პეტერბურგის ცენტრალურ არქივში დაცული მასალები გვაუწყებენ, რომ

ვარშაველი ვაჭრები მთავრობისაგან მოითხოვდნენ ნებართვას, შეიძინონ „მხოლოდ სარაჯიშვილის ნაწარმი". კერძოდ, პრუსიის ქვეშევრდომი ვასილ თევდორეს ძე გებგარტი (ფირმა ვოლბრუკის და კომპ. წარმომადგენელი), ვაჭრები ზეიდელის ფირმის სახელით და სხვა ფირმები თხოულობენ მხოლოდ სარაჯიშვილის ფირმის ნაწარმს.

მის პროდუქციას იცნობენ – პარიზი, ლონდონი, ბერლინი, ვენა, ჟენევა, კონსტანტინოპოლი და დიდ მოწონებას იმსახურებენ, როგორც ელიტარულ საზოგადოებაში, ისე ფართო მომხმარებელთა შორის.

დიდი მასშტაბის და მრავალმხრივი იყო დ. სარაჯიშვილის სამრეწველო საქმიანობა. იგი მოიცავდა ალკოჰოლური სასმელების თითქმის ყველა სახის წარმოებას – ხდიდა არაყს მარცვლეულისა და ყურძნისაგან, ასუფთავებდა სპირტს, ამაგრებდა ღვინოს, უშვებდა დენატურატს, ამზადებდა სხვადასხვა სახის არყის ნაწარმს – ნაყენს, ლიქიორს, რომს; ხდიდა (ღვინიდან) საკონიაკე სპირტს და მრავალი წლის განმავლობაში მუხის კასრებში დაძველებისა და დაკუპაჟების შემდეგ, ამზადებდა საუკეთესო ხარისხის ქართულ ნატურალურ კონიაკს.

დ. სარაჯიშვილის ფირმა მოიცავდა საქართველოში, ამიერკავკასიაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ბესარაბიაში (მოლდავეთი) შექმნილ 6 სპირტის სარექტიფიკაციო, 1 არყის სახდელ, 1 სხვადასხვა სახის სპეციალური არყის ლიქიორის, რომის, 10 კონიაკის ქარხანას, სპირტის საბითუმო და კონიაკის საწყობებს თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ვარშავაში, კიევში, ბაქოში, ერევანში, ოდესაში, ფეოდოსიაში, პეტროვსკში, ჩარქოუში და სავაჭრო სააგენტოებს რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქში ბორუული ციმბირის ჩათვლით.

1901 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით, სარაჯიშვილმა გამოუშვა სამარკო კონიაკი „ოს" („Очень старый"), „ძალიან ძველი", რომელიც 1888 წლის საკონიაკე სპირტზე იყო დაყენებული. კონიაკმა დიდი მოწონება დაიმსახურა. იგი არაერთხელ დაჯილდოვდა ოქროს მედლით. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის სპირტსახდელი აპარატი საკონიაკე სპირტის წარმოების დემონსტრირების მიზნით, 1901 წ. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზე მოქმედებდა და ხდიდა საკონიაკე სპირტს.

ალკოჰოლური სასმელების წარმოების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დავით სარაჯიშვილს 1902 წელს უმაღლესი ჯილდო – „კომერციის მრჩეველის" წოდება მიენიჭა. 1913 წ. სარაჯიშვილის ფირმას მიეცა ოფიციალური უფლება რუსეთის საიმპერატორო კარი სასმელით მოემარაგებინა. მისმა ფირმამ მიიღო წოდება – „Поставщик двора Его Императорского Величества".

სარაჯიშვილის ფირმის ნაწარმი მაღალი ხარისხისათვის ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებზე 13 მედლით დაჯილდოვდა – 8 ოქროს, 3 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს, 2 დიპლომით ოქროს მედალზე, მათ შორის 1900 წ. პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე 2 ოქროს მედლით.

ფირმის პროდუქციის სახით მომხმარებელმა მიიღო სუფთა ღვინისაგან გამოხდილი უმაღლესი ხარისხის, ფრანგულ ტექნოლოგიაზე დამზადებული ქართული ნატურალური კონიაკი. ამით რუსეთის იმპერიაში საფუძ-

ველი ჩაეყარა ყოველგვარი მინარევისა და დაბალი ხარისხის ნარჩენებისაგან გათავისუფლებულ, მყარ საფუძველზე დამყარებული კონიაკის სრულყოფილ სამრეწველო წარმოებას.

მის ქარხნებში დამზადებულმა საუკეთესო ხარისხის რექტიფიცირებულმა სპირტებმა, სხვადასხვა სახის არყის ნაწარმმა და კონიაკმა გასაღების ფართო ბაზარი მოიპოვა.

უახლესი ტექნიკის ბაზაზე შექმნილი სარაჯიშვილის წარმოება საქართველოში ყველაზე მსხვილი სამრეწველო გაერთიანება იყო. მის ხელში იყო სპირტიანი სასმელების წარმოებიდან საღების 80%, რაც მას საბუღალტერო ლევდა რეგულირება გაეწია საბაზრო ფასისათვის, მიეზიდა მომხმარებელთა დიდი ნაწილი, ხელთ ეგდო გასაღების ბაზარი.

დღეს, სარაჯიშვილის ნაფუძვარზე შექმნილი სააქციო საზოგადოება „დავით სარაჯიშვილი და ენისელი", მისი პრეზიდენტის – ბატონ ელგუჯა ბუბუტეიშვილის ხელმძღვანელობით, წარმატებით განაგრძობს ღირსეული მამულიშვილის წამოწყებულ დიდებულ საქმეს.

თამაზ ჭილაძე

ძველი რვეულებიდან

დავით აღმაშენებლის ძეგლი

მერაბ ბერძენიშვილს

დავით აღმაშენებელი დიდიხანია ჩვენს არსების წიაღში ძეგლად არის წამომართული, დიდიხანია მის სახელს დიად ეროვნულ სიმბოლოდ აღვიქვამთ, როგორც ღირსებისა და უკეთესი მომავლის საფუძველსა და სტიმულს. ქართველმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ აირჩია ის თავის წინამძღვრად და ყველა ქართველი, ანუ ჩვენი წამებული ქვეყნის ყველა შვილი, ცხადსა თუ სიზმარში, „ჩუმის ნატვრითა" მოელის მის გამოცხადებას. თბილისში ყოველ მის შემობრძანებას სასწაულებრივ გადარჩენად მივიჩნევთ და, მართლაც, თუ ერთხელ დამპყრობელს გამოსტაცა ჩვენი დედაქალაქი, დღეს, რვა საუკუნის შემდეგ, იმ სენისგან უნდა გამოგვიხსნას, რომელიც, გარკვეულ წილად, ჩვენივე უმეცრებითა თუ ბედოვლათობით დავიმართეთ და რომელიც აფთარივით გლეჯს კიდეც ჩვენს სულს და რომლის სიმპტომებიც – ღალატი, ნიჰილიზმი, ქურდობა და უვიცობა – ასე აშკარაა დღეს.

ჩვენმა დიდმა მეფემ და დიდებულმა პიროვნებამ შესძლო ის, რაც მხოლოდ ზებუნებრივ ძალას შეუძლია – დაგვაჯილდოვა, ანუ აგვამაღლა ერთიანი სამშობლოს სიამაყით. ალბათ დღეს, მისი ძეგლის წინაშე, თუნდაც წამით, ყველანი უნეტარეს ბედნიერებას განვიცდით, რადგან ვიხსენებთ საკუთარ თავს, საკუთარ ნამდვილ სახეს, რომელსაც სხვისი ნებით თუ ჩვენივე სამარცხვინო მორჩილებით, უცხო და მახინჯი ნილაბი ავაფარეთ, სასტიკ სინამდვილესთან შეგუებისა და დამარცხების ნიშნად. არადა, ეს ძეგლი თითქოს ჩვენგანაა ამოზრდილი, როგორც აუცილებელი, გადაუდებელი სწრაფვა თვითგაცოცხლებისკენ, თვითგადარჩენისკენ. თითქოს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ერთი დიდგორი ჩვენს სულსაც ჭირდება, ანუ განწმენდა ყველაფრისგან, რაც ჩვენს თვითმყოფადობისა და ჭეშმარიტი რაობის გამოვლენას უშლის ხელს.

ახლა ჩვენს მკერდში მისგან ნაბოძები საერთო გული ძგერს და თვალახელილნი, სმენადაბრუნებულები, ერთად, თუნდაც იმ საერთო გულში, ლოცვასავით ვიმეორებთ მისგან ჩანერგილ სიბრძნეს: არ არსებობს ამ ქვეყნად უფრო დიადი და უმაღლესი ჭეშმარიტება, ვიდრე სამშობლოა! დღეს, მისი ძეგლის წინაშე, სიამაყით ვიხსენებთ, რომ მისი თანამემამულეები ვართ, მისი სისხლი და ხორცი. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს მთელი ხალხის ძეგლია, თითქოს კვარცხლბეკზე, მასთან ერთად, მთელი საქართველო დგას.

21.5.97.

სერგო კლდიაშვილი

სერგო კლდიაშვილმა ქართული მწერლობის თვალუწვდენელ სამყაროში თავისი ქვეყანა შექმნა – წყნარი, იდუმალი და უცნაურად მახლობელი. მისმა მოთხრობებმა და ნოველებმა, გასული საუკუნის ოციანი წლების სხვა ქართველი მწერლების შესანიშნავ ქმნილებებთან ერთად, როგორებიცაა, თუნდაც, „შელოცვა რადიოთი“, „დიდი იოსები“, „ლამბალო და ყაშა“, „თავადის ქალი მაია“, არა მარტო საფუძველი ჩაუყარა უძველესი ქართული პოეტური პროზის ახალ ეტაპს, არამედ დასაბამიც მისცა სრულიად ახალ მხატვრულ აზროვნებას და კიდევ ერთხელ ცხადყო ის ჭეშმარიტება, რომ ნოვატორული ძვრები შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც მძლავრი ლიტერატურული ტრადიციები არსებობს. ნოვაცია დაფრთიანებული ტრადიციაა. სერგო კლდიაშვილის შემოქმედება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაწილს იმ უძვირფასესი განძისა, რომლითაც ყოველთვის იამაყებს ქართული მწერლობა და, ამდენად, ქართველი ხალხი.

სერგო კლდიაშვილი თითქოს მესაათის სიფრთხილითა და გულმოდგინეობით „აწყობს“ მოთხრობისა თუ ნოველის „მექანიზმს“, რათა მან არა მარტო დრო აღნიშნოს, არამედ მწერლის გულის ფეთქვაც, რაც ასე მახლობელს ხდის მკითხველისათვის. ბევრი მისი ფრაზა, მეტაფორა მოულოდნელად, ჭრილობასავით იხსნება, საიდანაც ნაწარმოების აზრის აზრი, მუსიკის მუსიკა ამოანათებს ხოლმე. „ღმერთი მე მხოლოდ ჩემი სოფლის ძველ ეკლესიაში მწამს“ – ო, ჭეშმარიტების წიგნაკში და ამ რამდენიმე სიტყვაში თითქოს მთელი ჩვენი სულისკვეთება, იმედი თუ ოცნებაა ჩატეული. ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ: ღმერთი მხოლოდ ჩვენს სამშობლოში გვწამსო და ამას, ყველაზე უკეთ, მხოლოდ... ღმერთი გაგვიგებს. განა შეიძლება ღმერთის სიდიადე და უსაზღვროება არ სწამდეს ადამიანს, რომელიც ასე მიმართავს მას: „მეშინია უკვალოდ გავქრე და თუ ჩემთვის სხვა არა გემეტება რა, ოდესმე ერთ ყვავილად გამახარე ბროწეულის ტოტზე, რომ მერე ტკბილ ნაყოფად გავიზარდო და გზაზე მიმავალ ჩემი ქვეყნის ბავშვს შევერგო“!

როგორც მწერალი, ყველაზე მეტად თითქოს საკუთარი მშობლისგან განსხვავდებოდა – ის არ იყო მამასავით, დიდი დავითივით, მძაფრად დრამატული ფერმწერი, აკვარელის თავისთავად ლირიზმს იყო მინდობილი და აკი უმართლებდა კიდეც, მაგრამ გენეტიკური მსგავსება, გენეტიკური ერთნაირობა მაინც აშკარად იგრძნობოდა – ორივეს ერთნაირად, ტკივილამდე უყვარდა ამ ცისქვეშეთში მარტოდმარტო დარჩენილი ადამიანი, მამასავით სიყვარულის მქადაგებლად იყო მოვლენილი სიძულვილისა თუ გულგრილობის ძეძვით შემოღობილ სინამდვილეში. სიყვარულით იყო სავსე, თუმცა იცოდა, არც შეიძლება არ სცოდნოდა, არაფერი ისეთ უნდობლობასა და გაღიზიანებას არ იწვევს, როგორც გულწრფელი თანაგრძნობა და სიყვარული. მამასავით, დიდი დავითივით, მასაც სხვის მაგივრად სტკიოდა და ისიც სხვის მაგივრად იტანჯებოდა უცნაური ტყუპების – ბედნიერებისა თუ უბედურების, სიყვარულისა თუ სიძულვილის, ლმობიერებისა

თუ სისასტიკის, სხვა სიტყვით – ადამიანური ალოგიკური არსებობის საკანში.

სერგო კლდიაშვილი, მისი თაობის სხვა მწერლების მსგავსად, არა მარტო მწერლური ოსტატობის, ადამიანობის სკოლასაც წარმოადგენდა. პირადად მე, ბევრი რამ ვისწავლე ამ სკოლაში, მქონდა ბედნიერება, ხშირად მესაუბრა მათთან, უფრო ზუსტად – მათი საუბარი მომესმინა.

მკლავში ხელს გამომდებდა და მაჩაბლის ქუჩიდან ახალი ფილარმონიის შენობამდე (იქ იყრებოდა ჩვენი გზები) ერთად გამოვივლიდით რუსთაველის პროსპექტს, ათასფრად აბრწყინებულ მდინარესავით, თავისით, ნება-ნება რომ მიგვარწევდა. ახლაც თითქოს ჩამესმის სერგო კლდიაშვილის თბილი ხმა, ათას ხმაში გამოსარჩევი, გამმჟღავნებელი მისი სიკეთისა, რომელიც, სამწუხაროდ, ასე იშვიათია ჩვენს სინამდვილეში.

რომ შეიძლებოდეს ახლა, ამ საყინულიდან, რასაც დღევანდელი ჩვენი ყოფა ჰქვია, მისივე მოთხრობის, მეტეორივით, სულის გამკაწრავი ფრაზით შევეხმიანებოდი: „ნეტავი არ გაგეთბე...“

2001 წ.

მემატიანე

თუკი ჩვენი ძველი მატიანეებისა თუ დღემდე მოღწეული სხვა ლიტერატურული ძეგლების მიხედვით ვიმსჯელებთ, ადვილად დავასკვნით, რომ ჩვენი წინაპრები განათლებული და კულტურული მკითხველები ყოფილან. ამისთვის, რასაკვირველია, უამრავი და უამრავი მაგალითის გახსენება შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ერთი ფაქტიც საკმარისი იქნება, რომელიც, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით საინტერესოა, თუმცა არც მატიანეა და არც მხატვრულ-ლიტერატურული ძეგლი. ეს გახლავთ ბერ-ის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერა“! ეს უზარმაზარი ტექსტი, მეტად რთული თავისი კონსტრუქციით, ღრმად ინტელექტუალური ბუნების მეტაფორებით, კოლაჟით, ასოციაციებით, თუნდაც, გამოყენებული მასალის სიუხვით, ყველასთვის სავალდებულო კანონი იყო და ეს არის სწორედ ამჟამად საყურადღებო: რადგან ეს ტექსტი, როგორც ვთქვი, ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო იყო („მტკიცედ პყრობაი“!), საფიქრალია, რომ წინასწარ გათვალისწინებული იქნებოდა მისი აღქმის, მისი ყველასთვის ერთნაირად გაგების პრობლემაც, სხვანაირად ვერ გახდებოდა ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო!

რაც შეეხება მატიანეებს, ისინი კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმდროინდელ კულტურულ-ინტელექტუალურ გარემოზე. მართალია, მატიანე მომავლისთვის იწერება, „შეჩერებული წამია“, რომელიც შეიძლება მრავალი საუკუნის მერეც კი გაცოცხლდეს და ამოქმედდეს, მაინც მის მხატვრულსა თუ ინტელექტუალურ, თუნდაც, მეცნიერულ დონეს, ავტორის თანამედროვე გარემო, მკითხველი – ნამდვილი თუ წარმოდგენილი – განსაზღვრავს. ეს, რასაკვირველია, არა მარტო მატიანეზე ითქმის, ყველანაირ შემოქმედზე ერთნაირად ვრცელდება და რაც, თავისთავად, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჩვენი მემატიანეები სწორედ რომ შემოქმედები არიან და არა ბეჯითი, უემოციო, უფანტაზიო, ფაქტის მონა-მორჩილი აღმწერლები. ჩვენი მემატიანეები, მართალია, უამრავი და უამრავი წყაროთი სარგებლობენ, დღევანდელ ისტორიკოსებს აკვირვებენკიდეც წყა-

როების სიუხვითა და მრავალფეროვნებით, მაგრამ აშკარაა, რომ მათთვის ყველაზე დიდ ავტორიტეტებად მაინც მწერლები რჩებიან, თუმცა დიდი ბერძენი თუ რომაელი ისტორიკოსების ნაშრომებს საფუძვლიანად იცნობენ და მეცნიერული კეთილსინდისიერებით სარგებლობენ კიდეც მათი ინფორმაციით. მწერლებს შორის კი ყველაზე დიდ პატივს, ეტყობა, მაინც ჰომეროსს სცემენ. დავითის ისტორიკოსი იტყვის: აქილევსს ასეთ დიდ გმირად ვერ წარმოვიდგენდით, ჰომეროსი რომ არ ყოლოდა მაქებრადო: „შემსხმელად ხამს ომიროს"! ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჰომეროსსაც მემატიანედ, ისტორიკოსად თვლიდნენ, არამედ იმას, რომ თავი მწერლებად, პოეტებად მიაჩნდათ და არც თუ უსაფუძვლოდ – ძველად მატიანე იწერებოდა და აღიქმებოდა კიდეც, როგორც მხატვრული ნაწარმოები. „მემატიანე" და „მწერალი" იდენტურ ცნებებს წარმოადგენდნენ. „დიდ სჯულისკანონში" მოხსენებული „ზღაპართმწერლობითნი ხელოვნებანი" და ისტორიოგრაფია ერთ ჭერქვეშ თავისუფლად გრძნობდნენ თავს. უნდა ვიფიქროთ, მაშინ ჰომეროსის პოემა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მოწონებული წიგნია საქართველოში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მაშინ ამ პოემის ქართული თარგმანიც არსებობდა. ეს ადვილი შესაძლებელია იმდროინდელ მაღალკულტურულ საქართველოში, თანაც, დარწმუნებული ვარ, ჩვენს მემატიანეებს ჰომეროსის პოემის არც ბერძნული წაკითხვა გაუჭირდებოდათ. ამ შემთხვევაში, კიდევ ერთი რამ არის საინტერესო: ისტორიკოსის მიერ ნახსენები ჰომეროსი თავისთავად იმაზეც მეტყველებს, რომ მაშინდელ საზოგადოებაში, როგორც ვთქვი, ამ დიდი პოეტის სახელი აშკარად პოპულარულია, მის პოემებს ქართველი მკითხველი იცნობს. სხვანაირად გამოთქმა: „შემსხმელად ხამს ომიროს" გაუგებარი, მკვდარი იქნებოდა. მკითხველს სულ ცოტა აქილევსის ამბავი მაინც უნდა სცოდნოდა, წაკითხული თუ არა, გაგებული მაინც უნდა ჰქონოდა, რომ ჰომეროსი დიდი პოეტი იყო. ეს კი არც ისე ცოტაა იმ დროისათვის, თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, არც ჩვენი დროისთვისაა ცოტა.

ჩვენი მემატიანეები იღებდნენ და აგრძელებდნენ ძველი ქართული პროზის, კერძოდ, აგიოგრაფიის ტრადიციებს, ოღონდ, იმ, თითქმის ძირითადი, განსხვავებით, რომ მათი ნაწარმოებების გმირებს, უპირველეს ყოვლისა კი, მთავარ პერსონაჟს, გაცილებით მეტი თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული სამოქმედოდ, ვიდრე აგიოგრაფიული ნაწარმოებების პერსონაჟებს და ეს გასაგებიცაა – აგიოგრაფიული წმინდანის პოზა, რაც უნდა ოსტატურად იყოს გადმოცემული, მაინც სტატიურია და მისი მოძრაობა, მოქმედება წრიული ხასიათისაა, დაკანონებულია, უფრო მეტიც – რეგლამენტირებულია ეკლესიური დოგმებითა თუ ექსატოლოგიური წარმოდგენებით, მისი სამოქმედო სივრცე შემოზღუდულია, ის კუნძულზე მოქმედებს და არა მატერიკზე.

ქართულმა ბრწყინვალე, ჭეშმარიტი ლირიზმით აღბეჭდილმა აგიოგრაფიამ უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა საერთოდ ქართული, როგორც საეკლესიო, ასევე საერო პროზის შესაქმნელად, რადგან ბიზანტიურისგან განსხვავებით, მის მიერ წარმოდგენილ ხასიათებში უხვად იყო გამომზეურებული ჩვეულებრივი ადამიანური ვნებანი. აგიოგრაფიული წმინდანის სტანდარტულმა სილუეტმა, საისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიო ნაწარმოებებში გადასვლის შემდეგ, შეინარჩუნა მთავარი ადგილი მოქმედ პირთა კონფიგურაციაში და, ამასთანავე გამდიდრდა, „გაცოცხლდა“ მინიერი თვისებებით.

აქტიური პოლიტიკოსობა (აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი დავითის ისტორიკოსს „პარტიულს“ უწოდებს!) და დიდი მხატვრული ნიჭი – აი, ჩვენი მემატიანე-ბელეტრისტების ორი ძირითადი ნიშანი. მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეული – დავითის ისტორიკოსი – ფენომენალური მოვლენაა, გავლილი აქვს ქართული აგიოგრაფიის დიდი სკოლა, იცნობს თითქმის ყველა იმდროისათვის აღიარებულ ისტორიკოსის შრომებს, შთაგონებულია დავით აღმაშენებლის ცხოველმყოფელი იდეებით და ეს მისი „თანაგამკაფველობა“, აქტიური პოზიცია მის ნაწარმოებს უაღრესად ემოციურსა და პოეტურს ხდის. წერის მანერით, თითქოს იაკობ ცურტაველსა ჰგავს, ოღონდ, უფრო მკვეთრად გამოკვეთილი ობიექტური თხრობა ახასიათებს, რაც გასაგებია და სწორედ მემატიანესთვისაა ნიშანდობლივი.

შეიძლება ითქვას, ამ დროს ისტორიოგრაფია მეცნიერება კი არა, ჯერ კიდევ ხელოვნებაა, უფრო ზუსტად – მხატვრული ლიტერატურაა და დღესაც, სხვათაშორის, ასევე აღიქმება, მიუხედავად ფაქტებისადმი მისი უაღრესი ერთგულებისა; მეცნიერებასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის ჯერ კიდევ არ არის მკვეთრი ზღვარი გავლებული. ყველაზე „ზღაპრული“ სხვა მემატიანეებს შორის – ჯუანშერი ხომ პირდაპირ ვერლიბრით მეტყველებს, აი, თუნდაც მაშინ, როცა ნებროთზე მოგვითხრობს: „ენება, რათა აღვიდეს ცად და იხილნეს მყოფნი ცისანი, ხოლო ვითარცა განვლო საზღუარი ჰაერისა და შევიდა საზღუართა ვარსკულავთასა, ვერღარა უძლებდეს საქმედ მოქმედნი, რამეთუ დადნებოდა ოქრო-ვერცხლი, რამეთუ მუნითგან ვინმე არს ხელმწიფება ცეცხლისა ეთერისა მის ეგზების მძაფრად სამყაროს ქცევისგან“! მართლაც, უამრავი, ვერლიბრით შესრულებული პასაჟი შეგვიძლია მოვიძიოთ ჩვენი მემატიანეების ფურცლებზე. შეიძლება ითქვას, ჩვენი მატიანეების ავტორები – ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ XI-XIII საუკუნეებს – ხელმწიფის კარის მწერლები არიან და თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი კარის მწერლისთვის თითქმის სავალდებულოდ ქცეულ უნივერსალიზმს, ეს სრულებითაც არ იქნება გასაკვირი, ოღონდ, ისიც უნდა ითქვას, მხოლოდ გარკვეული ეპოქის ისტორიკოსებისთვის როდია დამახასიათებელი ასეთი პოეტურობა, იქამდისაც და მერეც, ეტყობა, ჩვენს მატიანეებს ძირითადად პოეტები წერდნენ. აი, თუნდაც, იოანე საბანისძე, ანდა „ისტორიანისა და აზმანის“ უცნობი ავტორი. ხოლო გიორგი მერჩულეზე ივანე ჯავახიშვილმა ასეთი რამ თქვა: „ჩვენი ისტორიკოსი პიროვნულადაც დიდი პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული“-ო.

ჩვენი მატიანეების ჟანრობრივი ხასიათი განსაკუთრებით საინტერესოა დღეს, რადგან ეს არის პოლიტიკური პროზის მკაფიო ნიმუშები. აუცილებელია სასწავლო პროგრამებში მათი შეტანა. თამამად შეიძლება ითქვას, დავითის ისტორიკოსი და ჟამთააღმწერელი დიდი ქართველი მწერლები არიან...

1982 წ.

ჰიმნი და კომპოზიტორი

იოსებ კეჭაყმაძე პირდაპირი მემკვიდრეა დიდი ნიკო სულხანიშვილისა.

ამას თავიდანვე საგანგებოდ იმიტომაც აღვნიშნავ, რომ ისიც, გვიმხელს და გვიზიარებს რა ჩვენი უბრწყინვალესი, თითქოს ცისარტყელებით მოქსოვილი, ფოლკლორით აღტაცებას, ამავე დროს კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვიმტკიცებს, ნებისმიერი ტრადიცია ნოვატორობის გარეშე, ყოველდღიური ცხოვრებიდან აუცილებლად მუზეუმში რომ გადაინაცვლებს, მუზეუმის ექსპონატად იქცევა. სწორედ სიახლისკენ სწრაფვამ, ტრადიციის აქტიურმა განცდამ შეაძლებინა კომპოზიტორს „ცოცხლად" გამოეღწია კლასიკის თუ ფოლკლორის იმ მუსიკალური ლაბირინთიდან, რომელსაც, თავისთავად სიკეთესთან ერთად, მეტად სერიოზული საფრთხეც ახასიათებს – ადვილი შესაძლებელია მის სამუდამო პატიმრად დარჩე, რისი მაგალითიც ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებაში მრავლად გვხვდება და არა მხოლოდ მუსიკოსთა შორის.

იოსებ კეჭაყმაძის უაღრესად ტრადიციული და შეიძლება სწორედ ამის გამო ასევე უაღრესად ეფექტური სიახლით გამორჩეული, მკვეთრად ჩამოყალიბებული, მაღალპროფესიული საგუნდო მუსიკის ძირითად საყრდენ, შემოქმედებით იდეას წარმოადგენს ადამიანის ხმა, როგორც სუბსტანცია, როგორც სულჩადგმული ფენომენი, თავისთავად რომ წარმოადგენს მუსიკას და თავისი ერთადერთობით, თუ გნებავთ, მოჩვენებითი დაუცველობით, უმწეობის გრძნობას კი არ იწვევს, არამედ ასხივებს ცხოველმყოფელ ძალას, როგორც ცეცხლი ანდა ქანდაკება.იოსებ კეჭაყმაძის საგუნდო მუსიკა, კლასიკური გაგებით, წარმოადგენს აკაპელას, ანუ ადამიანის ხმის უპირატესობის, უზენაესობის დადასტურებაა და იმის შეხსენებაც, რომ ადამიანს ღმერთთან საუბრის დროს შუამავალი არ ჭირდება. ადამიანის ხმის სწორედ ამ [illegible] დუმლო შესაძლებლობათა ძიებაა კეჭაყმაძის ე. წ. ციკლური გუნდები, ანუ ვარიაციები ქართული პოეზიის წიაღიდან განძივით ამონათებული ხმებისა. ეს არის სმენითი პოეზია, რომელიც მსმენელს, მიუხედავად მუსიკალური მონაცემებისა თუ განათლებისა, თითქოს დიადი ეზოთერიული აქტის მონაწილედ ხდის. და სწორედ ამ დროს, ანუ შემოქმედისა და მსმენელის შეხვედრის, შეერთების, ერთარსებად ქცევის მღელვარე, სასიამოვნოდ მტკივნეულ წუთებში, ვირტუოზული ტექნიკა უნარჩუნებს არა მხოლოდ პროფესიონალურ წონასწორობას, არამედ მისთვის ასე რიგ დამახასიათებელ სილაღესა, თუ ხმის უცნაური მანიპულაციების წყალობით გამძაფრებულ თამაშის ელემენტს, ნებისმიერი მსმენელისთვის მისაწვდომს რომ ხდის მის მუსიკას. თითქოს კომპოზიტორთან ერთად ვასრულებთ ადამიანობის სადიდებელ ჰიმნს, მუსიკით აღძრული წარმოდგენებით ვაგებთ თითქოს ჩვენს იდეალურ სამყოფელს, ჩვენთვის სასურველ რეალობას.

ჰიმნი, რასაკვირველია, შემთხვევით არ გამხსენებია: ტრადიციების დიდმა ერთგულებამ, ეროვნული მუსიკის ღრმა, მეტიტყოდი – მოქალაქეობრივი აქტიურობით განცდამ, თუნდაც, ჩვენი სამშობლოს დღევანდელმა მდგომარეობამ, კომპოზიტორი, თითქოს თავისთავად, ფალიაშვილის მუსიკასთან მიიყვანა, ფალიაშვილის საოპერო მელოდიები ეროვნული სახელმწიფოს ჰიმნად წარმოგვიდგინა.

ჰიმნი არის ფიცი, მისი შესრულების დროს, ერთად რომ დებს მთელი ხალხი ღმერთისა და კაცობრიობის წინაშე. ამდენად, ჰიმნი ეროვნული ერთიანობის დიდებულ გრძნობას წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშობს. ჰიმნი არა მარტო აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ აერთიანებს სამშობლოსა და სახელმწიფოს ცნებებს. სამშობლო, რასაკვირველია, გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე სახელმწიფო, მაგრამ ბედნიერებაა, როცა ეს ორი ცნება ერთიმეორეს ემთხვევა. ჰიმნი არის შეხსენება იმისა, რომ ამქვეყნად, თუკი სამშობლო გაქვს, მარტო არა ხარ, შენთან ერთად მთელი შენი ქვეყანაა, რომ თითოეულ ჩვენგანს, თვით ყველაზე უპოვარსაც კი, გააჩნია სიმდიდრეთა შორის ყველაზე დიდი სიმდიდრე – სამშობლო! ეს კი სიამაყის გრძნობით ავსებს და ამაღლებს ნებისმიერ პიროვნებას. ადამიანისთვის აუცილებელია ამაყობდეს სამშობლოთი, თუკი, რასაკვირველია, ზოგად ჭეშმარიტებას არ აყენებს სამშობლოზე მაღლა და თავის ჰიმნად „ინტერნაციონალს“ არ აღიარებს.

ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა დიდიხანია არაოფიციალურ ჰიმნადაა ქცეული ჩვენი ხალხისთვის. ქართველი ადამიანი სამშობლოში თუ სამშობლოს გარეთ, იმეორებდა და იმეორებს მას, თუნდაც სულის სიღრმეში, როგორც მშობლიურ ჰანგს, როგორც სულიერ თავშესაფარს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რადიოსადგური „თავისუფლება“, კომუნისტური რეჟიმის დროს, ქართულ ენაზე მაუწყებლობას სწორედ ამ ჰანგის ფრაზით იწყებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ უკვე მაშინ, ის, ვინც უბედობას სამშობლოდან გაეხიზნა და ისიც, ვინც სამშობლოში ამ გადაცემას მალულად, დიდი რისკის ფასად, მაგრამ, ამასთანავე, იმედით უსმენდა, თუნდაც, გაუთვითცნობიერებლად, უკვე ჰიმნად, ანუ მთავარ ეროვნულ მელოდიად აღიქვამდა. ამდენად ფალიაშვილის მუსიკამ დიდიხნის განმავლობაში ქმედითად ებრძოლა ჩვენი თავისუფლებისთვის, და დღეს ჩვენთან ერთად, შეიძლება ითქვას, ისიც გათავისუფლდა.

იოსებ კეჭაყმაძის მიერ ფალიაშვილის საოპერო მელოდიების სახელმწიფო ჰიმნის სახით წარმოდგენა არა მარტო მასწავლებლისადმი უღრმესი პატივისცემისა და ერთგულების გამოვლენაა, არა მარტო კიდევ ერთი აღიარებაა დიდი ეროვნული შემოქმედისა, არამედ თითქოს თითოეული ჩვენგანის მადლიერების გამოხატვაცაა, თითქოს თითოეული ჩვენგანი აცხადებს, რომ მემკვიდრეა ყველაფერი იმ საუკეთესოსი, რაც მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას შეუქმნია და ამით ვაკანონებთ კიდეც უფლებას საკუთარ მომავალზე.

აქვე შეიძლებოდა ისიც მეთქვა, რომ დღეს, კონტრკულტურის აღზევების, პროვინციალიზმისა და ნიჰილიზმის მძლავრობის ჟამს, პოლიტიკომანიის ყოვლისშთანმთქმელ მორევში, განურჩევლობისა და განუკითხაობის პირობებში, იოსებ კეჭაყმაძე, ჩვენი რამდენიმე, მართლაც, შესანიშნავი მუსიკოსის მსგავსად, თავისთავად, თითქოს უნებურადაც კი, იძენს ტრადიციების, ჭეშმარიტად ეროვნული მუსიკის, კულტურის მსახურისა და დარაჯის ფუნქციას...

1999 წ.

„იქ, სადაც ღვარად მოედინება“

ირაკლი სამსონაძის პიესა „იქ, სადაც ღვარად მოედინება“, შეიძლება ითქვას, თვისობრივად ახალი ეტაპია ამ საინტერესო დრამატურგის შემოქმედებაში. „სცენა წარმოადგენს ნივთებით გადატვირთულ სარდაფს. იგ-

რძნობა სტილთა აღრევა. თითქოს კერძო კოლექციონერის ბინის, კაფებარისა თუ თეატრის ფოიეს სხვადასხვა ნიუანსების უცნაურ შერწყმას უყურებ", – ეს პიესის რემარკიდანაა. შექმნილია ერთგვარი მოდელი ახალი სინამდვილისა, ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „მთელი სამყაროს ბუტაფორია", „ფორმაცია", სადაც არა მარტო ადამიანები, ღმერთებიც კი ექსპონატებად არიან ქცეულნი. ეს არის ჰერმეტულად დახურული სამყარო – გარე სინამდვილეს მოწყვეტილი სარდაფი, ქვესკნელი. აქ მხოლოდ შინაგანი კანონები მოქმედებენ, შეიძლება მამონის საბრძანებლადაც მივიჩნიოთ, სადაც მთავარი ექსპონატი – სპილენძის აბსტრაქცია – კერპის სიმბოლოს წარმოადგენს. აქ ცხოვრებიდან გამორიყული ადამიანები თითქოს თავიანთი ნამდვილი სახით გვევლინებიან, ანუ უელსის უჩინმაჩინის მსგავსად, სიკვდილის წინ იბრუნებენ თავიანთ ბუნებრივ სახეს. აი, ეს არის პიესის მამოძრავებელი აზრი. არც სიკვდილი მიხსენებია შემთხვევით, რადგან თუკი რაიმე სახელი შეიძლება მოვუძებნოთ ამ სამყაროს, ალბათ, ჯოჯოხეთის ერთ-ერთი წრის სახელი აღმოჩნდება ყველაზე შესაფერი.

ავტორი, ბევრი და ბევრი დღევანდელი ჩვენი დრამატურგისგან განსხვავებით, წერის დროს, პიესის სცენაზე დადგმაზე აშკარად არ ფიქრობს, რაც სასიკეთოდ მოქმედებს ტექსტის მხატვრულ მხარეზე, თუმცა ცდუნება ძალიან დიდია – დღეს, ფაქტიურად, დრამატურგისგან სანახაობის სცენარს მოითხოვენ და არა პიესას. ოქროს კერპად ქცეულმა შოუ ბიზნესმა თეატრიდან, უპირველეს ყოვლისა, თეატრი გამოაძევა, უფრო ზუსტად, ჩვენი ტრადიციული წარმოდგენა თეატრზე. ამიტომაც გაქრა ყველა ის აუცილებელი მოთხოვნა, რასაც პიესას, როგორც მხატვრულ და თუ გნებავთ, როგორც თეატრალურ ნაწარმოებს ვუყენებდით. პიესისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ კი თავისთავად გამოიწვია თეატრის დიადი მისიის სრული იგნორირება. ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ აღმოვჩნდით გაურკვევლობისა და გაუგებრობების უდაბნოში, თანაც მიზანი, ანუ სწრაფვა აღთქმული ქვეყნისკენ თურმე არა მარტო არ გაგვაჩნია, არამედ არც კი ვიცით, რა არის, როგორია ეს აღთქმული ქვეყანა, რომელსაც ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, წარმოვიდგენ, როგორც სულის თავშესაფარს, ანუ როგორც სიმბოლოს. ალბათ ამიტომაც გაჩნდა ქართველი დრამატურგის ნაწარმოებში მოსე, რომლის ათი მცნებაც, ერთი დღევანდელი ქართველი მწერლის თქმით, ადამიანის „ათი ძირითადი ადამიანური თვისების აღმოჩენაა". ეს ათი მცნება ღმერთმა მონობიდან გათავისუფლების მსურველებს თითქოს უდაბნოში დააწია, რათა აღთქმულ ქვეყანაში ადამიანებად შესულიყვნენ. ჭეშმარიტებაა, რომ არასოდეს ასე საჭირო არ ყოფილა ჩვენთვის მათი გახსენება, როგორც ამჟამად, დღევანდელ ვითარებაში, აღნიშნულ ნაწარმოებში სწორედ მარადიული სიმბოლოების საშუალებით (ოქროს კერპი, მოსე...) იკვეთება კონკრეტული მიმართება ყველაფრისადმი, რაც ახლახან გადაიტანა ქართველმა ხალხმა. ამ თითქოს და აბსოლუტურად დახშულ სამყაროში იგრძნობა უაღრესად დრამატიზირებული ურთიერთობა გარესამყაროსთან. შიში, თუნდაც ბიოლოგიური, აი, რა აკავშირებთ პერსონაჟებს სინამდვილესთან, ზოგჯერ გაუთვითცნობიერებლადაც კი.

ლიტერატურული ტექსტის მრავალსართულიანი შრეები, შექმნილი ლიტერატურული თუ მითოლოგიური რემინისცენციებით „ახალი ფორმაციის“ ტრადიციულობას აღნიშნავს, ანუ იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ ამქვეყნად არც ესაა ახალი. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ახალი დროულად გახსენებული ძველია, თუკი ცნობილ გამონათქვამს ოდნავ შევცვლით. პერსონაჟების ხელოვნურად გაღარიბებული თუ გამარტივებული ენა წარმოქმნის ლიტერატურული ასოციაციების მთელ ჯარს. სწორედ ეს „ჯარია“ დაბანაკებული“ მუზეუმად გადაქცეული კაზინოს“, უფრო ზუსტად – გარდასულ ცივილიზაციათა ნაშთების საწყობად გარდაქმნილ სამყაროში. მაგრამ დიადი ნაწარმოებებიდან თუ ასევე დიადი მითებიდან აღძრული ასოციაციები ნამდვილ, საბრძოლველად შემართულ ჯარს კი არ მოგვაგონებენ, არამედ სამუზეუმო ექსპონატებად გამოფენილ მეომართა ფიტულებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სევდიანად თუ დაგვაფიქრებენ იმ დროზე, როცა მოსე იბრძოდა ადამიანში ადამიანობის დასამკვიდრებლად. ეს კი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ბრძოლაა, რომელიც დღესაც გრძელდება,რასაც, თუნდაც, ამ პიესის გამოჩენა ადასტურებს. ჩვენს წინაშე ისევ მოსეა, საკუთარი უმიზნო არსებობით, დღევანდელობით შეშლილი მოხუცი, რომლის არსების წიაღიდანაც ბიბლიური უკვდავი სული შემზარავ, ამასთანავე, უაღრესად თანადროულ ქადაგებას კიდევ ერთხელ გვასმენინებს: „უდაბნოა მთელი სამყარო... უდაბნოში მივდივართ დღემდე... კოცონი ანთია... დიდი უდაბნო... ბზე... დიდი მზე... ოქროს ხბო. ოქროს ხბოსთან დიდი კოცონი... მზე... სასაზე მიკრული გამშრალი ნერწყვი... წყალი, სულ ცოტა წყალი, რომ სასაზე მიკრული ნერწყვი გადააყოლო რაღაცას... როკავენ... ყველა როკავს... დაფდაფები... სიცხე... შორს, შორს კი ღვარად მოედინება თეთრი რძე... რძე გრილია... წყურვილს კლავს... უფლის მადლი... უფლის მადლი... უფლის მადლშია ჭეშმარიტების შეცნობა, ჭეშმარიტების შეცნობაში კი ნამდვილი თავისუფლება... წრე გაწყდა... მარტონი დავრჩით...“

ჩვენს თვალწინ ადამიანები, ანდა უკეთესია თუ ვიტყვი: ადამიანების ნარჩენები, ღია სამარის პირას ცეკვავენ და ამ ეგზალტირებული ცეკვის დროს ფეხით სრესენ ბავშვურ წრფელ ხილვებსა თუ ოცნებებს. ტყუილად როდი ადგას ამ სამყაროს შექსპირის ერთერთი პიესის ეპიზოდური პერსონაჟის (თუკი შექსპირის რომელიმე პერსონაჟზე შეიძლება ითქვას, ეპიზოდურიაო!) – მეაფთიაქის პირქუში სახე, დღევანდელი მასობრივი ხელოვნების სიმბოლოდ რომ გამოდგება, რადგან ოქროს გულისთვის ბავშვებს წამლავს.

დღევანდელ დღეს ამ ნაწარმოების გამოჩენა ბუნებრივია და ერთგვარად იმედის აღმძვრელიც – მიუხედავად ყველაფრისა, ეტყობა, ნამდვილ მწერლობაზეც ვფიქრობთ, ვფიქრობთ თეატრზე, რომელმაც ჩვენი უნიღბო სახე უნდა დაგვანახვოს...

1995 წ.

ღია წერილი უკრაინელ პოეტებს:

დმიტრო პავლიჩკოს,
ივან დრაჩს,
პავლო მოვჩანს

„მთების იქით მთები,
დაბურული ნისლით,
მწუხარებით სავსე
და მორწყული სისხლით.“

ტარას შევჩენკო

არასოდეს ასე აუცილებლად არ მიმიჩნევია წერილის გამოგზავნა, როგორც მაშინ, როცა ჩვენი ტელევიზორის ეკრანზე იმ უკრაინელ მფრინავებს აჩვენებდნენ, ვისაც გაყინული მთებიდან საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეული ქართველები ვერტმფრენებით გადმოჰყავდათ. ისეთი ძლიერი იყო სურვილი, გამომეთქვა მადლობა მათი უაღრესად ადამიანური საქციელის გამო, რასაც, სამწუხაროდ, თუ საუბედუროდ, გადავეჩვიეთ, რომ გადავწყვიტე შეგხმიანებოდით თქვენ, ჩემს მეგობრებს, რომელთა ცხოვრებამ და შემოქმედებამ, დარწმუნებული ვარ, გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ამ მფრინავთა კეთილშობილური საქციელი.

ჩვენი მეგობრობა თავიდანვე ჩვენი ხალხების საერთო ბედმა თუ უბედობამ განაპირობა და განამტკიცა კიდეც. თქვენც წამებული ქვეყნის შვილები ხართ, ერთგულნი დიდი კობზარის ანდერძისა, რომელიც რუსეთის იმპერიის – ხალხთა საპრყობილის – პატიმართა ჰიმნი იყო და არის კიდეც, რადგან ეს საპყრობილე გაცილებით ძნელი დასანგრევი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა ჩვენ, ვინც მზად ვიყავით ამისთვის თავიც გაგვეწირა.

თუმცა პოლიტიკას არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი ძლევამოსილება, არაერთი ქვეყანა თუ ხალხი განუდიდებია, ანდა პირიქით, მინასთან გაუსწორებია, მაინც მჯერა, კაცობრიობის ბედს პოლიტიკა კი არა, ღვთაებრივი ძალა წარმართავს. ისიც მწამს, რომ კაცობრიობა და, ამდენად, ქართველებიცა და უკრაინელებიც, განგებას ბოლომდე არ გაუწირავს, დანარჩენი უკვე ჩვენზეა დამოკიდებული.

მე თქვენს სამშობლოსთან ბევრი რამ მაკავშირებს, ბევრი ადამიანური სითბო და სიამე მიგემია მისგან. არასოდეს დამავიწყდება, თუნდაც, ის დიდებული დღე, როცა ლვოვში, ბოგდანის გორაზე, უკრაინელ ახალგაზრდებთან, იქაურ სტუდენტებთან ერთად, ერთგულებისა და სიყვარულის ფიცი დავდე. ამ ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანმა ფაქტმაც, ცხოვრების მანძილზე არაერთ ცდუნებას გადამარჩინა და მომცა ძალა დღემდე შემენარჩუნებინა საკუთარი თავის პატივისცემა, რაც ალბათ ჩემი ყველაზე დიდი ადამიანური მიღწევაა ამ დაუნდობელ წუთისოფელში. ლვოვში გატარებულ დღეს ხშირად ვიხსენებ ხოლმე, განსაკუთრებით კი ახლა, როცა ჩემი ჯვარცმული სამშობლო ასე ეწამება. დარწმუნებული ვარ, თქვენთვისაც ცნობილია, რა ჯოჯოხეთიც ტრიალებს დღეს საქართველოში,რომლის უძვირფასესი კუთხე – აფხაზეთი – ოკუპირებულია რუსეთის რეგულარული არმიისა და მის მიერ წათამამებული, შეიარაღებული ექსტრემისტ-სეპარატისტების მიერ. როგორი უნდა ყოფილიყო მათი სისასტიკე, რომ სამასი ათასი აბორიგენი ქართველი დედა-ბუდიანად აყრილიყო, რაც კი გააჩნდა, ყველაფერი მიეტოვებინა და თავის გადასარჩენად წამების გზას დასდგომოდა, მერე, სამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლიანად, „გოლგოთის გზად“ რომ მონათლეს. ეს არის ბიბლიური საშინელების მსგავსი მოვლენა, მთელი ქართველი ხალხის გენოციდი. ასეთი რომ კაცობრიობის ახალ ისტორიას არ ახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ფაშიზმისა და რუსული ბოლშევიზმის ჯოჯოხეთი აქვს გამოვლილი.

რაც დღეს აფხაზეთში ხდება, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – საერთაშორისო საფრთხეა, რომელსაც პროგრესულმა მსოფლიომ დროზე, გაერთიანებული ძალით უნდა მოუაროს. აფხაზეთი ამჟამად მსოფლიო ექსტრემიზმის საცდელი პოლიგონია, მაგრამ საკვირველი და ტრაგიკული სწორედ ის არის, პროგრესული, მაგრამ პოლიტიკურად აშკარად ბეცი მსოფლიო ამას ვერ ამჩნევს. ექსტრემიზმი პაწაწინა ნიღბოსან ჯგუფიდან გლობალურ მოძრაობად, ანუ გლობალურ საფრთხედ გადაიქცა. ბურუსის ნაფლეთივით, თანდათანობით ამოიწვერა იმ სისხლიანი ჭაობიდან, რომელიც ბოლშევიზმისა და ფაშიზმის საერთაშორისო ტერორის შემდეგ, ლაქასავით დააჩნდა კაცობრიობის სულის რუკას. დღევანდელი ექსტრემიზმი გენეტიკურად მათი მემკვიდრეა, ამიტომაცაა განუწყვეტლივ სისხლს რომ მოითხოვს. მის მიერ დაღვრილი სისხლითაა მორწყული მეტროს სადგურები, აეროვაგზლები, მოედნები, ქუჩები, სკოლები, ეკლესიები, საკონცერტო დარბაზები. ექსტრემიზმის უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლი იღვრება დღეს საქართველოში. ღმერთმა აშოროს უკრაინას ის, რაც დღეს ჩვენში ხდება, საერთოდ, ყველა ხალხი დაიფაროს ღმერთმა ამისგან. ჩვენ ყველას მხოლოდ ბედნიერებას ვუსურვებთ, რადგან კარგად ვიცით, რა არის უბედურება.

თქვენ დიდი კობზარის შთამომავლები ხართ, იმ ტანჯული პოეტისა, რომლის გენიალურ წარმოდგენებსა თუ ხილვებს უცნაურად აფორიაქებდა კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვული პრომეთეს სახე და „მწუხარებით სავსე და სისხლით მორწყული“ ქვეყნის ბედი, რომელზედაც ფიქრი თქვენმა დიდმა მოძღვარმა, მართლაც რომ, ანდერძივით დაგიტოვათ. თქვენ დიდი მიკოლა ბაჟანის, რუსთაველისა და გურამიშვილის მთარგმნელის, უმცროს თანამებრძოლებად მეგულებით. დარწმუნებული ვარ, ეს უკრაინელი ბაირონი დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო, უმალ საქართველოს მოაშურებდა, მისი თავისუფლებისა და, თუნდაც უკრაინელი ხალხის ღირსების დასაცავად, რადგან როცა სხვა ერის თავისუფლებისთვის იბრძვი, ამით, უპირველეს ყოვლისა, შენ ერს განადიდებ.

ბოლოს ერთი რამ მინდა გთხოვოთ: იქნებ ეს წერილი გააცნოთ დღევანდელ უკრაინელ სტუდენტებს, რათა ამ გზით ლვოვში, მაშინდელ უკრაინელ ახალგაზრდებთან გატარებულ დღეს, ძვირფას მოგონებებს შევეხმიანო.

გადაეცით ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს – თვალის ჩინივით გაუფრთხილდნენ თავისუფლებას, რადგან ამქვეყნად ყველაზე ძნელი მოსაპოვებელი და, ამავე დროს, ყველაზე ძნელი დასაცავი თურმე თავისუფლება ყოფილა.

უთხარით უკრაინელ ახალგაზრდებს, რომ „მთების იქით“ არის ქვეყანა, რომელიც მათი მეგობარი იქნება ყოველთვის, სიხარულისა თუ განსაცდელის ჟამს, უთხარით, რომ ადამიანი არა მარტო თავისუფალი უნდა იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ გამათავისუფლებელიც, მხოლოდ ასე აღასრულებს თავის ამქვეყნიურ მოვალეობას.

აი, ეს მინდოდა მომეწერა, არ ვიცი, შევძელი თუ არა თქვენთვისაც გამეგებინა ის, რასაც ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

22.II.1993 წ.

P. S. გულწრფელად რომ ვთქვა, ეს ბარათი აღარც მახსოვდა, შემთხვევით აღმოვაჩინე ჩემს ძველ რვეულში. ვერც ის გავიხსენე, რამ შემიშალა ხელი, რამ გადამაფიქრებინა მისი გამოგზავნა და რადგან ამ ათი წლის განმავლობაში საქართველოს ცხოვრებაში თითქმის არაფერი შეცვლილა, გადავწყვიტე აქ მაინც გამოვაქვეყნო უცვლელად, ყოველგვარი შესწორებისა თუ ჩამატების გარეშე.

26.11.03.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გაჭრაძე

„არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“*

ფილოსოფიური სტატიების იმ ციკლში, რომელსაც არჩილ ჯორჯაძემ, ალფონს დოდეს მიბაძვით, „წერილები იტრიის წისქვილიდან“ უწოდა, სიყვარულის შესახებ ნათქვამია: „ეს უცნაური წყარო სიხარულისა და სევდისა, წყარო შვებისა და იმავე დროს მწუხარებისა“.

მართლაც, იმთავიდან დღესამომდე ყველა სიხარულსა და მწუხარებას კაცობრიობა უკავშირებს სიყვარულს. სასწაულებრივ ძალას ანიჭებს მას. მეტი რაღა გინდათ? „ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია“, – გვასწავლის მოციქული იოანე (ეპისტოლე პირველი, IV,8).

ძველ შუმერში ფიქრობდნენ, რომ კახპა შამხათთან ერთი ღამის გათევამ აქცია მხეცპირიანი ენქიდუ ადამიანად („გილგამეშიანი“). ქალის შეცნობამ მოახდინა ეს სასწაული (სხვათა შორის, რუსული ენა მამაკაცისა და დედაკაცის თანაყოფას შემეცნებასთან აკავშირებს: познать женщину, познание женщины).

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ფედერიკო ფელინი წიგნში „ფილმის კეთება“ – შემდეგს გვიამბობს: ერთხელ ერთმა ახალგაზრდა ქალმა შეკითხვა მომცაო – თქვენს ფილმებში როსკიპები პატივისცემით და სიყვარულით არიან დახატული. ხომ ვერ აგვიხსნით – რატომ? მაშინ გამიჭირდა პასუხის გაცემა. მერე დავფიქრდი და მივხვდიო. როსკიპები, ჩვენი, მამაკაცების „მეორე მშობლები“ არიანო. თუ ჩვენ დედებს ჩვენს ხორციელ შობას ვუმადლით, როსკიპების მადლობელი იმიტომ უნდა ვიყოთ, რომ ისინი ჩვენგან, მიამიტი ბიჭებისაგან, მამაკაცებს აყალიბებენ. მამაკაცად ქცევა კი დაბადებაზე არანაკლებ რთული პროცესია...

ძველ ეგვიპტეში კი სწამდათ, რომ ისისისა და ოსირისის სიყვარულის წყალობით ნაყოფიერდება მიწა, მსხმოიარობს ხეხილი, ჰყვავის ბაღჩა-ბაღი (პლუტარქე – „ისისი და ოსირისი“).

ძველი ტროელები ომს, კაცთაკვლას და სისხლისღვრასაც კი ამართლებდნენ მზეთუნახავი ქალის გულისათვის.

მშვენიერი ელენე ხალიჩას ქსოვდა და ზედ ტროელთა და ბერძენთა ომის ეპიზოდები გამოჰყავდა, ქალღმერთმა ირისმა რომ შეატყობინა – პარისი-

* ეს წერილი გათვალისწინებულია „სიყვარულის წიგნის“ მესამე გამოცემის წინასიტყვაობად.

სა და მენელაოსის ორთბარძოლა იწყებაო, აღელვებული ქალი სკაიას ბჭისაკენ გაეშურა. ბჭესთან მოხუცი ტროელები ისხდნენ. მათ ბრძოლის თავი აღარ ჰქონდათ, მაგრამ ქალის სილამაზის ფასი იცოდნენ. როცა მათ ელენემ ჩაუარა, ერთხმად დაასკვნეს: ამ ქალისათვის ღირს ომი და ხოცვა-ულეტა. ვერც ბერძნებს გავამტყუნებთო და ვერც ტროელებს („ილიადა“, ქება მესამე).

ეს მეცხრამეტე საუკუნეში შებედავენ, თაყვანისცემასთან ერთად, საყვედურს სილამაზეს, თორემ ანტიკურობა მისი მაღმერთებელი იყო.

„მოციქული ხარ ჯოჯოხეთის თუ
ცის მნათობი,
აღტაცებული ბედი დაგდევს,
როგორც ფინია;
უბედურებას და სიხარულს სთეს და
ერთობი,
მეფობ და შენთვის ყველაფერი
არაფერია.“

(**შარლ ბოდლერი** – „სილამაზის საგალობელი“)

ყველა ხალხის ზღაპრებში ქალის ცრემლს მკვდრეთით აღმდგენის ძალა აქვს. საკმარისია გარდაცვლილ მიჯნურს სატრფოს კურცხალი დაეცეს, რომ მაშინვე ფეხზე წამოდგეს. ალბათ, ამიტომაც გაუხარდა არჩილს კესოს ტირილი, გიორგის დაღუპვის მერე („ოთარაანთ ქვრივი“).

მართალია, ქალს ღმერთებისათვის ცეცხლი არ მოუპარავს და ადამიანთათვის არ მოუტანია, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი რამ ისეთი ჩაუდენია, რაიც მამაკაცს არ შესძლებია.

არცერთი მამაკაცი არ ყოფილა ცოლის ისეთი ერთგული, როგორც პენელოპე იყო ქმრისა („ოდისეა“). ოცი წელიწადი იხეტიალა ოდისევსმა, სანამ შინ დაბრუნდებოდა. ოცი წელიწადი უცდიდა მას პენელოპე. იგერეგ და საქმროების უხეშ და უნამუსო შეტევას. ოცი წელიწადი იცავდა მარტოხელა ქალი ქმრის სახელსა და ღირსებას (თუმცა ორგულობის მაგალითიც ქალმა აჩვენა. ტროას ომიდან ოჯახში გამარჯვებით დაბრუნებული ელინთა სარდალი აგამემნონი ცოლმა, კლიტემნესტრამ, მოაკვლევინა ეგისთეს, საყვარელს).

ჩვენმა დრომ პენელოპეს ერთგულებასაც უნდო თვალით შეხედა. დედაკაცის ქვეცნობიერ სამყაროში დაიწყო ღალატის ძებნა (ალბერტო მორავია) – ეს ადამიანის ეჭვიანი თვისების ბრალია. იგი, სადაც ერთგულებაა, იქ ანტიერთგულებას ეძებს, სადაც სიყვარულია – ანტისიყვარულს, სადაც გმირობაა – ანტიგმირობას... ეს მუდამ ასე იქნება, რადგან ადამიანის დაუცხრომელი ბუნება არ მოიშლის ძებნა-წვდომას. ადამიანს არამარტო კოსმოსური საიდუმლოს შეცნობა სწადია, არამედ საკუთარი სულისაც. ეს სული კი ბევრად უფრო ბნელია და შეუცნობადი, ვიდრე ვარსკვლავიერი სამყარო. რაკი ადამიანის სული ღმერთის ნაწილია, იგი ისეთივე მიუწვდომელია, როგორც თავად უფალი. არავის ხელეწიფება ამოიცნოს – რა ძალა ამოძრავებს პენელოპეს ერთგულებას ან კლიტემნესტრას ღალატს. ადამიანს მხოლოდ ფაქტის დადასტურება შეუძლია. ამიტომ ქვეცნობიერში ხელის ფათური ოდენ ღიმილის მომგვრელია.

არცერთ ძმას არ გაუკეთებია დისათვის ის, რაც ანტიგონემ გააკეთა ძმისათვის (სოფოკლე – „ანტიგონე“). თებეს მმართველის კრეონტის განკარგულებით, პოლინიკეს დასაფლავება არ შეიძლებოდა. იგი მოღალა-

ტედ მიიჩნიეს. მისი ცხედარი უპატრონოდ უნდა გდებულიყო თაკარა მზის ქვეშ. ნადირსა და ფრინველს უნდა გამოეხრა იგი. დამ ვერ აიტანა მკვდარი ძმის ასეთი დამცირება. იმდენი იწვალა და იდავიდარაბა, რომ პოლინიკე მაინც მიაბარა მიწას. ამ „დანაშაულისათვის" ანტიგონე ცოცხლად დამარხეს.

თუ ძველ სამყაროს ოდნავადაც არ ეეჭვებოდა, რატომ უნდა დაკრძალულიყო ანტიგონეს ორი ძმიდან ერთი – ეტეოკლე – ზარზეიმით, ხოლო მეორეს – პოლინიკეს – საფლავიც არ უნდა ღირსებოდა, ჩვენი დრო მოვალეობის გრძნობას ურწმუნოდ მოეკიდა. ჟან ანუის „ანტიგონეში" კრეონტი ემუდარება ძმის ბედით შეძრწუნებულ დას: თავს ნუ იკლავ შენი ძმებისათვის. ერთიცა და მეორეც არამზადა იყო. არცერთი არ ღირდა შენს ზრუნვად და ცრემლად. თუ ერთი დიდებით დავასაფლავეთ, ხოლო მეორე მხეცებს მივუგდეთ საჯიჯგნად, ეს ბრბოსთვის არის ასე საჭირო. ბრბოს უნდა ჰყავდეს კერპიც, რომელსაც პირქვედამხობილი თაყვანს სცემს და განწირულიც, ვისაც დაუფიქრებლად ჩაქოლავს. არც წმინდანი არსებობდა და არც ცოდვილი. ამას ლიანგის გასაცუცურაკებლად ვიგონებთო.

კრეონტის ცინიზმმა ვერ შეარყია ანტიგონეს რწმენა.

არც იმის ძალა შესწევს მამაკაცს, რასაც აბიშაგ შუნამელი აკეთებს.

ებრაელთა მეფე დავითი რომ დაბერდა, ვერაფერმა გაათბო, ვერც მზემ და ვერც ცეცხლმა. გოლიათის მძლეველი, სიბერის სიცივით შეწუხებული, უმწეოდ ცახცახებდა. მაშინ ბრძენკაცებმა იმსჯელეს და დაასკვნეს – მთელ საებრაელოში მოეძებნათ ყმაწვილი ქალი და მეფის ლოგინში ჩაეწვინათ. იპოვნეს კიდეც ქალწული აბიშაგ შუნამელი (რუსული ტრანსკრიპციით – ავისაგა. რაკი ძირითადად რუსული ენის მეშვეობით ვეცნობით უცხოურ მწერლობას, აბიშაგ უფრო ავისაგას სახელით არის ჩვენში ცნობილი). იგი ჩაუწვინეს მეფეს სარეცელში. ამ ქალის სხეულმა გაათბო მიხრწნილი მეფე დავით და სიცოცხლე შეუნარჩუნა (წიგნი მესამე მეფეთა, 1,1-4).

ანტიკურ მწერლობა-მითოლოგიაში ქალი არა მარტო ომის მიზეზია (მშვენიერი ელენე და ტროას ომი), არამედ გამარჯვების წყაროც (მედეა, არიადნე).

კოლხეთში ოქროს საწმისის წასაღებად მოსული იაზონი ვერაფერს გააწყობდა, კოლხეთის მეფის აიეტის ასულ მედეას შემწეობა რომ არ გაეწია.

როგორ შეაბამდა იაზონი უღელში ცეცხლისმფრქვეველ, ბრინჯაოს ჩლიქებიან ხარებს, მედეას ჯადოსნური მალამო რომ არ მიეცა?

როგორ გაულეტდა იაზონი იმ ჯონგებს, რომელნიც დრაკონის დათესილი კბილებიდან აღმოცენდნენ, მედეას რომ არ ესწავლებინა ილეთი: ბუმბერაზთა შორის დიდი ლოდი გადააგდე, ისინი ერთმანეთს მიესევიან და ურთიერთს გაჟუჟავენო.

როგორ მოსტაცებდა იაზონი ოქროს საწმისს მოდარაჯე ურჩხულს, მედეას რომ არ დაეძინებინა იგი?

მედეას უგონო სიყვარული რომ არა, თავლაფდასხმული გაილალებოდა კოლხეთიდან ბერძენი გმირი (თუკი საერთოდ გააღწევდა ცოცხალი).

იმ ტრფიალებას, რომლითაც მედეას იაზონი უყვარს, სტენდალი, ალბათ, ვნება-სიყვარულს დაარქმევდა, რაკი ფრანგი რომანისტისათვის იგი სიყვარულის ყველაზე უმაღლესი, სრულყოფილი და ნამდვილი გამოხატულე-

ბა იყო. საერთოდ სტენდალი სიყვარულის ოთხ სახეობას ჩამოთვლიდა. ვნება-სიყვარულს მოსდევდა სიყვარული-გატაცება, ფიზიკური სიყვარული და, ბოლოს, სიყვარული-პატივმოყვარეობა, რაიც საზიზღარ მოვლენად მიაჩნდა „წითელისა და შავის“ ავტორს.

ვნება-სიყვარულის დროს, გარდა ტრფობისა, აღარაფერი არსებობს – არც სამშობლო, არც მშობლები, არც შვილები. ასეთი ვნება-სიყვარულით უყვარდა, მაგალითად, დე გრიეს მანონ ლესკო (აბატი პრევო – „მანონ ლესკო“), მაგრამ, რა თქმა უნდა, ფრანგი ჭაბუკის ტრფობა ვერ გაუთანასწორდება კოლხი ქალის ჯოჯოხეთურ სიყვარულს. და საერთოდ, საკაცობრიო სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში არ არსებობს ქალი, რომელსაც შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მედეას ვნებების ძალით (ლედი მაკბეტი მორცხვ გოგონად მოსჩანს აიეტის ასულის გვერდით): სიყვარულის სახელით სამშობლოს მოღალატე, მამის გამყიდველი, ძმის მკვლელი, რაყიფი ქალის გამანადგურებელი, შვილების ამომხოცველი და მაინც მზის – ჰელიოსის – წიაღში ამაღლებული.

არასოდეს განელებულა მედეას მიმართ მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის ყურადღება. არც მომავალში განელდება, რადგან ყველა ეპოქა იხიბლება დაუოკებელი ვნებების ადამიანებით. აღტაცებულია მათით. თუ ახალ დროში ვერ ხედავენ მათ, ძველი დროისას ეთაყვანებიან. თუმცა, კალმის სისუსტეს რა ვუთხრა, თორემ არც მეოცე საუკუნეს აკლია ყოვლისწამლეკავი ვნების პიროვნებები.

კლარა პეტაჩი სიკვდილის წუთამდე დარჩა ბენიტო მუსოლინის ერთგული. ეს ქალი ჯერ ჩამოახრჩვეს და მერე ქალაქის ქუჩებში ათრიეს იტალიური რეზისტენცას წევრებმა. რით არის ეს ნაკლები აქილევსის ჭაღრაგას გამობმული ჰექტორის გვამის თრევაზე ილიონის გარშემო?

ბერლინი რომ ცეცხლში იწვოდა და დაცემული გერმანია სისხლით იცლებოდა, ჰიტლერი და ევა ბრაუნი ჯვარს იწერდნენ. ამ ქალს გაქცევა და გადარჩენა შეეძლო, მაგრამ იმ კაცთან ერთად სიკვდილი ამჯობინა, ვისაც, გონივრულად თუ უგუნურად, სიცოცხლე შესწირა. მერე მათ თავი მოიწამლეს და, როცა საბჭოთა ჯარისკაცებს რაიხსტაგის გუმბათზე წითელი დროშა აჰქონდათ, ერთგული ადამიანები ჰიტლერისა და ევა ბრაუნის გვამებს რაიხსკანცელარიის ეზოში წვავდნენ. რით არ არის ეს ანტიკური ან შექსპირული ტრაგედიის დასასრული?

რით არა ჰგავს იაკობ ჯუღაშვილის შეწირვა ომში გამარჯვებისათვის იფიგენიას ზვარაკად მიყვანებას? განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იფიგენია ქალღმერთმა არტემიდემ შეიბრალა, მსხვერპლობა ააცილა, ტავრიდაში (დღევანდელ ყირიმში) წაიყვანა და თავის ქურუმად გახადა. იაკობ ჯუღაშვილი კი არც ღმერთს შესცოდებია და არც კაცს.

ადამიანთა ვნებანი არ იცვლებიან. იცვლება ოდენ დრო და ვითარება. ამიტომ არსებობს უწყვეტი და მუდმივი კავშირი უშორეს წარსულსა და დღევანდელობას შორის. დიდი ხნის გარდასულ ადამიანთა ტკივილსა და სიხარულს ასევე განვიცდით, როგორც თანამედროვისას. ამდენად, არც კოლხი ქალის სიყვარულია უცხო ჩვენთვის.

არ დაუფასდა მედეას სიყვარული. სხვა ქალში მოინდომა იაზონმა მისი გაცვლა. არიადნესაც ასე დაემართა. თეზევსმა, მართალია, ჯერ ცოლად შეირთო იგი, მაგრამ მერე მიატოვა. არადა, იგი ცოცხალი არიადნეს წყა-

ლობით გადარჩა. თეზევსს მინოტავრი რომც მოეკლა, ლაბირინთში მაინც დაიღუპებოდა, არიადნეს ძაფს რომ არ გამოეყვანა.

მინოტავრს ადამიანის ტანი ჰქონდა და ხარის თავი ება. დედალოსის აგებულ ლაბირინთში ცხოვრობდა და ყველაფერ ცოცხალს ანადგურებდა, რაც მის ახლო-მახლო გამოჩნდებოდა. მინოტავრის გამოსაკვებად შემზარავი ხარკი ედო ათენს. შვიდი ვაჟი და შვიდი ქალი უნდა გაეგზავნათ ათენელებს კრეტაზე. თეზევსმა ითავა მინოტავრის მოკვლა და ათენის ხსნა. ვერც იგი გახდებოდა ვერაფერს, კრეტის მეფის მინოსის ასული არიადნე რომ არ დახმარებოდა. მედეასავით, არიადნეც მაშინვე მოიხიბლა თეზევსით (სხვათა შორის, თეზევსი ახლდა იაზონს კოლხეთში). თავდავიწყებით შეიყვარა იგი. როცა ბერძენი გმირი ლაბირინთში შევიდა და მინოტავრის მოსაკლავად გაემართა, არიადნემ მას წელზე ძაფი გამოაბა. ძაფის მეორე ბოლო კი ლაბირინთის კარს მიამაგრა. თუ თეზევსი მინოტავრს სძლევდა, უკან ამ ძაფის საშუალებით გამოაღწევდა. ასეც მოხდა: მინოტავრიც მოკლა და სამშვიდობოსაც ძაფის საშუალებით გამოვიდა.

პირისგამტეხ და უმადურ ადამიანებად მოსჩანან ბერძენი გმირები მედეასა და არიადნეს გვერდით. მაგრამ ზნეობრივ მხარეს თუ თავს დავანებებთ, სხვა რამ ალეგორიული შინაარსი მოსჩანს მათ თავგადასავალში.

ბერძნულ მითოლოგიაში აშკარად იხატება ცივილიზაციის სამი კერა – თავად საბერძნეთი, კრეტა და კოლხიდა. მათ შორის ბრძოლაა. როცა საბერძნეთი სუსტია, ოქროს საწმისი კოლხეთში მოაქვთ. როცა იგი ძლიერდება, საწმისს იბრუნებს. საწმისის დაკარგვა არა მარტო კოლხეთის დაქვეითების მაუწყებელია, არამედ მისი დაქცევისაც.

როცა კრეტა ძლიერია, იგი ათენს ხარკს ახდევინებს. როგორც კი ბერძნები მოლონიერდნენ, მინოტავრის მოსაკლავად გმირი გაგზავნეს. მინოტავრის სიკვდილი არა მარტო კრეტის დამარცხებას ნიშნავს, არამედ მის დაღუპვასაც.

როგორც ოქროს საწმისია კოლხეთის ძალისა და უძლურების სიმბოლო, ასევეა მინოტავრიც კრეტის ძალისა და უძლურების სიმბოლო.

ბერძნულმა ცივილიზაციამ შეინოვა და გაითავისა კოლხური ცივილიზაციაც და კრეტულიც. ისინი ერთ მთლიანობად გახდა. ამის მაუწყებელია მედეასა და არიადნეს საბერძნეთში გაქცევა-გათხოვება. ისინი არ იცავენ თავიანთ სამშობლოს, მედეა – კოლხეთს, არიადნე – კრეტას. ბერძენ გმირებს ეხმარებიან. საბერძნეთის დრო დამდგარა და კოლხური ცივილიზაციაც და კრეტულიც ბერძნულში უნდა გაითქვიფოს. ქალის ბედი მაჩვენებელია ქვეყნისა და ცივილიზაციის ბედისაც.

კოლხური და კრეტული ცივილიზაციისაგან განსხვავებით ებრაული ცივილიზაცია არ იღუპება. ებრაელი ქალები სამშობლოს იცავენ და მტრებს არ ეხმარებიან (ივდითი), მაშინაც კი, როცა უცხო დამპყრობელის ცოლები არიან (ესთერი). ძველ აღთქმაშიც ქალის საქციელსა და ბედში არეკლილია ქვეყნისა და ცივილიზაციის ბედი.

გააგზავნა ნაბუქოდონოსორმა ებრაელთა დასაპყრობად სარდალი ოლოფერნე. კალიასავით მოეფინა ოლოფერნეს ლაშქარი ისრაელიანთა მიწას. ალყა შემოარტყეს ქალაქ ბეთულიას. გზები ჩაურაზეს და წყაროები მოუჭრეს. ფიქრობდნენ – უწყლობა

გააწამებს მოსახლეობას. იძულებული გახდებიან ებრაელები დაგვემორჩილნენო. შიმშილითა და წყურვილით სიკვდილი ემუქრებოდა ბეთულიას მოქალაქეებს. გოდებდა ქალაქი. ბრბო გაჰკიოდა: უმჯობესია დავნებდეთ ოლოფერნეს, მართალია, „მონები ვიქნებით, მაგრამ გადავრჩებით და არ ვიხილავთ ჩვენი თვალებით ჩვენივე წვრილ-შვილის სიკვდილს, ჩენი ცოლებისა და ბავშვების სულის ამოხდომას“ (ივდითი, VII, 27). რაღა უნდა ექნათ: გადაწყვიტეს კიდევ ხუთი დღე გაეძლოთ და, თუ ღმერთი შველას არ გამოგზავნიდა, დამორჩილებოდნენ ოლოფერნეს ლაშქარს.

მაშინ ივდითი, მენაშეს ქვრივი, გამოცხადდა ქალაქის უხუცესთა წინაშე და უთხრა: ნუ მკითხავთ, რას გავაკეთებ. მომეცით ეს ხუთი დღე ვადად. მე ვიცი და ჩემმა უფალმაო. დაყაბულდნენ უხუცესები ივდითის თხოვნას.

გაიხადა ქვრივის ძაძები ქალმა. მოირთო და მოიკაზმა. ფერ-უმარული იცხო. თვალ-მარგალიტი აისხა. გონისწამლებად და თვალისმომჭრელად გაბრწყინდა მისი სილამაზე. ტაძარში ილოცა. ევედრებოდა უზენაესს: „სიმრავლეში არ არის შენი ძალა, არც ძლიერებაშია შენი ძალა, არამედ მდაბალთა ღმერთი ხარ, დამცირებულთა ქომაგი, უძლურთა შემწე, განწირულთა მფარველი, უსასოთა მხსნელი“ (ივდითი, IX, 11).

მოახლე გაიყოლა და ოლოფერნეს ბანაკში გამოცხადდა ივდითი. ასე უთხრა ნაბუქოდონოსორის სარდალს მენაშეს ქვრივმა: შენ ერთადერთი კაცი ხარ მთელ სამეფოში სიბრძნით ძლიერი და საკვირველი საბრძოლო წყობაში. სცოდეს უფალს ისრაელიანთა. განარისხეს თავიანთი ღმერთი. სიკვდილი ეწვევა მათ. მოსასპობად ჩაცვივდებიან ისინი შენს ხელში. როგორც კი ეს შევიტყვე, შენთან გამოვიქეცი. ჩემთან ერთად უნდა აღიარებენ ეს ხალხნი, რომელნიც გააოგნებენ მთელ ქვეყანას.

გაიხარა ფრიად ოლოფერნემ ამ ამბით. ქალითაც მოიხიბლა. ვერ გაუძლო ნაბუქოდონოსორის სარდალმა ივდითის სილამაზეს. ნდომამ სძლია. ქალთან ღამის გათევა მოისურვილა. ჩიტის რძე არ აკლდა, ისეთი სუფრა გაიწყო. სვი და იმხიარულე ჩვენთან ერთად, – მიიპატიჟა ოლოფერნემ ივდითი. თვალთმაქცობდა ებრაელი ასული: – შევსვამ, უფალო, რადგან ყველაზე მეტად დღეს ამაღლდა ჩემი სიცოცხლე, როგორც არასოდეს ჩემს დღეში. პურობა და ლხინი რომ მოათავეს, მარტო დარჩნენ კარავში ივდითი და ოლოფერნე. უგონოდ მთვრალი სარდალი ლოგინზე გაიშხლართა. მკვდარივით ჩაეძინა. ერთხელ კიდევ ევედრა ივდითი უფალს – გამაძლიერეო. მახვილი აიღო, თმებში წაავლო ხელი ოლოფერნეს და ორლესული მთელი ძალით კისერზე დაჰკრა.

ფეხაკრეებით გამოვიდა ივდითი კარვიდან. კარებთან მოახლე უცდიდა. მოკვეთილი თავი ტომარაში ჩააგდეს. ნიავივით უხმოდ დატოვეს მტრის ბანაკი და ბეთულიასაკენ გაეშურნენ.

როცა დილით ჯარისკაცები კარავში შევიდნენ, თავზარდამცემი სურათი ნახეს: უთავო სარდალი სოხანეზე ეგდო. ივდითი სადღაც გამქრალიყო.

ნაბუქოდონოსორის არმია აიყარა. ბეთულიას ალყა მოხსნეს. ქალის სილამაზით დამარცხებულნი საიდანაც მოვიდნენ, იქით გაბრუნდნენ.

ბეთულია კი ზეიმობდა. მთელი ქალაქი გარეთ გამოფენილიყო და ივდითს ადიდებდა.

ესთერს პირადად მტერი არ მოუკლავს, მაგრამ მაინც ებრაელთა საქმეს ემსახურებოდა.

ას ოცდაშვიდ მხარეს ფლობდა მეფე ახაშვეროში. ბრძანა: ყველა ლამაზ ქალს სატახტოში მოუყარეთო თავი. ვინც მომეწონება, იგი გახდებაო დედოფალი. შეკრიბეს უამრავი ყმაწვილი ქალი და დედაქალაქ შუშანში ჩამოიყვანეს. მათ შორის იყო ესთერიც. ადრედაობლებულ ქალს ბიძაშვილი მარდოქაი პატრონობდა. ესთერიც და მარდოქაიც იმ ებრაელობას ეკუთვნოდნენ, ნაბუქოდონოსორმა რომ იერუსალიმიდან გადაასახლა.

მოეწონა ესთერი ახაშვეროშს. დედოფლად დაისვა.

ახაშვეროშს მინისტრი ჰყავდა ერთი – ჰამანი, ყველაზე მეტად აღზევებული და ამაღლებული. ყველას მუხლი უნდა მოეყარა და თაყვანი ეცა ჰამანისათვის. ასე ჰქონდა მეფეს ნაბრძანები. ერთადერთი კაცი მარდოქაი იყო, ვინც ბრძანებას არ ემორჩილებოდა. რისხვით ივსებოდა ჰამანი, მაგრამ უკადრისობდა შური ეძია ერთ კაცზე. შეიტყო ჰამანმა, ებრაელი რომ იყო მარდოქაი. მაშინ გადაწყვიტა – მოესპო მთელი იუდაელობა. მოახსენა მეფეს: არის ერთი ხალხი, გაფანტული სხვა ხალხებს შორის, შენი სამეფოს ყველა კუთხეში. მათი რჯული განსხვავდება ყველა ხალხის რჯულისაგან. ებრაელები უნდა გავანადგუროთო.

დაეთანხმა ახაშვეროში ჰამანს. მისცა იუდაელთა გაჟუჟვის უფლება. აღარავინ უნდა დაეტოვებინათ ცოცხალი.

იყო გლოვა, ვაი-ვიში და მოთქმა ყველა ქალაქში, სოფელში, სადაც კი ებრაელი ცხოვრობდა.

შეუთვალა მარდოქაიმ ესთერს: დედოფალი ხარ. წადი მეფესთან. სთხოვე ჩვენი ტომ-ჯილაგის შეწყალება.

შეშინდა ქალი. აცნობა მარდოქაის: მთელმა სამეფომ იცის, მისმა ყოველმა მოქალაქემ, რომ ყოველ ადამიანს, ქალი იქნება იგი თუ კაცი, სიკვდილი ელის, ვინც მეფის დაუძახებლად შევა სასახლის შიდა ეზოში. ოცდაათი დღეა, რაც მეფეს არ უსურვებია ჩემი მიხმობა. არ ამცდება სასჯელი, თუ ახაშვეროშს არ ესიამოვნა ჩემი დანახვა.

– იქნება ამ ერთი წამისათვის დაგსვა უფალმა დედოფლად. უშველე შენს ხალხს. თუ ყველა დაიხოცა, ვერც შენ გადარჩები, – გადასცეს ესთერს მარდოქაის პასუხი.

– თუ დავიღუპები, დავიღუპო, – დაასკვნა დედოფალმა და სასახლის შიდა ეზოში შევიდა. გაჩერდა მეფის სახლის წინ. ტახტზე იჯდა ახაშვეროში. ესიამოვნა ესთერის დანახვა. მიაშვირა ოქროს კვერთხი და ჰკითხა – რა მოხდა, დედოფალო ესთერ, რა სათხოვარი გაქვს?

– თუ ხელმწიფე ინებებს, მობრძანდნენ ხვალ ჩემთან ნადიმზე მეფე და ჰამანი, – უპასუხა ქალმა.

ორივე ეწვია მეორე დღეს ესთერს. ღვინის სმისას ისევ ჰკითხა მეფემ ესთერს, – რა აწუხებს დედოფალს, რა აქვს სახვეწარი?

– რადგან განწირული ვართ მე და ჩემი ერი მოსასპობად, მომეცეს ჩემი სიცოცხლე ჩემს სათხოვარში და ჩემი ერი ჩემს სახვეწარში, – შეემუდარა ქალი მეფეს.

– ვინ არის იგი და სად არის, ვინც ბედავს ამ საქმეს? – გაიკვირვა ახაშვეროშმა.

– ჰამანია, ხელმწიფევ, ეს კაცი. – უპასუხა ესთერმა. – ორგული და ბოროტია იგი.

განრისხებული მეფე ადგა და ნადიმიდან გავიდა. ჰამანი დარჩა. ებრაელი ქალისათვის პატიების თხოვნა უნდოდა. უკან რომ შემობრუნდა მეფე, ჰამანი ესთერის საწოლზე დამხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი დაინახა. ეგონა, დედოფალზე ძალადობას აპირებდაო ჰამანი და მთლად გადაირია. სტაცეს ხელი ჰამანს და იმ ძელზე ჩამოჰკიდეს, მარდოქაისათვის რომ ჰქონდა გამზადებული მინისტრს.

ის ბრძანებაც გააუქმეს, ჰამანმა მეფეს რომ გამოსტყუა ებრაელთა წინააღმდეგ.

გაბედა და გამოუტყდა ესთერი მეფეს, მარდოქაი მისი ნათესავი რომ იყო. მაშინ ჰამანის ადგილას დანიშნა ახაშვეროშმა მარდოქაი. ახლა ებრაელებმა იხელთეს დრო და გაჟუჟეს ისინი, ვინც მათ მტრობდა ახაშვეროშის სამეფოში („ესთერის წიგნი“).

თუ მედეას და არიადნეს თავგადასავალი ბერძნული პატრიოტიზმით არის გაჟღენთილი, ივდითისა და ესთერის ცხოვრება სავსეა ებრაული მამულისმოყვარეობით. ივდითისა და ესთერის წიგნებში სამშობლოსა და ებრაელი ხალხის სიყვარული იმდენად ყოვლისმომცველი გრძნობაა, რომ ავიწყდებათ კიდეც მოსეს რჯულის ერთ-ერთი ძირითადი მცნება – არა კაც ჰკლა. ესთერის წიგნის ავტორი, მაგალითად, ურცხვად იკვეხნის ამა და ამ ქალაქში ამდენი და ამდენი კაცი გავწყვიტეთო (IX, 6-10, 15, 16). ამ შურისგებას ებრაელი ხალხის სიყვარული ითხოვდა და კაცისკვლა ბოროტმოქმედებად აღარ მიაჩნიათ. აქ პატრიოტული სიყვარული შეცვალა პატრიოტულმა სიძულვილმა. თუ პატრიოტული სიყვარული ის ძალაა, რომელიც ქვეყნის აღორძინებას უწყობს ხელს, პატრიოტულ სიძულვილს ყოველი ხალხი დაქცევამდე მიჰყავს. პატრიოტული სიძულვილი ატყუებს ადამიანს. მას ჰგონია თავის ხალხს იცავს და სხვას ებრძვის. ნამდვილად კი ღვიძლი ხალხის საქმეს აფუჭებს, ხშირად საბედისწეროდაც. პატრიოტულმა სიძულვილმა დაღუპა ნაცისტური გერმანია. როგორც კი გერმანიის სიყვარული შემობრუნდა პატრიოტულ სიძულვილად ებრაელთა, ბოშების და სხვა ხალხების მიმართ, მაშინვე გამოეთხარა ძირი გერმანიის სიძლიერეს. ერი არასოდეს არ უნდა მოტყუვდეს და ერთმანეთში აურიოს პატრიოტული სიყვარული და პატრიოტული სიძულვილი. ამის გათვალისწინება განსაკუთრებით სჭირდება მცირერიცხოვან ხალხებს.

ერთი ხალხის სიყვარულმა მეორე ხალხის სიძულვილი დაბადა. აღმოჩნდა, რომ სადაც სიყვარულია, იქვეა სიძულვილიც. ეს კანონზომიერებაა, თუმცა, გვიჭირს ამ საიდუმლოს ამოხსნა.

ყველა რელიგია სიყვარულს ქადაგებს, მაგრამ სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებელთ ერთმანეთისათვის სიძულვილი უფრო ემეტებათ, ვიდრე სიყვარული. ქრისტიანს უჭირს დაიჯეროს, რომ მაჰმადიანი შეიძლება ისევე გიყვარდეს, როგორც ქრისტიანი. ასევე ფიქრობს მაჰმადიანიც. მასაც ქრისტიანის სიყვარული დანაშაულად მიაჩნია. ეშინიათ ადამიანებს იმისა, რომ სხვა სარწმუნოების კაცის სიყვარული არ ჩაეთვალოს რწმენის ღალატად. ამგვარადვე იქცევა იუდაისტიც, ბუდისტიც, სინტოისტიც... ერთი სიტყვით, ყოველი რელიგიის წარმომადგენელი. ერთმორწმუნეთა სიყვარულმა და სხვამორწმუნეთა სიძულვილმა წარმოშვა უსასტიკესი რელიგიური ომები კაცობრიობის ისტორიაში. ისინი დაუნდობლად ანადგურებდნენ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანის დროშას ეწერა – სიყვარული, სათნოება, თანალმობა, პატიება.

ქალ-ვაჟიანშიც ასეა: სიყვარულის გვერდით ყოველთვის სიძულვილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიძიას უყვარს ონისე, მაგრამ სძულს გუგუა (ალ. ყაზბეგი – „ხევისბერი გოჩა“).

ანა კარენინას უყვარს ალექსეი ვრონსკი, მაგრამ სძულს ალექსეი კარენინი (ლ. ტოლსტოი – „ანა კარენინა“).

ემა ბოვარს უყვარს როდოლფი, მაგრამ სძულს შარლ ბოვარი (გ. ფლობერი – „მადამ ბოვარი“).

არც გუგუას, არც ალექსეი კარენინს, არც შარლ ბოვარს არავითარი ბოროტება არ ჩაუდენიათ, მაგრამ მაინც სიძულვილი დაიმსახურეს. ისინი უნებლიეთ უშლიან ხელს ძიძიას, ანას, ემას იმ სიყვარულით ტკბობაში, რომელიც ამ ქალებს დაეუფლათ. „სიყვარულის სამაია არ იქნება სამთაგანა“ (გ. შატბერაშვილი). რაკი არ ხერხდება სამთა მორიგება, ბუნებრივია, რომ ერთის ხვედრი სიყვარულია, მეორესი – სიძულვილი. თუმცა ზოგჯერ ცდილობენ სამთა ჰარმონიის დახატვას. ფრანსუაზა საგანმა მოსინჯა ეს რომანში „თევზის სისხლი“ კინორეჟისორი კონსტანტინე ფონ მეკი ტკბება უმშვენიერესი ქალის ვანდა ბლასენის სიყვარულით, მაგრამ ასევე გატაცებულია ბოშა ჭაბუკის რომანოს ტრფიალებითაც. არც ვანდა და რომანოა ერთმანეთისადმი გულგრილი. მაგრამ ეს სწორედ ის ურთიერთობაა, რომელიც ასე სძულდა ვაჟა-ფშაველას.

„კაცმა ქალობა დაიწყო,
კოხტაობს სიტყვანაბია,
ფერსა და უმარილს ისომს, –
მაშ არ მომივა ბრაზია?.“

(„მოხუცის ნათქვამი“)

სიყვარულის სხვადასხვა სახეობათა შორისაც არსებობს სიძულვილი. დიდი ხნის წინათ, დრო რომ შეიცვალა და ქრისტიანობა განმტკიცდა, სიყვარული – აგაპე დაუპირისპირდა სიყვარულ-ეროსს. თითქოსდა ასე არ უნდა მომხდარიყო. თუ იუდაიზმისა და ქრისტიანობის თალსაზრისით, ადამიანი ხატად ღმრთისად იყო შექმნილი, ბერძნულ-რომაული წარმართობა საერთოდ ვერ ხედავდა განსხვავებას ღმერთისა და ადამიანის გარეგნობაში. ანტიკურ ეპოქაში შექმნილი ყველა ქანდაკება და კედლის მხატვრობა ღმერთებს წარმოგვიდგენს უმშვენიერეს დედაკაცებად და მამაკაცებად. ღმერთი მშვენიერი იყო და, ცხადია, ადამიანიც მშვენიერი უნდა ყოფილიყო, როგორც უზენაესის მიწიერი და ხორციელი ხატება. ადამიანის სიყვარული ღმერთის სიყვარულსაც გულისხმობდა. და მაინც, სულის სიყვარულის სახელით დაიგმო ხორცის სიყვარული.

ქალწული იუსტა მგზნებარედ უყვარს ჭაბუკ აგლაისს, მაგრამ ქალი უარს ამბობს ტრფობაზე, რაკი ქრისტეს მიუძღვნა თავი. მაშინ აგლაისმა დახმარებისათვის მოგვ კიპრიანეს მიმართა. იქნება დაფარულის მჩხიბავმა ქალის გული ჩემსკენ შემოაბრუნოსო, – ფიქრობდა ყმაწვილი. კიპრიანე შეპირდა აგლაისს შველას.

სამგზის მიუგზავნა კაპრიანემ იუსტას ეშმა. სამგზის შეეცადა ეშმაკი ეცდუნებინა ქალწული. სამგზის მოედო იუსტას ვნების ცეცხლი და აღენთო დაუოკებელი ხორციელი ლტოლვით. სამგზის ევედრა ქალი ღმერთს – ეხსნა იგი უფალს წაწყმედისაგან. ერთხელ ლამის დაკარგა თავგზა, როცა ეშმამ ევა გაახსენა: ადამის სარეცელი რომ არ გაეზიარებინა პირველ დედას არ იქნებოდაო ადამიანთა მოდგმა. მაგრამ, მაინც სძლია ცდუნება იუსტამ. ლოცვითა და პირჯვრის წერით დათრგუნა ხორცი.

როცა კიპრიანემ დაინახა, რომ შეუძლებელია იუსტას მოტეხვა, მაშინ გადაწყვიტა იმ ღმერთის აღიარება, რომელმაც ქალს ეშმაკი დააძლევინა. მან ნათელიღო და ქრისტეს სამსახურს შეუდგა.

კიპრიანეს ამბავს ბიზანტიის იმპერატრისა და პოეტესა ევდოკია გვიყვება.

საუკუნეების მანძილზე იქნება მწერლობის საგანი აგაპეს და ეროსის ბრძოლა. ცხადია, ქართულ ლიტერატურაშიც დიდი ადგილი უჭირავს მას. გავიხსენოთ, თუნდაც, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აშოტ კურაპალატისა და მეჭურჭლე ქალის ტრფობა. როცა დედა ფებრონიამ მონასტერში შეიფარა ქალი და იგი მეფემ ვერ დაიბრუნა, გულმკვდარმა აშოტმა წამოიძახა – „ნეტარ მას კაცსა, ვინც არ-ღარა ცოცხალ არსო“. მიწიერი სიყვარულის დამარცხებით აღტაცებული გიორგი მერჩულე კი დასძენს – „ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს“.

ჰაგიოგრაფოსისათვის უეჭველი და ცხადია, რომ მეფისა და და მეჭურჭლე ქალის გადარეული სიყვარული დასაგმობია, „რამეთუ არა ღონითა რითიმე კაცებრივითა მახეთაითა იყო ტრფიალ მისა მიმართ ხელმწიფე იგი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა...“

ეროსისა და აგაპეს წინააღმდეგობა უფრო ხელოვნური იყო, ვიდრე ბუნებრივი. ადამიანს მიწიერი სიყვარული ისევე სჭირდება, როგორც ზეციერი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მიწიერი სიყვარულის თვინიერ, კაცობრიობა გადაშენდება. თუ კაცობრიობა გადაშენდა, მაშინ აღარც მიწიერი სიყვარულია საჭირო და აღარც ზეციერი.

როგორც ეტყობა, სიყვარულის ორი სახეობის – ზეციერისა და მიწიერის – დაპირისპირება ყოველ დროში აწუხებდათ. ზოგჯერ ამას მწარე ირონიით გამოხატავდნენ (ჯოვანი ბოკაჩო – „დეკამერონი“), ზოგჯერ ფილოსოფიურ პასუხს ეძებდნენ (ვასილ ბარნოვი – „ტრფობა წამებული“).

ვნებათა დამორჩილების საკითხი მაკაბელთა მეოთხე წიგნის ავტორმაც დასვა. მან პირდაპირ კითხვით დაიწყო: „განაგებს თუ არა ვნებებს ღვთის მოსავი აზრი?“ პასუხიც ცალსახად მოგვცა – სწორედ „გონებაა ვნებათა გამგებელი“. მაგრამ ეს პასუხი უფრო სურვილი იყო, ვიდრე სინამდვილე. ამას თავადაც გრძნობდა, რაკი ესეც თქვა: „გონება ვნებათა აღმომფხვრელი კი არ არის, არამედ მათი წინაღმდგომია“. აი, ეს არის სირთულე, რომლის მოგვარება არ ხერხდება. ცხოვრებაც და მწერლობაც ადასტურებს, რომ გონებისა და ვნებების ჭიდილში, როგორც წესი, ვნება იმარჯვებს. ძალიან იშვიათი შემთხვევაა, როცა გონება სძლევს ვნებას. ვნების დათრგუნვას არა მარტო დიდი და ღრმა გონება სჭირდება, არამედ უდრეკი ნებისყოფაც. მათი შეერთება ერთ ადამიანში ბედნიერი გამონაკლისია. ეს ერთი მხარეა პრობლემისა. არის მეორეც, არანაკლებ არსებითი. თუ სიყვარულის ვნებას გონებით ჩავკლავთ, მაშინ რაღა ღირებულება და დანიშნულება აქვს ამგვარ ტრფობას? არსებობს კი მაშინ სიყვარული? თუ მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა, მაშინ გონებით დათრგუნული სიყვარული უკვე აღარ არის სიყვარული. შეიძლება ცივი გონება გააღიზიანოს იმ ურთიერთდამოკიდებულებამ, რაც კნუტ ჰამსუნს აქვს აღწერილი მოთხრობაში – „სიყვარულის მონები“, მაგრამ რას იზამ, რას მოახერხებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი მზაკვარია სიყვარული. ვლადიმერისათვის ან რესტორანის ფარეში ქალისათვის რომ გეთქვათ, ასეთი ბრმა სიყვარული ადამიანთა და საზოგადოების თვალში თქვენ გამცირებთ და გაკნინებთო, გონებით დაგეთანხმებოდნენ, მაგრამ გულით? რა დიდი სურვილიც უნდა ჰქონოდა მათ გონებას გულის დაძლევისა, მაინც ვერ მოახერხებდნენ. აკი ვერც მოახერხეს. როცა ადამიანის გული ისე მეტყველებს, როგორადაც ტარიელისა, მაშინ გონება არა მარტო დუმს, არამედ საერთოდ გამოთიშულია.

„ამ წრეში შეველ ჩემის ნებით და
ცრემლებს ვხარჯავ
ახლა ამაოდ. სიყვარული რომ
უდრის სიკვდილს,
ხოლო წამება – ნეტარებას, მე ამას
მივხვდი.
აქვს ერთნაირი ხმოვანება „ვნებას“
და „ტანჯვას“.

(პეტრარკა)

რაკი ადამიანი მონის თვისებას ავლენს სიყვარულში, მაშინ ისიც ბუნებრივია, რომ ამ კეთილშობილ გრძნობას უკავშირდება სიძულვილიც, ძალადობაც, პატივმოყვარეობაც, შურისგებაც, ეგოიზმიც და სხვა ნაირნაირი მანკიერებანი.

დედაკაცისა და მამაკაცის ურთიერთობაში დამორჩილების აზრი სჭარბობს თანასწორობის აზრს. ქვეცნობიერად ქალი გახარებულია, თუ ვაჟი დაიმორჩილა, დაიმონა. ვაჟზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იგი ხომ ხარობს და ხარობს ქალის დამორჩილებით. ამ დამორჩილებას პატივმოყვარეობაც ერთვის, ძალადობაც, უპირატესობის განცდაც და შურისგებაც... ნაირნაირი გრძნობა-განცდა ჩახლართულ-ჩაწნულია ერთმანეთში. ერთობ ძნელი ამოსაცნობია, ხოლო ადვილად არის წმინდა სიყვარული და სად – ქვენა ბუნების ქმედება. თუ ოტელოს ალალი სიყვარული ამოძრავებს, იაგოს ქვენა ბუნება წარმართავს. ეს იოლი დასანახია, რადგან შექსპირი აშიშვლებს ვნებებს და ღიად წარმოგვიდგენს. მაგრამ ძალიან ძნელი გასაგებია, რატომ დაესხა თავს მოსაკლავად ჟულიენ სორელი მადამ დე რენალს (სტენდალი – „წითელი და შავი“). იაგოს არც ოტელო უყვარს და არც დეზდემონა. მას სხვისი ბედნიერების დანგრევა უნდა. რა, სორელსაც სხვისი ბედნიერების დარღვევა უნდა? მადამ დე რენალიც სხვისი ცოლია და შვილებიც ჰყავს. რა იფიქრა სორელმა – რაკი ჩემი ვერ იქნება, ნურც სხვას ეყოლებაო? ნუთუ აქ ისეთივე ვითარებაა, როგორც გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯში“? ერემია წარბა ჰკლავს ესმას ერთი განზრახვით – ქალი არც მე და არც ბახვა ფულავას. „წითელსა და შავში“ სულის გაცილებით რთული მოძრაობაა. მადამ დე რენალს ბრბოს თვისება აქვს: რაც მეტია ძალადობა, მით მეტია სიყვარული და ერთგულება. ამიტომ უყვარს დუნდგოს დიქტატორი. მადამ დე რენალმა სწორედ თავდასხმის შემდეგ შეიყვარა ჟულიენ სორელი თავდავიწყებით. ეს კი სორელის პატივმოყვარე სულს უდიდესი სიამაყით აღავსებს. იგი არ არის უბრალო მამაკაცი. მას ემორჩილებიან. იგი მბრძანებელია. მართალია, იგი ვერ მბრძანებლობს არმიებს, ხალხებს, მაგრამ მბრძანებლობს ადამიანს, პიროვნებას.

თუ ერემია წარბას მარტივი ეგოიზმი ამოქმედებს, ჟულიენ სორელს – რთული და მრავალფეროვანი პატივმოყვარეობა. მასში განუხორციელებელი დიქტატორი ზის. არსად ისე მკაფიოდ არ ვლინდება მამაკაცის სულ-

ში ჩადებული დიქტატორი, როგორც ქალისადმი დამოკიდებულებაში. შოდერლო დე ლაკლოს ცხოვრებაზე რომ საუბრობს, ფრიად საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს ანდრე მორუა. როცა ლაროშელში ფრანგი ადმირალის ასულს სოლანჟ-მარი დიუპერეს „სახიფათო კავშირნი“ წაუკითხავს, უთქვამს – ამ წიგნის ავტორი ჩემს სახლში ვერ შემოვაო. ეს ყმაწვილი ქალი მაშინ შეიყვარა ორმოცდასამი წლის დე ლაკლომ. ჯერ აცდუნა და მერე ცოლად შეირთო. დე ლაკლოს ენერგიას იმხანად სხვა ასპარეზი არ ჰქონდა და ქალის დამორჩილებაში გამოვლინდა. მაგრამ მერე, როცა საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მას არენა მისცა, ქალი აღარ გახსენებია. რევოლუციაში დახარჯა ენერგია.

დამორჩილების ვნებამ და ენერგიის დახარჯვის პრობლემამ გააჩინა მსოფლიო ლიტერატურაში საყოველთაოდ ცნობილი პროტაგონისტი დონ ჟუანი. ანდრე მორუა წერს: „როგორ ყალიბდებოდა დონ ჟუანის ხასიათი?.. ბაირონის მაგალითი ამის ერთგვარად გამოკვლევის საშუალებას გვაძლევს. ბაირონი სათუთი მიჯნური იყო იმ დღემდე, ვიდრე პირველმა სიყვარულმა არ უღალატა. სწორედ ამ დღიდან დაიწყო და, შემდეგ, მთელი სიცოცხლის მანძილზე არც შეუწყვეტია ქალის შურისძიება. იმ ერთი ქალის ღალატისათვის ყველა მის წარმატებას წარმართავდა არა იმდენად სურვილი, რამდენადაც პატივმოყვარეობა და შურისძიებაზე ფიქრი.

დონ ჟუანის სახეში თავმოყრილია დამორჩილების, პატივმოყვარეობის შურისგების ვნება-გრძნობანი. იგი ადამიანის სამყაროს მრავალი კუთხით აშუქებს.

ტარკვინიუსს ძალაუფლება არ აკლდა, მაგრამ ლუკრეციას დამორჩილება მის პატივმოყვარეობას განსაკუთრებით ესალბუნებოდა. თუმცა, შეეწირა კიდეც ამ ძალადობას.

არდეას გარშემო დაბანაკებული ჯარის სარდლები ერთ საღამოს ტარკვინიუსის კარავში შეიკრიბნენ. ცოტა რომ შეთვრნენ, თავიანთი ცოლების კეთილზნეობის ხოტბას შეუდგნენ. განსაკუთრებით კოლატინუსი აქებდა თანამეცხედრეს – ლუკრეციას. ღვინით გაბრუებულებს ჭკუამ აღარ დაუშალა და ისინი რომში დაბრუნდენ, ცოლების ერთგულების შესამოწმებლად. კოლატინუსის გარდა, ქალი არცერთს დახვედრია სახლში. მარტო ლუკრეცია იჯდა შინ სართავით გართული. ამ ამბავმა ტარკვინიუსი გააბოროტა. შურით აღავსო. ლუკრეციას დამცირება გადაწყვიტა. როცა სარდლები უკან დაბრუნდნენ ბანაკში, ტარკვინიუსი რომში დარჩა. იგი ღამით კოლატინუსის სახლში შეიპარა და ლუკრეცია ძალდატანებით გააბახა. ლუკრეციამ მამასა და ქმარს შეუთვალა – დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ რომში. ქალი სამგლოვიარო ტანსაცმელში რომ ნახეს, ორივე – მამაცა და ქმარიც – გაოცდა. ლუკრეციამ ყველაფერი უამბო, რაც მოხდა. თან ითხოვა, შური ეძიათ მისი ნამუსის შებილწვისათვის. ეს ამბავი მთელმა რომმა შეიტყო. გამძინვარებულმა რომაელებმა ტარკვინიუსთა ხელისუფლება დაამხეს. ისინი მარადიული ქალაქიდან გააძევეს და ძალაუფლება კონსულებს გადასცეს.

ამ ძველრომაულ ამბავში, ერთი მხრივ, პატიოსნების და, მეორე მხრივ, შურის, პატივმოყვარეობის, ძალადობის პრობლემები იზიდავდა შექსპირს, როცა იგი თავის „ლუკრეციას“ ქმნიდა. ეს უბერებელი საკითხები მწერლის ფანტაზიას ნოყიერ საკვებს აძ-

ლევდა. სექსუსი არა მარტო აღაზევებდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა (ვინ მოთვლის რამდენ ადამიანს გაუკეთებია პოლიტიკური კარიერა საყვარელთა დახმარებით), არამედ ამხობდა კიდეც. ერთ-ერთი პირველთაგანი დამხობილთა შორის ტარკვინიუსიც იყო. თუ ოტელოსა და დეზდემონას სიყვარული რასობრივ საკითხსაც ეხებოდა, ლუკრეციას გაუპატიურება ძალაუფლების პრობლემაზეც აფიქრებდა მკითხველს. სექსუსი ბიოლოგიურ ჩარჩოს არღვევდა და საერთო-სააზროვნო განსჯის საგანი ხდებოდა. შექსპირის შემოქმედებაში განსაკუთრებით ნათლად და მკაფიოდ გამოჩნდა, რომ სექსუსი ყველა საქმის მონაწილეა. იქნება ეს რასობრივი ურთიერთობანი („ოტელო"), მამა-შვილთა დამოკიდებულებანი („მეფე ლირი"), ბრძოლა ხელისუფლებისათვის („მაკბეტი"), გვართა ფეოდალური მტრობა („რომეო და ჯულიეტა"), ღალატი და ერთგულება („ჰამლეტი"), თუ სხვა ქმედება-საქციელი ადამიანისა. საიდუმლო, რომლის აღმოცენებისაკენ „ოიდიპოს მეფის" ავტორმა მოუწოდა კაცობრიობას, თანდათანობით ხდებოდა ყველას ფიქრისა და განსჯის საგანი.

დედაკაცისა და მამაკაცის ურთიერთობაში სექსუსმა დაჩაგრულობის პრობლემა რომ წამოსწია წინ, ემანსიპაციის, თანაბარუფლებიანობის იდეაც გაჩნდა. დაიწყო არა მარტო ფემინისტური მოძრაობა, არამედ ლიტერატურაში გამოჩნდა ქალი – დონ ჟუანი, რომლის ცოცხალი სახეა ტერეზიტა, დახატული კნუტ ჰამსუნის „ცხოვრების დრამაში". ტერეზიტას შეიძლება სძულდეს კიდეც მამაკაცი, მაგრამ მაინც იმაკინტლოს მასთან. ქალისადმი მამაკაცის დაუოკებელ მისწრაფებაში ჰამსუნის გმირი საკუთარ ძალას ხედავს. რამდენადაც ტერეზიტა ვაჟის ლტოლვა, იმდენადვე დიდია ტერეზიტას ძალა. ქალს შეუძლია მამაკაცი ტიკინად გადააქციოს, დაიმონოს, დაიმორჩილოს. შურისძიების წმიდათაწმიდა აქტი აღსრულებულია. თუ ადრე მამაკაცი ბატონობდა ქალზე, ახლა დედაკაცსაც შეუძლია იბატონოს ვაჟზე. ტერეზიტას ეს უსაზღვრო სიამაყეს ანიჭებს. იგი ისეთივე ზიზღით უცქერის მის წინაშე მუხლებზე დაჩოქილ მამაკაცებს, როგორითაც ძველი რომაელი მხედართმთავრები უმზერდნენ, ტრიუმფების დროს, მათ წინ მიმავალ ქედზე ბორკილდადებულ მონებს.

სექსუსის ყველაფერში მონაწილეობამ, ერთი მხრივ, ზიგმუნდ ფროიდის თეორია წარმოშვა და, მეორე მხრივ, – სქესობრივი კომუნიზმისა (ამ ტერმინს არ. ჯორჯაძეს დავესესხე). თუ ფროიდის თეორია, ზერელედ, მაგრამ მაინც ცნობილია ქართველი მკითხველისათვის, სქესობრივი კომუნიზმი არსებითად უცნობია. სქესობრივი კომუნიზმი ნაწილია სოციალიზმის თეორიისა, თითქოს საქართველოში, როგორც სოციალისტურ ქვეყანაში, იგი კარგად უნდა სცოდნოდათ, მაგრამ ასე არ არის. როცა სქესობრივი კომუნიზმის რეალურად განხორციელების ცდა მოხდა, კომუნისტები მალე მიხვდნენ, რომ ეს შეუძლებელია და უარი თქვეს მასზე. ამიტომ ლაპარაკიც შეწყვიტეს. ისეთი პოზა დაიჭირეს, თითქოს იგი არც იყო სოციალიზმის თეორიის ნაწილი, ზოგიერთი დამთხვეულის თავში დაბადებულ აბდაუბდად გაასაღეს.

რატომ გაუჩნდათ სოციალისტებს სქესობრივი კომუნიზმის აზრი?

მოგეხსენებათ, სოციალისტები ჰარმონიული საზოგადოების შექმნაზე ოცნებობდნენ, ამ საზოგადოებაში

ადამიანი არ იქნებოდა ადამიანის მტერი. შუღლი არ გამოხრავდა მათ გულს. ერთმანეთს არ გაანადგურებდნენ. თუ ძმებივით არ ეყვარებოდათ ურთიერთი, ნაცნობებივით მეგობრულად მაინც იცხოვრებდნენ. უნდა მოესპოთ ყველაფერი ის, რაც ადამიანთა მტრობას უწყობდა ხელს. შუღლის ხელშემწყობთა შორის სექსუსიც იყო. დედაკაცისა და მამაკაცის ურთიერთობა, სიყვარული უკავშირდებოდა ეჭვიანობას, სიძულვილს, მეტოქეობას, ძალადობას, მკვლელობასაც კი. სიყვარულის გულისათვის ადამიანი არა მარტო სხვას კლავს, არამედ თავსაც იკლავს. ამ მანკიერებათა მოსასპობად, ფიქრობდნენ სოციალისტები, საჭიროა სექსუსის გათავისუფლება, ანუ ადამიანთა სამყაროშიც ისეთი ურთიერთდამოკიდებულების დამკვიდრება, როგორიც ცხოველთა სამყაროში (ძაღლმა ძაღლთან რომ იმაკინტლოს, ამისათვის აუცილებელი არ არის მათ ერთმანეთი უყვარდეთ, ოჯახს ქმნიდნენ, შვილების აღზრდაზე ზურნავდნენ). რაკი სექსუალური ურთიერთობა აუცილებელია ბიოლოგიური ჯიშის გამრავლებისათვის, მოხდეს ეს თავისუფალი სექსუალური ურთიერთობით. სქესობრივი კომუნიზმის აზრით, ყველა ქალი ეკუთვნის ყველა მამაკაცს და ყველა მამაკაცი ეკუთვნის ყველა ქალს. თუ ასეთი თავისუფალი ურთიერთობა დამყარდებოდა ვაჟსა და ქალს შორის, მაშინ, სქესობრივი კომუნიზმის პროპაგანდისტთა აზრით, აღარ იქნებოდა რაყიფების მტრობა, ეჭვიანობა, სასიყვარულო ეგოიზმი და დეპრესია, ძალადობა, ცდუნება და... ერთი სიტყვით, ბევრი მანკიერება, რომელსაც ნებით თუ უნებლიეთ, სექსუსი იწვევს.

თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის შედეგად დაბადებულ ბავშვებს კი წაიყვანდა სახელმწიფო და აღზრდიდა საგანგებო თავშესაფრებში. აქ აღზრდილ ბავშვებს არ ეცოდინებოდათ ვინ არიან მათი მშობლები, ვინ არიან მათი და-ძმანი, ნათესავები. ამიტომ ისინი თავისუფალი იქნებოდნენ ოჯახური ეგოიზმისაგან – ჩემი დედა, ჩემი მამა, ჩემი და, ჩემი ძმა... იქნებოდა მხოლოდ „ჩვენი“ და ყველას თანაბრად ეყვარებოდა ერთმანეთი. ვერ დაინახავდნენ ურთიერთგანსხვავებას. როგორც კატას არ უყვარს, სხვა კატაზე უფრო მეტად, თავისი დაკატა ან ძმა-კატა, ასევე არ მიანიჭებდა ადამიანი უპირატესობას თავის მშობლებს სხვის მშობლებთან შედარებით ან თავის და-ძმას სხვის და-ძმებთან შედარებით.

ამის კითხვისას უკვე მესმის მკითხველის სიცილი, მაგრამ, საუბედუროდ, სასაცილო არაფერია. სქესობრივ კომუნიზმს სრულიად სერიოზულად ქადაგებდნენ ჭკვიანი, განათლებული ადამიანები, რომელნიც გულწრფელად ფიქრობდნენ კაცობრიობის გაბედნიერებაზე. რას იზამთ, სასაცილო და აბსურდულ ვითარებაში ჭკვიანი კაცი ვარდება, თორემ ბრიყვი და სულელი გამუდმებით ამ მდგომარეობაში იმყოფება. გარდა ამისა, არის ეპოქები, როცა ადამიანებს ტოტალური სიგიჟე დაეუფლებათ.

მადლობა ღმერთს, რა ჭირიც უნდა მიკერძო ადამიანს, ცხოველს ვერ დაამსგავსებ. სქესობრივი კომუნიზმი არა მარტო ზნეობრივად არის ადამიანთათვის მიუღებელი, არამედ – ბიოლოგიურადაც შეუძლებელი. ადამიანთა სექსუალურ ცხოვრებას და ცხოველთა საქსუალურ ცხოვრებას შორის სწორედ ბიოლოგიურად არ არის საერთო არაფერი (მსგავსება სრულიად მოჩვენებითია). ორივეს უღრმესი და ურთულესი თავისებურებანი ახა-

სიათებთ, რაც გაპირობებულია ადამიანის არსის განსხვავებით ცხოველის არსისგან.

სქესობრივი კომუნიზმის თეორიას თავად სოციალისტთა პირადი ცხოვრება ეწინააღმდეგებოდა კატეგორიულად. სანიმუშოდ ორი ფართოდ ცნობილი სოციალისტის – როზა ლუქსემბურგისა და ლეო იოგიჰესის – ურთიერთობას მოვიშველიებ.

როზა ლუქსემბურგი გარეგნობით გონჯი ქალი იყო: ტანად მეტისმეტად ჩია, კოჭლი და დიდთავა. მაგრამ არაჩვეულებრივად სექსუალური ყოფილა. მამაკაცებს ანდამატივით იზიდავდა. ძნელი სათქმელია, რა ქმნიდა მის სექსუალურობას – ნიჭი, ჭკუა, ორატორული ტალანტი თუ დაუოკებელი ენერგია. ფაქტი ის არის, რომ მამაკაცები გულგრილი ვერ რჩებოდნენ როზას მიმართ. ლეო იოგიჰესსაც უყვარდა იგი. ეს სიყვარული უპასუხოდ არ დარჩენილა. როზაც მთელი არსებით მიეცა მას.

როზა ლუქსემბურგი მზად იყო ცოლადაც გაჰყოლოდა ლეო იოგიჰესს. ბავშვებიც მრავლად გაეჩინა, მაგრამ ლეო, როგორც სოციალისტი, წინააღმდეგი იყო ბურჟუაზიული ქორწინებისა. არც შვილების ყოლა უნდოდა იოგიჰესს, რადგან მიაჩნდა, რომ ისინი ხელს შეუშლიდნენ რევოლუციურ საქმიანობაში. ჯვარდაუწერელი დარჩა მათი სიყვარული, მაგრამ ტრფობა მანამ არ განელებიათ, სანამ ასპარეზზე მესამე პირი არ გამოჩნდა – კლარა ცეტკინის ვაჟიშვილი კოსტია ცეტკინი.

კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი განუყრელი მეგობრები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასაკობრივად დიდად სხვაობდნენ. კლარა ბევრად უფროსი იყო როზაზე. კოსტია ცეტკინს როზა ბავშვობიდანვე იცნობდა. ქალის თვალწინ ვაჟკაცდებოდა ბიჭი. ოცდაერთი წლის რომ გახდა კოსტია, როზამ მოულოდნელად სულ სხვა თვალით შეხედა მას. უკვე ასაკიან ქალს ჭაბუკი ცეტკინი შეუყვარდა. კოსტიასაც მოეკიდა როზას ტრფობა.

სანამ ლეო იოგიჰესი ციხეში იჯდა, როზასა და კოსტიას სიყვარული ულრუბლო ცის ქვეშ მიმდინარეობდა. მაგრამ ლეო ციხიდან გამოვიდა. ბერლინში დაბრუნდა. აღმოჩნდა, რომ... სოციალისტებს თურმე სრულიად არ მოსწონთ სქესობრივი კომუნიზმი, როცა იგი მათ პირად ცხოვრებაში ერევა. ლეომ ვერ აიტანა როზასა და კოსტიას ურთიერთობა, დაიწყო გაუთავებელი სკანდალები, მაგრამ რა სკანდალები!.. დაავიწყდათ ყველაფერი – სოციალიზმი, რევოლუცია, მარქსიზმი, ასაკიც (როზა უკვე 36 წლის ქალი იყო)... იყო მიხტომა-მოხტომა, ლანძღვა-გინება, ცემა-ტყეპაც კი. ბოლოს, ლეო იოგიჰესმა მაინც წაართვა როზა კოსტია ცეტკინს.

ეჰ... სიყვარულზე სალაპარაკოს რა გამოლევს. რა ამოწურავს იმას, რაც სიყვარულზე დაწერილა. ვინ გაანალიზებს იმას, რა საქმეც სიყვარულს ჩაუდენია. იგი ყველგან და ყველაფერშია განფენილი.

„უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.“

(გალაკტიონ ტაბიძე)

თუ ასეა, რატომლაა სიყვარულთან დაკავშირებული სიძულვილი, მტრობა-შუღლი, მკვლელობა და სხვა ბო-

როტებანი? საქმე ის გახლავთ, რომ სიყვარული შემოქმედია. იგი ქმნის ახალს. იგი ბადებს ყოველივეს. საღ ნაყოფსაც და მატლიანსაც მსხმოიარე ხე ისხამს, თორემ უსხმოს არაფერი აბია. ნიჭიერსაც და უნიჭოსაც, ჭკვიანსაც და უჭკუოსაც, ლამაზსაც და მახინჯსაც შვილიერი ქალი შობს, თორემ ბერწი არავის ბადებს. ეს დამბადებელის თვისებაა. სიყვარულიც დამბადებელია. ბუნებრივია, რომ იგი კარგსაც შობს და ავსაც. ამასთან ერთად, დაბადება ღვთაებრივი საიდუმლოებაა. მას ადამიანი ვერ ამოიცნობს. სიყვარულიც ამოუცნობი საიდუმლოებაა.

აპულეუსი „ოქროს ვირში“ გვიამბობს:

ულამაზესი ქალი იყო ფსიქეა. სიყვარულის ქალღმერთს ვენუსს შურდა მისი. ვენუსმა თავისი ვაჟიშვილი ამური მიუგზავნა ფსიქეას საცდუნებლად. მაგრამ სიყვარულის ღმერთი მოიხიბლა ქალით. მათ მგზნებარედ შეუყვარდათ ერთმანეთი. ფსიქეამ არ იცოდა, ვინ იყო მისი ნანდაური. ამური ღამღამობით მიდიოდა მასთან. პირობაც ჰქონდა ფსიქეასათვის ჩამორთმეული: არ დაინტერესებულიყო ვაჟის ვინაობით, თორემ გაქრებოდა მათი სიყვარული. ერთხანს მტკიცედ ასრულებდა ფსიქეა პირობას. მაგრამ იგი ქალი იყო და ცნობისმოყვარეობამ სძლია. ღამით, როცა ამურს ეძინა, სინათლე აანთო და მიჯნურს დახედა. ქალმა იცნო სიყვარულის ღმერთი, მაგრამ ამური გაუჩინარდა.

ასეა: თუ სიყვარულის საიდუმლოების ამოცნობას შეეცადეთ, იგი ხელიდან გამოგეცლებათ. კაცობრიობას კი სურს, რომ აფროდიტე მარად ცოცხლობდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მიგჩუანი

აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის

„აფხაზები საკუთრივ იგივე ქართველები არიან“

დიმიტრი გულია
აფხაზეთის სახალხო პოეტი

„აფხაზეთის სამეფო თავისი შინაარსით იყო ქართული სამეფო. სხვა შეხედულება არ ჰქონია არც ერთ სერიოზულ მკვლევარს.“

ზურაბ ანჩაბაძე,
პროფესორი, ცნობილი აფხაზი მეცნიერი

აფხაზეთი ისეთივე ძირძველი ქართული მიწა-წყალია, როგორიც სამეგრელო, სვანეთი, გურია, კახეთი და ა. შ. ამიტომ აფხაზეთის ისტორია ყოველთვის საქართველოს ისტორიის კონტექსტში განიხილებოდა, ვიდრე რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ არ დაიწყო საქართველოს ისტორიის უხეში ფალსიფიკაცია. ამიერიდან რუსეთის ანტიქართული რეაქციული ძალები სისტემატურად აქვეყნებდნენ ცრუ, ანტიმეცნიერულ პასკვილებს, რომ საქართველოს სახელმწიფო დავით აღმაშენებლამდე არც არსებობდა, რომ „Абхазия - это не Грузия" (Л. Воронов, 1907 г.)", რომ კლერიკალური რუსი სამღვდელოების აზრით, საჭიროა აფხაზეთის ყუბანის ოლქთან მიერთება და ა. შ. უფრო მეტიც, მათ უნდოდათ მეგრელების, სვანებისა და აჭარლების ცალ-ცალკე ეროვნებებად აღიარება, მათი ცალკე ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, რასაც ვერ მიაღწიეს. ამას ვერც აფხაზეთში მიაღწევდნენ, რომ მათთვის მე-19 ს-ის 60-70-იან წლებში მუჰაჯირობა (გადასახლება) არ მოეწყოთ, რომლის შედეგადაც დაცარიელებულ აფხაზთა ნასახლარებზე რუსები, სომხები, ბერძნები, უკრაინელები, ესტონელები, გერმანელები და სხვ. ჩამოასახლეს. ამით შექმნეს ეთნიკურად ჭრელი რეგიონი, სადაც ქართული ენის მაგიერ რუსული ენა დაამკვიდრეს. ქართველებს კი აფხაზეთში ჩასახლება ოფიციალურად აუკრძალეს.

აფხაზებს თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში წამლავდნენ და აქეზებდნენ ქართველების წინააღმდეგ. ასეთი ანტიქართული პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც გრძელდებოდა. ასე მაგალითად, 1921 წელს კპ ცკ-ის ბიუროს მდივანი ს. კიროვი ამბობდა: „არ შეიძლება ვუცადოთ და ვიმედოვნოთ, რომ საქართველოში თავისთავად მოხდება აფეთქება. ამისათვის არაა საჭირო გახსნილად დავესხათ თავს საქართველოს, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, დავიწყოთ მოძრაობა აფხაზეთსა და აჭარაში, შევუქმნათ საქართველოს შიდა პრობლემები, რომლებიც წელში გაწ-

ყვეტენ მათ." (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 6.VI.1991). ს. კიროვის მკვლელობაში ი. სტალინს სდებენ ბრალს. თუ ეს ასეა, მაშინ ამის მიზეზი მისი ასეთი პოზიცია უნდა ყოფილიყო.

რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში ვ. სიტინი 1922 წელს წერდა: „აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების შემდეგ ყურადღება უნდა მივაქციოთ სამეგრელოს, რომელიც თავისი ენით და ნაციონალურობით განსხვავდება ქართველებისაგან. სამეგრელოს ტერიტორია დიდია და სტრატეგიული თვალსაზრისით კარგი იქნებოდა მისი დამორჩილება რუსეთისადმი. თუ სამეგრელოს, ისევე როგორც აფხაზეთსა და აჭარას მიეცემა ავტონომია, ეს მომავალში საქართველოს დაშლის დასაწყისი იქნება" (სცსია, ფ. 1974. 1, საქმე 4).

სკკპ ცკ მდივანი იდეოლოგიის დარგში მ. სუსლოვი ამბობდა: „ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარას და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთი საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს. ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ". (გაზ. „ლიტ. საქართველო", 16-22.XII, 2001, № 51, გვ. 3).

დღევანდელი რეალობა ამის დასტურია, ამიტომ არ მოგვყავს დღევანდელი რუსი რეაქციონერი პოლიტიკოსების ანალოგიური გამონათქვამები, რაც ყველასათვის ცნობილია.

ამგვარად, აფხაზეთის მიმართ რუსეთის ხელისუფლების მიზანსწრაფვა რევოლუციამდე და შემდეგაც არ შეცვლილა. აფხაზთა დაპირისპირება ქართველების წინააღმდეგ ნიადაგზე და აფხაზთა ადიღეელებად გამოცხადების ტენდენცია. ამას მოჰყვა აფხაზთა ცალკე ერად აღიარება, რაც რუსეთის რეაქციული ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა. ამასთანავე დაიწყო აფხაზთა გარუსება, ეროვნული აზროვნების აბსორბირება, მათი ქართველებისაგან მოწყვეტა, რუსული სკოლების გახსნა, რუსული ეკლესია-მონასტრების მშენებლობა და ა. შ.

იმ მიზნით, რომ სსრკ-ში მცხოვრებ 100-ზე მეტ ერსა და ეროვნებებს შორის რაიმე განხეთქილება არ მომხდარიყო ეროვნულ ნიადაგზე სკკპ ცკ-მა შეიმუშავა დებულება იმის შესახებ, რომ სსრკ-ში მცხოვრები ყველა ერი და ეროვნება ამჟამინდელი საცხოვრისის (ტერიტორიის) აბორიგენი და ავტოქტონია.

დროისა და ვითარების შესაბამისად ეს დებულება პოლიტიკურად მომგებიანი და მისაღები იყო, მაგრამ მეცნიერულად იგი აბსურდულია. ამ შემთხვევაში უგულებელყოფილ იქნა მეცნიერული ჭეშმარიტება, რადგან იგი პოლიტიკას დაუქვემდებარეს. მსგავსმა მეთოდებმა მეცნიერების მთელი რიგი დარგები სსრკ-ში მსოფლიო მეცნიერების დონეს თითქმის მთელი საუკუნით ჩამოარჩინა.

ასეთი ცრუ მეცნიერული თეორიები ხელს აძლევდათ იმ ეროვნებების წარმომადგენლებს, რომლებიც სხვის ტერიტორიებზე ცხოვრობენ. ეს სეპარატიზმის გაღვივების საფუძველსაც წარმოადგენდა, რაც ასევე აწყობდა იმპერიის ცენტრს. ეს მოხერხებულად გამოიყენეს აფხაზმა სეპარატისტებმა, თავი ადიღეელებად და აფხაზეთის მონოაბორიგენებად გამოაცხადეს.

მიჩქმალეს ის ფაქტი, რომ ისტორიული აფხაზების წინაპრები ისეთივე კოლხები იყვნენ, როგორც ამჟამინდელი მეგრელებისა და სვანების, ანუ დასავლეთ საქართველოს ქართველების, ხოლო ე. წ. აფსუები აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ, ანუ ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, ქვეყნის ძნელბედობის ჟამს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მეცნიერებმა ყველაფერი ეს შესანიშნავად იცოდნენ, მათმა ერთმა ნაწილმა, მეცნიერებაში აღებული საბჭოთა კურსისათვის რომ არ ეღალატათ და საკუთარი კარიერისათვის ზიანი არ მიეყენებინათ, აფსუათა ცრუმონოაბორიგენობის თეორიას ასევე ცრუ, ანტიმეცნიერული და ანტიქართული ორაბორიგენობის თეორია დაუპირისპირეს, რომ თითქოს აფხაზეთში ოდითგანვე ერთად ცხოვრობდნენ აფხაზები და ქართველები. ე. ი. ისტორიული აფხაზები არაქართველებად გამოაცხადეს. მე-8 საუკუნიდან მთელ დასავლეთ საქართველოს ქართველობას „აფხაზები" ეწოდებოდა, ხოლო „აფხაზეთის" (დას. საქართველოს) დედაქალაქი იყო ქუთაისი. ტერმინი „აფსუა" „აფხაზით" შეცვალეს, რითაც ისტორიული ფაქტის დამახინჯება მოახდინეს, რაც შემდგომ ყველა გაუგებრობის მიზეზი გახდა. ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომ ერთი და იგივე ტერიტორიის ორი აბორიგენი ხალხი საერთოდ არ არსებობს, ეს ანტიმეცნიერულია და ეწინააღმდეგება ისტორიზმის პრინციპს. ეს ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება ტყუპები სხვადასხვა ეროვნებისანი იყვნენ. აბორიგენი, ანუ ავტოქტონი ის ხალხია, რომელიც ოდითგანვე ცხოვრობს ამა თუ იმ ტერიტორიაზე, სადაც ქმნის თავის კულტურას. აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთადერთი ქართული კულტურა შეიქმნა. XVI-XVII საუკუნეებამდე იქ არ გვხვდება არც ერთი ადიღეურ-ჩერქეზული წარმოშობის გეოგრაფიული სახელი. 1621 წლამდე აფხაზეთში არ დასტურდება ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არც ერთი გვარი; ანთროპოლოგიური თვალსაზრისითაც დღევანდელი აფხაზები იმეორებენ ქართულ ანთროპოლოგიურ ვარიაციებს და უპირისპირდებიან ადიღეურ-ჩერქეზულს და ა. შ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ XVI საუკუნემდე, ანტიკურ ან ადრეშუასაუკუნეებში ადგილი არ ჰქონოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ადიღეური ეთნიკური ელემენტის შემოჭრას. ეთნიკურ მიმოქცევას კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით ყოველთვის ჰქონდა ადგილი, რაც მეცნიერულად დასაბუთებულია. თუ ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა და აფხაზეთში ადიღეური ეთნიკური ელემენტი გაჩნდა XVI ს-მდე, ეს იმდენად უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო, რომ მას არავითარი კვალი არ დაუტოვებია მხარის არც ტოპონიმიკაში, არც გვარ-სახელებში, არც კულტურაში და ა. შ. ამ შემთხვევაში იგი, ცხადია, ქართულ ეთნიკურ პროდუქტად იქცა. როგორც ცნობილია, საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წ.წ.) ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთიდან საქართველოში დაახლოებით 40 ათასი ყივჩაღთა ოჯახი ჩამოასახლა, რომელთა სულადობრივი რაოდენობა 200 ათასზე ნაკლები არ შეიძლება ყოფილიყო. მათ არავითარი კვალი საქართველოს ტერიტორიაზე არ დაუტოვებიათ, მით უმეტეს აფხაზეთში ჩამოსახლებულ ეთნიკურ ჯგუფებს არ შეეძლოთ რაი-

მე კვალის დატოვება, თუ კი მართლაც ადგილი ჰქონდა ასეთ ფაქტს. ისიც ცნობილია, რომ XII-XIII საუკუნეებამდე ადიღეელები ხალხადაც არ იყვნენ ჩამოყალიბებული (იხ. „ქსე"=ადიღეელები). მით უფრო წარმოუდგენელია, რომ VIII ს-ის ბოლოს ადიღეელებს საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთი სამეფო შეექმნათ, როცა მსგავსი რამ საკუთარ ქვეყანაში არ შეუქმნიათ. „აფხაზეთის სამეფო" იყო დასავლურ-ქართული სახელმწიფო გაერთიანება, ცენტრით ქუთაისი, რომელიც კოლხეთის, შემდეგ კი ლაზეთის სამეფოების მემკვიდრე იყო. მისი მეფეები იყვნენ ტაო-კლარჯეთელი ბაგრატიონები (მცირე ხნით სვანი შავლიანები – IX ს.) და არა ადიღეელები, როგორც ეს სურთ აფხაზ სეპარატისტებს და მათ დამქაშებს. მეცნიერული უმეცრებაა, რომ „აფხაზეთის" (დას. საქართველოს) პირველი მეფე ლეონ II ბაგრატიონი (755-800 წ.წ.), დიდი პატრიოტი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ადიღეელი ჰგონიათ, ამიტომ მისი სახელობის ორდენიც კი დააარსეს, რითაც აჯილდოებენ ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში გამორჩეულ პირებს (მათ შორის სამარცხვინოდ 16 ქართველია). უწიგნურიც არ დაიჯერებს, რომ აფხაზეთის ქართული კულტურის ქრისტიანული ტაძრები წარმართ და ნახევრად მუსულმან აფსუათა წინაპრებს აეშენებინათ, როცა საკუთარ ქვეყანაში – ჩრდილოეთ კავკასიაში ერთი ასეთი ძეგლიც არ შეუქმნიათ. იქ კი მათი რაოდენობა 600 ათასს აღემატება, აფხაზეთში აფსუები (და არა აფხაზები) ერთი პატარა რაიონის მოსახლეობასაც ვერ შეადგენენ. ან როგორ შეიძლება აფხაზეთის აბორიგენი ეწოდოს ხალხს, რომელიც ზღვას „ამორეს" ეძახის (რუს. море), ქალაქს – აქალაქს, ოქვალს – ათავადს, ჯვარს – აჯვარს, სოფელს – აოხვამეს (მეგრ. ოხვამე) და სხვ. ნართული ეპოსიც ხომ მათ ჩრდილოკავკასიურ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს.

დღევანდელი აფხაზების დაახლოებით 80% წარმოშობით ქართველია (ძირითადად მეგრელი), ქართულ გვარებს ატარებენ და მოგვარეებიც მხოლოდ ქართველებში ჰყავთ. დანარჩენები ძირითადად ადიღეური წარმოშობის აფსუებია. ამას არც უარყოფენ და ეს მათი ფოლკლორული მასალითაც აშკარად დასტურდება. ჩრდილოკავკასიელები მათ ხაჩიფსესაც უწოდებენ. ხაჩიფსე ერთ-ერთ ხეობას ეწოდება ჩრდილოეთ კავკასიაში.

აფსუებში გავრცელებულია მამაკაცის სახელი ბესლანი. ამას თავიანთ შვილებს არქმევენ უფრო ისინი, ვისი წინაპრებიც ჩრდილო კავკასიის ბესლანიდან არიან გადმოსული.

სცდებიან ის ქართველი მეცნიერები, ვისაც ჰგონიათ, რომ თითქოს „აფსუა" აფხაზებისათვის მიუღებელი იყოს. მაშინ რატომ ცდილობენ აფხაზეთს დაუმკვიდრონ სახელი აფსნი. დღესაც აფხაზეთის საზღვრებზე მდ. ფსოუსთან და ენგურთან აბრებზე უწერიათ „აფსნი" და არა „აფხაზეთი", მისი ნამდვილი ისტორიული სახელი. „აფსნი" ხომ არც ერთ ისტორიულ დოკუმენტში არ ფიგურირებს. ამ დროს „აფსნი" ეწოდება მათი კულტურის სახლს, კოლმეურნეობას, ტანკებს და ა. შ. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ისტორიული აფხაზები იგივე კოლხები (ქართველები) იყვნენ, ხოლო აფხაზეთი საქართველოს ძირძველი კუთხეა. ტერმინი „აფსუა" მიუღებელია მხოლოდ ქართული წარმოშობის აფხაზთა უმრავლესობისათვის, მიუხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავად იმისა, რომ ისინი უკვე ცნობიერად თითქმის გააფსუებული არიან, ქართველობას უარყოფენ, მაგრამ აღიარებენ თავიანთ მეგრულ წარმომავლობას. მეგრელები კი ძირძველი ქართველური ტომია, ისევე, როგორც სვანები. უფრო მეტიც, აფხაზთა არააფსუური უმრავლესობა ამბობს, რომ ისინი ეკუთვნიან იმ ხალხს, ვის ენაზეც სიზმარში ვლაპარაკობთო, ჩვენი სიზმრისეული ენა კი მეგრულიაო. მათ ყველამ იციან მეგრული, ნაწილმა აფსუურიც, რომელსაც რატომღაც აფხაზურს უწოდებენ. აფხაზური ენა საერთოდ არ არსებობს, ამ ენას ისინი აფსუურს უწოდებენ, მხარეს კი აფსნის და არა აფხაზეთს. ამიტომ სწორია „აფსუურ-ადიღეური ენები" და არა „აფხაზურ-ადიღეური ენები", რაც კრემლის საამებლად გამოიგონეს, მაგრამ შორს დგას მეცნიერული ჭეშმარიტებისაგან.

აფსუები (და არა აფხაზები) რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან გადმოსახლებულნი ამ 200-300 წლის წინათ, ამაზე შემდეგი ფაქტიც მიგვანიშნებს: 1980 წელს გაგრის ზონის ინტელიგენციის წარმომადგენლები ქ. ჩერკესკში (ჩრდ. კავკასია) იმყოფებოდნენ იქაური რაიონის ხელმძღვანელობის მიწვევით. მათ ახლდათ ბიჭვინთის აფხაზური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი, რომელშიც ორი ქართველი ერია. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ორი მაღალჩინოსანი ქართველი. მხატვრული ღონისძიების დამთავრების შემდეგ დელეგაცია სოფელ აფსუაში მიიპატიჟეს საზეიმო სუფრაზე. იქაურმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რომელიც სუფრას თამადობდა, მისასალმებელი სიტყვის შემდეგ სტუმრებს ასე მიმართა: „თქვენ, არც თუ დიდი ხნის წინ აქაურობა დატოვეთ და შავი ზღვის პირას აფხაზეთში დასახლდით. დღეს თქვენ ძალიან კარგად გრძნობთ თავს და მას მეორე სამშობლოდ მიიჩნევთ. მაგრამ თუ თქვენს უსაფრთხოებას რაიმე საშიშროება ემუქრება, ან უბრალოდ, უკან დაბრუნების სურვილი აღგეძრათ, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ თქვენს ისტორიულ სამშობლოში ღირსეულად დაგაბრუნოთ" (გაზ. „სრულიად საიდუმლოდ", 1998, №7, გვ. 12).

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი ფაქტიც: ჩრდილო კავკასიელმა აფხაზებმა (ძიბა, არძინბა, ცვიჟბა, ხაშბა, აყუსბა, ახბა, აცუხბა, კაპბა და სხვ.), რომლებიც თავიანთ თავს „აფსუას" უწოდებენ, ძალიან კარგად იციან საკუთარი წარმომავლობა, ანუ წინარე სამშობლო, რასაც მათი თვითსახელიც აშკარად განმარტავს. კერძოდ „აფსუა" ორი სიტყვის კონგლომერატია: აფსდ (სული) და უაა (ხალხი, ადამიანები). „აფსუა" აფსუურად ხეობასაც ნიშნავს. მაშასადამე აფსუაა ნიშნავს „ხეობის ხალხს".

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აფსუებს სამშობლოს აღმნიშვნელი სიტყვა-ტერმინი არ გააჩნიათ. „სამშობლოს" შემცველი აფსუური ტერმინია „აფსადგილი", რაც აფსუათა დასახლების ადგილს ეწოდება. ამ ტერმინში „ადგილი" ქართული სიტყვაა. გააჩნიათ „სამშობლოს" (მამულის) აღმნიშვნელი მეორე სიტყვაც – „აჯინჯტილა", მაგრამ მას ისინი აფხაზეთის მიმართ არ ხმარობენ და კანონზომიერადაც. არადა „აფსნის" მაგივრად აფხაზეთს „აჯინჯტილას" დაარქმევდნენ. ეს არ მოხდა, რადგან აფხაზეთი აფსუათა სამშობლო არ არის, ამიტომ ეს ტერმინი ამჟამად უფუნქციოა, პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული, მიუხედავად იმისა, რომ აფსუებს არავინ ეუბნება აფხაზეთი თქვენი სამშობლო არ არისო. მაშასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამე, აფხაზეთისადმი ამ ტერმინის უარყოფა აფსუათა მიერ რეალური ჭეშმარიტებიდან მომდინარეობს.

ცრუ მონოაბორიგენობისა და ორაბორიგენობის პოლიტიკური დოქტრინის მქონე მეცნიერები რატომღაც ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ არც ერთი ისტორიული რუკა აფხაზეთისა, დაწყებული I საუკუნიდან, აფხაზ ავტორთა შრომებში დამოწმებული არ არის. ეს იმიტომ, რომ ეს რუკები მათი მეცნიერული დებულებების საწინააღმდეგოზე მიგვანიშნებენ. ისინი ამბობენ ერთს, ფაქტები ამტკიცებენ საწინააღმდეგოს. ასე მაგალითად, პლინიუს უფროსის (I ს.) მონაცემების მიხედვით შედგენილ კავკასიის რუკაზე აბზოე (აფსუა) დაღესტანთანაა დაფიქსირებული, უდინების გვერდით. დღეს აფსუა (აბზოე) და უდინებიც ცხოვრობენ საქართველოში, პირველი – დასავლეთში, მეორე – აღმოსავლეთში (სოფელი უდე, ადიგენის რაიონი, აგრეთვე კახეთში). სხვა რუკებზე XVI-XVII საუკუნეებამდე აფსუები ჩრდილოეთ კავკასიაში არიან დაფიქსირებული (იხ. იტალიელი კარტოგრაფის ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის რუკა, რომლის მიხედვითაც აფსუები მდ. ყუბანის შუა წელში ცხოვრობენ. იმავე რუკაზე მდ. ყუბანის მარცხენა შენაკადთან დაბას ეწოდება „Асиа“, ამჟამად აფსუები აკუას სოხუმს უწოდებენ. ე. ი. ეს სახელი მათ ჩრდილოეთიდან გადმოიტანეს. XVI ს. რუკებზე აფხაზეთს „სამეგრელო“ ეწოდება. ანუ აფხაზეთი და სამეგრელო ერთმანეთთანაა გაიგივებული. (იხ. ჟ. „არტანუჯი“, 1997, № 6, გვ. 28-31). ამიტომაც ამბობდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, აკად. ნ. ბერძენიშვილი – „აფხაზები საკუთარ ისტორიას გვურბიან“-ო.

ამგვარად, დღევანდელი აფხაზების, როგორც ხალხის ფორმირება ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ძირითადად ადგილობრივ ქართულ, იგივე კოლხურ ეთნიკურ ნიადაგზე იწყება გვიან შუასაუკუნეებში (XVI-XVII ს.ს.), ანუ მას შემდეგ, რაც აფხაზეთში, იგივე ეგრისში, ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ინტენსიურ ხასიათს იღებს იმიერკავკასიიდან ადიღეური ეთნიკური ელემენტის შემოჭრა. ესენი არიან პლინიუსისდროინდელი და შუა საუკუნეების ხანის აბზოა-აფსუები, რომლებიც დღეს აფხაზეთშიც თავიანთ თავს ისევ აფზოა-აფსუას უწოდებენ, თუმცა მექანიკურად ადგილობრივი ქართული ტერმინი აფხაზი მათზეც გავრცელდა. ამიტომ, როცა უნდათ, თავს აფხაზებს უწოდებენ, რადგან პოლიტიკურად იგი მათთვის უფრო მომგებიანია. თუმცა ყოველნაირად ცდილობენ, რომ ტერმინი „აფსუა“ და „აფსნი“ (რაც მათ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს), არამც თუ დავიწყებას მისცენ, არამედ „აფხაზი“ და „აფხაზეთიც“ ამით შეცვალონ (იხ. ზემოთ).

აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხის კვლევა იძულებით ხასიათს ატარებს, რადგან მავანთ და მავანთ სურთ საქართველოს ისტორიის უხეში ფალსიფიკაციის გზით მოძმე, ერთმოყვარე აფხაზები ქართველებს სამუდამოდ გადაამტერონ, რათა შემდგომ აფხაზეთის ძირძველ ქართულ კუთხეს თვითონ დაეუფლონ, რაც აფხაზი ხალხის, როგორც ეთნოსის გაქრობას გამოიწვევს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოია ცხადაია

ვიქტორ გაბესკირია – 100

პოეტის პორტრეტი

ვიქტორ გაბესკირიას მოღვაწეობის არეალი 20-იანი წლების მიწურულიდან 60-იანი წლების დამდეგამდე (გარდაცვალებამდე) ის პერიოდია, როდესაც განსაკუთრებით მოქმედებდა კონიუნქტურული წნეხი.

„დრო, დრო აღნიშნეო", – როცა წერდა გალაკტიონი, უპირველესად პოეზიის დროსთან გარკვეულ კავშირზე მიანიშნებდა, მაგრამ ეს არ გულისხმობდა, რომ გალექსილ ქრონიკებად ქცეულიყო პოეზია. საბჭოურმა იდეოლოგიამ კი მთელს საბჭოთა სივრცეში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც „ჯერ არგაგონილი" მორჩილება მოითხოვა მწერლობისაგან. შეიძლება ითქვას, კულტურის არც ერთ დარგს არ დასტყობია, ალბათ, ის დამთრგუნველი ძალის ნაკვალევი ისე, როგორც მხატვრულ ლიტერატურას, უფრო თვალსაჩინოდ კი – პოეზიას. ლიტერატურა სიტყვიერი ხელოვნებაა, პოეზია კი სიტყვიერი ხელოვნების უმაღლესი გამოვლენა: ლაკონიური, ტევადი, ემოციური. ამიტომაც, პოეზია აღმოჩნდა იდეოლოგიის ყურადღების ეპიცენტრში.

ძნელი იყო ამ ვითარებაში პიროვნული, მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი ღირსების შენარჩუნება. ვიქტორ გაბესკირიამ ეს ღირსება პატიოსნად შეინარჩუნა ბოლომდე, ასე იცხოვრა, ასე იღვაწა და ასედაც შემორჩა თავის თანამედროვეთა მეხსიერებას – „ფაქიზი და იმავე დროს ვაჟკაცური სულით... გესლიანი, მწარე, მჩხვლეტავი სიტყვა არასოდეს დასცდებოდა, ვისზეც არ უნდა ყოფილიყო საუბარი" (გ. ნატროშვილი).

„გაქცევა" სინამდვილიდან, ეპოქის მარწუხებიდან ანუ ეპოქის თემებიდან, შეუძლებელი იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, იმ უმძიმეს, უნდობარ ხანაშიც კი ქართულმა პოეზიამ მაინც შეძლო ჭეშმარიტი სახის წარმოჩენაც. ვინ – როგორ და ვინ – რა გზით, გადაარჩინეს ქართული ლექსიც და თავიანთი პიროვნული სახეებიც. ნათქვამია, „წყალნი წავლენ და წამოვლენო"... ისტორია თავისას მიაგებს ყველას და ყველაფერს... ვიქტორ გაბესკირიას პოეზიის უპირველეს ღირსებად რჩება საგანგებოდ ფრთხილი და მოკრძალებული დამოკიდებულება თანამედროვეობისადმი, რაც გამოიხატა ასევე საგანგებოდ შერჩეულ თემატიკაში.

ვიქტორ გაბესკირიას მკითხველის თვალს და გულისყურს არ გაუჭირდება, დაინახოს მასში ალალმართალი კაცი, რომელიც შეძლებისდაგვარად (იდეოლოგიის ფაქტორის გათვალის-

წინებით) წერდა და ოცნებობდა იმაზე, რაზედაც ეწერებოდა და ეოცნებებოდა. ეს იყო სამშობლოს ცა და მიწა, უფრო კონკრეტულად – სამეგრელო, გურია, ფოთი – მისი ნატვრის და სიყვარულის ქალაქი, ზღვა, რომელიც სამუდამოდ დაუკარგავს მოსვენებას და დროდადრო მშვენიერ ხილვებში გახმაურდება... იგი თითქოს ფერმწერია, პოეტური, სიტყვებით აფერადებს წარსულის ხილვებს თუ აწმყოში განფენილ ღირსსახსოვარ მშვენიერებას. პოეტისათვის კი ყველაფერი მშვენიერია, რაც სულში ტკბილ-მწარედ გახმაურდება, ყოველი წამი, თავის ჩვეულებრივ ყოფით სამყაროში რომ ჩაახედებს, თუნდაც – პალიასტომის ტყე, იქვე, მდინარეში მეგობრებთან გატარებული წუთები, საათები.

ნიჩბებს მოვუსვამ,
შეირხევა აქა-იქ ნისლი,
ზოგჯერ დავწვდებით მდინარის
წყალს, ავიღებთ პეშვით,
ვიცი, შენ ისევ გაიხარებ,
რომ გადაისვრი
იმ წამალს, ფრთხილად რომ
ინახავ გულის ჯიბეში.
გვექნება სუფრა ღვინოდასხმულ
ყველით და პურით,
სადმე ხის ძირას მოვინდომებთ
დიდხანს დარჩენას.
ტყე თუ უეცრად ახმაურდა
წვიმის შხაპუნით,
იცოდე, გვიცნო, ჩვენც შევძახოთ
„ჩვენა ვართ, ჩვენა“.

მთელი მისი პოეზია ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს პოეტი მუდმივი მგზავრია, რომელსაც ცხოვრების გზა გაუვლია და ახლა ისევ უბრუნდება ძვირფას სანახებს. ასედაც ჰქვია მის ერთ-ერთ ლექსს – „გზაზე გაფიქრებული“.

ვეტრფი ყველაფერს, რაც მახარებს,
რასაც შევზრდივარ,
თოვს და თოვაში,
ვით დარბაზში, ისე შევდივარ.

მშობლიური პეიზაჟები პოეტისთვის მომნუსხველი იყო არა მხოლოდ თავისი სიდიადითა და ვიზუალური მომხიბვლელობით, არამედ იმ შთამბეჭდავი ასოციაციებით, რომლებიც წარსულის მოგონებებთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც მონაცვლეობენ მის ლირიკაში ფერწერული კადრები:

ცეცხლი დაანთეს მოკრძალებით,
ზანდუკზე დადეს
ჭრელი საბნები, აბრეშუმის
ძაფით ნაკერი,
სიჩუმე არის ოთახში და
დევს მაგიდაზე
სანთლის არაყი და ტკბილისკვერი
(„ზამთრის დილა ჩემს სოფელში“).

ვიქტორ გაბესკირიას პატრიოტული ლირიკის ფონი უმთავრესად მშობლიური პეიზაჟებია. ზღვა, რომელიც თავის მშობლიურ კუთხეს აგონებს, მისი ფიქრების მარადიული თანამგზავრია – „ლურჯი ცისკარი“...

ჩნდებიან ფიქრში შენი ზვირთნი
და ხომალდები,
ხშირად ყურს ვუგდებ განაბული
შენს შფოთვას მართალს,
შენგან შორსა ვარ,
მაგრამ ისე მიახლოვდები,
რომ ზოგჯერ ტალღებს ალივლივებ
ჩემს სასთუმალთან.
(„ისევ ზღვისადმი“)

მოწიწება, კრძალვა, სიტყვასთან ზომიერი დამოკიდებულება იგრძნობა ყველგან, ეს მისი პოეტური ხელწერაა, მისი შინაგანი ნატურის ნიშანი.

აქ ეწერია, იქით ბაღი!
იქ ბახვა სახლობს!
გული რად ტოკავს? –
მიხარია, იქ ზღვაა ახლოს!
ნესტიანია, მძიმეაო, ნეტავ ვის
უთქვამს?!
მე ხომ ამ ჰაერს სიყვარულით
და ხარბად ვსუნქავ!
მივდივარ გზაზე, მზე კაშკაშებს
და მაინც გრილა...
გული რად ტოკავს? –
ჩემი კარგი სამეგრელოა.

განწყობით გალაკტიონის „წინაპართაგან წასულა ყველა“-ს მოგვაგონებს ლექსი „გახსენება ნათესავების, მეზობლებისა“. ეს ვიქტორ გაბესკირიას ბიოგრაფიის მიკროსამყაროა, რომელთანაც სულის ისეთი ძაფით არის მიბმული, რომ, სადაც არ უნდა იყოს, ბოლოს მაინც იქ ბრუნდება, ამ სიყვარულში იხარჯება. ხსოვნის დაფაზე სრული ჰარმონიით ისახებიან ძვირფასი პორტრეტები, ხატები და „ახსოვს, ზოგს რა ადარდებდა, რად იყო მწყრალი“...

ხშირად გიგონებთ, ხშირად
ვხედავ ჩრდილს მაღალ ხეთა,
თქვენს ეზოებში ვხედავ ლეღვებს
დამწიფებულებს...
ზოგჯერ ფიქრებში ისე შორს ხართ
და ისე გხედავთ,
როგორც ნისლიან დღის ბორანზე
შეჯგუფებულებს.

ვიქტორ გაბესკირიას ლირიკა უმეტესად კოლხური სურათების ჰარმონიაა, მაგრამ ასეთივე სიყვარულით ხატავს იგი ქართლის და კახეთის პეიზაჟებს – მთლიან სამშობლოს, მშობლიურ ცისქვეშეთს. გარდასულ დღეს, როგორც უკვე ლამაზ წარსულს, ისე ელოლიავებოდა და ამაში კლავდა პოეტურ წყურვილს. 1934 წლით დათარიღებულ ლექსში „ჩვენ ქვეყნის ქალიშვილები“, რომლებსაც ... ტის სიტყვით, „ქვეყანამ შექმნა საქმე ულევი“ და საქართველოს გზებზე დადიან „ვარდით და გიშრით დახატულები“, მაინც სხვა განწყობა ჭარბობს, უფრო სულისმიერი, უშუალო, ბუნებრივი, ნოსტალგიური:

შემიმჩნევია მე სევდა ზოგში,
როს მდუმარებენ, როგორც ჩრდილები,
სად გადასულან, რომელ ეზოში,
ჩემი ბავშვობის ქალიშვილები?!

როგორც თავის თანამედროვეთა უმრავლესობა, არც ვიქტორ გაბესკირია ყოფილა გულგრილი ომის თემატიკისადმი, უფრო მეტიც, – მას ამ ომში ძმა დაეღუპა და კიდევ ერთხელ ამოარღვევს სულს ტკივილი:

სად ხარ? რა წერას,
ბედს დამორჩილდი?!
უბრალოდ ვიტყვი: გასაკვირია!
ყველაზე ცუდი ბედის აღმოჩნდი
ყველაზე კარგი გაბესკირია.

ლექსში „ასე სათუთად რად ეპყრობიან“ გამოხატულია ომისდროინდელი ქართული სოფლის საერთო მწუხარება ომში დაღუპულ ბიჭების გამო. თანასოფლელები უფრთხილდებიან ომში დაღუპულის დას, რომელმაც ჯერ არ იცის მწარე სიმართლე: „ასე სათუთად რად ეპყრობიან?! მისგან ხომ არას არ მოელიან? ან ვით გაიგოს, – ძმა დაეღუპა ომში და ჯერ არ გაუმხელიათ“...

ვიქტორ გაბესკირიამ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული დრამატურგიისა და ჩვენი თეატრების რეპერტუარის გამდიდრების საქმეში. რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელობის, გორის, ბათუმის და რესპუბლიკის სხვა თეატრებში წლების განმავლობაში იდგმებოდა მისი პიესები:

„მათი ამბავი“, „გაზაფხულის დილა“, „გურიის მთები დაუთოვია“, „უფსკრულთან“ და სხვ. მან ქართულ დრამატურგიაში თავისებური პოეტური ნაკადი შემოიტანა. როგორც საზოგადოდ იმდროინდელ ქართულ დრამატურგიაში, ვიქტორ გაბესკირიას დრამატულ ნაწარმოებებში უმთავრესი ადგილი ეჭირა დადებით გმირს, მაგრამ აღსანიშნავია და საინტერესო ის, რომ ავტორისთვის მთავარი იყო ადამიანი მთლიანობაში. იგი მოქმედების განვითარების მთელ მანძილზე ცდილობს, უფრო ღრმად ჩაგვახედოს ყოველ წვრილმანში, რადგანაც არ არსებობს ზნეობრიობა ამ წვრილმანთა და მნიშვნელოვანთა მთლიანობის გარეშე. საბჭოთა ლიტერატურაში, განსაკუთრებით იმ წლებისათვის, მხატვრული პერსონაჟის ზნეობას განსაზღვრავდა მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, „გმირული“ შრომისადმი. თითქმის ყველა დანარჩენი ეპატიებოდა, ბევრი რამ დასაშვები იყო. დასაშვები იყო განსხვავებული აზრისათვის, განსხვავებული წესისათვის მშობლისათვის შვილის უარყოფა, შვილისაგან მამის მკვლელობაც კი. ზნეობრივი იყო პოლიტიკურად ეჭვმიტანილი „საყვარელი“ ადამიანის დასმენაც, ყოველივე ამის გამო, თუ ცნობილ ტერმინს მოვიხმობთ, ბევრ უღირსებო ადამიანს ლიტერატურაში და რეალურ ცხოვრებაში დიდების გვირგვინი დაედგა, მრავალ ღირსეულს კი უმძიმესი ხვედრი ერგო (დროისა და ისტორიის კანონზომიერებით ბოლოს ყველა კუთვნილ ადგილს უბრუნდება). ურთულესი იყო მწერლის მდგომარეობა ასეთ ატმოსფეროში.

ვიქტორ გაბესკირიას, როგორც დრამატურგს, შეეძლო მეტი ანგარიში გაეწია კონიუნქტურისადმი და უფრო ფართოდ აესახა თავისი გმირების როლი საზოგადოებრივ ასპარეზზე, უს ყოფილიყო ამოსავალი მათი ზნეობისა, მაგრამ, ვფიქრობთ, ავტორი შეგნებულად ლაკონიურია ამ მხრივ და ზნეობრივი გმირის პორტრეტს ქმნის ზოგადადამიანური თვალსაზრისით. მწერალი მეორეხარისხოვან და ზოგჯერ უმნიშვნელო პერსონაჟს რამდენიმე შტრიხით გვიხატავს და ისეთ რამეს ათქმევინებს, რითაც საბოლოოდ არღვევს თემის სქემატურობას და დაფიქრების საშუალებას იძლევა. ეს პიესები საკმაოდ მდიდარია ქვეტექსტებით, რაც ერთგვარი მინიშნებაა იმაზე, რასაც ფართოდ, საჩინოდ ვერ ეხებოდა ავტორი. დროითა და გარემოებით შეზღუდული, იგი მშვენივრად ართმევდა თავს პრობლემების იმგვარ გადაწყვეტას, რომ ასცდენოდა საყოველთაო ტრაფარეტს, არ ყოფილიყო ზედმეტად რიტორიკული. ამიტომაც არჩევდა ლოკალურ გარემოს თავისი გმირებისათვის, მყუდრო ოჯახურ წრეს, ერთი შეხედვით მარტივ, მაგრამ ადამიანურ პრობლემებს, ყოველდღიური ცხოვრების კოლიზიებს.

ცნობილია, თუ რამდენი წინააღმდეგობა შეხვედრია ვიქტორ გაბესკირიას თავისი ნაწარმოების სცენაზე დადგმისას. მაგალითისათვის: პიესა „უფსკრულთან“, რომლის ერთ-ერთი გმირი კვდება, რეპერტუარიდან მოუხსნიათ, როგორ თუ ჩვენს როში, ამ მიზეზით ბავშვი დაიღუპებოდაო. საქმის გამოსარკვევად სამკაციანი კომისიაც შექმნილა. ამასთან დაკავშირებით აკაკი ბაქრაძე იგონებს: „სერიოზული ზიანი მიაყენა ხელოვნებას შემრიგებლურმა დამოკიდებულებამ დაბალი ხარისხის მხატვრული პროდუქციისადმი... ხშირად კამათის საგანი ხდებოდა არა აშკარად სუსტი ნაწარ-

მოებები, არამედ საინტერესო, მწვავე პრობლემური ლიტერატურული ნიმუშები. სწორედ ასეთ ნაწარმოებს ემუქრებოდა დამოკლეს მახვილი...

მინდა, გავიხსენო ერთი შემთხვევა, რომელიც დღეს ღიმილს იწვევს. ამ ათიოდე წლის წინათ მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ვიქტორ გაბესკირიას „უფსკრულთან". პიესაში, ბიჭუნა, რომელიც დედამ მიატოვა, მძიმედ ავადდება და კვდება. ზოგიერთი აღშფოთდა, როგორ შეიძლება, რომ საბჭოთა პირობებში ბავშვი ასეთ ვითარებაში გარდაიცვალოსო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაშინ ამ საკითხის გასარკვევად სამი კაცისაგან შემდგარი კომისია გამოყო... წარმოდგენა მოიხსნა რეპერტუარიდან" (აკ. ბაქრაძე, გაზ. „თბილისი", 1976.V).

ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პიესას „გურიის მთები დაუთოვია". დღევანდელი გადასახედიდან საინტერესოა მეორე მსოფლიო ომში ტყვედნამყოფი ახალგაზრდა კაცის, ბიძინას სახე. იგი ისჯება, როგორც სამშობლოს მოღალატე, მაგრამ მისი პიროვნება ისეა წარმოდგენილი მწერლის მიერ, რომ მრავალმნიშვნელოვან კითხვებს ბადებს: ვინ არის იგი? მართლაც, დივერსანტი, ჯაშუში, სამშობლოს მოღალატე, თუ მტრის ხელთ ტყვედ ჩავარდნილი, განაწამები ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სხვა არა დაუშავებია რა, გარდა იმისა, რომ ტყვეობა ვერ აიცდინა.

ვიქტორ გაბესკირიას ყველა პიესა, გამონაკლისის გარდა, დაიდგა სცენაზე. იგი ამავე დროს ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. თარგმნილი აქვს ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ა. მიცკევიჩის, ლ. უკრაინკას, ნ. ნეკრასოვის, ს. ტიხონოვის და სხვათა ლექსები, ავტორია დრამატული პოემისა „ქეთევან წამებული", გარკვეული ამაგი დასდო საბავშვო პოეზიასაც.

ვიქტორ გაბესკირიას ცხოვრება და შემოქმედება თავის ადგილს ინარჩუნებს მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ახმეტელი

მარინე იაშვილი

სახელგანთქმულ მევიოლინეს მარინე იაშვილს რუსთაველის პრემია მაშინ მიენიჭა, როცა მას 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში მან გამართა ორი საიუბილეო კონცერტი, სადაც წარსდგა როგორც სოლისტი, ანსამბლისტი და პედაგოგი. ამ შესანიშნავმა საღამოებმა კიდევ ერთხელ ცხადჰყვეს, რომ ამ დიდი არტისტის დაუცხრომელი შემოქმედებითი მოღვაწეობა არ შენელებულა. იგი კვლავინდებურად მიისწრაფვის სრულყოფილებისკენ და დღესაც იპყრობს შემოქმედებით მწვერვალებს.

მარინე იაშვილის ხელოვნებას სამი საყრდენი აქვს: უნიკალური ტალანტი, ცხოველმყოფელი ტრადიციები, რასაც იმთავითვე ეზიარა თავისი მშობლების – ცნობილი მუსიკოსების ზემოქმედებით და მაღალპროფესიული სკოლა, რომელსაც ეუფლებოდა ორი შესანიშნავი პედაგოგის ხელმძღვანელობით. მისი პირველი აღმზრდელია საკუთარი მამა, ღვაწლმოსილი მუსიკოსი, იაშვილების მუსიკალური დინასტიის ფუძემდებელი, პროფესორი ლუარსაბ იაშვილი, რომელიც მოგვიანებით შეცვალა გამოჩენილმა პედაგოგმა, მკვლევარმა და მეცნიერმა, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორმა მოსტრასმა.

გამოჩენილი მევიოლინე დიდად აფასებს თავისი მომთხოვნი და მზრუნველი მასწავლებლების ამაგს. გულით ატარებს ამ ძვირფასი ადამიანების ხსოვნას.

მარინე იაშვილმა მრავალფეროვანი და დაძაბული შემოქმედებითი გზა განვლო. მისი ცხოვრება აღსავსეა ბრწყინვალე მიღწევებითა და მონაპოვრებით.

მასთან ადრე მოვიდა აღიარება.

პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა 1949 წელს, პრაღაში, კუბელიკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც შეწყვეტილი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, ურთულესი პოლიტიკური ვითარების გამო. კუბელიკის სახელობის კონკურსი, რომელიც აღსდგა 15-წლიანი პაუზის შემდეგ, უმალვე მოექცა მსოფლიოს მუსიკალური საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ამ კონკურსმა ერთბაშად გაუთქვა სახელი მაშინ სრულიად ახალგაზრდა ქართველ მევიოლინეს, რომელიც საერთაშორისო კონკურსის პირველი ლაურეატი გახდა როგორც საქართველოს, ისე მთელი კავკასიის მასშტაბით. საგულისხმოა ისიც, რომ მაშინ მარინე იაშვილი ჯერ არ სწავლობდა მოსკოვის კონსერვატორიაში. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთულეს კონკურ-

სზე გაიმარჯვა ლუარსაბ იაშვილის სკოლამ.

1952 წელს მარინე იაშვილმა მონაწილეობა მიიღო ვენიავსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსში, რომელიც პოზნანში ჩატარდა. ქართველი მევიოლინე აქაც ლაურიატებს შორის აღმოჩნდა.

1955 წელს კი გაიმარჯვა ბრუსელში, დედოფალ ელისაბედის საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც დააარსა დიდმა ლეგენდარულმა მევიოლინემ იზაიმ.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ იმდროინდელი კონკურსები ძალზე მაღალი დონით გამოირჩეოდნენ და თვისობრივად განსხვავდებოდნენ იმ საკონკურსო მარათონებისაგან, სოკოებივით რომ მომრავლდნენ ბოლო ათწლეულების მანძილზე და ხელმისაწვდომი გახადეს ლაურეატის ტიტული.

მაშინ კი, როცა 17 წლის მარინე იაშვილი კუბელიკის სახელობის საერთაშორისო კონკურსისათვის ემზადებოდა, თითებზე იყო ჩამოსათვლელი კონკურსებიცა და თვით ამ უაღრესად სერიოზულსა და პასუხსაგებ შეჯიბრებაში გამარჯვებული მუსიკოსებიც.

მაინც რა მახასიათებლებით გამოირჩეოდნენ ეს კონკურსები?

პირველ რიგში, ავტორიტეტულობით, რომლის წარმოქმნაშიც დიდი წვლილი მიუძღვით იმ ლეგენდარულ მუსიკოსებს, ვისი უბადლო ხელოვნებაც ამ კონკურსების შთამაგონებელ ძალად იქცა: კუბელიკი, ვენიავსკი, იზაი! ეს სახელები აპრიორულად განსაზღვრავდნენ ამ კონკურსების პრესტიჟს, მათ დონესა და მასშტაბს.

აღნიშნულ კონკურსებს ავტორიტეტს უქმნიდა თანამედროვეობის უდიდესი მუსიკოსებისგან შემდგარი ჟიურიც, რომელიც უმაღლეს ეთიკურსა და ესთეტიკურ იდეალებს ემსახურებოდა, ხელმძღვანელობდა მაღალზნეობრივი და მაღალპროფესიული კრიტერიუმებით! ამიტომაც არაჩვეულებრივად სუფთა იყო და უანგარო ამ კონკურსებზე გამეფებული შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელშიც ერთადერთი კერპი ბატონობდა. ეს გახლდათ მუსიკა! სწორედ ამიტომაც ეს კონკურსები წარმოუდგენელი სირთულით გამოირჩეოდნენ. აქ იმარჯვებდნენ ჭეშმარიტი ტალანტები, პირველი სიდიდის ვარსკვლავები, რომლებიც ლაურეატობის მოპოვებისთანავე საერთაშორისო ორბიტაზე გადიოდნენ და უმალვე ერთვებოდნენ დიდ საკონცერტო ცხოვრებაში.

სწორედ ასეთი პირველი სიდიდის ვარსკვლავია მარინე იაშვილი, რომელიც დღესაც ინარჩუნებს ამ სტატუსს. იგი კვლავაც შეუნელებელი წარმატებით გამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და აღაფრთოვანებს მსმენელებს ვირტუოზული ოსტატობით, არტისტიზმით, შემოქმედებითი ნებისყოფით, ტემპერამენტითა და იმ ღვთაებრივი ენერგიით, რომლის ზემოქმედების ძალა მისი ტალანტის თაყვანისმცემლებს მრავალგზის განუცდიათ.

ამ ენერგიის გამტარია მარინე იაშვილის ბგერა, რომელიც მაღალმხატვრული იმპულსების მთელ სამყაროს მოიცავს და სილამაზით, სინატიფითა და ელვარებით გამოირჩევა.

დიახ, მრავლისმომცველია მარინე იაშვილის ბგერა! იგი პოეტურიცაა და ექსპრესიულიც, ცხოველმყოფელიცაა და კდემამოსილიც, ძარღვიანიც არის და უმწიკვლოცაა.

მთავარი კი ისაა, რომ ეს თვისებები მოქცეულია ჰარმონიულ მთლიანობაში. მისი ტემბრული პალიტრაა ესოდენ მრავალფეროვანი და მდიდარი!

იგი დიდოსტატია როგორც კანტი-

ლენური, ისე დრამატული, დეკლამაციური ინტონირებისა. მისი ვიოლინო ამიტომაც ხან მღერის და გალობს, ხან მეტყველებს და ლაპარაკობს.

მარინე იაშვილის ბგერადობას ერთი უნიკალური თავისებურება ახასიათებს – აგრძელებს რა ცხოვრებას კონცერტის შემდეგაც, ის თითქოს სამუდამოდ მკვიდრდება მსმენელის მეხსიერებაში, რის გამოც ეტალონად იქცევა და შეფასების კრიტერიუმის მნიშვნელობას იძენს.

ამიტომაა, რომ მარინე იაშვილის განუმეორებელი და შთამბეჭდავი ბგერა გადამწყვეტ როლს თამაშობს სხვა გამოჩენილი მევიოლინეების აღქმისა თუ შეფასების დროს. ბევრი, ძალიან ბევრი მუსიკოსი ვერ უძლებს ამ შედარებას!

მარინე იაშვილის ხელოვნება შთაგონების წყაროდ იქცა თანამედროვე კომპოზიტორებისათვის. მას მიეძღვნა 18 დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელთა ავტორები არიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორები.

მარინე იაშვილის მხატვრულ აზროვნებას რენესანსული საფუძვლები აქვს. აქედან იღებს სათავეს მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მასშტაბურობა და მისწრაფება პროპორციულობისაკენ. ეს შესანიშნავი ინსტრუმენტალისტი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, რასაც წონასწორობაში მოჰყავს მისი სულიერი და ფიზიკური ძალები, ემოციური და რაციონალური საწყისები, მხატვრული ამოცანები და ტექნიკური ხერხები, კლასიკური საყრდენები და რომანტიკული მისწრაფებები.

მარინე იაშვილის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია უნივერსალიზმი, რაც ვლინდება მის ყოველ-მომცველ რეპერტუარშიც. იგი ფლობს არსებითად მთელ სავიოლინო ლიტერატურას – სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ სუიტებს, სონატებს, კონცერტებს, პიესებს, კაპრისებს და ა. შ.

უნივერსალიზმი მჟღავნდება მარინე იაშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობაშიც. იგი არა მარტო უბადლო სოლისტია, არამედ შესანიშნავი ანსამბლისტიცაა და პედაგოგიც.

დიდია მარინე იაშვილის დამსახურება ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე. მის საკონცერტო პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქართველ კომპოზიტორთა მუსიკას. იგი პირველი შემსრულებელია ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, ალ. შავერზაშვილის, რ. გაბიჩვაძის, ს. ცინცაძის, ს. ნასიძის, გ. ყანჩელის, ნ. მამისაშვილის, რ. ქარუხნიშვილის და სხვათა ნაწარმოებებისა.

1966-1975 წლებში მარინე იაშვილი ნაყოფიერად მოღვაწეობდა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც ზრდიდა მომავალ მევიოლინეებს. ამავე დროს, თავის მეუღლესთან, ცნობილ მუსიკოსთან იგორ პალიტკოვსკისთან ერთად, ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს, რომელმაც ამ პერიოდში შესანიშნავ შედეგებს მიაღწია: აკადემიური სახე მიიღო და საერთაშორისო რეზონანსიც მოიპოვა. მარინე იაშვილმა არც მაშინ უღალატა თავის განუყრელ ვიოლინოს. იგი, როგორც მაღალი რანგის კაპელმაისტერი, ვიოლინოთი ხელში უძღვებოდა ორკესტრს.

მარინე იაშვილი მშვენიერი, ღირსეული ქალბატონი და კეთილშობილი პიროვნებაა. მას მხოლოდ ერთი „ნაკ-

ლი" აქვს – ვერ იქნა და ვერ დაეუფლა კარიერის კეთების მაღალგანვითარებულ თანამედროვე ტექნოლოგიებს. არა და დღეს ამის გარეშე ცხოვრება უჭირთ თვით ნამდვილ ტალანტებსაც კი! ალბათ, ამის გამო მიიღო ასე გვიან რუსთაველის პრემია!

მარინე იაშვილი ჭეშმარიტი მუსიკოსია. ამიტომაც არის ესოდენ შოკრძალებული, პრინციპული და უკომპრომისო... მთელი ცხოვრების მანძილზე მარადიული ფასეულობებით ხელმძღვანელობს და მაღალ იდეალებს ემსახურება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსიფ ბროდსკი

ვირგილიუსი

დასანანია, რომ იესო ქრისტე არ კითხულობდა რომაელ პოეტებს. თეორიულად, მას შეეძლო ლათინური ენა სცოდნოდა, ვინაიდან რომის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და საამისო შესაძლებლობა გააჩნდა. თუმცა, არც პილატე პონტოელი იყო პოეზიის დიდი მოყვარული. მას რომ ლექსები ეკითხა და ვირგილიუსის ეკლოგებს გასცნობოდა (რომლებიც იერუსალიმის მოვლენებამდე კაი სამოცდაათი წლით ადრე დაიწერა), უფრო ყურადღებით მოეკიდებოდა იესოს ნათქვამს. პილატეს შეიძლებოდა შეეცნო მასთან მიყვანილი ადამიანი, რომლის გამოცხადება, ზოგი სწავლულის სიტყვით, ნაწინასწარმეტყველები იყო ვირგილიუსის „ბუკოლიკების" მეოთხე ეკლოგაში. პილატეს რომ ეს ლექსი სცოდნოდა, შეეცდებოდა ქრისტე გადაერჩინა. თვით ქრისტეს რომ სცოდნოდა – უკეთეს ხვედრს ირგუნებდა.

რა გაეწყობა, ასე მოხდა: ვინც უნდა წაიკითხოს, ის არ კითხულობს, წამკითხველნი კი არაფერს არ წარმოადგენენ. არც იესომ და არც პილატემ არ იცოდნენ მეოთხე ეკლოგა და ეს ნაწილობრივ აპირობებს ჩვენს ახლანდელ უსიხარულო მდგომარეობას. პოეზიის კითხვა მრავალი ცდომილებისაგან გვიფარავს. ვირგილიუსის პოეზია ამის საუკეთესო ნიმუშია. მის გარეშე ჩვენი ცივილიზაცია უბრალოდ წარმოუდგენელია. ჩვენი აზროვნების წესი მეტწილად შედეგია, მიზეზი კი ამ პოეტის ლექსებშია საძიებელი. იესოს ის, ალბათ, მაინც ვერ უშველიდა, მაგრამ სწორედ მან, ვირგილიუსმა თავისი „ენეიდას" მეექვსე წიგნით გამოიხმო სასიცოცხლოდ დანტეს „ღვთაებრივი კომედია". ეს კი მრავლისმეტყველი ფაქტია.

ვირგილიუსი დაიბადა ქრისტეშობამდე, 70 წელს, მანტუას მახლობლად. გარდაიცვალა ორმოცდაცხრა წლისა, ბრინდიზიში. ის ქრისტიანობაზე უფროსი იყო. მისი თანატოლი – შვიდი წლით უმცროსი – გახლდათ ოქტავიანე ავგუსტოსი, თანამედროვენი იყვნენ ჰორაციუსი და ოვიდიუსი. ერთადერთი გამოსახულება ვირგილიუსისა იატაკის მოზაიკაზეა აღბეჭდილი. ეს მოზაიკა მისი სიკვდილის შემდეგ გაკეთდა სუსაში, ტუნისში. ვირგილიუსი მოზაიკაში მაღალია, გამხდარი, მოკლედ შეკრეჭილი თმა ამშვენებს. ერთდროულად ენტონი პერკინსსაც წააგავს და მაქს ფონ სიუდოვსაც.

ვირგილიუსის პოპულარობის მიზეზი ბოლო ორი ათასწლეულის მანძილზე მის თხრობით ოსტატობაში და წარმოსახვის სიძლიერეშია საძიებელი. სხვა პოეტებთან შედარებით მის ლექსებში ჭარბადაა მოვლენები: მოქმედება „ენეიდას" ფრაზაში უფრო მეტია, ვიდრე ოვიდიუსის „მეტამორფოზებში". ვირგილიუსი გატაცებით

იკითხება. გარკვეული აზრით, ვირგილიუსი ჰომეროსზე საინტერესო საკითხავია, იმ ჰომეროსზე, რომელსაც ის, ალბათ, ბაძავდა კიდეც ჭარბი აღწერითობის გამო. ვირგილიუსის უპირატესობა ჰომეროსთან ის იყო, რომ შვიდი საუკუნით გვიან წერდა. ამხანად ვიზუალური ხელოვნება საკმაოდ განვითარდა, პოეტებს აღარ სტანჯავდათ ხილვადი სამყაროს ზუსტი აღწერის აუცილებლობა.

„ბუკოლიკებში, ისევე როგორც „გეორგიკაში", ვირგილიუსი ხშირად აღწერს ბუნებას. თუმცა მისთვის ბუნება კონკრეტულ ხასიათს ატარებს და არ წარმოადგენს საგმირო ქმედებათა ფონს. ვირგილიუსის გამოსახული გარესამყარო მკვეთრად განსხვავდება არა მხოლოდ ჰომეროსისეულ, არამედ თეოკრიტესეულ გარესამყაროსგან. თეოკრიტე ბრწყინვალე ალექსანდრიელი პოეტი იყო, მან შექმნა იდილიური პოეზია, როგორც ეპიკური და დრამატული მიმართულებების ანტითეზა, ე. ი. იმ მიმართულებებისა, რომელიც კლასიკური ხანის ბერძნული პოეზიისთვის იყო ნიშნეული. თეოკრიტეს მეშვეობით მსოფლიო ლიტერატურაში ფეხმოკიდებული ნაზი მწყემსები და ნიმფები ვირგილიუსთან უკვე იტალიელი გლეხების ნიშნებს იძენენ. ისინი კვლავინდებურად საუბრობენ პოეზიასა და სიყვარულზე, მაგრამ უკვე ქონებრივი საკითხებისადმიც ამჟღავნებენ ინტერესს.

პირველი ასწლეულის მეორე ნახევარში, ვირგილიუსის მოღვაწეობისას, რომში სასტიკი სამოქალაქო ბრძოლების ჟამი იდგა, იყო ომები, არეულობანი, მიწის კონფისკაციები, ინდივიდის არსებობას საფრთხე ემუქრებოდა ისევე, როგორც ამავე ასწლეულის ოცდაათიანი წლების ბოლოს და ორმოციან წლებში. ადამიანებს სტაბილურობა და მშვიდობა სწყუროდათ და ამიტომაც ვირგილიუსმა პასტორალური დეკორაცია აირჩია, როგორც თავისი პოეზიისთვის, ისე რეალური არსებობისათვის. მიწა ერთადერთ საყრდენად იქცა „ბუნებასთან საზიარებლად". ვირგილიუსის პოეზიაში სასოწარკვეთილების ის ნოტა ჟღერს, რომელიც სიბრძნის დედაა.

ბუნება ვირგილიუსისათვის უფრო მეტად დაკვირვების საგანი იყო, ვიდრე სიმბოლური მნიშვნელობის ფენომენი ან ფიზიკური შრომის ობიექტი. ის იყო პირველი ჯენტლმენი-ფერმერი იმ მრავალ პოეტთა შორის, რომელთა სიაც ჩვენს ასწლეულში რობერტ ფროსტმა დაასრულა. „გეორგიკაში" მოტანილი მცენარეების მოვლა-შენახვის წესები პოეტმა ალბათ მონებსა და მებაღეებს გამოჰკითხა. და ეს დეტალები, ზოგჯერ ხელოვნურობის ელფერი რომ გადაჰკრავს, საშუალებას აძლევს პოეტს, პირველ პირში თხრობისგან დაიზღვიოს თავი. ის თითქმის არსად იყენებს „მე" ნაცვალსახელს, რითაც ირიდებს მისივე თანამედროვეების და შთამომავლების თანამდევ ეგოცენტრიზმს. მოკლედ, ვირგილიუსი ობიექტივისტია და ადამიანს უყურებს, როგორც გამონაკლის მოვლენას და არა როგორც თავის ალტერ ეგოს. მას სავსებით არ ახასიათებს ნარცისიზმი, გაუცნობიერებლად დემოკრატიულია. ამიტომაც არ ატყვია მის ლექსებს აპრიორული პოეტური აპლომბი და ამიტომაც წაიკითხავენ მას შემდეგ ასწლეულში, თუკი, რა თქმა უნდა, ამგვარი ასწლეული დადგება.

ერთადერთი რამ, რის გამოც საყვედურობდნენ ვირგილიუსს შთამომავალნი, ეს მისი თბილი დამოკიდებუ-

ლება იყო ოქტავიანე ავგუსტუსისადმი. ამის მიზეზი ისევ და ისევ მშვიდობის და სიწყნარის სურვილი გახლდათ. პოეტი აღიარებასაც ესწრაფვოდა, რაც ბუნებრივია და მართლაც, ოქტავიანემ ყოველივე ეს მიანიჭა რომაელებს. ვირგილიუსი ოქტავიანეს იმიტომ აღუვლენდა ხოტბას, რომ მათ სკოლის წლები ერთად ჰქონდათ გატარებული. ისე კი, იმპერატორისადმი პატივის მიგება ჩვეულებრივი ამბავია. ჩემი აზრით, ვირგილიუსს გულწრფელად უყვარდა მასზე უმცროსი ოქტავიანე. ეს სიყვარული, მე მგონი უფრო შემწყნარებლობით და მსუბუქი დამცინაობით იყო შეფერილი და არა აღტაცებით. ვირგილიუსი – მკვლევარი და მჭვრეტელი, მაშასადამე, პასიური საქმიანობის ადამიანი, ცდილობდა ბედის რჩეულ, მოქმედ ოქტავიანესთვის გეზი მიეცა. ოქტავიანე „ენეიდას" კითხულობდა და ამიტომაც დასდეს ბრალი ვირგილიუსს მის ქება-დიდებაში.

ვირგილიუსის ავტოეპიტაფიად მიჩნეულ სტრიქონებში ნათქვამია, რომ მან „უმღერა საძოვრებს, სოფლებს, ბელადებს". აქ მთავარია სიტყვა „უმღერა", ვინაიდან პროზაიკოსისაგან განსხვავებით, პოეტის ნაწარმოებს შინაარსი არ განსაზღვრავს. განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში, ხმის ტემბრია, დიქციაა, შერჩეული და გამოყენებული სიტყვები. ვირგილიუსი სავსებით წინასწარგანუჭვრეტელი პოეტია, არა იმდენად მოთხრობილი ისტორიის, არამედ სიტყვებთან დამოკიდებულების გამო. მისი სიკვდილის შემდეგ ხშირად გამოთქვამდნენ გავრცელებულ აზრს, ერთგვარ საყვედურს, ცხადია, მისივე მისამართით – ეს პოეტი ჩვეულებრივ სიტყვებს უჩვეულოდ იყენებსო. ეს შენიშვნა, უპირველეს ყოვლისა, „გეორგიკებს" ეხებოდა. აქ ვირგილიუსი დამუშავებულ მიწებს უმღერის და ბოლომდე ანდობს თავს სასოფლო-სამეურნეო ანტურაჟის აღმნიშვნელ ლექსიკას. ამგვარი სიტყვები მანამდე იშვიათად იყო „ამეტყველებული" პოეზიაში. ამ ანტურაჟის მრავალგვარი ნაირსახეობაა ჩამოთვლილი ნაწარმოებში. და რაც მთავარია, ყოველივე ეს სიმბოლური მნიშვნელობით არ არის გამოყენებული.

ჩემი აზრით, ვირგილიუსს სურდა აერიდებინა სტილისტური კლიშეები, ამით იყო განპირობებული ეს ობიექტივიზმი. პოეტური მეტყველება იმხანად უკვე საკმაოდ დახვეწილი გახლდათ. ამ ობიექტივიზმით პოეტი პატივს მიაგებდა თავის სახელოვან წინამორბედ ლუკრეციუსს, რომელსაც ეკუთვნის ლათინურ ენაზე დაწერილ პოემათა შორის საუკეთესო: „საგანთა ბუნებისათვის". ვირგილიუსი, უპირველეს ყოვლისა, რეალისტი იყო, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეპიკური რეალისტი, იმიტომ, რომ რეალობა თავისთავად უკვე ეპიკურია. ვირგილიუსისათვის სამყაროს გაგების ერთადერთი გზა ვრცელი ნუსხების შედგენა გახლდათ და რაც გამოტოვა „ბუკოლიკებში" და „გეორგიკებში", „ენეიდაში" შეიტანა. მისი პოეზიის კუმულაციური ეფექტი – მკითხველის საიმისო განცდაა, რომ ამ ადამიანმა სამყაროს კლასიფიცირება მოახდინა. ვირგილიუსის საუბარი მცენარეებსა და პლანეტებზე, ნიადაგებსა და ფიქრებზე, გრძნობებსა და ადამიანების ბედზე, მიმზიდველია და მომხიბლავი. პოეტი მსხვილი პლანით წარმოაჩენს ყოველივეს.

ბიბლიას ბევრი ადამიანი წერდა. ვირგილიუსმა კი მარტომ დაწერა „ბუ-

კოლიკები", „გეორგიკები" და „ენეიდა". მისი მცდელობა სამყაროს ახსნისა ისეთი ზედმიწევნითი იყო, რომ ჯოჯოხეთში ჩასვლაც კი მოუწია. ვირგილიუსის აღწერები ძალზე დამაჯერებელია, ვინაიდან არცერთ სქოლასტიკურ დოქტრინას არ ეკუთვნის. რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველება, რომელსაც ენეასის მამა ანქისე გამოთქვამს, ყალბია: ის არ სცილდება თვითონ პოეტის ცხოვრების ფარგლებს. ვირგილიუსი წარსულს საქებარ ელფერს ანიჭებს და მაინც, სიამაყე რომის მომავლის გამო, რომელიც „ენეიდას" სტრიქონებში გახმიანდა, უბრალოდ სიამაყე როდია. ამ სიტყვებში იგრძნობა წარმართი კაცის იმედი. ეს იმედი ნაკლებად ეგოცენტრულია და უფრო ხელშესახებია, ვიდრე ქრისტიანის სასოება.

ო, რომაელო, დაისწავლე გაძლოლა ხალხის,
ეს არის შენი ხელოვნება! – ქვეყნის მოწყობა.
მორჩილთ მიაგე პატივი და ურჩნი მოდრიკე.

ნებისმიერი ადამიანის მსგავსად, პოეტს სამი კითხვის გამო უხდება ჩაფიქრება: რისთვის, რატომ და როგორ იცხოვროს. „ბუკოლიკები", „გეორგიკები" და „ენეიდა" პასუხს გვაძლევენ სამივე შეკითხვაზე. და ეს პასუხები ერთნაირად გამოსადეგია როგორც იმპერატორისათვის, ისე მის ქვეშევრდომთათვის, როგორც ანტიკურობისთვის, ისე ჩვენი დროისთვის. თანამედროვე მკითხველისთვის ვირგილიუსი იქნება ისეთივე მეგზური, როგორიც დანტესათვის იყო სამოთხის და განსაწმენდელის გავლის ჟამს.

თარგმნა **ზურაბ კალანდაძემ**

მწერლის სახსოვარი

კითხულობ წიგნს „აკრეფილი თავთავები“ და არა მარტო ნოდარ შამანაძე გახსენდება თავისი განუმეორებელი იუმორით და სიბრძნით, ხალასი სიხარულის და წუხილის ნიჭით, არამედ შენი საკუთარი ცხოვრებაც. ამ წიგნში მართლაც ყველაფერია ჩატეული: ბავშვობა და სიყმაწვილე, სიჭაბუკე და სიჭარმაგე. შთაბეჭდილებას კი მთხრობელის არაჩვეულებრივი გულწრფელობა ქმნის. ჩანაწერებში ცხადად გამოსჭვივის მწერლის სიტყვიერი სისადავე და ოსტატობა, მეცნიერის ალღო და ერუდიცია; ქართული ყოფითი კულტურის, ზეპირსიტყვიერების, ენის დაფარული ნიუანსების ღრმა ცოდნა. ნიმუშად მხოლოდ ერთი ჩანაწერიც იკმარებს: „ამოხსნილი ქარაგმა“. აქ შესანიშნავად ჩანს არა მარტო გიორგი ლეონიძის პოეტური და პიროვნული განუმეორებლობა, არამედ ქართული პოეზიის ღრმა კავშირი ფესვებთან, რომელიც ამ ერთ ადამიანში გამთლიანდა, არადა, ყოველივე ერთი ფრაზის მეშვეობით წარმოჩნდება: „რა კარგი ხარ, ჩიხორეშო, რომ ხვირიშა არ გერიოს!“.

როგორც შადიმან შამანაძის წინასიტყვაობიდან ჩანს, მწერალს ჩანაწერებისთვის თავიდან დოკუმენტური მოთხრობები დაურქმევია. შემდეგ კი თვითონ მისსავე წარმოდგენაში ეს ჟანრობრივი განსაზღვრება აღარ მიესადაგა ჩანაწერებს. მართლაც, ძნელია ერთ ჟანრობრივ ჩარჩოში ჩაატიო ეს წიგნი. ჩვენს ხელთაა ლირიკული პროზა, რეალური პერსონაჟებით, მახვილგონიერებით, უსაზღვრო გულახდილობით, მკითხველისადმი ნდობით აღბეჭდილი. ამავე დროს შეუძლებელია ერთი რამ არ გენიშნოს. ნოდარ შამანაძე არსად არ აჭიანურებს სათქმელს, არსად არ არის მანერული და სიტყვიერი თამაშით თავმომწონე. ეს პროზა მართლაც ფოლკლორული სიმკაცრით და სისადავითაა დაწერილი. ზოგჯერ ერთ ისეთ სიტყვას აგნებს ავტორი, რომელიც ზუსტად ხსნის არსებულ ვითარებას.

გავიხსენოთ ერთი პატარა მოთხრობა „ხელმოცარული ვაჭრობა“, სადაც მწერლის დახვეწილი თვითირონია გამოსჭვივის. საოცარი კი ისაა, რომ რეალური ადამიანები, რომლებიც სიყმაწვილეში ცუდად მოექცნენ ავტორს, მართლაც სიყვარულით არიან დახატულნი.

ნოდარ შამანაძის მოთხრობებში კარგად ჩანს ავტორის მსოფლმხედველობა: ადამიანური სისუსტეების ცოდნა, შემწყნარებლობა, წარმავლობაზე სევდიანი ფიქრი, ცხოვრების თავანკარა სათავეებისკენ მუდმივი ლტოლვა, ბავშვობის გახსენება, სამშობლოს განუსაზღვრელობა და ყოვლისმომცველობა. ეს მოთხრობები სევდიანიც არის და ხალისიანიც ერთდროულად. ნოდარ შამანაძემ, მწერალმა, ლიტერატურათმცოდნემ, ფოლკლორისტმა ამ მოთხრობებში თავი მოუყარა თავის ღრმა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სახსოვარივით დაუტოვა მკითხველს.

მწერლის ვაჟიშვილის სიტყვებს მოვიტან: „მამაჩემი, როგორც უამრავი მისი თაობისანი, გამოგონილ ქვეყანაში ცხოვრობდა, ცალკე კლასიკური ლიტერატურის, ისტორიული წიგნების, პატრიოტული ლირიკის, ხალხური სიბრძნის და ცალკე – „პრავდის“, „კომუნისტის“, „პატრიოტული სიტყვის“ მეწინავე სტატიების ნაზავ სამყაროში. ასე მგონია, „აკრეფილი თავთავების“ სამივე წიგნის მთავარი ღირსებაც ისაა, რომ გამორჩეული გულწრფელობით, მე ვიტყოდი, გულუბრყვილობითაც გვიხატავს ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ სურათს: ამ ურთიერთგამომრიცხავი ღირებულებების მორევში, როგორ მიიკვლევს და ვერც მიიკვლევს გზას კაცური ღირსება, სიკეთის წადილი, სიმართლე და სიყვარული, უანგარობა და თავდაუცველობა, როგორ ცოცხლობს და როგორ კვდება, და რა ღონიერ ნაფეხურს ტოვებს“.

გელა ოდიკაძე

ნოდარ შამანაძე, „აკრეფილი თავთავები“, წიგნი მესამე, „მერანი“, 2003 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ტრადიცია და ნოვაციები

ფარნაოზ კოტეტიშვილის ხსოვნისათვის

ლიტერატურათმცოდნეობამ მხატვრული ლიტერატურის არსისა და სპეციფიკის, გამომსახველობითი ფორმების კვლევისას რომ უნდა მოიცვას ესთეტიკური შესწავლის სფერო, უფრო კონკრეტულად, პროზის პოეტიკაში უნდა გადაწყდეს მხატვრული შემოქმედების სტრუქტურის, კომპოზიციის, საერთოდ მწერლის მიზანსწრაფვის საკითხები, – ეს დღეისათვის უდავო ჭეშმარიტებაა და ამას საქართველოში ძველი ტრადიცია აქვს. ამ მოთხოვნებს ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი შემოქმედებით. ილია გვასწავლის: ლიტერატურათმცოდნეობა არ შეიძლება შემოიფარგლოს ნაწარმოების მარტოოდენ შინაარსობრივი ანალიზით, ამბავის თხრობით, გმირების დაპირისპირებით მხოლოდ დადებით და უარყოფით პერსონაჟებად. ამ დიდი ქართველის მოწოდების მიხედვით, ლიტერატურათცმოდნეებმა უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, – „რაც მწერლის განსაკუთრებულ ხასიათს გვანიშნებს, მისი შემოქმედების ძალასა, მის მხატვრობასა, მის სიტყვიერებას, მისთა აზრთა შემოხაზულობას, პოემის აგებულებას, ეპიზოდების ერთმანეთზე დამოკიდებულებას, ერთი სიტყვით – მანერას და თვისებას მწერლისას, შინაგან თუ გარეგან სიკეთეს მისი ნამოქმედარისას“.

ლიტერატურათმცოდნის მოვალეობაა ჩაწვდეს ნაწარმოების ძირითად მამოძრავებელ ძარღვს, მწერლის მიზანდასახულებას და იმასაც, რაც მან თქმულზე მეტი ჩაიფიქრა, ნათქვამზე უფრო აღმატებული და სიღრმისეული; შემოქმედების აქტში ხომ ყველაფერი წინასწარ დალაგებული და ლოგიკურად სისტემატიზირებული არ არის, მასში ხომ რაღაც არაცნობიერიცაა, რომლის საზრისი თანდათან იკვეთება მწერლის წარმოსახვაში; შემოქმედების აქტი თითქოსდა აღარც კი ექვემდებარება ავტორის თავდაპირველ განზრახულს, წინასწარ ნავარაუდევ სიუჟეტურ მთლიანობას. ამიტომ ჭეშმარიტი ლიტერატურათმცოდნეობა მაშინ არის შედეგიანი, როცა ამ დარგის სპეციალისტი ნაწარმოების საზრისს ერთმნიშვნელოვნად კი არ მიუდგება, არამედ გახსნის მის სიღრმეს, მასში აღმოაჩენს სხვა უჩინარ ფენებსაც, უფრო მნიშვნელოვანსაც კი, და ამით თითქმის განაგრძობს ნაწარმოების შემოქმედებითი დედაარსის განვითარებას, იგი მხატვრული ნაწარმოების ასეთი ღრმა ხედვით თანაავტორის როლსაც ასრულებს.

საქართველოში იმ დროს, როცა მიღწეული იყო მწერლობისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკმაოდ მაღალი დონე, XIX-XX ს.ს. დასაწყისისათვის ჩვენი უძველესი მხატვრული სიტყვიერება მსოფლიო ნიმუშების დონეზეც კი იყო შესწავლილი თავისი ამაღლებული მხატვრული ოსტატობითაც და თეორიული აზროვნებითაც. XX ს. 30-იანი წლებიდან დაიწყო საოცარი დაკნინება ლიტერატურათმცოდნეობისა, კრიტიკული აზროვნება უკიდურესად გაცალმხრივდა, როგორც უკვე აღიარებულია, დაშორდა მეცნიერული კვლევის ფარგლებს. მაშინ სხვაგვარად არც შეიძლებოდა, – მწერლის მოვალეობა განისაზღვრა მარქსისტული იდეოლოგიისადმი ერთგულებით, რაც კონკრეტულად გამოიხატა მოთხოვნებში: წინა პლანზე წამოწეულიყო კლასობრივი ბრძოლის თემა, მთავარ გმირად გამოეყვანათ ბოლშევიკი ლაკირებული სახით, შეექმნათ პარტიული მუშაკის პანეგირიკული ტიპი.

ასეთ მიდგომას ლიტერატურული შემოქმედებისადმი სოციოლოგიზმსაც უწოდებენ, მაგრამ ეს ფაქტობრივად გაცილებით მეტს ნიშნავდა, ეს იყო მარქსისტულ-კომუნისტური იდეოლოგიის ზეწოლა შემოქმედებაზე და საერთოდ აზროვნების ყველა სფეროზე. ასე მოექცა მწერლობაცა და მისი მეცნიერული

კვლევაც „კომუნიზმის მსახურის“ ჩარჩოებში. ბუნებრივია, ამ პერიოდიდან დაწყებული თითქმის მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების არსებით გარდაქმნამდე სულ სხვა კრიტერიუმებით იზომებოდა მწერლის შემოქმედებითი ოსტატობა! ამითი დაზარალდა არა მხოლოდ ამ პერიოდის მწერლობა, არამედ ჩვენი ძველი და განსაკუთრებით XIX ს.-ის მხატვრული შემოქმედების შეფასებაც კრიტიკაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, რადგან ღირებული გახდა სრულიად სხვა საზომები.

ლიტერატურათმცოდნეობა „ამბავთმცოდნეობად“ გადაიქცა, რადგან საზომი გახდა სოციალურ-პოლიტიკური მიდგომით „ჯანსაღი“ აზრი, ე. ი. იდეოლოგიურად მისაღები, ლიტერატურათმცოდნეობას ქართული მხატვრული აზროვნების სხვა კრიტერიუმები უნდა დაენერგა, ის, რაც დასავლეთში იყო მიღებული და ჩვენში კი უკვე ადრევე ტრადიციულად ცნობილი. უნდა მოხსნილიყო შემზღუდავი ჩარჩოები, ტრაფარეტები, რაც ასე ამდაბლებდა, აკნინებდა ჩვენს მდიდარ და მრავალფეროვან ლიტერატურას. უნდა უარყოფილიყო ისეთი „უნიკალური“ საზომი, კლასობრიობის ტრაფარეტი, რაც ასე უხეშად ათანაბრებდა „ვეფხისტყაოსანსა“ და დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“; უნდა გაუქმებულიყო დამთრგუნავი იარლიყები „დეგრადირებული ფეოდალიზმის მეხოტბე“ (ვასილ ბარნოვი), „თავადაზნაურული იდეოლოგიის დამცველი“ (ილია ჭავჭავაძე) და სხვა მრავალი. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დასავლეთის ლიტერატურათმცოდნეობის გამოცდილება, ამ მიმართულებით რუსეთში მიმდინარე პროცესები, – ეხსნათ დოსტოევსკის, ლევ ტოლსტოის შემოქმედება და სხვანი ლენინური „ბრალდებებისაგან“, პოლიტიკურად გამრუდებული შეფასებებისაგან. საერთოდ უნდა ეზეიმა მხატვრულ სიმართლეს მისი ნამდვილი მნიშვნელობით, უნდა აღკვეთილიყო სიტუაციებით ნაკარნახევი ყალბი სიუჟეტებით გაუმართლებელი, უმსგავსო ლიტერატურული ხერხები.

დადგა დრო საქართველოშიც აღდგენილიყო ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერული გზით განვითარების პროცესი მხატვრული აზროვნების ჭეშმარიტად სწორი გაგებისა და შეფასებისათვის. ახალი თაობა ახალი იდეებისა და ტრადიციულისადმი მეცნიერული მიდგომით შეუდგა ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც დარგის წარმატებით განვითარებას. ამ თაობის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ფარნაოზ კოტეტიშვილი, რომელიც 2002 წლის 16 დეკემბერს გარდაიცვალა და სამეცნიერო წრეებში დაიმსახურა სახელი ჭეშმარიტი მამულიშვილისა, რომელიც სამშობლოს სიყვარულს საქმისადმი ფანატიკური ერთგულებით, მაღალი პროფესიონალიზმითა და თავდაუზოგავი შრომით გამოხატავდა. იგი სამეცნიერო და უმაღლეს სასწავლებელში სალექციო მოღვაწეობის დაწყებისთანავე აღიარებული იყო როგორც სერიოზული მეცნიერი მკვლევარი და შეუდარებელი ლექტორი.

ფარნაოზ კოტეტიშვილმა თავისი დიდი ხნის ნაფიქრი 60-70-იანი წლების ნააზრევი შეაჯამა, მონოგრაფიებად შეკრა და გამოქვეყნება დაიწყო შედარებით გვიან, ფაქტობრივად, სიცოცხლის ბოლო ათეულ წლებში. რომლისთვისაც მას საფუძვლები უკვე პროფ. მიხეილ ზანდუკელთან ასპირანტურის კურსი და სასემინარო მეცნიერული მუშაობის პრაქტიკა ჰქონდა გავლილი. მან თავისი სამეცნიერო მუშაობა არსებითად ლიტერატურათმცოდნეობის დარგში გაშალა. ამ თემაზე მას 60-იანი წლებიდან მრავალი გამოკვლევა სტატიების სახით დაბეჭდილი აქვს ჟურნალებში „მნათობი“, „ხელოვნება“, საკავშირო აკადემიის დარგობრივ კრებულებში (1977 წელს), ასევე რუსულ ენაზე „ლიტერატურულ გრუზიაში“, რომელსაც წინ წამძღვარებული აქვს დ. ლიხაჩოვის რეცენზია პასუხად ჟურნალის რედაქტორის გურამ ასათიანის თხოვნისა რეცენზირების თაობაზე.

ფარნაოზ კოტეტიშვილს მჭიდრო სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდა დიმიტრი ლიხაჩოვთან, რომელიც დღემდე მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში ლიტერატურათმცოდნეობის მეტრად ითვლება. ამ შეხვედრების შედეგი იყო 1976 წელს ამ პეტერბურგელი მეცნიერის, აკადემიკოს ლიხაჩოვის ინიციატივით „პუშკინის სახლში“ სამეცნიერო კონფერენცია რომ მოეწყო მეტად საგულისხმო სახელწოდებით „ძველი ქართული ლიტერატურის სამი დღე“. როგორც ცნობილია, ბოლომდე არ შეწყვეტილა რუსი მეცნიერის დიდი ინტერესი ქართული მხატვრული აზროვნებისადმი.

ფარნაოზ კოტეტიშვილს საკმაოდ სოლიდური საფუძვლები ჰქონდა თავისი შემოქმედებითი მუშაობის გაშლისათვის. მან ეს დაიწყო თბილისში განთქმული ერთ-ერთი სკოლის, მე-18 საშუალო სკოლაში სალიტერატურო განათლებისადმი განსაკუთრებული ინ-

ტერესის გამოვლენით, – შემდეგ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, მიხეილ ზანდუკელის ლექციები, მისი მეგობრობა სოლომონ ხუციშვილთან, განსაკუთრებული მეცნიერულ კვლევითი სიახლოვე მიხეილ ზანდუკელთან, რომელსაც მისი ასპირანტი „დიდ მოძღვარს“ უწოდებდა და დიდად განიცდიდა მის დაპატიმრებას. ფარნაოზის შემოქმედებითი ჰორიზონტის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი იყო მისი საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობა ლიტერატურულ მუზეუმში გიორგი ლეონიძესთან. მან იქ, როგორც სამეცნიერო დარგის ხელმძღვანელმა მუზეუმს მრავალი საინტერესო და უნიკალური ექსპონატი შესძინა ცნობილი ქართველი მწერლების ოჯახებში მოძიებული მემკვიდრეობიდან. ამ პერიოდშივე დაიწყო და განმტკიცდა მისი ურთიერთობა დიდ მხატვრებთან – ლადო გუდიაშვილთან და რობერტ სტურუასთნ. ფარნაოზი ამაყობდა საჩუქრით, რომელიც მან რობერტ სტურუასაგან მიიღო – ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის ნინო ჭავჭავაძის უნიკალური პორტრეტით, რომლის ერთი ვარიანტი მუზეუმს ამშვენებს.

განსაკუთრებული იყო ფარნაოზ კოტეტიშვილის გატაცება თეატრით; თავის უნივერსიტეტელ მეგობრებთან გ. გეგეჭკორთან და გ. ტატიშვილთან ერთად თვითონაც სცადა სასცენო მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში, შემდეგ კი ამ თეატრის ერთგულ მაყურებლად დარჩა და თითქმის არ გაუცდენია სპექტაკლები, სადაც მისი მეგობრები მონაწილეობდნენ. ამის წყალობით მას განვითარებული ჰქონდა თეატრალური ხელოვნების ღრმა გაგების უნარი და აღქმის ფაქიზი გემოვნება.

ფარნაოზ კოტეტიშვილმა თავის შემოქმედებით მოღვაწეობაში ლიტერატურათმცოდნეობაში გაშალა თავისი ნიჭი, წინ წაიმძღვარა ძველი ქართული ილიასეული მოწოდება და ზედიზედ გამოაქვეყნა მონოგრაფიები „ქართული პროზის პოეტიკა“, „ილია ჭავჭავაძის პროზის პოეტიკა („ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით), „ქართველ მწერალთა ესთეტიკური აზროვნების შესახებ“. ამ დიდ გამოკვლევაში განხილულია ილიას შემოქმედება ფართო დიაპაზონით, მისი პროზის პოეტიკის თვალთახედვით. იქვე წარმოჩენილია ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, შიო არაგვისპირელის ესთეტიკური აზროვნების ნიმუშები და საფუძვლები. „ქართული პროზის პოეტიკა“ მისი სადოქტორო დისერტაციის ერთი ვარიანტია, სადაც გადმოცემულია ქართული რომანის საწყისები და განვითარების ეტაპები. ავტორი იწყებს ნეტარ სიტყვიერების უძველესი ძეგლების ანალიზით, ეხება ევროპული რომანის საწყისებს, რათა ამ ფონზე წარმოადგინოს ქართული რომანის ისტორიულ განვითარებაში მაღალმხატვრული ოსტატობა, პროზის პოეტიკის დახვეწილობა და იმ პერიოდის ლიტერატურისათვის კომპოზიციის გამორჩეული სრულყოფილება. განსაკუთრებული მონდომებითაა განხილული XIX ს. 50-60-იანი წლების ქართული პროზის ნიმუშები ალ. ყაზბეგის, გიორგი წერეთლის, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას, ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის შემოქმედება, მოცემულია ახლებური პოზიციით მათი მხატვრულ-ესთეტიკური შეფასება. ამავე ნაშრომში ცალკე თავებადაა შეტანილი მიხეილ ჯავახიშვილზე – „ეპოქის ორი საშინელება. ერთი უმთავრესი ასპექტი რომანისა „ჯაყოს ხიზნები“, კონსტანტინე გამსახურდიაზე – „პროლოგ-ეპილოგის კომპოზიციური ფუნქცია რომანისა „დიდოსტატის მარჯვენა“.

ფარნაოზ კოტეტიშვილმა, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით უსაზღვროდ მოხიბლულმა თავისი კვლევის ცენტრში „კაცური კაცის“, „სრულღირსებიანი ადამიანის“ პრობლემა დააყენა, რაც მას ილიას სტუდენტობის დროიდან მთელი მისი შემოქმედების თანამდევ, მასულდგმულებელ მოტივად მიაჩნდა. ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალისტის უპირველეს მოვალეობად, ჩვენ ქართველ მეცნიერს იმის სწორად მიგნებას და ყურადღების ცენტრში დაყენებას მოითხოვდა, რაც მწერლის შემოქმედების თუ მხატვრული ნაწარმოების ღერძია, დედაარსია და ამ თვალსაზრისით უნდა შეფასებულიყო ნაწარმოების ყოველი ნაწილი, პოეტიკური ფორმის ყოველი ნიუანსი. თავისი კვლევით მან ფაქტობრივად აჩვენა, – როგორი უნდა იყოს ამგვარი კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომის წესი, ხოლო თეორიული თვალსაზრისით მოითხოვდა შემდეგს: უნდა დაიძებნოს ნაწარმოების შესავალიდან, ე. წ. „უვერტიურიდან“, დაწყებული, ეპიგრაფებშიც კი წარმოჩენილი და მთელი ნაწარმოების კომპოზიციურ ქსოვილში ჰარმონიულად გაშლილი, განვითარებული თხზულების არსი. ამ თვალსაზრისით, მხატვრული ნაწარმოების ანალიზი დაემსგავსებოდა მუსიკალურ შემოქმედებას, სადაც „უვერტიურა“ უკვე მუსიკალური სიმფონიური თანაწყობის გზით ნაწარმოების მთელი საზრისის გაგების შესავალია და ფინალში იკვრება მთელი კომპოზიცია.

ფარნაოზ კოტეტიშვილი მოითხოვდა მხატვრულ პროზაში და, უწინარეს ყოვლისა, ქართულში საფუძვლიანი, სკრუპულიოზური ანალიზით წარმოჩენილიყო ესთეტიკური, პოეტური მხატვრული სახეები და ფორმები, მასში გამოყენებული ყველა საშუალების გაგებით, კერძოდ – დიალოგის, მონოლოგის, კომპოზიციის, ქვესათაურების და თვით სასვენი ნიშნების ტექნიკის გამოყენებითაც კი.

ფარნაოზ კოტეტიშვილის ნაწერები თავად იძლეოდა ამ მოთხოვნების განხორციელების ნიმუშებს, იგი დინჯად და თანამიმდევრულად ეძებდა პროზაული ნაწარმოების პოეტურ ფორმებში რაღაც საკრალურს, შეფარვით ჩასმულ გაგებას და დედაარსის გახსნის ყველა სხვა შესაძლებლობას. გულდასაწყვეტია, რომ პროზაული მწერლობის პოეტიკური არსის შესახებ ასეთი დიდი მონდომებით, სერიოზული მეცნიერული მიდგომით შესრულებული გამოკვლევები შედარებით გვიან გახდა მისაწვდომი სპეციალისტებისთვისაც და ფართო მკითხველისთვისაც. მხოლოდ მეცნიერი მკვლევარის სიცოცხლის ბოლო წლებში გახდა ცნობილი მისი საინტერესო, ნოვაციებისაკენ მიმართული პუბლიკაციები. მას კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი თანამედროვე რომანის თავისებურებებზე, ახალი თაობის ნიჭიერ მწერლებზე, მაგრამ აღარ დასცალდა, მეტს ველარ გაუძლო, მისთვის გაუსაძლისი აღმოჩნდა მწუხარების გადატანა, დიდი სევდა შვილის, ზაზა კოტეტიშვილის, მთარგმნელის, აღმოსავლეთმცოდნის უდროო გარდაცვალების გამო.

ჩვენმა ქართველმა მეცნიერმა ლიტერატურათმცოდნეობაში მოღვაწეობა დიდ ცოდნასთან ერთად მაღალი გემოვნებითა და ტაქტით დაიწყო. განსაკუთრებულ სიფაქიზეს იჩენდა სხვათა გამოკვლევების მიმართ, აღშფოთების ძლიერი განცდითაა აღწერილი 30-იანი წლების ქარტეხილები, სიამაყით მიუთითებს იმ ძნელი წლების გმირული სულის მწერლებზე და მეცნიერებზე,რომელნიც სწორი მეცნიერული ობიექტივიზმის პოზიციას ერთგულად იცავდნენ. დიდი პასუხისმგებლობითა და პატივისცემითაა ავტორი გამსჭვალული კიტა აბაშიძის, ექვთიმე თაყაიშვილის, პავლე ინგოროყვას, ვახტანგ კოტეტიშვილის გამოკვლევების მიმართ. იგი სამეცნიერო ურთიერთობაში იყო გრიგოლ კონაძესთან, სოლომონ ხუციშვილთან, დავიდ ბენაშვილთან, დიდად აფასებდა მათ საკუთარი თვალსაზრისების მართებულობის ურყევი თანმიმდევრობით დაცვის გამო.

უკანასკნელ შემაჯამებელ ნაშრომში „ქართული პროზის პოეტიკა“ დართული „მცირე განმარტება“ გვაუწყებს უახლოესი დროის ქართული რომანის დიდ წარმატებაზე, რომელთა ავტორებმა, უმძიმესი განსაცდელი გადაიტანეს, რათა როგორმე მკითხველამდე მიეღწიათ, ხოლო რის ვაი-ვაგლახით დაბეჭდვის შემდეგ თავს დაატყდათ „იდეურად“ ნაწრთობ მოლაშქრეთა თავდაუჭერელი ღვარცოფი; მიუხედავად ასეთი აუტანელი სიტუაციისა, ჩვენი მწერლები სრულსახოვან, ხშირად ძალზე მძაფრსაც კი, მხატვრულ სინამდვილეს ჰქმნიდნენ. იქვე დასახელებულია ოთარ ჩხეიძის რომანები, მაგრამ ტექსტში სიტყვებით, „ყველას ვერ ჩამოვთვლიო“ – ჩვენში აღიარებულ მწერალთა – ძმების ჭილაძეების, გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება. აღნიშნულ სტრიქონებში სინანულია გამოხატული, იმისი წინათგრძნობით, რომ თავად ველარ მოასწრებდა იმ მეტად აუცილებელი საქმის განხორციელებას – ღირსეულად შეფასებულიყო თანამედროვეობის ქართული რომანი.

ლიტერატურათმცოდნეთათვის საანდერძო მნიშვნელობა აქვს ჩვენი მკვლევარის სიტყვებს: „უახლესი პერიოდი მდიდარია ნირგვაროვანი ქართული რომანით (მათი მეცნიერული ანალიზი ლიტერატურათმცოდნეთა უპირველესი მოვალეობაა)“. და იქვე – „XX საუკუნის ქართველ რომანისტთა შემოქმედებითი გამბედაობა ურჩხულთან შებმის ტოლფასია და მათ დაუნჯებული გულისყურით შესწავლა სჭირდება“.

მეტად საგულისხმოა აგრეთვე ფარნაოზ კოტეტიშვილის მიერ „შენიშვნაში“ გამოთქმული სამომავლო კვლევის მიზანდასახულება: განიხილოს „ჩვენი მწერლობის აზროვნებასთან ქართულ და აღმოსავლურ, თუ დასავლურ ფილოსოფიასთან თანხვედრ-მონათესავე დებულებები“.

ეს სტრიქონებიც საანდერძო მოწოდების ტოლფასია.

გურამ ბენაშვილი
რევაზ ბარამიძე
იუზა ევგენიძე
მერი ჭელიძე

ქართული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „მნათობის“ 2003 წლის ნომრების შინაარსი

პოეზია

ბარათაშვილი მარიკა – ლექსები. №5-6
ბაკურაძე შალვა – ქმრების საკითხავი. პოემა. №3-4
ბასილაშვილი ზურაბი – ლექსები. №9-10
ბედიანიძე დალილა – ლექსები. №11-12
ბერაია გივი – ლექსები. №7-8
ბუაჩიძე ანდრო – თეთრი ზეწარი. ლექსი. №1-2
გაჩეჩილაძე კონსტანტინე – ლექსები. №5-6
გოჩიაშვილი ელა – ჭეჭეთობის ღამე. ლექსი №7-8
კახნიაშვილი იური – ლექსები. №3-4
მებურიშვილი ირმა – ლექსები. №3-4
სეიდიშვილი ლადო – ლექსები. №9-10
სუმბაძე დარეჯანი – ლექსები. №11-12
ტაბიძე გალაკტიონი – გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! ლექსი. №9-10
ქარჩავა თეა – ლექსები. №3-4
შამათავა ომარი – ლექსები. №9-10
შალამბერიძე ოთარი – ლექსები. №5-6
ჭილაძე თამაზი – ფრთებშეჭრილი ანგელოზი. ლექსი. №11-12
ჭილაძე ოთარი – ახალი ლექსები. №1-2
ხუნდაძე ნოდარი – ლექსები. №11-12

პროზა, დრამატურგია

ანთაძე მიხეილი – ჩემი აფხაზეთი. მოთხრობა. №5-6
არსენიშვილი ზაირა – მოთხრობები. №7-8
ახვლედიანი ვახტანგი – ცაში წასული ბილიკები. მოთხრობა. №5-6
ბაშელი ნუგზარი – ძაღლი. მოთხრობა. №7-8
გავაშელი აკო – მოთხრობები. №1-2
გვარამია ანზორი – ორთავიანი კაცი. რომანი. №11-12
გოშაძე თენგიზი – წამებული დედოფალი. მოთხრობა. №1-2
დოლიძე მამუკა – ხუთნი მაგიდის გარშემო. მოთხრობა. №9-10
თავართქილაძე ირმა – ვამპირი. პიესა. №9-10
კვიტაიშვილი ემზარი – დღიური. №9-10
კეკელიძე ნოდარი – გაიჭერა. მოთხრობა. №9-10
კობიაშვილი გულო – შემთხვევით. მოთხრობა. №1-2
მოლარიშვილი ლია – მოთხრობები. №1-2
ქართველიშვილი დავითი – მოთხრობები. №3-4
ქადაგიძე ნუნუ – ორი მოთხრობა. №1-2; ნატვრისთვალი. მოთხრობა. №11-12

ეროვნული ბიბლიოთეკა

შატბერაშვილი ვანო – ორი მოთხრობა. №5-6
ჭილაძე თამაზი – ნადირობის სეზონი. პიესა. №3-4
ჭილაია რამაზი – მოთხრობები. №3-4
ხვედელიძე ბესო – მოთხრობები. №3-4

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ბენაშვილი გურამი – არაბესკები. №11-12
ბუაჩიძე ანდრო – ლირიკაში აღბეჭდილი სინათლე. №3-4; პროვინციის რუტინა. №9-10
გენძეხაძე ცისანა – „წრეში მოქცეული დრო და სივრცე". №3-4
ზოიძე შოთა – სიკვდილის კოცნა. №7-8
იმერლიშვილი ვანო – ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან. №9-10
მირიანაშვილი მადლენა – დავით სარაჯიშვილი – ერის ქომაგი და ქველმოქმედი. №11-12
სარია ზეინაბი – სამშობლოს ტრაგიკული განცდა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. №3-4
ფრუიძე ლევანი – ეთნოგრაფიული წერილები. №1-2
ღვინიანიძე თაილი – ნინო თარიშვილის გახსენება. №7-8
შაყულაშვილი გიორგი – „ეს ბიჭი კარგად თამაშობს, ფეხის ცერებზე დგებაო"... №9-10
ჩიჩუა შალვა – ქართული დრამატურგია მეოცე საუკუნის ბოლოს. №1-2
ცაგარელი ლევანი – თომას მანის „შეცვლილი თავები" – როგორც სიმბოლურ-ალეგორიული და ფსიქოგრაფიული მოთხრობა. №7-8
ცხადაია ზოია – 2001 წლის ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. №3-4
ჭელიძე მერი – მეოცე საუკუნის სამოციანი წლების გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები. №11-12
ჭილაძე თამაზი – „მარტოობა სულისა." №5-6; ძველი რვეულებიდან. №11-12
ხელაია ნაზი – მას „არც წარსულის, არც მომავლის არ ეშინია". №7-8
ჯანიაშვილი ლავრენტი – ისტორიის გაყალბების ნაცადი გზა. №1-2

მეცნიერება

აბრამიშვილი ვაჟა – ქსანი. №9-10
ბრეგვაძე ბაჩანა – „მაგრამ თუ ერთხელ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს". №3-4; წარმართული სამება №7-8
ბლაგიძე კარლო – შედევრების ანალიზი. №5-6
გოილაძე ვახტანგი – პირველი ქართული საეკლესიო თხზულება. №5-6
ითონიშვილი ვახტანგი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. №3-4
ითონიძვილი ვალერიანი – ქართველი ხალხის ტრადიციული საოჯახო ყოფა. №9-10
მიბჩუანი თეიმურაზი – აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის. №11-12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქავთარაძე გიორგი – იბერიის სამეფოს „არსებობის არსი" ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით. №7-8

პუბლიკაცია

ბაქრაძე აკაკი – „არც სიყვარული არ არსებობს უსიყვარულოდ". №11-12
ვარდიაშვილი ანა – რეჟისორი – მაგნიტი. წინასიტყვაობა **დავით სოლომნიშვილისა**. №3-4
თანამედროვეთა მოგონებები ივანე მაჩაბელზე – წინასიტყვაობა **ჯემალ მჭედლიშვილისა**. №3-4
ექვთიმე თაყაიშვილის პარიზული წერილები – წინასიტყვაობა **მადლენა მირიანაშვილისა** და **ოთარ ჩიქოვანისა**. №9-10

მწერლის არქივიდან

ირაკლი აბაშიძე – განუწყვეტელი 55. №7-8

თარიღები

ნიკა აგიაშვილი – 100
გურამ ბენაშვილი – მწერლობის ღირსეული მემატიანე. №9-10
კიკნაძე ვასილი – ქართული თეატრის რაინდი (გიორგი გეგეჭკორი). № 1-2
ურუშაძე ნათელა – მედეა ჩახავა. №1-2
სიმონ ჩიქოვანი – 100
სიმონ ჩიქოვანი – ლექსები. №3-4
ემზარ კვიტაიშვილი – სიმონ ჩიქოვანი. №3-4
ნიკა ჩიქოვანი – მოგონების მოგონება. №3-4
ვიქტორ გაბესკირია – 100
ზოია ცხადაია– პოეტის პორტრეტი. №11-12

თვალსაზრისი

SOS – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ზუგდიდის ფილიალის სალონში გამართული საუბრები **ოთარ ჭილაძის** რომანის **„გოდორის"** გამო. №5-6

თარგმანები

ბერდიაევი ნიკოლაი – ფილოსოფია და რელიგია. თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**. №1-2
ბენიამინი ვალტერი – პოლ ვალერი. თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**. №7-8
ბროდსკი იოსიფი – ვირგილიუსი. თარგმნა **ზურაბ კალანდაძემ**. №11-12
გრაბალი ბოგუმილი – სალუდეში შეთხზული მოთხრობა. თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**. №5-6
კრუსენშერნა აგნესა ფონ – ქირავდება კუთხე. თარგმნა **მანანა მიქელაძემ**. №5-6

ლოსევი ალექსეი – წიგნიდან „პლატონი და არისტოტელე". თარგმნა **ნოდარ შანიძემ**. №5-6
ლოურენსი ჰერბერტ დევიდი – პორნოგრაფია და უხამსობა. თარგმნა **მანანა მიქელაძემ**. №9-10
ლიოსა ვარგას მარიო – ერთი რომანის ამბავი. თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**. №3-4
მენი ალექსანდრე – რელიგიისა და მეცნიერების შესახებ. თარგმნა **მანანა მიქელაძემ**. №7-8
პავიჩი მილორადი – ხანგრძლივი ღამეული მოგზაურობა გემით. თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**. №7-8
სამოსატელი ლუკიანე – ქებათა ქება სამშობლოს. წინასიტყვაობა და თარგმანი **გურამ გოგიაშვილისა**. №7-8
სენ-სანსი კამილი – ერთი კომიკური ოპერის ისტორია. №1-2; დოქტორი კემბრიჯში. თარგმნა **მანანა მიქელაძემ**. №3-4
ტარდი ლაიო – გზა საქართველოს გავლით. უნგრულიდან თარგმნა **ვანო იმერლიშვილმა**. №5-6
ხოდასევიჩი ვლადისლავი – ლექსები. თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**. №11-12.
ჰითმალი ჯამილი – მოთხრობები. არაბულიდან თარგმნა **იზოლდა გრძელიძემ**. №7-8

ხელოვნება

ადამია რეზო – პრაქსიტელის „აფროდიტე". №3-4; ვასილი კანდინსკი. №7-8
ახმეტელი მანანა – მარინე იაშვილი, №11-12
ლონდარიძე ეთერი – ვაჟა-ფშაველა ქართულ მუსიკაში. №9-10
შენგელია ქეთევანი – ღამის მხატვარი. №5-6
ჩიხლაძე ნინო – ირანულ-ქართული კულტურული ურთიერთობები და XVII ს. ქართული სახვითი ხელოვნების ერთი ასპექტი. №5-6

ბიბლიოგრაფია

ბუაჩიძე ანდრო – ამაფორიაქებელი კითხვები. № 3-4; კონტრასტული შტრიხების პოეზია. №5-6; მოძრაობა წრეში. №7-8
ევგენიძე იუზა – საინტერესო მონოგრაფია დიდ მამულიშვილზე. №7-8
მახარაძე მიხეილი – ახლებურად გააზრებული XX საუკუნის ფილოსოფია. №3-4
ოდიკაძე გელა – მწერლის სახსოვარი. №11-12
სტეფნაძე ჯემალი – კავკასმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენი. №1-2
ჯოხაძე მაკა – „უკანასკნელი თავშესაფარი". №1-2; „ვა სოფელო". №7-8

მოსაგონარი

გურამ ბენაშვილი, რევაზ ბარამიძე, იუზა ევგენიძე, მერი ჭელიძე – ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ტრადიცია და ნოვაციები. ფარნაოზ კოტეტიშვილის ხსოვნისათვის. №11-12

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ტელეფონები: მთ.რედაქტორის – 99-51-61
განყოფილებების – 99-91-00
გადაეცა ასაწყობად 4.12.2003 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.02.2004 წ.

ტირაჟი 300

გამომცემლობა „სანი“
თბილისი 0105, შავთელის ქ. №26
ტელ: (995 32) 98 65 92 e-mail: zazaberishvili@yahoo.com